

8(05)
3-80

მარტინ

თვე გრიგორი ქურთ ნალი

წელიწადი შეთერთშეტე

No V

აპრილი, 1904



მარტინ

ვიკის ფილიალის განვითარების გუნდი, ერალთი

1904

ბ მ ს ე პ ც

თ ვ ი უ ნ ე ქ უ რ ნ ა ლ ი

შემოწიდი მეთერომეტე

P-63 08,

№ ۵

ა ღ ი ნ, 1904

V

0 9 0 6 0
1904



Дозволено цензурою, 8 июня, 1903 г. Тифлисъ.

မာနာအကျေ

I—ရာတော်လွှဲ	—၂၃။
II—ဆောင်ရွက်လွှဲ	—၁၇။
III—သုတေသနရွက်လွှဲ	—၇၉။
IV—ပုဂ္ဂနိုင်လွှဲ	—၈၅။
V—ပုဂ္ဂနိုင်လွှဲ	—၁၁။
VI—အမြတ်လွှဲ	—၂၀။
VII—အမြတ်လွှဲ	—၃၉။
VIII—ပုဂ္ဂနိုင်လွှဲ	—၅၁။
IX—အမြတ်လွှဲ	—၇၀။
X—အမြတ်လွှဲ	—၇၈။

X— 606030 — 1. მიხეილ სტარიცევი.—2. სამუქლ სმაილი.—
3. სან-ლუის გამოფენა.—4. კეთროვეანთა განკურნება.—5. ია-
ზონის ალწერა.—6. იაპონური უურნალი ტაოში.—7. ბამ-
ბის თესლის ფქვილი.—8. მუშა მინისტრები.—9. რუსულ
მართლ-წერის გაადვილება.—10. ბელგიური უნივერსიტეტე-
ბი.—11. ჭიანჭველის სიმუშევე.—12. თბილის წყლის დარიგე-
ბა.—13. საბიბლიოთეკო სკოლა.—14. წმ. ანტონის სასწაუ-
ლი.—15. გიუ-დე მოპასსანი.—16. ომის ხარჯი.—17. იაპო-
ნური თოფის წამალი.—18. ამერიკული ქველ-მოქმედება.—
19. საჭმელ-სასმელის სიუმინდე

99

XI— შინაური მიმოხილვა.—ქართველები და კავკასიის
სხდა სალხნი სწავლა-განათლების მხრით.—თავი II. სა-
ქართველო.—ფ. გოგიჩაძემილისა 107

XII— † იორებ ზოსიმეს-ძმ ბაზრაძე 149

XIII— უცხოეთის მიმოხილვა. —1. „ყველო საფრთხე“.
ომინობის ადამიანური მთარე.—2. საფრანგთო და პაპი 151

XIV— † პეტრე იორების-ძმ უმიკაზვილი 165

გ ა ნ თ ი ა დ ი

მაგისტრული საქართველოს წარსელიდან

ოთხ მოძმედებად და 5 სურათად

მოძმედი პირნი:

ი ე ს ე , უფრო ალი-ყული-ხანი, მეფე საქართველოსი, გამაჭმაღიანებული. შვილის ზეილი მეფის ვაჟტანგ მეხუთისა (შახნავაზისა) — 25 წლისა. ორის წლის მოსულია სპარსეთიდან. ტანსაცმელი, მიხერ-მოხერა, ქუჩა — სპარსული აქებ. მალიან მდიდარი, ამაყი და გარუცნილი კაცია, გულის თქის ამყრლი და აჩქარებული.

კათოლიკოზი დო მენ ტი მესამე, რუსეთში ნამყოფი, 65 წლისა. გაით, მეფის მახლობელი. ქართულად აციია. გრძელი ულვაზი და თეთრი წვერი; საქართველოში დაბადებულა და აქვე გაუტარებია თავისი სიცოცხლე. წარმომადგენელი საქართველოს სპარსთაგან განთავისუფლების მიმართულებისა — 80 წლისა.

ო მ ა ნ , სპასალარი სომხეთისა. ქართველი შთამომავლობით, სპარსეთში დაბადებულა და საქართველოში მეფე იქსეს მოჰყოლია. მეტად დაახლოვებული მეგობარი მეფისა, მომხრე სპარსეთის ძლიერებისა და მის გავლენისა საქართველოშედ. გესლიანი, ავადმყოფი, გამხდარი; ტანსაცმელი და ქუჩა — სპარსული. დაუცხრომელი მტერი ქაიხოსრო სპასალარისა. 88 წლისა.

ზურაბ, ძმა ომანისა, სპარსულად ჩაცმული, მიმდევარი ომანისა და იმის მიმართულებისა. 80 წლისა.

ქაიხოსრო, სპასალარი ქართლისა, ქართულად ჩაცმული. ერთი ბურჯთაგანი იმ წრისა, რომელიც საქართველოს აღდგენას ცდილობს. მეგობარი გაითხისა, 82 წლისა.

გ ა რ ი ნ ე , ქაიხოსროს მეუღლე, ზეილის-ზეილი მეფის შახნავაზისა, ქართველ ბატონიზეილთა ტანისამოსით — 17 წლისა.

თ ე კ ლ ე, ქაიხოსროს დედა, ქვრივი. ქართული თალხი ტანისამოსით.
სნეული 60 წლისა.

ბიძინა, მსაჯ ელთუხუცესი. წარმოსადეგი, ღინჯი, ღირსეული. წერ
მოპარსული, გრძელი ულვაშით. საქართველოს აღდგენის მო-
ლვაწე. 75 წლისა.

გ ლ ა ხ ა, ქაიხოსროს სოფლელი გლეხკაცი 80 წლისა.

დ ე დ ა ბ ე რ ი, იქაურივე. ჭორთანი, ყბედო; 50 წლისა.
მოსამსახურე ქაიხოსროსი—40 წლისა.

შიკრიკი მეფის ქ, სპარსულად ჩატმული, 26 წლისა.

შიკრიკი—მხედარი, ქართულად ჩატმული, 38 წლისა.

მოხუცი გ ლ ე ხ ი კ ა ც ი—70 წლისა, რეა წლის ბალლით.

სამი სპარსულად ჩატმული დიდებული 55, 60 და 58 წლისა.

ოთხი კარის კაცი სპარსულად ჩატმული—25, 27, 30 და 32 წლისა.

ოთხი გლეხ-კაცი, ქართულად ჩატმული—28, 38, 40 და 50 წლისა.

გ ა რ დ ი ი ს ა ხ ა რ
თა მ ა რ } ბატონიშვილის მარინეს მოახლენი, 19 და 16 წლისა.

დიდებულნი. ორი ეპისკოპოზი. კარის-კაცნი. მხედარნი, მონა-
დიორენის. ხალხი—ქალები, კაცები, ბავშვები. დიდებულთა, კარის
კაცთა და მხედართა უმრავლესობას სპარსულად აცვია, ზოგ-ზოგს,
იშვიათად, ქართულად.

მოძველება პირველი

შინდორი, ტუთ შემორტყმული. მარცხნივ კარგები, შორს
აქა-იქ ანთებული ცეცხლი. ბლობად მოკრევილი ხალხი, მო-
ნადირეთა ფოდინში. მრავალი წანადირევი. ორი ურემი. შეა-
ზითხულია, ეტუთა უწვიმნია.

ხალხი (მდერის).

მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო!
მუმლი ჰქრებოდაო,
მუმლი სწყდებოდაო!
ხე არ ხმებოდაო!
მუმლი მუხასაო,
გარს ეხვეოდაო,
მუხა ღამძიმდაო,
წყალში ჩავარდაო!
წყალი შეგუბდაო
ნაპირს გადვიდაო!
მუმლი მუხასაო!
მუმლი შესწუხდაო,
მალე ღაიხრჩოვო!
მუმლი ღაიხრჩოვო
მუხა გადარჩაო.....

შირველი (ხალხიდან). კმარათ, ძმობილნო, სიმღერა! ვერა-
ხედავთ, როგორ გაუტაცნია ნაღირს ჩვენი მეფე!
იმის მოსვლამდე რომ ასე ვიმღეროთ, ყელი ამო-
გვეხრანწება. მოდით ერთი კარგი ჭიდაობა გავა-
ჩალოთ!

ხმები. შენ გიშველა ღმერთმა! ჭიდაობა, ჭიდაობა! (ხალხი არად კანაწილდება და ფალავნებს ექებენ). შენ ეი, ბლუნძო, ნეტავ რას იმალები?! გამოდი, თორემ მე ვიცი შენი! თქვენ ვიღა გყავთ? პართენი? აბა გამოიყვანეთ! ბიჭო ლუკა! კი არ შეშინდე, შე ჩემი ცოდვით სავსევ! მოგვერდი და იმისი ჯანი! (ზურნა უკრავს, საჭიდავდ ემზადებან). გამოდიან დუჭა და პართენი, ჭიდაობენ. ლუკა წაიქცევა. გააშველებენ. მოჭიდავენი ერთმანეთს ჰკოცნიან).

ხმები. შენ კი რა გითხრა, შენა! თავი მოგვჭერ! ქვეყანას გამოგვასალმე!.. ჰა, ყოჩალ ბიჭო, პართენ! ხომ არ დალალულხარ?! არა? იქნება კიდევ გაისარჯო, ჰა? ემას დაეჭიდები? - ემაგას? არა, ძმაო, არ მინდა, გინდათ კაცი შემომაკლათ!? ერთ ლუკმად არ მეყოფა!—ყელში რომ გაგეჩხიროს? პატარაა და კარგია! თუ ბიჭი ხარ, გამოხვალ!—გამოვიდეს, რა გაეწყობა! განი, ხალხო, განი! ე მანდ უფრო კარგი ბალახია მგონი: ავიყვან და ბალახში ჩავაგორებ რბილად და ნაზად. გამოდი რაღა, რაღას იზღაზნები! ზურნა, ზურნა! ჩაბერე შეზურნევ!

(ზურნა უკრავს, ჭიდაობენ. ხალხი აღტაცებულია. პართენი წაიქცევა, მოჭიდავენი. ერთმანეთს ჰკოცნიან და შორდებიან).

ხმები. ბაქი-ბუქი, დიდი გქონდა! აგრე უნდა! დაილოცოს, პატარავ, შენი მარჯვენა! როგორ დაანარცხა პართენი!

(მეფის საუგინის ხვა ისმის).

ხმები. დაიწიეთ, ხალხო, დაიწიეთ! მეფე მობრძანდება! ჩქარათ! (ზოგნი გაფლენ, ზოგნი რჩებიან).

ხმები (სცენის არედ). ცხენები ჩამოართვით! ძალლებს აჭამეთ რამე? ნანადირევი აქ მოაგროვეთ? საღილი ხომ მზად არის?

(შემოდინ გაითზ, თმან და მეფის ამალა).

ხშები. მეფე სადღა ბრძანდება?

1 ქარის კაცი. მიმინოს სანახავად მიბრძანდა!

2 ქარის კაცი. მერმე ჩვეულებისამებრ ძალლებსა ნახავს!

3 ქარის კაცი. მერმე აქეთ წარმობრძანდება...

4 ქარის კაცი. (ხალხს მიუბრუნდება) და თქვენა გნახავთ! (სიცილი).

1 ქარის კაცი. კმარა! რას დგეხართ, ხალხო? დაიშალენით!

1 ხალხიდგან. არ იცი, ეს ვინ არის? აგერ, აგერ!

2 ხალხიდგან როგორ, მაგას არ იცნობ? ეგ ხომ ომანი არის, სომხეთის სპასალარი!

1 ხალხიდგან. ა ის მოხუცებული, თოვლივით რომ გასთე-
თრებია წვერი?

2 ხალხიდგან. არ ვიცი!

3 ხალხიდგან. (აჯავრებს) არ ვიცი! მა რალა იცი? გაიოზი
ბრძანდება, საქართველოს ერთგული შვილი და
სპარსეთის მტერი.

1 ხალხიდგან. ეგ არის გაიოზი? რომ იცოდე, რა რიგ მინ-
დოდა მაგის ნახვა! წავიდე ერთი ხელზედ ვაკოცო,
მანამ მეფე არ მობრძანებულა.

2 ხალხიდგან (დაიჭერს). გიერ ხომ არა ხარ, სად შიხვალ!
გაგირისხდება!

ხშები. მობრძანდება, მობრძანდება! აგერ მეფე ბატონი!
(უკუჭანი მიესალმებთან! ხალხი ნელ-ნელა უკან იწევს
და იშლება).

მეფე (აგჩქარებული შემთდის). ძალიან დარი დაგვიდგა! წვი-
მამაც გაგვაგრილა! ღმერთო, რამდენი წაღირი და-
გვიხოცავს! რა კარგი იქნებოდა, რომ აქვე, გარედ,
გაგვეშალა სუფრა, თორემ კარავში, მყონი, ისე ცხე-
ლა, რომ სულს ვერ მოვიბრუნებთ. ერთი ხალიჩა
და მუთაქა აქ, კარგი იქნებოდა!

(ხალიჩას შლიან, ზედ სუფრას, მუთაქას მჟართმეგენ)

მეფე. რომელი კარავი შეედრება ამ მოწმენდილს ცას?
დაბრძანდით, მეფეო, ყველაფერი მზად გახლავთ!

- (მეფე დაბრძანდება სუფრის თავში, მარცხნივ; თბან მეფის გვერდით. გაიღზ მეფის შირდაპირ, მერმე სხვა დიდებულის ზოგნი სუფრას შემთეუსხდებიან, ზოგნი მდგრადიარენი სჭამენ. მწვადს მთართმევენ ირშისას და შემწვარ ხოხობს და მწერს. ტიკებით დვინო ძევს იქვე ახლო და მეღვინე სავსე ყანწს აწვდის. მეფის ყანწი აქრთი არის მოჭედილი და ძვირფასი ქვით შემუშავი. საზანდარი შორი-ახლოს რაბს უკრავს,)
- ამანა.** მწყერს ხომ არ ინებებთ, მეფეო? ხოხობი მოგართვათ?
- მეფე.** გმადლობ, ალარა მინდა-რა. ღვინო მომაწოდეთ, ღვინო! (სგამს.)
- გაიღზ** (წამოდგება). ღმერთმან გაცოცხლოს, ღიდებული მეფეებატონი!
- უგლანი** (წამოდგებიან). ღმერთმან აცოცხლოს ღიდებული მეფე! ვაშა!
- გაიღზ.** აცოცხლოს ჩვენდა სანუგეშოდ მრავალ უამიერ! აბა, ნინიავ, ერთი შენებური მრავალუამიერ შემოსძახე! ბანისა ჩვენ ვიცით!
- (მრავალუამიერს მდერიან).
- მეფე.** დასხედით, ისე განაგრძეთ, რად წამოიშალენით? (სხდებიან და ისე აბოლოვებენ სიმდერას) გმადლობთ, თქვენი თავი მიცოცხლოს! (წამოდგება და უველანი აშლებიან) ნუ, ნუ, ჯერ ნუ აიშლებით! მე სადილი უკვე გავათავე! დასხედით, ნურას მოიშლით, ღვინოს შეეძეცით! მინდა გავიარო და ჩემი ხალხის დროს გატარება ვნახო (ერთ ღიდებულთაგნის) წამომყე შენ! (მიდის, შორიდგან ისმის ძახილი: ჩემი მეფეს კაუმარჯოს! სუეველანი ისევ სხდებიან. საზანდარი სპარსეფს სიმდერებს ნელ-ნელა უკრავს).
- მოხუცი** (რეა წლის ბაჟდით შემთდის). ნუ გამირისხდებით, თავადნო, მიბრძანეთ—სადა ბრძანდება მეფე-ბატონი? მინდა ამ ბალლს ვაჩვენო, ჩემს შვილის შვილს, და გულში ჩავუხატო მეფის სახე, რომ თავის დღეში არ დაივიწყოს!

ომან (მეგახედ). გასწი, მოგვშორდი! მეფეს შენთვის არა
სკალიან! გაგვეცალე!

გაითაზ. (ალექსით). თავის ხალხისთვის ყოველთვის სკა-
ლიან მეფეს! აგრე ჩაიარე, ძმობილო, აგრე ხალ-
ხისკენ და იქა ნახავ მეფეს. შეხედავ და მაშინ-
ვე იცნობ. და თუ გიბრძანა—რა გინდაო, სწო-
რეთ მაგ ლექსით მოახსენე. (მოხუცი მადლობას უხ-
დის და მიდის), აი, კაცი ქართველი, ბავშვი წამოუ-
ყვანია, რომ მეფე აჩვენოს და სიყრმიდგანვე გულ-
ში ჩაუნერგოს მის სიყვარული!

ომან. ეჱ! ზლაპრებს მოჰყა!

გაითაზ. შეიძლება ზლაპრებიც იყოს, მაგრამ საქართველო
სკხოვრობდა და კვლავაც ღიღ ხანს იცხოვრებს და
აღიზრდება ამ ზლაპრებით. სხვა და სხვა აზრისანი
ვართ მე და შენ, ომან! სხვა და სხვა მიმართულე-
ბისა! არა არის რა ჩვენში საერთო! საქართველო
შენთვის სამშობლო არ არის! სხვა და სხვა გზას
ვაღივართ და ვერასოდეს ვერ შევთანხმებით!

ომან. ღიალ, ჩვენს ღლეში ვერ შევთანხმდებით! ვინა ხართ
თქვენა, ვინ? გზა, რომელსაც მე ვაღივარ, ეს გზა ერ-
თად ერთი მიაღწევინებს სამშობლოს ბეღნიერებას!
მხოლოდ სპარსეთშია ჩვენი სხნა-შველა! ჩვენ მისი ყმა-
ნი ვართ! თქვენ რა ხართ? სად არის ქართველი ერი,
სად არის საქართველო? და თუ კიდევ საღმე დარჩა
თუნდა ერთი მუჭა ქართველთა—იქ სპარსეთში, იქ
არის მისი ბეღნიერება, მისი მომავალი და ღიდება!

გაითაზ. მუჭაო, ამობ! არა, ომან! შენ ვერ ჰქედავ, შენ ბრმა
ხარ! გაახილე თვალები, ჩააკვირდი და შეიგნე! სპარ-
სეთშია განა ჩვენი ძალა და დიდება? როცა იგი,
ის შენი საყვარელი სპარსეთი, საუკუნობით ჩვენი
ერის სისხლსა სვამდა, სვამს, სწოებს სისხლსა და
ვერ ძლება! და ხედავ, ჩვენი ერი მაინც ცო-
ცხალია, იზრდება, ზლვასავით ჰლელავს და ამ

ლელვის ტალღებმა ლამის თავზედ გადაგიარონ! არა, ჩვენი ერი ცოცხალია და იცოცხლებს. ჩვენ, გესმის, ჩვენ მეთქი, ერის წინამძღვარნი მოეიხდით ჩვენ ვალს და წარვალთ. მაგრამ ერი დარჩება, ის გამაგრდება, მოიკრეფს ძალას და ფართოდ გაიშლება! არა, ომან, ის ცოცხალია და საუკუნოდ ცოცხალი დარჩება! მეფეც, შენც და ერთობ ჩვენც, ქართველი ერის მოთავენი, ამ ერს ვემსახურებით, ამ ერზე ვლოცულობთ!

მან. რაო! ხალხს ვემსახურები!! მე ხალხს არ ვიცნობ! მე ვემსახურები ჩემს ბატონს და ბრძანებელს ალი-ყული ხანს, ჩემს მეფეს! მე მრწამს და თაყვანსა ვცემ ჩემს მეფეს და სხვას არავის!

გარის. ჩვენი. ჩვენ მეფეს ალი-ყული ხანს და სხვას არავის! **გათაზ.** არა! ალი-ყული ხანს ჩვენ არ ვიცნობთ! ჩვენს მეფეს ისე ჰქვიან! ის ემსახურება და უნდა ემსახუროს, ამის თავდები ჩვენა ვართ, სამშობლო ქვეყანას, ძლიერებას და დიდებას ჩვენის ერისას! და ჩვენში, ომან, რომელთაც შენ სცდილობ ქვეყნიდან აღგავო, მას, მეფეს, ჰყავს ერთგული შვილნი. მაგრამ, მითხარ, მითხარ გაიოზ, რა გზით, რა საშუალებით გინდათ შენდა შენ მოაზრეთა ემსახუროთ თქვენს სამშობლოს, თქვენებურ განთიადით ხომ არა, თუ არ მალავთ?

გათაზ. რათ დავმალავ, ომან! აი ჩვენი გზა: ერი გავაღვიძოთ, გავაძეოთ მტერი, მეფის და წმიდის ჯვარის დახმარებით მოვიხსნათ მონობის საზიზლარი ულელი, დავუბრუნოთ სამშობლოს თავისუფლება, გავაძლიეროთ სამეფო ტახტი, და თავისუფლად გავწიოთ წინა და მე მწამს, რომ ჩვენი წამებული ერი თავისებურად თავისუფლად გაიზრდება, განვითარდება. და მომავალ საუკუნეებს წმიდად შეძლვნის მრავალ ტანჯულის, მაგრამ გმირის ივერიის დიდებულ სახელს. აი, ჩემი განთიადი!

გარის გაცნი. შეხედეთ. რა გაბედულად ლაპარაკობს!

ომან (წამოვარდება). საქართველოს ბედის წერა სპარსეთზედ
არის დამყარებული! მომავალი დღება და ბედნიე-
რება სამშობლოსი იქ არის, მხოლოდ იქ! შენი გზა
კი, რომელიც შენ ახლა აქ აღტაცებით დაგვისუ-
რათქ, და გგონია სამშობლოს ისხნისო, თქვენ და-
ლუპვას და აღმოფხვრას გიქადის! მეფე, ჩემი მეფე,
გარწმუნებ, სანამ მე ცოცხალი ვარ, სანამ მე მას
გვერდში ვუდგევარ, ჩემს გზას აირჩივს, ჩემს გზას
მიჰყვება!! სპარსეთის ძალას ვინ დაუდგება წინაშვინის გარის გაცნი. ძლიერია, ძლიერი სპარსეთი! რა შეგვიძლიან,
რას ვიზამთ, ერთი მუჭა ხალხი და ისიც უძლური...

გათოზ. მაგრამ, გაიგეთ ხალხო, რომ საქართველოსთვის მე-
ომართა რაოდენობა არასოდეს არაფერს არ ნიშ-
ნავდა! ივერია იყო და არის ძლიერი თავის ერთ-
გულ შვილთა თავგანწირულ გმირობით და არა
მათი რიცხვით, სიმრავლით... ეჲ, კმარა, ღრო არ-
ის, გავათავოთ საუბარი!

ომან. დიალ! ღრო არის! ავდგეთ!

(წამიაშლებან უველანი. სუფრას ააფაგებენ).

გათოზ. აალაგეთ, აალაგეთ, ხალი დასტოვეთ ოლონდ. მე-
ფეს სკამი მოართვით (საჭზედ სკამის სდგამენ). აგ-
რე, გოშველათ ღმერთმა!

ომან. აგერ მეფეც მობრძანდება!

მეფე. გულით ვისიამოვნე ჩემს ხალხში ყოფნით! დიდის სი-
ყვარულით და იმედით მიყურებს ხალხი, ბავშებ-
საც კი, წირმოიდგინეთ, ბავშებსაც კი პირი ულიმით
და სიხარულით უბრწყინავთ მშვენიერი თვალები!
ყოველ მხრივ აღტაცებით მეგეგებიან! მინდა ყვე-
ლიას გარდავეხვიო, მაგრა მივიკრა გულზედ! თბი-
ლმა ტალღამ ხალხის სიყვარულისამ დაჭკრა ჩემს
გულს! დამთბა!

გათოზ. ეს იმიტომ, მეფევ, რომ შინა ხარ, შენს ხალ-
ხში ბრძანდები, შენს ქვეყანაში!

მეფე. გმაღლობ, გაიოზ, ღვინო მომაწოდეთ, უელი გავი-
სველო! (სვამის) ყოჩალ იმან, რომ სკამი გიბრძა-
ნებია ჩემთვის!

ამან (თავის უკრძალ). შენი მონა გახლავარ, დიდებულო მეფევ!

მეფე. დაბრძანდი, ჩემო გაიოზ! (გაიზი ხალხედ დაჯდება)
ახლა კი ერთი ვიმუსაიფოთ, დრო გავატაროთ...
ან ძველი მოვიგონოთ, ან ახალი... ცოტა შევის-
ვენოთ, მერმე ისევ ცხენს მოვახტეთ და სანადი-
როდ გავიდეთ. ხომ არ დამეღალე, გაიოზ?

გაითხ. არა, ბატონო!

მეფე. ნუ დამერიდები! თუ, გნებავს, ცოტა ხანს დაისვე-
ნე. მე გთხოვ, ჩემო გაიოზ!

გაითხ. შენ თუ მიბრძანებ...

მეფე. გთხოვ, მეთქი, გთხოვ. (გაიზი ახლო კარაფში შევა).
ძალიან მიყვარს მე ეს მოხუცი... მაგრამ ქადაგებას
რომ დამიწყებს ხოლმე, სული მელევა და გული
მიმდის. ყურს ვუგდებ, ვცდილობ ყური დავუგ-
დო, შიგა და შიგ მესმის, ერთობ კი... (ხელებს
შლის, სულუგედანი ღრინიან) მაინც ძალიან მიყვარს გა-
იოზი, იმასაც ვუყვარვარ, და მამიჩემის ლევა-
ნის სახელი ხომ სალოცავად გაუხდია... კარგი,
პატიოსანი კაცია ჩემი მოხუცი... (იფინის) ოჟ, ქა-
დაგება რომ არ იცოდეს!! ქადაგებაზედ ნუ მიღვე-
ბა, თორემ... ამას წინად მე თითონ ვუქადაგე ბიძა
ჩემს კათოლიკოზს; მე ვუმტკიცებდი, რომ სპარსეთ-
ში მარტოდ მარტო „მამაო ჩვენო“ მასწავლეს და
სიყრმითვე შთამაგონეს, რომ ეს არის ერთად ერთი
ლოცვა, რომლის ცოდნა სრულიად საკმაოა ქრისტია-
ნესათვის. კათოლიკოზი კი მიმტკიცებდა, რომ ეს
არ კმარა, რომ საჭიროა ქადაგებაც, ქრისტეს,
ღვთის მშობლის და წმიდათა ვედრებაც, მეფეთა
მოხსენებაც, შევეღრება ერთობ ხალხისა, გაჭირვე-
ბულთა, ტყვეთ ქმნილთა და წარმოიდგინეთ — მტრე-

განთხადი

ბისაც კიო... გაუგებარია, როგორილაც ბუნდოვანია ჩემთვის ეს მოძღვრება. (იფანის) მაინც მე დავიყოლიე კათოლიკოზი და მას შემდეგ, როცა ვესწრობი, წირვა-ლოცვაც მოკლეა და გასაგები და არც ქადაგებით მაწუხებენ (სულუჯიანი იცინაან). არც შეიძლება სხვაფრივ! ეს ცისკარიო, ეს წირვაო, ეს ლოცვაო, ეს ღამის თევაო... მეფე მეფედ უნდა იყოს და არა მარადეამ მუხლ-მოდრეკილი იდგეს ბერ მონაზნებთან! მაგრამ ორ მოვიგე! ხუცესი დავიყოლიე, წირვა შევიმოკლე, ქადაგება თავიდან ავიცილე, მაგრამ გაიოზი ხუცესზე უარეს დღეს მაყენებს. (სულუჯიანი იცინაან) ახლა კი სამხიარულო რამე სთქვი, ომან, მოიგონე ჩვენი სპარსეთი, ჩვენი დროს გატარება, როგორ ხშირად ვეფხვივით შევუტევდით, ერთ გაქროლით ვიღებდით მთელ სოფელს... ლამაზ ქალებს ვატყვევებდით, ხომ გახსოვს, ომან! შაჰი არა ჯავრობდა, იცინოდა ჩვენ ცელქობაზედ და ბრძანებდა: სჯობიან საქართველოის მომავალი მეფე სწორედ ასე იზრდებოდეს, ასე ატარებდეს დროს და არა სხვაფრივ! (ჩაფიქრდება) და მართლაც ასე აღვიზარდე მე! აქ კი, ჩემ სამშობლო ქვეყანაში, შეუძლებელია ჩემთვის ძველებური დროს გატარება!

თბან. რად ბრძანებ მაგას, ღიღებულო მეფევ, შენ მხოლოდ ინებე, ერთი მოისურვე და ძველებურ დროს გატარებას ეხლავ გაგიმართავ!

მეფე (იფანის). არა ომან! ღმერთმა დაგვიფაროს! გაიოზი რას იტყვის!

I **ქარხას-ქაცია.** ოლონდ კი ბრძანე, მეფეო, და... იქნება გგონია, აქ კი არ იყვნენ ლამაზი ქალები? იმდენს გაახლებთ... ან ვინ იქნება, მეფის სურვილი გაიგოს და თითონვე არ გამოეშუროს ნეტარებისკენ!

მეფე. ეგ შეუძლებელია, ყმაწვილებო! მეფეს არ შეშვე-

ნის... მეტადრე თავის ქვეყანაში! (გაჩუძღება) რა კარგი იქნებოდა ერთი ჩვენებური ქეიფი, ჰა, ომან? ნადირობის შემდეგ კარგი საზანდარი, ტკბილი სიმღერა... ლამაზი ქალები და მათი თამაში, შორეულ ცეცხლის შუქში! გახურებულ შუბლს სალამოს სიონ გაგვიგრილებდა, მიყუჩებულს სისხლს ლამაზის ნაძალევი კოცნა და ილერსი აგვიღელვებდა, და... არა ეგ შეუძლებელია! საამო ოცნებაა და სხვა არაფერი.

შუ-2 ქარის ქაცი. შეუძლებელი რად გახლავთ, მეფეო? გვიბრძანე შენი გულის პასუხი და... მაშ კაცნი არა ვყოფილვართ!.. ან ვინ იქნება უპირველეს დიდებულთაგან უკანასკნელ ყმამდე ისეთი, რომ შენი ყურადღებით გაბედნიერებული სიხარულით არ დაემორჩია ლოს შენს სურვილს!

ომან. ეგ კი გადააჭარბე!

შეფე. როგორ, შენ კიდევაც იცი რამე, განა. წინათვე იცი, ვინც უარს გამიბედავს!

ომან. დიახ ვიცი! (იქით) დაჭკა ომან, ნუ გეშინიან, შიგ გულში დაჭკა შენს მტერს!

შეფე. სთქვი, სთქვი ვინ არის?

ომან (იქით). ომან, დაჭკა შენს უბოროტეს მტერს ქაიხოსროს!

შეფე (მთუთმენელად). სთქვი მეთქი ჩქარა, ვინ არის? ვინ არის ეს ქალი? ქრმიანია? გასათხოვარია? სთქვი მეთქი!

ომან. ტურფაა, რომლის მსგავსს მეტს ველარ შექმნის ბუნება! მეუღლე გახლავთ (გესლათი სიცილით) გულითადის ჩემი მეგობრისა! ჯერ ბავში გახლავთ, ერთი წელიწადისა, რაც გაათხოვეთ!

შეფე: სთქვი და გაათავე! სახელი მითხარ!

ომან. ბატონიშვილი მარინე, მეუღლე ქაიხოსრო სპასალარისა! (გაიღზ გამოგა გარგიდან და უურს უგდებს).

უგეღანია (ერთხმის). მართლა და ლამაზია. ჩვიდმეტის წლისა გახლავთ! ბიძაშვილია შენი, მეფეო!

- მეფე. როგორ თუ ბიძაშვილი?
ომან. ბიძიშვინის ალექსანდრეს ასული გახლავს...
მეფე. არ მინახავს, არ ვიცნობ... ნუ თუ აგრე ლამაზია
მარინე?
ომან. მარგალიტია ამ ქვეყნის დამაშვენებელი!.. ღმერთს
რომ სამართალი ჰქონოდა, მეფის ხევდრს ქაიხოს-
როს არ აკუთვნებდა! მხოლოდ შენ შეგფერის იგი,
მეფევ!
(გაითხი წინ წამითიწევს).
მეფე. და შენა გგონია, რომ ის არ დამთანხმდება, როცა
მე ჩემივე ხელით წავიყვან სარეცელისკენ?
ომან. მგონია კი არა, დარწმუნებულიცა ვარ! ქვეყნის
უკულმა დაბრუნებას წარმოვიდგენ და იმას კი ვერა,
რომ შენ მარინეს ქამარი გაუხსნა!
მეფე. შენგან არ მიკვირს! როგორ? მეფეს უყვარდეს
ქალი და ის კი რაღაც სახელზე და ნამუსზე ზრუ-
ნავდეს! კარგი ერთი! მეფეს უნდოდეს ქალი და ის
კი სათნოებაზედ ფიქრობდეს! ეს შეუძლებელია,
ზღაპრათაც კი შეუძლებელია! ეგ ქალის ბუნების
წინააღმდეგია!
ომან. სცადე, ბატონო, სცადე და მერმე სთქვი! (გაჩერ-
დებან)
მეფე. ვცადოთ! (გადაწუვეტით) ვცადოთ! (უვეჯანი შეკრთვ-
ბიან), გინდა სანაძლევო დავდოთ, ომან?!
ომან (შემჭრთალი). ჩემთან... მეფეო?
მეფე (სიცილით). დიალ შენთან... აქ ნადირობას მალე შევ-
წყვეტ და სანაძლეოს შეცუდები!
ომან. მე, მეფეო... მზად გახლავარ!
მეფე. რომ წააგო, ჩემო ომან!
ომან. შენ გეკუთვნოდეს ჩემი სიცოცხლე!
(გაითხი მიუახლოდება).
მეფე (სიცილით). და თუ მომიგე?
ომან (შეულევარებით). ქაიხოსრო მოსპე!!

გაიღ. (იქთ). ოჯ, ღმერთო ძლიერო, ეს რა მესმის! რასა თხოულობს ომანი! (მეფეს ადელვებული) ნუ, ნუ, მეფევ, ნუ ინებებ მაგ სანაძლევოს! ომანი მტერია შენი; მტერია წამებულის შენის ქვეყნისა! ქაიხოსრო მოსპერო! განა მაგისთანა ქაიხოსროს კიდევ იშოვნი? დიდება, სახელი და ძლიერება, მთელი მომავალი სამშობლოსი, რომელიც ღმერთმა გარგუნა შენ, შვილის შვილს შაჰნავაზისას, მასზედ, ქაიხოსროზედ, და მაგის მსგავს მამულის შვილებზე გაქვს დამყარებული! ოჯ, ომან, ომან! ქაიხოსრო გძულს? ვაჟკაცურად მიდი, და მამაპაპურად გამოიწვიე შენთან საბრძოლად! არა გრცხვენიან? ორმოს უთხრი! პირად ვერა გაგიბედნია-რა და მეფეს გინდა დააღუპვინო! მხდალო, ლაჩარო! როგორ გეტულია ყიზილბაშობა!

ომან. შენ ეი... გაიოზ! ჩუმად, თორემ... (მეფე უჟრის არ უგდებს).

გაიღ. თორემ ყურადღებასაც არ მიაქცევ მეფეს, განა? მე ჩემს დიდებულ მეფეს და მბრძანებელს მოვახსენებ და სხვა ნურვინ ჩაერევა ჩვენ საუბარში. მე ერთგული მონა ვარ ჩემის მეფისა, მართალსაც დაურიდებლივ უნდა მოვახსენებდე და მოვახსენებ კიდეც! მე ჩემს მოვალეობას ავასრულებ და დანარჩენი. კა ღმერთმან უწყოდეს.

მეფე
ომან. (ფიქრით გატაცებული). რას ამბობს? უპასუხე ომან! მონა ვარ შენი მეფევ! ორის, სულ სხვა და სხვა აზრის კაცნი მოიპოვებიან, ჩემო ხელმწიფევ, შენს ქვეშევრდომთა შორის. ერთს მხარეს გაიოზი და ქაიხოსრო გამდგარან, მეორეს კი მე, უერთგულესი შენი მონა... მე და ჩემნი თანამოაზრენი ვცდილობთ სპარსეთს შევუერთოთ ჩვენი ქვეყანა და მით მივანიჭოთ უსამძლერო ბედნიერება! ძლიერია, გონიერი და წინდახედული ეს მიმართულება! ეგენი კი

გაიოზი, ქაიხოსრო, ბიძინა და სხვანი უკან იყუ-
რებიან, წარსულს ეტრფიან, წინაპართა დიდე-
ბის და ძველი საქართველოს აღდგენას ცდილობენ.
საკვირველია ამათი საქმე: ქვეყანა წინ მიღის და
ესენი კი უკან მიიწევენ. ვიცი, ბრწყინვალე იყო
ჩვენი წარსული, დიდებით აღსავსენი იყვნენ ჩვენი
წინაპარნი, მაგრამ იყვნენ და აღარ არიან! შაპინავა-
ზიც გვყვანდა პირველი, და შემდეგ მეორე, მაგ-
რამ დღეს შენა ბრძანდები ჩვენი მფლობელი! უამნი
რბიან და უცვლელად არარას სტოვებენ! ახალს
დროს ახალი გარემოება მოაქვს, ახალი მოთხოვ-
ნილებანი. ჩვენს ქვეყანას დაღალულს მშვიდობი-
ანობა ეჭირვებოდა, დასვენება და აკი მიანიჭე
კიდეც სრული სიმშვიდე და მყუდროება: დიდე-
ბულის შაპინ-შაპის ფრთის ქვეშ ამოფარებულს სა-
ქართველოს შიში აღარავისი აქვს და ვისაც თავის
სამშობლოსთვის წარსულივით ბრწყინვალე მომა-
ვალი ენატრება, შაპი უნდა ილოცოს. რამდენა-
დაც ყოფა-ცხოვრება, აზრთა დენა, ზნე-ჩვეულება
ჩვენის ერისა დაუახლოვდება სპარსეთისას, მით უფ-
რო ბრწყინვალე იქნება ჩვენი მომავალი! მაგრამ
გაიოზს ხომ არ შეუმლიან ამის შეგნება! ის წარს-
ულის აჩრდილს შეჰარის, შურით და გესლით დაშ-
ხამულ წარსულის აღდგენას ნატრობს, იმ წარსუ-
ლისას, როდესაც ძმა ძმის სისხლს სვამდა, საკუ-
თარ დას არ ინდობდა, თითონ ხრწნიდა და მტერ-
თან ჰყიდდა!..

გათაზ.

სტყუი, ომან! ცილსა სწამებ ჩვენთ წინაპართ! ეგ
შურიც, გესლიც და გარყენილებაც თქვენ თან მოი-
ტანეთ!

ამან.

გესმის, მეფეო? (სიჩუმის შემდეგ) რად უნდათ ამათ
სპარსეთის შენდამი ნდობა! ან ვინა გდია თვით
შაპინ-შაპი, რომლის წყალობით დღეს მამა-პაპათა

ტახტზედ ბრძანდები! (ცხარე სიძულვილით) გადაწყვეტილ მოგახსენებ, ჩემოხელმწიფევ! შენი ქვეყანა მაშინ დამშვიდდება და შენც, მეფეო, დამშვიდებული დიდებულს ტახტზედ მაშინ იქნები, როდესაც შეუყრი თავს ამათ... ყველას, ვინც საქართველოსთვის რაღაც უაზრო განთიადს ოცნებობს, მოაგროვებ, როგორათაც სახელოვანშა შენმა წინა პარშა გომზორში... და მუსრს გაავლებ!!

გათხ.

ღმერთმან დაგიფაროს, დიდებულო ბაგრატოვანო! მუსრი გაავლო შენს ერთგულ ყმებს, შენს თაყვანის მცემელ ქვეშვრდომებს?! არ აგამართვინოს მათზე ხელი! სპარსეთში გაზდილი, მეფევ, მაინც ქართველი ხარ, ამ ქვეყნის სისხლი და ხორცი. როგორ შეიძლება, თავისი სამშობლო სძულდეს ადამიანს და მისი ლირსება! განაღვეურებულია, მეფევ, შენი ქვეყანა! მართალია, ბრწყინვალე შენმა წინაპარმა გომბორში შეკრიბა ერის თავნი და ერთიანად დაახოცვინა... დაახოცვინა, რადგან მოღალატენი იყვნენ მეფის და სამშობლოსი, ლვთისა და ერის მტერნი, მეფის ურჩნი და უარ მყოფელნი. ქართლის ცხოვრება უადასინჯე, მეფეო, და დარწმუნდები, რომ მართალს მოგახსენებ.

(ამანს) სიტყვას ნუ გამაწყვეტინებ, გავათავო! მართალია, წინ მიღის ქვეყანა, მაგრამ ორი გზა აქვს წინ სვლას: ერთი ომანისაა, სპარსეთს მიმავალი, მეორე კი ჩვენი... რომელი მათგანი მიანიჭებს სამშობლოს თავისუფლებას და ბედნიერებას, ეს შენ ითრჩიე, მეფევ!

ქეფე

(ცწრაფად) უკვე ავირჩიე, ჩემო გაიოზ!

გათხ.

ნუ ბრძანებ, ხელმწიფეო, რომელი აირჩიე (ამანია იცინის). კარგად გაიცან შენი ხალხი, გულის გზა უპოვნე, წადილი და ნატვრა გაუგე. ჯერ ნუ ბრძანებ, მეფეო, დაუკვირდი. ჩვენს ცხოვრებს, მო-

ხუცებულს დაეკითხე! ნუ გამირისხდები კი და ჯერ
საქმარისად არ იცნობ შენს ქვეყანას. უცხო მხა-
რეს ბრძანდები აღზრდილი და შენი აზრი და მის-
წრაფება ვერ ეთანხმება შენის ერისას!! აგრე გა-
ხედე, ყოველ მხრიდან მოგროვილან შენთან ქარ-
თველნი... ამ წალკოტს ხედავ, ღვთისგან დალო-
ცვილს და უხვად შემკულს სამშობლოს! ჩვენი აღ-
მზრდელი ერი, ჩვენი ქვეყანა—წინაპართა სისხლით
მორწყული, ჰაერი, წყალი, ჩვენი წარსული, აწ
მყოს მშობელი—აი ჩვენი სამშობლო, რითაც ვცხო-
ვრობთ, რითაც ვამაყობთ, რასაც ვლოცულობთ
და ჩვენ სიცოცხლეს მსხვერპლადა ვწირავთ. სამ-
შობლოშია ჩვენი დიდება და მომავალი! ყველანი
იმას ვემსახურებით და ყველაზედ მეტათ შენ, ხელ-
მწიფეო, სამშობლოს წარმატების ქურუმთ მთავა-
რო და მბრძანებელო! შენნი ერთგულნი გახლავართ,
თავგანწირულნი შენნი ყმანი და შენ იცი, როგორ
მოახმარებ შენს ყმებს სამშობლოს კეთილ დღეო-
ბას... ერთგულად ვემსახურებით, უკვდავნი დავრჩე-
ბით! ვუმტყუნებთ—მტვერივით გავქრებით! ხალხი
დარჩება, ახალი მოთავენი გაუძლვებიან დიდებისა-
კენ და იგინი აღასრულებენ ყოვლად ძლიერის წმი-
ნდა განგებას. შენც ხომ კარგად გრძნობ, ხელმ-
წიფეო, ღვთის განგებას! ხომ ხედავ, რა წმინდა
ტვირთი ურგუნებია მას შენთვის.. მწყსიდე და ნე-
ტარ ჰყოფდე ჩემს ხვედრს ერსაო!! ჩემს ჩაცმუ-
ლობას ხედავ, მეფეო; ჩემებრ ჩაცმულნი აქ ცო-
ტანი გახლავართ, მაგრამ ქვეყანა, მთელი ჩვე-
ნი ქვეყანა სწორედ ასეთია და ისე ჰფიქრობს, ისე
უძგერს გული, როგორც შენს უმორჩილეს გაიოზს
და ქაიხოსროს, მეფევ!

ამან.

მეფე.

ხედავ, მეფეო, საით მიჰყევხართ შენც და სამეფოც!
კმარა, დავილალე! მე სანადიროდ გამოვედი, მომ-

წყინდა თქვენი კამათი! უბრძანე, ომან, ცხენები მოგვევარონ. ძალლებს ნუ წავიყვანთ. მიმინჯო ვნაღირობ. (მარჯვენა ხელზედ საქთოთ ხელთათმანს იდგამს) ბევრია აქ ხალხი?

შარგელი კარის კაცი: მცხეთელები გახლავან, მუხრანელები, მთელი ავჭალის ხეობა მოგლეჯილა შენს სანახავად!

მეფე. ძალიან კარგი! (გამოფრენილი მიმინჯ მეფის ხელზე დაკლება. მეფე უაღერებს). აბა წავიდეთ! (ჩუმად ფმანს) სანაძლევო არ დაგავიწყდეს, ომან! (ხმა მაღლა) მინდა ჩემს დას და სიძეს ვეწვიო ამ ცოტა ხანში! (ჩუმად ფმანს) ვნახოთ ერთი! ნუ თუ მართლა აგრეთი ლამაზია?

თმან (ჩუმად). სელმწიფევ! ქვეყნად არ თქმულა იმისი სწორი!

მეფე (ჩუმად). მაგასაც ვნახავთ.. ძალიან ჩქარა!

თმან (ჩუმად). გაითხს უბრძანე, ლაპარაკი არ ატეხოს სანაძლეოზედ.

მეფე (მაღლა ჩეიდ). მართლა, ჩვენი ხუმრობა და საუბარი... სანაძლევოზე ხუმრობა... მართალი კი არავის ეგონოს! სალაპარაკოდ ნუ გახდით! და თუ (გაითხს დაცჭქერდება) წასცდა ვისმე... მამიჩემის ლევანის სახელს ვფიცავ!...

გაითზ. (შეაწინაურენებს გედრებით). ფიცი რა საჭიროა, მეფეო! (მეფე და ამაფა ნელ-ნელა გადინ).

გაითზ. (სარტო აფან. სცენაზედ). მძიმეა ჩემი ტვირთი; მოსუცებული ვახლავარ მეფეს, და ვინ იცის, შევძლებ თუ ვერა განსაცდელს ავაცდინო ერი და სამშობლო, ავლაგმო ახალგაზდა მეფე და ჩვენი პატიოსანი უზიონ გავატარო იგი! ღმერთო, შენ მიშველე! შენ დაეხმარე შენს მმოსავს ხალხს! თუ საჭიროა, ღმერთო, მსხვერპლი, ისევ მე, მე შემიწირე მოხუცებული, და ქაიხოსროს კი... ყმაშვილი არის, ღონით აღ-

სავსე, სამშობლოს სიყვარულით გატაცებული და ჩვენს ოცნებას ის უფრო უკეთ ემსახურება. ღმერთო, შენ იყავ იმის მფარველი! შენ დაიფარე იმისი სახლი, ოჯახი და პატიოსანი სახელი! ნუ გასწირავ, მოწყალეო, თორემ ვინდა დარჩება ერის ერთგული შენი მმოსავი, რომ ჩვენგან გაკვეთილი გზა არ წაილეკოს და ისევ ეკლით არ შეიმოსოს! (სიჩუმის შემდეგ) ნუ გაახარებ ჩვენზედ ომანს, ივერთ მფარველო, დედავ ღვთისაო!

(ფარდა).

მოქმედება მეორე

ქაიხისრი სპასალარის სახლი მიწური ბანით. წანა-კედელ ასნილი დარბაზი; დარბაზის აქეთ-იქით და უკან სხვა ათასები, მარცხნივ სარცელები. დარბაზის წინ ვიწრო ეზო, რომლითგანაც არ საფეხურია დარბაზში ასავლელად. დარბაზის უკანა შესარეს შეა კარი, აქეთ-იქით კედლებში არ-არი კარი. მარჯვნივ გუთხეში ბუსარი. შეა კარის აქეთ-იქით სალებით დაფენიდი ტახტები. შეა დარბაზში სკამი და ხის საგარძელი. ეზოს აქეთ-იქით დაბე, არგან-სამგან გადაშლილი, გადათელილი. მარცხნივ მასჩანს აფაფათის კარი. სახლის უკან ბაღის ხეები. დარბაზი დაგებულია ფილაქანით. დილაა. უველას სძინავს. ძასაშისხერე ფრთხილად შემთადებს მარჯვნივ შირველ გარს. გატეხილ ღაბიდან მარცხნივ გაღმოდას გლახა, კალათით ჭედვი მიჰაქვს.

მოსამსახურე. გათენდა, ღამურავ, რატომ არ გძინავ?

გლახა (ჩიფხიფით). აგერ ინათებს და მაშინ დავიძინებ. ბატონს. კი ისევა სძინავს, განა? რაღა ღროს ძილია, საცაა მზე ამოვა! მაგრამ რას იზამ, რომ თავი ვერ დაუნებებია მშვენიერ მეუღლე-ბატონის შვილის-თვის.

მოსამსახურე. ადგნენ, ადგნენ, ჩემო გლახა, მგონი მობძან-
დებიან!

ქაიხოსრო. (გამოვა შეა კართ. მოსამსახურე მოწიწებით გაფა).
გლახას გაუმარჯოს! რას იტყვი; ჩემო გლახა?

გლახა. პირველად შენსა და ბატონიშვილის დღეგრძელო-
ბას, შენი ჭირიმე, მერმე დიდ ქალბატონისას!

ქაიხოსრო. ვიცი, ვიცი, შენ ახალი სთქვი რამე!

გლახა. დავბერდი, შენი ჭირიმე, მოვხუცდი, ახალს რას მოგა-
ხსენებ? თუ ინებებ და მიბრძანებ, სიზმარი ვნახე
წუხელ...

ქაიხოსრო. აბა, აბა?

გლახა. წუხელბინდისას,—ღამე ხომ არ მძინავს, შენი ჭი-
რიმე, დავდივარ დავტორტმანებ ბებერი. მყეფარი-
ვით და როცა დავიღლები, დავჯდები და ვარსკვ-
ლავით მოჭედილს ცას შევყურებ,—დიალ, წუხელ
ბინდისას, ის იყო ჩამთვლიმა და რა ვნახე: ერთი
რამ საშინელი მხეცი მოჰქროდა, ისკუპა და ერთი
ნახტომით შემოვარდა ამ ეზოში. თვალებიდამ ცე-
ცხლს აფრქვევდა, პირიდამ ალ-კომლი ამოსდიოდა.
ვეცი მაგრამ, ერთი ისკუპა, ზედ გადამიარა და გა-
ჟერა. ელდა მეცა, დავიყვირე და გამომეღვიძა. ძლივს
მოვედი გონზედ, შენი ჭირიმე!

ქაიხოსრო. შენ, ჩემო გლახა, მეტიც რომ მოგელანდოს, გა-
საკვირველი არ იქნება; ერთი პირი ძილი წყალსაც
მოუვაო, ნათქვამია, და შენ კი მთელი ღამე ფეხ-
ზედა ხარ; დადიხარ, დაფარფატებ, არ ვიცი. კი-რას
მირიგებ. ცას შეცყურებ, ვარსკვლავსა სთვლი,
თვალს ადევნებ ღრუბელთ მოძრაობას და რაღასაც
ფიქრობ, ფიქრობ... ნეტავ ამდენს რას ფიქრობ,
ჩემო გლახა?

გლახა (ჩაიწინებს). რას ვფიქრობ? ექვსი შვილი მყავდა,
შენი ჭირიმე, ექვსივე ღმერთმა წამართვა, ვაღი-
ღოთ სახელი მისი, ბრძოლის ველზედ დამეხოცნენ.

ორი ქალიც ათაბაგმა მომტაცა და ახალციხეს
გადალალა. დავრჩი ასე მარტოდ-მარტო, ობოლ-
ტიალი, სიკვდილისგან დაიწყებული. რას ვფიქ-
რობ, და სიკვდილს ვევედრები, მოდი, ეს ტვირთი —
სიცოცხლე ამხსენი მეთქი.^შ

ქაიხოსრო. ოჰ, შენი შვილები! მერე რა ბიჭები იყვნენ, და-
ლოცვილები! მამა ჩემთან ერთად დაანთხიეს სისხ-
ლი ბრძოლის ჯელზედ. ბედნიერები! მაგისთანა გმი-
რები, ჩემო გლახა, ცოტანი მოიპოვებიან ახლა
ჩვენს აოხრებულ ქვეყანაში!

გლახა. იმედს ნუ იწყვეტ, ჩემო ბატონო! თუ შვილები და-
მებოცნენ, ორი შვილის-შვილი კიდევ მეზრდება!
თუ გაჭირდა, წახვალ და~~ა~~ისინიც გეახლებიან, მხარ-
ში ამოგიდგებიან, არ შეგარცხვენენ! მამანი ვაჟ-
კაცნი ჰყავდათ, არც შვილები ჩამოუვარდებიან!

ქაიხოსრო. წახვალ, ჩემო გლახა, და მგონი ძალიან მაღეც-
ამბობენ, ათაბაგი ისაყ-ფაშა ჯარს აგროვებს და
საქრისტიანოზედ გამოლაშქარებას აპირებსო!

გლახა. განა ასე საშიშია ჩვენთვის ისაყ-ფაშა?

ქაიხოსრო. საშიშია, საშიში! სპარსეთი. სდუმს, მაგრამ ოსმა-
ლოდან მოჰქუს შავი ღრუბელი. ისაყ-ფაშის ხო-
ნთქრის იმედი აღფრთოვანებს, აზრუმის ფაშის მე-
გობრობა იტაცებს. მხოლოდ, ღმერთო, შეერთებას
ნუ დააცდი მათ, თორემ ერთად რომ შემოვვესივ-
ნენ, აიკლებენ ქვეყანას, მიწასთან გაასწორებენ!
ქვა ქვაზედ აღარ დარჩება, ჩემო გლახა, და საქარ-
თველოს კვლავ დაუდგება შაპ-აბაზ. პირველის სა-
შინელი დრო!

გლახა. ღმერთმა დაიფაროს!

ქაიხოსრო. ღმერთი ჩვენსკენ არის და არ ინებებს ჩვენს^შ და-
ღუპვის. ჯერ-ჯერობით მარტოა თაბაგი; ქურდუ-
ლად გვეპარება, ფრაგის ატყობინებს, არავის არ
იწვევს საშველად; რომ სახელიც და ნადავლიც მა-

რტო მისი იყოს, წილი არავის დაუდოს. მაგრამ ჩვენ იგი უნდა დავამარცხოთ, ვიდრე ხონთქრის ჯარს შეურთებს აზრუმის ფაშა! ემზადებაო; შემატყობინეს. სამზღვარი გავამაგრე. ოთარი საუკეთესო ჯარით ჩასაფრებულია აწყვერში, თვალ-ყურს ადევნებს იდუმალ. მეც ფრთხილადა ვარ. ათაბაგთან სანდო კაცები მყავს მიჩენილი და წინადვე გამაგებინებენ მტრის შემოსევას. (გაჩუმდება) აგრე, ჩემო გლახა, იქნება ისე გაგვიძლეს საქმე, რომ ქუდზე კაცი გავიყვანოთ, ჟარწმუნოების, ქვეყნის და ცოლშვილის დასაცველად. წალიწადია, რაც ჯვარი დავიწერე მარინეზე, მაგრამ სუკველაფერს შევწირავ ჩემს სამშობლოს. ხომ აგრეა, ჩემო მოხუცო?

გლახა. აგრეა, ჩვენ ჭირიმე, აგრეა, ჩვენო გმირო სპასალარო!

ქაიხოსრო. წავალთ საომრად და მარტო დარჩება ჩემი მარინე. ვინდლო ფრთხილად იყო ჩემო გლახა. გარს უარე ჩემს სიცოცხლეს მარინეს, შემინახე. (სიცილით) მაგ სიზმრებს კი თავი დაანებე!

გლახა. დაბერდა, ბატონო გლახა, მაგრამ თავის სპასალარის სამსახურს კიდევ შესძლებს. აქ არ ვიქნები? ჩიტს არ გადავათრენ ამ სახლზედ, ღრუბელს არ გადავატარებ. (გაჩუმდებიან).

ქაიხოსრო. ამბავი მომივიღა, აქედგან ერთ დღის სავალზედ მეფე ნადირობს თურმე.

გლახა. აგრე ახლო ბრძანდება!? იქნება მისმინოს ღმერთმა, სიკვდილამდის დიდებული მეფე მაჩვენოს და მასთან საუბრის ღირსი გამხადოს! დავუჩოქებ და შევლადებ ჩვენს გაჭირვებას: უპატრონე რამ, მეფევ ძლიერო, ჩვენო იმედო, შენს ქვეყანას! ნუ თუ ვერ ჰედავ, როგორ დაცემულია? სარწმუნოება აღარსად არის, ენა და სჯული! დაგუჩაგრა მტერ-

მა, ძირს დაგვამხო, ყველაფერი წაგვართვა და შეგვილახა! გაგვანადგურა, გვაჯობა მტერმა, და ვისაც ვერ აჯობა, ვინც ხმის ამოლება გაბედა, ჯილდოდ განდევნა ან სიკვდილი მიანიჭა... ასე, ამ სიტყვებით მოვახსენებ!

ქაიხოს. ბაგენი შენი ჰეშმარიტებას ლალადებენ, ჩემო გლახა! (გაჩუმდებიან) აგერ დედაც მობრძანდება, მარინეც აწდგარა! აბა, გლახა, ხილი მიართვი! (მარინე და თეკლე შემოვლენ მარჯვნივ მეორე კარით).

გლახა. (დატბაზში ავა, მიესალმება). ბატონის შვილს ვახლავარ! ცოტა ლელვი მოგიკრიფე გათენებისას და აი მოგართვი (მიართვები). დიდ ქალბატონს ვახლავარ!

თეკლე. გმადლობთ, ჩემო გლახა, დაჩვეული ვართ შენგან ხილის მიღებას. მე მხოლოდ შენგან მოტანილ ხილსა ვჭამ. ვერ წარმოიდგენ, მარინე, რა მშვენიერი ბალი აქვს ჩენის მოხუცს, საკუთარი ხელით მოვლილ-გაშენებული.

მარინე. ვიცი, დედავ, ვიცი! ოლონდ არ ვიცი, როგორ გადავუხადო გლახას ამოდენი პატივისცემა! რაც აქ გახლავართ, ერთს წამს არ დაუკლია ჩემთვის თავისი ერთგულება, სიყვარული და ხილი! (ქაიხოს გვერდით ზის და დაქვეს სჭამს).

მეფის შიომიგა (სპასულად ჩატმული, სწაოვად შემოვა). მეფე დღეს თქვენთან ყოფნას ინებებს, ასე ბრძანა! წუხელ კასპს ახლო გაათია ლამე და დღეს აქ მობრძანდება (უველანი წამოდგებიან).

ქაიხოსრო. აქ მოდით! ვანა ხართ მანდ?! (მსახურები შემოვლენ) ბარძიმს დამიძახეთ! ფარდაგები გაშალეთ! ეზოდამ დაიწყეთ! ჯეჯიმები გაფინეთ! გაინძარით! ჰა! შენ ჩემო გლახა, ჯერ მოითმინე, ნურას შეაწუხებ მეფეს! (მსახურები გავლენ)

გლახა. ბატონი ბრძანდები, შენი ჭირიმე (ბარძიმი შემოვა)

ქაიხოსრო. ბარძიმ! ჯარი, ცხენები ჩქარა, მეფეს დასახვე-

დრად. დროშები და ზურნა წინ. ჩქარა! ორლობის ბოლოს მომიცადეთ. მივეგებოთ მეფეს, მხიარულად, არ შევრტხვეთ! ორივე სერებზე დარაჯები დააყენე, რომ თოვის სროლით ანიშნონ აქ, ჩვენი მოახლოვება (ბარძიში და შივრივი გადიან). მეფე მობრძანდება! (ჩაფიქრდება) ღმერთო, შენ გვიშველე, ქვეყნის სასიკეთოდ მოგვახმარე მისი მობრძანება და მოგვანიჭე ჩვენის გზით მეფის წინ სვლა საქართველოს საბერძნიეროდ! (დედას და მარინეს) დაჩქარდით. ყველაფერი მჟამზადებინეთ. შენ გენაცვალოს ქაბელსრო, ჩემო საუნჯევ, მეფეს პირველად შენ თავს ვაჩვენებ, როგორც საუკეთესო სამკაულს ჩემი თჯახისას!

მარინე. პირველი ნახვაა ჩემთვის, ჯერ არ მინახავს იქსე. ზოგნი აქებენ, ცამდის აჲყავთ, ზოგნი აძაგებენ. სპარსეთშია აღზრდილი, ჩვენი ზნე-ჩვეულებისა არა იცის რა... შეისწავლის, მიეჩვევა, და ინებებს ღმერთი — ქვეყანას გამოადგება. უცებ ვერ გამოიცვლება ადამიანი, ჩემო ქაიხოსრო!

ქაიხოსრო. დაგიგვიანდება, ჩემო მარინე, აჩქარდი. უნდა ჩაიცვა, მოემზადო ლირსეულად დაგვიხვდე. (თევზე და მარინე მიდიან. მარინე უცხად გარებრუნვება და ქაიხოსროს მოეხვევა)

მარინე. ჯერ არ მინახავს მეფე. როგორც მეშინიან. ვკან კალებ. თრთოლამ ლაშის გული შემიწუხოს...

ქაიხოსრო. მეფე მობრძანდება და იმიტომ ჰკრთი, ჩემო კარგო, დაეშურე! (მარინე კავა იმავ კარით, საიდაც თევზე გავიდა. მთსაშისახურები მოურავის ბრძანებით დარბაზს და ეზოს ამზადებენ. ხალიჩებს შლიან. ქაიხოსროს იარაღს მთართმეგენ და ალაუაფის კართან ცხენს. იარაღს შეისხამს, გავა, ცხენზედ შევდება და მიდის.)

(ფარდა)

სურათი მეორე.

იგივე ღეპორაცია. მთლატ დარბაზი და ნახევარი ეზო მორთულია სალიჩებით, ფარდაგძით და ჯეჯიშებით. ტახტზედ თქმთ მკედით ნაგერი მუთაჭები,

გლახა (შემოდის მარცხნივ). შუალლე გადავიდა, მზემ დასავლეთისკენ გადიწია (შემოდის მოსამსახურე), თოფის ხმა კი არ ისმის. რალას იგვიანებენ, ნეტავ!

მოსამსახურე. კასპიდან აქამომდე შენ პატარა მანძილი კი ნუ გვინია. რომ ამოხოცონ ცხენები, მაინც ვერ მოვიდოდნენ!

გლახა. მე უკეთ ვიცი, შვილო! სწავლა არ მეჭირვება. (უკის უგდებს, შორიდამ თოფის ხმა ისმის) აჲა, გესმის? (ხმაურიბა. თაფის ხმა უფრთ ახლო. ხშება. სცენის გარედ: მოდიან! მოდიან! აგერ გამოჩენდნენ!) რამდენნი უფლისან, როგორ მოაჭენებენ!) აბა, რასა ბრძანებ?

მოსამსახურე. ალბალ სპასალარს მეფე კასპიდან გამოსული შეხვდა! (მეფის საუკირის ხმა. თეკლე მდიდრულად მორთული, თაფის ხავერდის ქათიბით, კამოვა აჩქარებული: ხელში აბრეშუმის პარკი უჭირავს).

თეკლე. ვარდისახარ, ბატონიშვილს მოახსენე, დაეჩაროს, მეფე მობრძანდა! აგერ ორლობესთან მოისმის იმის საყვირი! (ეზოში გრეხეაცობა: გროვდება. დაგებულ ხალფარდაგს ფთხილად გარს უვლიან და წენარად იკრიფებიან მარჯვენა დობესთან. მარჯვენა დობის უკან ქალდედაჭაცნი).

მარინე (თვალ-მარგალიტით დაშეგნებული, ხელში პარკი. ადის-ფერი ხავერდის ქათიბით). მე, დედავ მაკანკალებს,

მეშინიან და არ ვიცი, რისა? ხომ მეფე მობრძან-
დება, ჩემი ბიძაშვილი და მე კი ისე ვთროთი...

თექლე. აი აქ დადგქ, შვილო! მარგალიტი გამოიტანე? ძალიან
კარგი! მეც აქა მაქვს. როცა მეფე გამოჩნდება
ალაყაფის კარებთან, ჩვენ შუა ეზოში ჩავიდეთ და
იქ მივესალმოთ ბატონს! (სოფლის ეპელესის სამრე-
კლდს სუსტი ხმა. ხმაურობა ისმის, რომელიც უფრო
და უფრო ძლიერდება: „გაუშარვას! ჩვენს მეფეს გაუ-
მარჯოს! გაშა! ალაყაფის კარს იქით გამოჩნდება მეფე
ამაღით. თექლეს და მარინეს რომ დაინახავს, რომელ-
ნიც დარბაზიდან ჩამდიდან ეზოში, ცხენიდან გადმო-
ხტება, აჩქარებით მიღის ქადებისგენ. ცხენს წაიუგანენ.
ამაღა ალაყაფის კართან. ხალხი დაბჭად თავს უკრავს და
დობეს ეგვირის).

მეფე (თექლეს). მოგესალმები, ბატონო, უგულითადეს ვისურ-
ვებ თქვენ ბედნიერ ცხოვრებას (თექლე მძიმეთ თავს
უკრავს. შემდეგ მეფე მიუბრუნდება მარინეს და განცგა-
ფრებული მისი მშვენიერებით ამბობს იქით) ომან, შენ
მართალი ხარ! (ხმა მაღლა) ვახლავარ ჩემს საყვა-
რელს, ჩემს მშვენიერს დას (მარინე თავს დახრის.
მეფე აღელვებით). მშვენიერებავ, შენ სამეფო ტახტს
უნდა ამკობდე!

მარინე (უკან დაიწევს შემქრთალი). კეთილი იყოს სტუმრობა
თქვენი, ღიღებულო ჩემო მეფეო! (ქაიხოსროს და-
ნახავს შომაჟალს და გასარებული) აგრე ქაიხოსროც
გიახლებათ, ხელმწიფეო!

ქაიხოსრო (გვერდით დაუდგება მარინეს). გმაღლობ, მეფეო, რომ
ინებე და ესოდენ აამაღლე, გააბედნიერე ერთგუ-
ლი შენი ყმა, მობრძანდი, ბრწყინვალე ჩემო ბა-
ტონო! აბა, დედავ, მარინე, გაგვიძეხით წინ, რას
შედექით! მარინე, ჩემო ხელმწიფევ, შემქრთალია
მეფის და საყვარელ ბიძაშვილის პირველ ნახვით!
(მეფე აღტაცებული მარინეს სილამაზით თვალს არ აშო-

რებს. თუკლე და მარინე წინ მიუძღვიან და გზაზედ
მარგალიტს ჰქონდან. ადიან დარბაზში. შეა კარი წელ-წელა
თრად გაიღება. თუკლე და მარინე კართან აქეთ-იქით
გაჩერდებიან, მდაბლად თავს დაუგვრენ შეფეს, და მერმე
თან შეჭევებიან. მათ შემდეგ გაითზი, ქაიხსრა და მე-
ფის ამალა. ზოგნი დარბაზში რჩებიან).

მან (შარტო :განცენაზე). გამოიქროლა ალალშა, ვერსალ
წაუვა კაკაბი!.. მომილოცავს მეფის ეს სტუმრობა,
გულითადო ჩემო მეგობარო, ქაიხსრო! (იცინის.
ერთ მეფის მოსახლეობას) ზაქარიავ, გაისარჯე
ერთი, ჩემს ძმას ზურაბს დამიძახე (მოსახლეობას)
დას). აქამდისინ უნდა გაეცო და უნდა მითხრას,
რას ჰურიკობენ ჩემი მტერნი.

ზურაბ (გამოვა შეა კართ და აჩქარებით მიუსტლოვდება). რა ღროს
დაბარება იყო! (სიცილით) რომ იცოდე, რას ჩასჩი-
ჩინებენ მეფეს.

ამან. ვიცი და შემდეგაც გავიგებ. შენ ეს მითხარ, გამიგუ
რამე? რა გაიგე? მიიარ-მოიარე? მოასწარი ცვე-
ლაფრის დათვალიერება, გამოკითხვა, ცველა ცნო-
ბების შეკრება?

ზურაბ. ქაიხსროს ცველა აქებს, მეტის მეტად პატიოსანი,
კეთილი და მაღლიანი კაციან; მტრის დახვედრაც
ვაუკაცურად იცის და მოყვარისაც მოყვრულათაო.
ცველას უყვარს, ცველა აქებს...

ამან. ისე მიქებ, თითქო მასიამოვნებდე! მერმე! მერმე!

ზურაბ. მე კი არ ვაქებ; ხალხის სიტყვას ვიმეორებ. მერმე
ისაო, რომ ამ რამდენიმე დღის წინად მცხეთაში
შეკრებილან და გაიოზიც იქ ყოფილა. ეს ხომ შენც
იცი. დაუდგენიათ, შემდეგ ქაიხსროსთან შევიკრი-
ბოთო. ჰო და სულ აქ იქნებიან: პატა, ნინია, ბე-
ჟან, შალვა, მამუკა, თამაზი; ქალაქიდან ბარჩაბას
მოელიან. მეფის სანახავად მოვლენ, მაგრამ ცალკე
საიღუმლოთ შეიყრებიან და იმაზედ ექნებათ სჯა —

თუ როგორ აიცდინონ თავიდან მტრის შემოსევა,
როგორ დაიყოლიონ მეფე და სპარსეთის წინააღმეგ
აამხედრონ!

ომან.

მაშ აქ შეიყრებიან! მაშ ქაიხოსროს სახლი ყოფილა
ბუდე შეთქმულთა და ორგულთა! მე ვგრძნობდი,
მე ვიცოდი, რომ აქ, აქ არის მათი გველის-ბუდე! მეც
სწორედ ამომილია მიზანში! გაიოზ, ქაიხოსრო,
თქვენ და თქვენს თანამოაზრეთ ისეთ მომაკვდინე-
ბელ ნობათს გიმზადებთ მე რომ... რომ, ვფიცავ,
თავის დღეში ვერ გასწორდეთ წელში. ამოვფხვრი,
დავანგრევ, მტვრად ვაქცევ და ქარს მივცემ თქვენ
ამ წყეულს ბუდეს... მე აქამომდე შესაფერი ზომები
არ მიმიღია, მე თქვენ უძლური, უშინაარსო არარანი
მეგონეთ და თქვენ კი... თქვენ, ღონეს იკრებთ,
მატულობთ და იმედიც დაგბადებიათ მეფე
თქვენკენ გადიბიროთ და მე გზიდამ ამიცილოთ,
მომსპოთ. მაგრამ მე ამ საქმისთვის შემიწირავს ჩემი
თავი და, ვგონებ, მტერი ვერ გაიხარებს ჩემზედ.
ჩენი მეფე ჩემს ხელშია და ყოველ იჭვს გავუქარ-
წყლებ მას. კველა თქვენ თანამოაზრეთ, გაიოზ,
ისე გავსრეს, როგორც უკანასკნელ მატლს... დღეს
ქაიხოსრო იყოს! ხვალ სხვებზედ მიღება რიგი!

ზურაბ.

უნდა გენახა, რა მჰევრმეტყველური სიტყვით მიე-
გება ქაიხოსრო! გაიოზმა ხომ იმისთანა ქება შეა-
სხა, იმისთანა უსამზღვრო სიყვარული შეჰვიცა
მთელი ქართველი ხალხისა, მეფისთვის თავგანწი-
რულის და თავდადებულის ხალხისა, რომ დადნა
დადნა მეფე, ისე ესიამოვნა!

ომან.

მალე მტერი მოგიცდეს, მალე მე ეგ სიამოვნება
ვანანო. შეაქეს, უთანთლიბაზეს და იმანაც დაიჯერა,
აჲყვა ასე ჰერია, იმათზე უერთგულესი სხვა აღ-
რავინა მყაფსო! მაგრამ დამაცადეთ! ქაიხოსრო,
დაგკრავ ლახვარს, დაგკრავ შიგ გულში, თვით მე-

ფის ხელით, და ამით გავაბნევ ჩემს მტრებს, რო-
მელნიც მეფის გარს შემორტყმას ჰქადიან! ერთი
ერთმანეთს მიგისევთ და ერთი ერთმანეთის ხორცს
გაგლეჯინებთ. ისე გადაგკიდებთ, რომ მამა შვილს
აღარ ინდობდეს და ცოლი ქმარსა. სპარსელების
განდევნას ოცნებობთ, უბედურნო, საქართველოს
თავისუფლებას, ხალხის გალვიძებას, რაღაც გან-
თიადს! მე კი ისე გაგიხდით საქმეს, რომ სამშობ-
ლოს და ხალხს კი არა; საკუთარ ცოლ-შვილს შე-
გაძულებთ, ყველგან შხამსა და ღვარძლს დავთეს,
ყველგან ქიშობას და შურს ავალორძინებ და ერთ-
მან ერთის სისხლს გალვრევინებთ! ცხოვრების მიზნად,
ერთად-ერთ ოცნებად, ერთმანერთის დაღუპვას
გავუხდი! სააკაძის დროს მოვაგონებ!

ზურაბ. მემრე როგორ შეუსწავლიათ მეფის ხასიათი! ისეთი
ქება შეასხეს, თითქო მომაკვდავი კი არა, ღმერ-
თი იყოს, და თაყვანს სცემდნენო. მეფე აღტა-
ცებული იყო! რაც უნდა ეთხოვათ იმ დროს, თვით
დაფარულის თავიანთ ოცნების განხორციელებაც
კი რომ ეთხოვათ, გეფიცები, ყველაფერს აუსრუ-
ლებდა!

ამან. ვიცი, მესმის ეხლა რაცა აქვთ განძრახული. უნდათ,
დაათქმევინონ როგორმე მეფეს, თუ შეიძლება, დაა-
ფიცონ კიდეც, რომ ისიც ხელს შეუწყობს მათ
ოცნების განხორციელებას. მეფე ყურს უგდებს
ლმობიერად, და იმათ კი ჰვონიათ, — დავიყოლიეთ
ახლა კი ჩვენი არისო! ოპ, უგუნურნო, უგუნურნო!
ომანი ცოცხალი იყოს და თქვენ გაიმარჯვოთ!?

ზურაბ. რა ვიცი! მეფე კი დიდის სიამოვნებით ისმენს მათ
მიერ ქებას!

ამან. ნუ სწუხარ. ისე მიჭირავს მეფე ხელში, ვერსად წა-
მიეს. სულით ხორცამდე ჩემია, ჩემი აზრებით არის
გაუღენთილი, ჩემი თჭალით ხედავს, ჩემი გულით სჯის,

ჩემს გზას ადგან! იესე სპარსეთის მონაა, შავის ყურ მოჭრილი ყმა! როგორ გაეხარდათ, უბე-დურებს მეფის მოსვლა! მეფე აქ ჩემის სურვილით არის მოსული და ოქვენთვის ძლვნად თავისუფლება კი არა, ოქვენი დალუპვამოაქს!

ზურაბ. შენ აღარ ხუმრობ, ომან. სასიკვდილოდ ამხედრებულხარ.

ომან. გადაწყვეტილია: ან სიცოცხლე, ან სიკვდილი! უკვე დავიჯახენით. ბრძოლა ატეხილია. მეფის აქ მოსვლა ჩემი პირველი სროლა იყო და არც ასცდა მიზანს, შიგ გულში მოჰვდა! მე უპირველეს ყოვლისა დმ გველის საბუდარს გავსრესავ (უჩვენებს ქაიხსროს სახურავ). ქაიხსრო გამოდის შეა კარია.

ზურაბ. ჩემიდ! ქაიხოსრო მოდის!

ქაიხსრო. ომან, გთხოვ მობრძანდე. ჩემი სახლი წმიდა ტაძარი იყოს შენთვის. გთხოვ, გთხოვ, მობრძანდე სახლში.

ომან (ციფად). გმაღლობ, ქაიხოსრო, მე აქ მეფეს ვახლავარ!

ქაიხსრო (აღელვებული). ომან! შენ მხოლოდ გამოგვეხმაურე და უმეფოდაც გაიღება შენს წინ ჩვენი სახლის კარი! (შედიან შეა კარით. თმანი წინ მიდის. კარებს მოხურავენ. გლეხის დედაკაცები ეზოში დაძნეულ იაღალიტის ჭრებულ და ერთმანერთს სტაცებენ. დარბაზში ხალიჩაზე სუფრასა შლიან, მარჯვენა და მარცხენა კედლებთან სტუმრები დასხდებან. შემთაქვთ საჭარელი, მერძეულები დევინოს აწვდიან. შიგნიდგან მრავალეამიერი ისმის, დარბაზში ბანს აძლევენ. გლეხკაცდა ნელ-ნელა. დარბაზის წან გროვდება. შემთვა მესტვითება).

ხმები. ოპო, შაქრიოც გვეწვია, ჩვენი ტკბილი მესტვირე. — რა კარგ დროს მოხვედი, სიდედრსა ჰყვარებიხარ! — აბა მეჩვე შეაქე! — ბატონიშვილი მარინე! — ქაიხოსრო სპასალარიც არ დაგავიწყდეს!

მესტვირე. (ჩამოჯდება ქვაზედ, სტვირს მომართავს და მდერის. აქებს და ლოცავს უკელას, ვის სახელსაც უუბნებიან. გლეხებაცდა გარს ახვევია და სიამოგნებით და ქებით ის-შენს უფერ ლექსის).

უკუღმართი დრო და უამი
ჩვენი ხალხისა ბედია,
ყველა ჩვენს სისხლს ეწაფება,
ვინც კი ცოტათ თავხედია.
ელეტა, ხოცვა, ქალთა გახრწნა!..
ეს განა დანაყბედია?..
შენს მამულშივე ცხოვრება
სწორეთ რომ ჯოჯოხეთია;
მოთმინებისა ფიალის
დაერთვის წვეთზედ წვეთია...
შეგვეზიზლა, ალარ გვინდა
ჩვენ ცხოვრება ასეთია.
ღმერთო, მომეც ძალა, სიმნე
ძლევა მოსილ სამსონისა,
მოვლო მთა-ლრე სამშობლოსი
ამ უამად ძილში მყოფისა,
ავაშფოთო, ავაკვნესო
გული მძინარე ხალხისა;
მხნედ დაუძახო, გზა ვუჩვენო
გასაღებად ბჟე-კარისა...
ხალხიც მისწვდეს ხელით ხმალსა,
სჩექფდეს სისხლი მტარვალისა...
(ფულს უერიან სტვირში).

გლეხებაცი. ერთი ლეკური დაუკარ, მამაშვილობას, მე-
ფის სადღეგრძელოდ მინდა ჩამოვუარო! დაუკარ და
მათამაშე....

ხმები ლეკური, ლეკური! (მესტვირე უკრაგს, ქალთაგან ერთი
გამოვა, უკანიდან წაჭკრავენ ხელს, დაირას გამოტანს,

მესტევირესთან დადგება და უკავას) ყოჩალ, ბიჭო! — დე-
და ვაცხონე შენი და მამა! .. — ტასო გამოიყვანე! —
ფერი-ფერსაო, სწორედ ამათზედ არის ნათქვმი!
გლეხვაცი თამაშის, ერთს ქალს დაუკრავს თავს. ის ჯერ
უოუმანის, მერე ქალები ხელ წაკვრით სათამაშოდ გა-
მთაგდებენ. თამაშის) თქვენ გიშველათ ღმერთმა!
დედამ რომ შვილი გაზარდოს, ემაგრე თქვენისა-
ნაო! (თამაშის ათავეჭენ) გამოლით ჰა! სხვა აღა-
რავინ ითამაშებს? (მეორე და მესამე წევილის თამაში.
მაუურებელნი ტაშს უკრავენ. შინა ათასიდან მრავალ ქა-
მიერ მისისმის. ზოგინი გლეხვაცი და დარბაზში მსხდო-
მნი სიმღერას უწის უგდებენ და ღიღინებენ. საზოგადო
მხიარულება)

შიკრივი (დაქანცული, დამტევერიანებული, ჟემდის ალაუზის გა-
რით). სად ბრძანდება ქაიხოსრო სპასალარი? ჩქარა
მაჩვენეთ ბატონი სპასალარი!

მეფის მხლებელი. მეფეც აქ ბრძანდება!

შიკრივი (შირჯვარს იწერს). მით უკეთესი, თვით განგებას მოუ-
კვანია! დაილოცოს მისი სახელი! ისაყ-ფაშა მო-
ადგა სამძლვარს! ოთარმა გამომგზავნა. აწყურის
ხიდი ავშალეთ! მტკვარი მოდიდებულია, ვერ გად-
მოვა მტერი მალე!

სმები (შეშინებული). ისაყ-ფაშა, სამცხის ათაბაგი! ისაყ! (ში-
კრივს შეაკრით შეიუვანენ. შინა ათასში. სტუშრები ათ-
შლებიან, სუფრას საჩქაროდ აჯაგებენ. სიმღერა შიგ ათა-
სებში უცხად წევდება. სალხი დიდ გროვად მოიყრის თავს.
სიჩუმეა. შეა კარიდგან გამოჩნდება მეფე, სალხი, თავის
დაჭვით, სცლის ავანსცენას და ღობეს გარეთ მარჯვე-
ნივ და მარცხენივ გადის. მეფე და ამალა ავანსცენაზედ
გამოვლენ. მარინე და თეველე დარბაზის წინა მხარეს
დგანა.)

შეფუ. ჩვენ გადავწყვიტეთ! ვუბრძანებ მთელ ქართლს, მცხე-
თიდან დაწყებული სურამის ციხემდინ, მუხრანს,

დუშეთს, მთიულეთს და ოსეთს: კომლზე კაცი გამოვიდეს ჯარში ქვეითა, თუ ცხენოსანი. შენ სპასალარო (ქაიხირთს) შინ გაუძღვები. ქვეყნის ბედს! სახელს და დიდებას შენ გაბარებ. მე ასე ვგრძელებ, (სიჩუმე. შემდექ მღელგარება და ურუ გუგუნი).

ომან (ჩუმათ ზურაბს). მიღი მეფეს სოხოვე, ჯარში ჩაგრიცხოს! ჩქარა! დარიგებას არც იქ მოგაკლებ. ყოველივე, ჩემი ბრძანება აასრულე, გეყურება ყოველივე, რაც უნდა დაგავალო და, გეფიცები, ქართლის სპასალარი შენ იქნები!...

ზურაბ. ყურ მოჭრილი ყმა ვარ შენი! (მაღლა ხმია) გევედრუბი, დიდებულო მეფევ, მეც გასვლა მიბრძანო ბრძოლის ველზედ!

მეფე. ქაიხოსროსთან, ჩემო ზურაბ?

ზურაბ. დიალ, დიდებულო, ქაიხოსროსთან!

მეფე. რმან? შენი ძმა ბრძოლის ველზედ მიეშურება! რას იტყვი?

ომან. მხოლოდ იმას, დიდებულო მეფევ, ჩემო მაღალო მფარველო, რომ მე მშურს ქაიხოსროს ხვედრი, მშურს ხვედრი ჩემი ძმისა! შენს მოღალატესთან ბრძოლა სანატრელი სამსახურია, რომელიც ბედმა მე არ მარგუნა!

მეფე. შინ არც შენ იჯდები! პირიქით! სომხეთის სპასალარო ომან! შეკრიბე ჯარი, სამძღვრები გაამაგრე და თრიალეთი ისე შეჰკარ, რომ მტერმა იქიდგან ვერ მოგვიაროს, იქნება მე თითონ თრიალეთით მოვუარო ათაბაგს, ცეცხლით და მახვილით გავქელო მთელი მისი სამფლობელო და როცა იგი ქაიხოსროს შეებრძოლება, შუაში მოვამწყვდიო და მუსრი გავავლო. მაშინ გაგვიცნობს ისაყი, ის საძაგელი გადაგვარებული მოღალატე, ქართველთა. ჩვენი ხალხიც თან გადიბირა და ხონთქარს ჩაუგდო ხელში! გამაპაპურ სამცხეს ისევ შემოვუერთებო ჩემს

- გაითა** ბაგრატიონთ სამეფოს!! ზურაბ, გაჰყე ქაიხოსროს! (სწრაფად მივა მეფესთან). მეფევ, შესცვალე ბრძანება! ნუ გააყოლებ ზურაბს!
- მეფე** (მოუთმენლად). ვითომ და რატომაო?
- გაითა** (მეფეს). ზურაბი ხომ ქმა არის ომანისა! მტრები არიან ქაიხოსროსი!
- მეფე** (მაღლა ზმით). ოპ, როგორ მაბეზრებ თავსა, გაიოზ, როგორ მომწყინდი! სულ ყორანივით თავს დამჩხავი და მხოლოდ უბედურებას მიქადი! განა მე მაგაში დამნაშავე ვარ, რომ მცხეთა და სიონი დანგრეულია, ქვეყანა მონობის უღელ ქვეშ კვნესის, ყოველ მხრით მტერი, უველგან ლალატი, ფლიდობა! ყველაფერში მე ვარ დამნაშავე?
- გაითა**. ნუ გამირისხდები, შემინდე, დიდებულო მეფევ-ბატონო!
- მეფე** (ცოტათ დაშვიდებული). მოხუცო, მაინც მიყვარხარ და არ გირისხდები! ორი წელიწადია, რაც თქვენი მეფე და მბრძანებელი ვარ. ჯერ საქმარისად არ გიცნობთ არც თქვენ; არც ხალხს, არც ქვეყანას! უნდა დამეხმაროთ, გამამხნევოთ, გული გამიმაგროთ, იმედი გამიცხოველოთ. შენ კი... ერთობ დალვრემილი ხარ, ლოცვით გატაცებული, დალონებული, დაფიქრებული! ასე ჰგონია აღამიანს, ჭირისუფალს მისდევო და არა ცოცხალ შენ მეფეს! მე კი გამხნევება მეჭირვება, მომღიმარ სახით! ლიმილი მინდა, სიხარული და სიცოცხლე! აბა ერთი შემომლიმე! ჩქარა!
- გაითა** (ნაძალედევი მწარი დიმილით). მართალსა ბრძანებ, დიდებულო მეფევ, შევცდი, მომიტევე!
- მეფე** (დიმილით). კმარა, კმარა, რაც მოხდა, მოხდა. მაშ ასრე: ჩემო ქაიხოსრო, ჩემო სპასალარო, წალი, იხსენი ქვეყანა მტარვალ მტრისაგან! შე კი (შემჯრთალი გაჩერდება)... ჯვარი გამომიტანე, ჩემო

დაო! (მარანეს გამდაჭვს ჯგარი მეფესთან. მეფე ჯგარ-ზედ ხელ დადებს).

მეფე. ვფიცავ, თუ შენ, ქაიხოსრო, ათაბაგს მომგვრი ხელ შეკრულს, ტყვეო ქმნილსა (ომანი წაიწევა. წინ, მაგ-რამ შედგება) განვაახლებ ძველს წმინდა სიონს, გან-ვადიდებ მის ძველს სამრეკლოს, აღვადგენ და შე-ვამკობ მცხეთის სვეტიცხოველს; გაიობ, შენ გზას დავადგები, ერთ ხელში ჯვარით, მეორე ხელში მახვილით, ვაკურთხევდე და ვიფარავდე ჩემს ერსა!

გარეზ (ზეგარდმო შთაგრძებით). უსმინე, ლმერთო ღიღებუ-ლო! (თავს დახრის ჯვარის წინაშე და ფოცულობს).

ომან (ჩუმალ). იფიცე! იფიცე! ჩემი შთაგონებითაც ვერ გამახარებდი აგრე ჩემს მტრებზედ! ნდობა შენდამი ალემატებათ, და ჩემს მახეში უფრო ადვილათ გე-ებმებიან! ჰო და მეც ვფიცავ: გავსრეს, გავულებ, მიწასთან გავასწორებ!

გარეზ (წინასწარმეტეულად). მალე იქნება აქ ათაბაგი!

ხმები. წინასწარმეტეულობს, წინასწარმეტეულობს!

ომან (იქნო). წინასწარმეტეულობს. თავისა და თავის მო-მხრეთა გაულეტას...

მეფე. (მარინე გადასცემს უკან მდგომი ჯგარს. დიდათ აღელე-ბული ეთხოვება მეფე მარინეს და სხვებს) ცხენები! (უარდის დაშეებამდე სამრეკლოდან ზარის ხმა ისმის, გა-რეთ მხედრული სამდერა):

თამარის ღროშა გაშალეს.
შეკრბა ღიღებდეს ლაშქარი...
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით,
ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი;
მკლავით ძლიერი ქართველი,
ვით ციხე ბურჯი მაგარი,
ოსი. ფეხმარდი, მთიული
ბრძოლაში შეუპოვარი!

მესხი სწავლითა ქებული,
გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი,
გურული, მეგრი მკვირცხლობით!
თამარი ლოცავს ჯვარითა
ჯარს ამხნევს გულის უხვობით;
გული მეფისა ზღვა არის,
უსაზღვროება წყალობით!

მეფეს ღარბაზთან მიართმევენ ცხენს, აღვირის ტო-
ტები გაიოზ და ზურაბს უჭირავთ, უზანგები სპა-
სალარ ქაიხოსროსა და ომანს. ხმებია ჩვენს მეფეს
გაუმარჯოს! ვაშა! ვაშა, მეფეს ნელი ნაბიჯით მი-
ჰყავს ცხენი.

(ფარდა მძიმეთა და ეჭვება).

მესამე მოძველება.

(შეორე მოქმედების სცენა. დანართი უფრო ახლა მა-
უერებელთაგან. წინ ვაწოდ ეზო. მარცხნივ ადარც ალა-
კაფის კარი სჩანს, ადარც დობე, მარჯნივ — დობე. დარ-
ბაზის მარცხენა კუთხეში ხატები და ხატების წინ დიდი
შანდალი. შეა შემოდგომა, შეადლის შემდეგ).

გლოსა

(ნელი ნაბიჯით მოჯის, ხეჭში წმინდა სანთეჭი და კა-
ლათით უურძენი უჭირვს). ტყუილად კი არ არის
ნათქვამი, უამნი რბიანო. აგერ ორი თვეეა, რაც
სპასალარი გამოგვეთხოვა, და მე კი ასე მგონია.
გუშინ იყო მეთქი. საღ — არის, ნეტავი, როგორ
არის, ან ჩემი ბიჭები როგორ არიან? ვინ იკის!
კარს ამისთანა განსაცდელი მოგვდგომია და მეფე
კი ნადირობით არის გართული. სულ აქ ნაღი-
რობს, ჩვენს არე-მარეში და ჩვენსაც ხშირად და-

იარება. —რათ დაუშირა, ნეტავ ვიცოდე? ქაიხოსრო შინ არა ბრძანდება და... ღმერთო, შეგცოდე! (მივა და ხატის წინ სანთეჭლს აანთებს). ყურძენი მოვართვი ბატონი-შვილს, საგანგებო მტევნები ამოვარჩიე. სხვენზედ ვინახავ—არ დამილპეს მეთქი, მაგრამ რას იზავ, რომ ბელურები ვეღარ მომიშორებია! (განუშდება) ძალიან გამოიცვალა ბატონი-შვილი, ფერი დაკარგა ჩამოღნა, დალონდა; ხმას ალარ იღებს, ეტყობა რალაც აწუხებს, სულ თრთის და კანკალებს: თვალები! სადღაა ის მშვენიერი თვალები? სადღაა მათი კრიალი—და ბრწყინვალება? რა უნდა, ნეტავი, რისთვის დაიარება მარტოკალებთან? ღმერთო, შეგცოდე, მაგრამ რავჭნა, რომ... არა, არა, მეფე მეფურად უნდა იქცევოდეს.

ბებერი დედაქაწირი (გადმირგრება ღობეზედ). შენა ხარ, გლახა? მე მეგონა, მარტო ღამე იცოდი ხეტიალი, შენ კი ღლეც თურმე არ იშლი შენსას.

გლახა. შენ რა, დედაქაცო? ვინა ხარ, რაგინდა? (თვალს დაიჩრდილებს ხელით და ეზოში ჩადის) ვინახარ, აღამიანო!

ბებერი დედაქაწირი. თევდორეს ცოლი ვარ, რას ჩამაცივდი! სპარსეთში შაჰსა ჰყავს ტყვედ ჩემი კაცი და მინდა მეფესა წთხოვო... მეფე ხომ ხშირად დაიარება ჩვენსას... იქნება, დაიხსნას ტყვეობილგან.

გლახა. იცი მერმე, რამდენი თევდორეა ტყვედ წაყვანილი! ყველას ხომ ვერ იცნობს მეფე.

ბებერი დედაქაწირი. ჰო და ჩემი კაცი თითონ მეფეს თურმე ემსახურებოდა სპარსეთში.

გლახა. ეგ სხვაა; მაშ მიღი, სთხოვე, ღმერთი მოწყალეა, იქნება კიდეც გიშველოს რამე. საღ მიხვალ, აღამიანო?

ბებერი დედაქაწირი. აქვე თურმე ნაღირობს მეფე-ბატონი. ასე.

წყაროსკენ ჩავივლი, მერე ქედზედ ავალ და დავინახავ თუ არა მეფეს, მივალ და ფეხქვეშ ჩატუვარ-დები.

გლასხა. ღმერთი შეგეწიოს.

ბებერი დედაქაცი. თუ აქ ვეახლო და აქა ვთხოვო? იქნება თითონ ბატონიშვილიც დამხმარებოდა? აა, ერთი სიტყვა რომ გადაეკრა მეფისთვის...

გლასხა (სასტიკად). ჩვენს ბატონიშვილს მეფესთან საქმე არა აქვს...

ბებერი დედაქაცი (აჭავრებს). არა აქვს?.. დღე-და-ლამე აქა ბრძანდება მეფე და...

გლასხა. რას მიედ-მოედები, დედაქაცო!! გასწი, გაეთრიე!

ბებერი დედაქაცი. მთელი ქვეყანა ლაპარაკობს, რა ძალიან გეწყინა! მოისურვოს მეფემ, თორემ მაგას კი არა, მაგაზე უკეთესსაც ჩაიგდებს ხელში (მარჯვნივ გავა მოსამსახურენი გაიფლიან სცენაზედ).

მარინე (გამოვა მირჯვნივ უკანა გარით და სკამზედ ჩამოჟდება). შენა ხარ, გლახა! მოდი, დაჯექი (გლასხა უურძებს მიართმებს და დაჯდება ძირს ბატონიშვილის ფეხთით) შენ მაინც მირჩიე რამე, ჩემო გლახა. მარტო ვარ, მარტოდ მარტო, მფარველი აღარავინა მყავს, გარს მტერი მახვევია. რავჭნა, სად წავიდე, ვის მივენდო, ვის ვთხოვო. მფარველობა?

გლასხა (აღელვემუშავი). რა გაწუხებს, ბატონიშვილო, რა გა-დარღებს? თუ ქაიხოსროზედ ბრძანებ, დღეს-ხვალ დაბრუნდება!

მარინე. ოოდისლა, როდის? (სასაწარკვეთილი) მოვწყდი, აღარ შემიძლიან! საწყალი ჩემი დედამთილი ცალკე ტი-რის, მე ცალკე, ერთმანერთს ვემალებით, ერთმა-ნერთს არ ვუმხელთ იმ საშინელ უბედურებას, რომელიც თავს დასტრიიალებს ჩვენს ოჯახს (ხელებს მიიფარებს თვალებზედ. მარჯვენა კას გააღებენ. უცბად წამოდგება). აგერ მობრძანდება დედა, შეუძლოდ

არის და რაღა ჩემი ტირილი უნდა! (შეა კარით გა-
ვა. მთავარებს გამოჰყენთ შარჯვენა კარით თევზე და
ტახტები დასვამენ. გლახა ფეხზებ წამოუდგება).

თევზე (ახვეჭებს). ნუ სწუხდები, ჩემო გლახა, დაჯე, დაჯე!
შენ აუნთე ხატებს სანთელი?

გლახა. მე ავანთე, ქალბატონო; სპასალარი შევავედრე და
ჩემი შვილის-შვილები.

თევზე. ლოცვის მეტი რაღა დაგვრჩენია! ვდგევარ მუხლ-
მოყრილი, ჩემს ქაიხოსროს ვავედრებ ყოვლად
მოწყალეს და ბრძოლის ველზედ მყოფ ქართვე-
ლებს. აქეთ ვინ შევიდა, თითქო თვალი მოვკარ
ვილასაც? (გლახა არ უპასუხებს) რას გაჩუმებულხარ?
ბატონიშვილი გახლდა.

თევზე. სჭლ ასე მერიდება, ცრემლებს მალავს ჩემთან, არ
უნდა გამიზიაროს თავისი სევდა. მაგრამ მე ვათ-
ქმევინებ! არ გეგონოს, გლახა, რომ შიში მეონ-
დეს რისამე. არა; მარინეს პატივს ვერავინ შელა-
ხავს. მე კი არა, თვითონ დაიცავს თავსა, თვი-
თონ მარინე. მაგრამ მაინც ძნელია ჩემთვის ამ უბე-
დურების ატანა.—მეშინიან, ვერ ავიტან, მწუხა-
რება მომკლავს, სხვა არა იყოს რა!

გლახა. ღმერთმა დაგითაროს, ქალბატონო! რა ღროს სი-
კვდილია, დღეს-ხვალ გამარჯვებული შვილი მო-
გივა. მოვა, შენიკვნესამე, შენი ქაიხოსრო, შვი-
ლის-შვილით გაგახარებს და თვალსაც ის დაგიხუ-
ჭამს. მე, კიდევ, ჩემი ბიჭები, ჩემი შვილის-შვილე-
ბი. აგრეა, შენიჭირიმე, სიცოცხლეს სიკვდილი
მოსდევს და სიკვდილს სიცოცხლეო. (აღტაცებული)
ზეიმითა და დიდებით გაასვენებენ მიცვალებულს
ჩემს ქალბატონს, ჩვენს ძველს ტაძარში დაკრძალ-
ვენ და მე... მეც იქვე, გალავანში სადმე დამმარ-
ხვენ. საიქიოსაც შენთან ვიქნები, შენი მონა, შე-
ნი ერთგული ყმა და დარაჯი. გადმოვხედავ სასა-

ფლაოდან შენს სასახლეს, შენს ქაიხოსროს, შენს საყვარელს მარინეს, შენს შვილის-შვილებს და გავიხარებ... მოგახსენებ დაწვრილებით იმათს სიყვარულს და ნეტარებას.

მარინე

(კირებში). კმარა მეთქი, არ გეყურება?! არა რცხვენიან, ამას კადრულობს!

თევზე.

რა იყო, რა მოხდა? აგრე რამ აგაშფოთა?

მარინე

(გამოვა, თევზეს წინ დაითქვებს. მთახლეები გავჭენ). დედავ, მიშველე! (ქვითინით) დამმალე სადმე, დამიფარე! მიპატრონე რამ!

თევზე

(უღერსებს, გჭეში ჩაიკრავს). დამშვიდდი, შვილო, ღმერთს ნუ ჰემობ. გუშინ არ მითხარ, ბავშვი მეძრაო. უნდა მოითმინო, შვილო, მაგ პატარას გულისთვის უნდა. მოითმინო, მაგის მომავალის-თვის. დედა, შვილო, პიტალო კლდესავით უნდა გამაგრდეს, ყოველივე აიტანოს და სამშობლოს ღირსეული შვილი შესძლენას. და აღუზარდოს. მაშ ღმერთი აღარა ყოფილა, მაშ მეორედ მოსვლა დამდგარა და სამართლის წილ უსამართლოება დამყარებულა! არა, შვილო, ცოტა მოვითმინოთ, ცოტა კიდევ და ამ სახლში კვლავ დაბრუნდება ჩვეულებრივი მყუდროება და ტკბილი ცხოვრება.

გლახა.

ღმერთმან გისმინოს, ქალბატონო!

თევზე.

სულ-მოკლე ყოფილხარ, შვილო! რა არის შენი ტანჯვა იმ წემებასთან შედარებით, რომელიც ქართველ ქალს წილად არგუნა ჩვენმა წარსულმა? ნეტავ ვაჟა-ცის ბეღნიერებას! თოფ-იარაღს აისხავდა, წინ გაეგებებოდა მტერს და მოკლავდა, თუ ზედ შეაკვდებოდა, ჯილდოდ სახელი და განსვენება ჩვდებოდა. თავი შესწირა ქვეყანას, მსხვერპლად დაუდვა თავის სიცოცხლეო, ყველა აქებდა, აღიდებდა, წამებულთ შორის იხსენიებდა. ჩვენ კი... ვინ გვაღირსებდა ჩვენ სიკვდილს? განა სიკვდილი განთა-

ჭისუფლება დი მოსვენება არ არის წამებულისთვის? სიკვდილს ვინ გვაღირსებდა? თავიანთ მხეცურ უინის მოსაკლავ საგნადა გვხდილნენ, სულს გვიხუთავდნენ, აღამიანურს ჩვენს გრძნობას ფეხ-ქვეშ სთელავდნენ და წმინდათა წმინდას გვილახავდნენ. მაგრამ ძალაუნებურად მორჩილი, უსიტყვოდ ქმნილი, ღირსება-ახდილი, დამცირებული ქართველი ქალი ცდილობდა ნაძალადევ ალერსით დაეთრო და მიეყუჩებინა სისხლით გაუმაძლარი მისი ქვეყნის მტერი და საბოლოვოდ თუ არა, დროებით მაინც აეცდინა მრავალ წამებულ თავის ხალხისთვის დარბევა, ამოულეტა და ტყვედ წარეკვა. გრძნობდა, შვილო, ქართველი ქალი რომ პატივ-ახდილ სიცოცხლეს. სიკვდილი სჯობდა, მაგრამ სამშობლო მსხვერპლს ითხვდა. ბრძოლის ველზედ ხმალ-და-ხმალ სიკვდილი მსხვერპლია, შვილო, მაგრამ გამოჩენილი, ხან-მოკლე და მხოლოდ ვაჟკაცის ხვედრი. ქართველი ქალი კი ამაზე დიდ მსხვერპლს სწირავდა სამშობლოს, — სწირავდა თავის პატივს, თავის სახელს, ნამუსსაც კი. აი ტანჯვა-წვალება ის იყო, შვილო!

შარინე. ვიცი, დედავ, გამიგონია. განა არ ვიუი, ქმარს ცოლს სტაცებდნენ, მამას — თავის ქალს და ბავშვებს — დედას. ბებია ჩემი ზინათინ და მამიდაჩემი ანუკა ბატონიშვილნი ჰარამხანაში არ დაიღუპნენ, საზიზლარ შაჰის ჰარამხანაში? მაგრამ...

თემაზე. (კანკალები) რად მომაგონე, შვილო, ეგ საშინელება?! მახსოვს, საწყალს ანუკას რომ ვაშზადებდით შორს გასაგზავნად. ჩემს მტერს არ ვუსურვებ იმ საშინელებას! ისე ვტიროდით დიდი და პატარა, თითქო ცხედარი უსვენიათ და დასაკრძალავად ემზადებიანო. მეფე შაჰინავაზ მოთქმით ტიროდა. დედოფალს გული მისდიოდა, საწყალი ანუკა-ფერ მიხდილი, მაგრამ ანგელოზივით ტურფა და გულ-

წარმტაცი გაქვავებულივით იდგა დიდი ხანი, შორს
საღლაც იყო ფიქრით წასული; მერმე მოგვიბრუნდა
სევდისაგან გულმკვდარი და გვითხრა წყნარად,
მშვიდად თითქო თავის თავზედ კი დრა. სხვა უცხო-
ზედ ლაპარაკობსო: რა გატირებთ, ნეტავი! წარმო-
იდგინეთ, რომ ანუკა აღარა გყავთ... ანუკამ თქვენი
ჭირი წაიღო... ისე მახსოვეს, თითქო გუშინ იყოვო,
ეხლაც ყურს მიდგას იმისი ტკბილი ხმა. შენ შენსას
სჩივი, შვილო, მაგრამ აბა შეადარე შენი ხვედრი
საწყალ ანუკას...

მარინე. ნეტავი იმას! სამშობლოს, დედავ, სამშობლოს
მეც შევსწირავდი თავსა! მეც დავანებებდი თავს
ქაიხოსროს, როგორც იმან დამანება მე.

თეგლე (ამშვიდებს). არა, შვილო, არ დაუნებებია თავი ქაი-
ხოსროს. რა ექნა, გაჭირებული ქვეყანა უხმობდა:
ოჳ, მამულო, ნეტავ. მეც მომიწოდო მსხვერპლად,
სიხარულით მიგეგებებოდი, აჩარას დავზოგავდი,
ყველას და ყველაფერს შეგწირავდი. აგერ, გლახამ
ექვსი შვილი შეაკლა ქვეყნის თავისუფლებას, ორი
ქალი, ორი შვილის შვილი, რაც კი გააჩნდა, ყვე-
ლა სამშობლოს შესწირა!.. (გაჩუმდება) ივერიის წმიდა
დედანო! მე სულ სხვას მიქალის ჩემი უკულმართდ
ბედი: ჩემს მეფეს, ჩემს ძმას უნდა თავის ხასად გამი-
ხადოს.

თეგლე (შეძრწუნებული). ნუ, შვილო, ნუ! მაგას რას ამბობ!
ტყუილია, ტყუილი!

მარინე. ან არრა იცი, დედავ, ან და თუ გულით მიმხვ-
დარხარ, მევე მიმალავ ჩემს უბედურებას, მაგრამ
როდემდის, დედავ!! არა, იყსე, არა, ვერასოდეს
ვერ გამხდი შენად!

თეგლე (იქით). რა არის უბედურება! ასე სწრაფად ბავშვი
გმირად აქცია!

მარინე. რაც უნდა მოხდეს, გეყურება, დედავ, რაც უნდა
მოხდეს, მე ჩემს ნებაზედ მოვიქცევი და ჩემს ნა-

თქვამს არ შევცვლი, ქაიხოსროსი ვარ სულიტ-ხორა
ცამდე და მედა ქაიხოსროს ცერავინ გაგვყრის! და-
ლა რომ იხმაროს მეფემ? მაშინ რაღა ვქნა? დეე და-
მლუპოს, მტანჯოს, მაგრამ ჩემს გულზედ კი ვერ
გაიმარჯვებს. იცოდე, დელავ, შენც ჩემო ერთგუ-
ლო მოხუცო, და შენც იცოდე, ჩემის საბრალო
შორს წასულო ქაიხოსრო, რომ მარტო ძალით და-
იმორჩილებენ მარინეს, უსინიდისო, სამარცხვინო
ძალმომრეობით, მაგრამ სული კვლავ თავისუფალი
დარჩება. (მეფის საუკირის სმა ისმის. გლახა სწრაფად
გავა. ქალები კანკალებენ, უნდათ დაიმალნენ, მაგრამ მეფე
შემოვა; თან სამი კაცი ახლავს.)

თეკლე მიშველე, მარინე, მუხლი მეკვეთება!
მეფე. თეკლეს ვახლავარ!
თეკლე მდაბლად თავს უკრავს). ქაიხოსრო შინ არ გახლავთ.
მეფე. მე ჩემს დასთან მოვდივარ. რა ვუყოთ, რომ ქაიხო-
სრო შინ არ არის? (აღტაცებით) მარინეს ვახლავარ
(ციფად). ქაიხოსრო. შინ არ გახლავთ.
მეფე (გაძრაზებული): დიალ, საქართველო განთქმულია
სტუმართ-მოყვარეობით და ქართველნი მასპინძ-
ლობით. თქვენს მეფეს აგრე მიხვდებით!... დღეს
აქა ვარ და აქა ვრჩები... სახლში შემიყვანეთ. სახ-
ლიც ჩემია, ოჯახიც და მამულიც! ჩემია აქ ცველა-
ფერი! (საზოგადო შეძრწუნება. მთახლიები გამოვარდე-
ბიან, მხარში ამოუდებიან და თეკლე მიჰყავთ. უველანია
შეა კართ გავტენ სიჩუმე).

შარინე. გამოვა შეა კართ). გიორგი! ზალიკო! (ბი-
ჭები გამოვჭები) მოურავს. დამიძახეთ! (მოურავ შე-
მოვა და მდაბლად თავს დაუკრავს) მეფე აქა ბრძანდე-
ბა სალამომდე. ცელაფერი მოუმზადეთ. (მარინე,
მოურავი და მოსამსახურები გავლენ. მიდი-მოდიან ბი-
ჭები, მთახლები, ზოგს ხალები მიაჭის, ზოგს შნ-
ჭები და მარცხნივ თთახში შეაჭვთ).

მოსამსახურე. საცოდავი ბატონიშვილი და ქალბატონი! ყველაფერი ჩამოართვა მეფემ: მამულ-დედული, სახლკარი და ჩვენი თავიც!

გლახა (შემოისარება). შედი, მოახსენე, გლახა სახლს გიმზადებთ თავის ბატონიშვილს და ქალბატონს-თქმა. ღმერთი მოწყალეა, მობრძანდება ქაიხოსრო და მერე თითონ იცის... კაცია, ქუდი ხურამს... წადი, მოახსენე.

მოსამსახურე. როგორ მოვახსენო მეფესთან, ბრძანდებიან!

(გადის)

მარინე (შეა კარით გამოვა და სასოწინევეთილი სკამსედ და შეკება) კმარა, კმარა მეფევ ბატონო! შენისთანა ურცხვი თუ დროზედ არ შეაყენეს, უფრო თავს გავა. მეფე იყავ და გერილებოდი, გეგონა ყველაფერს მოგითმენდი! მაგ გვირგვინს მოგხდი, სახელოვან მეფეთა დიდებულს გვირგვინს, და შენს შესაფერ აღგილს გიჩვენებ!

მოახლეები (შეა კარით თეკლე გამოჭუავთ.)

ოვებე (გამწარებული). ვუთხარი, შვილო, არ დავერიდე. მეფე განრისხდა, მამული ჩამოვართვა, მე და შენ კი... (ტახტზედ დასვაშენ).

მარინე (წამოვარდება). რაო, რაო? მე და შენ რაო დედავ?! ჩქარა მითხარ! ყმები ხომ არა ვართ, რომ გაგვყიდოს. ნუ დაივიწყებს რომ მეფის შთამომავალი ვარ, ბატონიშვილი ვარ, ხელსაც ვერ მახლებს.

ოვებე წავიდეთ, შვილო, შინ შევიდეთ! (ასწევენ და მიჰყავთ. მარჯვენა კართან ძირს დაშვება დონე მიხდილი მიშველეთ, ვკვდები! შვილო, მარინე.)

მარინე (მოახლეს). წყალი, თამარ! ჩქარა, წყალი! (თეკლე ტახტზედ წამოწევენ). თამარი გაფარდება და წეალი შემოაჭეს, თან თრი მოსამსახურე შემოჭეავს. მარინე თეკლეს თავს აუწევს და წეალს ასმევს. თეკლე მოსული-ერდება, მაგრამ მოძრაობა კი ა შეუძლიან) მაგრა მოპკიდეთ ხელი, ფრთხილად, ჩქარა მოძღვარს დაუძხეთ. (თეკლე გაჭეავთ, მარინე უქან მისდევს. ერთი წა-

ში შედგება და მრისხანედ) ეხლავ დავბრუნდები და
ლირსეულადაც შეგამკობ, მომითმინე! (გადის, სიჩუ-
მეა. ღობეზედ ბებერი დედაქაცი გადმოვა, დარბაზში აფა
და შევ კარით შევა თახში. ბიხდდება. ღობის იქიდ-
გან მარჯვნივ ქაიხსრო გამოჩნდება, უქედოდ, გაშა-
ვებული, საკანძ-ჩამოხსნილი, ხელ-აკული, მისუსტებუ-
ლი მიეყრდნობა ღობეს. მარცხენა ფანჯრიდგან სინ-
თლე მოსჩას).

ქახოსრო. მოველ გამოქცეული... დამარცხებული... კვალ
და კვალ ისაყი თავის ჯარით მომდევს და ქვე-
ყანას იკლებს. აქ კი... სუჩუმე და მშვიდობა
სუფევს... ნეტავი მეფე სად ბრძანდება? უნდა
მოვახსენო ჩვენი დამარცხება. უნდა გავაფრთხი-
ლო... მეფე წმიდა ჯვარის წინ ფიცქვეშ დაგვ-
პირდა, განვაახლებ ძველს წმიდა სიონს და გა-
ნვადიდებ მისს. ძველ სამრეკლოსაო, ძველზედ
უკეთ შევამკობ მცხეთის სვეტი-ცხოველს და ერთ
ხელში ჯვარით, მეორეში მახვილით გავუძლვები
ქართველ ერსაო. განთიადმა სულწარმტაცად გა-
გვიღიმა... და ახლა კი უცებ უველაფერი, სულ
უველაფერი გაჰქრა, გაიფანტა, დაგვეკარგა... ქაი-
ხოსრომ ათაბაგი ხელ-შეკრული. მომგვაროსო!...
ხელშეკრული?!.. დამარცხებას ვინ ჩივის, მეფის
მხრით დახმარებაც დავკარგეთ უბედურებმა! რა
შესციდა ნეტავ ესოდენი ქართველმა ახალხმა, რომ
ლამის მიწის პირიდგან აჰგავოს მუხთალმა ბედმა.
(მწარედ) მეფე თავის საყვარელ ომანითურთ დროს
გატარებაში, ნადირობაში იქნება გართული, ქვე-
ყანა კი იღუპება, მტრის მახვილ ქვეშ გველივით
იკლაკნება, იწვის, იღაგება! (მარცხნით სინთლეს
შენაშნავს) აქ სინათლეს რა უნდა?! ნუთუ სტუმრე-
ბი არიან! ვინ უნდა იყოს ამ დროს? იყოს ვინ-
მე მაინც, რომ ვკითხო. ასე როგორ შევიდე! არა,

არ ივარგებს: უნდა ვაცნობო, მოვამზალო, თორემ
გული გაუსკდებათ, ასე რომ დამინახავენ.

ბებერი დედაქაცი (გამოვა შეა კართ, ეზოში ჩამოვა და დობე-
ზედ გადსჭილას აპირებს).

ქაიხოსრო. რათ იყავი მანდ? რა გინდოდა?

ბებერი დედაქაცი (გერ იცნობს). მეფის მხლებელი ხარ, შვილო?
ქაიხოსრო. არა ქაიხოსროს ბანაკიღგან მოვდივარ.

ბებერი დედაქაცი (ცნობის მოუვარებით). ბარათს მოიტანდი?
ქაიხოსრო. დიალ, ბატონიშვილ მარინესთან.

ბებერი დედაქაცი. მეფე ბრძანდება აქ სტუმრათ, შვილო, და
არზა მივართვი, სათხოვარი მქონდა.

ქაიხოსრო. რას მიჰქარავ, დედაკაცო! აქ მეფეს რა უნდა?

ბებერი დედაქაცი. რას უნდა მივქარავდე! მეფე ბრძანდება,
ჩვენი მაღლიანი მეფე, პირველი ხომ არ არის!
ბატონიშვილს მარინეს წრდილივით დასდევს და ძა-
ლიან ხშირად ესტუმრება აქაურობას. როგორ
იუცხოვე, გეტყობა, რომ შორიდგან მოხვალ. დე-
დამიწამ მიყოს პირი, თუ გატყუებდე. მეხი დაე-
ცეს ჩემს შვილებს, თუ ვტყუოდე. მაშ ქაიხოსროს
ბარათი მოგაქვს? (თავს გაიქნევს და მუხლში შემთი-
კრავს!) ვაი შენს დედას, ქაიხოსრო! ვაი შენს ოჯახს,
შე საცოდავო! ეჭ ჭმარე ყოფილა წუთისოფელი!
მე ქმარი წამართვეს, ცოცხალ ქმარზედ მატირეს
და ახლა ქაიხოსროს ცოლისა სტაცებენ! ვაი, შენ
დედას, შე საცოდავო! ვაი, ვაი, ვაი! (მოსთქმაში,
ღობეს გადავა და წავა).

ქაიხოსრო (გონებაზედ მოვა). მოიცა! სად მირბიხარ, დედა-
კაცო, მოიცადე!.. წავიდა! არა, არ მჯერა! წინა-
დაც მითხრეს, მაგრამ არ დავიჯერე. არც ეხლა
მჯერა! (ჩაფიქრდება) რა უნდა აქ, უკაცო სახლში!
ხომ იცის, რომ მე შინ არა ვარ! ას, ჩემო მარი-
ნე! იქნება ჩემი შორის ყოფნით ისარგებლეს და
უსიამოვნობა რამ მოგაყენეს! ნუ გეშინან, ახლა

კი აქა ვარ, შენთანა შენი ვარ მეუღლე! ერთად შიში
აღარაფერისა გვაქვს! (შეაკას გააღებენ) იქნება მა-
რთლა... ოჯ, როგორ უნდა იტანჯებოდეს ჩემი
მარინე!..

გარდასგაცა (გამოვა, ქაიხსრო ღობეს ამჟეფარება). ეჭეი! არავი-
ნა ხართ! ბუხარი აანთეთ! გაანათეთ აქაურობა!
ვერა ხედავთ, როგორ ჩამობნელებულა!

მოსამსახურენი (შემოუდენ, ბუხარს აწებენ, შანდლებზედ სანთ-
ლებს უყიდებენ, ღობე შიბნელებულია, გაუდენ).

მარინე (მარჯვენა კარით გამოვა აჩქარებით). მაშ აგრე! წაყვა-
ნას მიპირებს! და არც კი მალავს, არც კი რცხვე-
ნიან, რომ დედას წინ გაბედა ამის თქმა! ვნახოთ,
ბატონო! აქ სპარსეთი კი არ გეგონოს და მარინე
მონა, მოახლე! მარინე ქვეყანაზედ მხოლოდ ქაი-
ხოსროსთვინ არის დაბადებული! ვარდისახარ, თა-
მარ! სად არის მოურავი! ბიჭები სადღა არიან! აქ
დამიძახეთ ყველას. (მოსამსახურენი და მოურავი შემოუ-
დენ) ახლოს იყავით და მოგიხმოთ თუ არა, მაშინ-
ვე მომეშველენით! შენ ცხენები შეკაზმე და მზად
იყავი.. (გავდენ) იმერეთს უნდა გადაჭიხვეწო!..

ქაიხსრო (შემინებული). ათაბაგი დაგიჭერს გზაში, შე საწ-
ყალო. ზემომხარს გზები შეკრულია. (მიაშალება).

მარინე. აღარ შევალ ჩემს ოთახში, აქ ვიქნები, აქ გავა-
თენებ ღამეს.

მეფე (მარცხენა კარით გამოვა). აქა ხარ, ჩემო მარინე: მე
კი კინაღამ შენს ოთახში შეველი; იქ მეგონე, ვე-
ღლარ მომითმინა გულმა, ვეღლარ ელირსა ღამის
წყვდიაღს... შენ კი აქა ყოფილხარ! იქნება, მე
მელოდები?

მარინე. ღიაღ, მეფეო, შენ გელოდები, შენთან მაქვს სა-
ლაპარაკო!..

მეფე (აჯერსით). ძლივს, ძლივს! მომკალ, ღამაღნე კაცი
ამოდენ ლოდინით, დღეს პირველათ შეგხვდი ასე

ცალკე! თითქო პირობა შეუკრავთო, ისე გვეხვევ-
ვოდნენ მოსამსახურენი, ჩემი ამაღა და მოხუცე-
ბული შენი დედამთილი. შენც ისე მექცევოდი,
თითქო მერიდებოდი, ჩემთან ცალკე დარჩენა გე-
ზარებოდა.

- მარინე.** მაშინ მეშინოდა.
მეფე. ახლა კი?
მარინე. ახლა კი აღარ მეშინიან! ჩემი ნებითა ვარ აქ, შენ-
თან. მიბრძანე—რა გნებავს, გამაგებინე, მე ყურს
გიგდებ.
მეფე (შემკრთალი). შენი მშვენიერება... ომანმა მაუწყა...
შენი ნახვა მომაწყურვა... გნახე... და დავიღუპე!..
შენმა სიყვარულმა გამიტაცა...
მარინე. მერშე, რა გნებავს? მოგეხსენება, გათხოვილი ვარ,
ქმარი მყავს.
მეფე. ქმართან გაგყრი... ჩემი ძალით, მეფეს ბრძანებით...
მიყვარხარ, მარინე, გაგიჟებით მიყვარხარ...
მარინე. მაშ აგრე, მეფე—ბატონო! მეუღლედ თურმე გდო-
მებივარ! მე კი სულ სხვა მეგონა.
მეფე. გეფიცები შენ, ჩემო მშვენიერო სასძლოვ, რომ მე
დედოფლის გვირგვინს დაგადგამ თავზედ, სამეფო
ტახტზედ აგიყვან მეუღლედ.
მარინე. როდის, მეფეო?
მეფე (ადგიუსტული). დღესვე! ახლავე! ვუბრძანებ და ერ-
თი კვირაც არ გაივლის.
მარინე. მერმე შენს ცოლს, დედოფალ მარიამს რაღას უპი-
რობ?
მეფე. დედოფალი მარიამი დიდიხანია განშორებული მყავს.
იმისი ხედრი — შვილების აღზრდაა მხოლოდ... მე-
ბედმა წილად შენი თავი შარგუნა, ჩემო მშვენიე-
რო მარინე, ჩემო პირველო დედოფალო!...
მარინე. წინათვე ასე უნდა გებრძანებინა, დიდებულო მე-
ფევ, და არა მუქარიდ და ძალ-მომრეობთ...

- მეფე.** აკი გაახელ ბებერი ღეღაკაცი, განა არაფერი მო-
გახსენა?
- მარინე.** ყმაწვილი ყოფილხარ, მეფევ! ღეღაკაცი კი არა,
შენი ომანი უნდა გამოგევზავნა, შენი ერთგული
ოშანი: მაჭანკლობა იმან დაიწყო და იმასვე უნდა
გაეთავებინა. აი რას მოგახსენებ, ჩემო ღიღებულო,
ძალათ მოსულო საქრმოვ—უნდა მომითმინო! ამ
გულ ქვეშ ქაიხოსროს ბავშვი სუნთქავს.
- მეფე**
მარინე (უკან დაიწევს). სტყუი, მარინე!
- (აღტარებული). დიახ, მე შეილს ვუზრდი ქაიხოს-
როს და ჩავაბარებ კიდეც... მერმე... წამიყვანე.
- მეფე.** მე ლოდინი ალარ შემიძლიან! გეყურება, მარინე,
ალარ შემიძლიან.
- მარინე.** ვის გაუგონია სასძლოს ძალად წაყვანა! ვის გაუ-
გონია ავაღმყოფ ქალის ძალ-დატანება...
- მეფე.** მე მაგეების არა ვიცი-რა! მე მინდიხარ და ჩემი
უნდა იყო დღესვე, ეხლავე!
- მარინე.** აი, მეფეო, ეხლა კი ცხადია, რა ღიღებულ ტახ-
ტსაც მიმზადებ! მიყვარდეს და ვერ მოვითმინო,
მიყვარდეს და შეურაცხვყო? ქაიხოსრომ რომ მიბრ-
ძანოს, სიკვდილის წინ გნახავ, ისე რომ ერთად
ერთი საათის სიცოცხლე და გქონდეს, და მელო-
დეო, ველოდები ბეღნიერი, სიყვარულით გამნევე-
ბული. სხვანაირი სიყვარული მე ვერ წარმომიდგე-
ნია.
- მეფე.** არა, არა, ასეთი სიყვარული არა მწამს და არც არ-
სებობს. გაშმაგებული ტუჩით ტუჩი ჩაგაკვდე, სი-
სიყვარულის ალით დაგწვა და დავიწვა და მწვავე
ალერსით მთვრალ მიბნედილმა ისე მაგრად ჩაგიკრა
გულში, რომ თვით ძვლებმაც კი ჭახა-ჭუხი დაი-
წყონ — აი ჩემი სიყვარული! (ქაიხოსრო წამოიწევს,
შაგრაშ შეჩერდება.)
- მარინე.** თავი დამანებე! ნუ დაივიწყებ, ვისთან გაქვს საქმე.

(ჭრაზმონებული ზიზდით) შენ მეფე ხარ!! შენ!! მეფე განა ასე უნდა იქცეოდეს! არა, შენ მეფე კი არა, მონა ხარ; მონა წუწყი, უწმინდური, სულმდაბალი! ძლიერ მაღლა მიგაქვს თავი, მარინე, მაგრამ ვფიცავ, მაინც ჩემი იქნები! (მიიწევს მარინესკენ).

მარინე (მოშორდება). შორს, შორს ჩემგან, ბოროტო! მეფე ხარ შენა?! შენ! დე მთელმა ჩვენმა ქვეყანამ გაიგონოს ჩვენი ლაპარაკი და მსჯავრი დასიღოს შენს საქციელს! სპარსეთის მონა, სპარსელთ წყალობით ამაღლებული ხედავთ რას ბედავს! მამაჩემი ალექსანდრე ბიძაჩემს გიორგის ტახტს ედავებოდა და უფლებაც ჰქონდა ტახტზე! შენ კი... მამაშენი ლევანი მხოლოდ მდივანბეგი იყო ირანისა, შაჰის ყურმოკრილი ყმა, ერთგული მონა! (შეფე იცინის). ომანის წყალობით, მხოლოდ ომანის ხრიკებით ელირსე ჩვენს სამეფო ტახტს...

მეფე (ჯავრდებს). აჲ, რა ტურფა ხარ, რა მშვენიერი ხარ, ჩემო მარინე! ბრძანე, განაგრძე, მე არა ვჯავრობ! მეფე მე უნდა ვიყო, ბატონიშვილი ალექსანდრეს ერთად ერთი მემკვიდრე. (ჯტაცებით) სამშობლოს კეთილდღეობას შევალევდი ჩემს სიცოცხლეს! თამარ მეფეც ქალი იყო. მეც აქ მეფე ვიქნები. ჩემს მამაც მეუღლეს, ქაიხოსროს ვუბრძანებ: ჩამაბარე ჩემი ტახტი, ჩემი მამაპაპეული, ბაგრატოვანთ საგვარეულო ტახტი მეთქი და ის, ჩემი ერთგული სპასალარი, ჩემი სოსლანი, პორტირ-მოსილს ამიუვანს ტახტზედ.

მეფე (გაჯავრებული). მე თქვენ გიჩვენებთ ტახტსა, ღირსეულ ადგილს მოგანიჭებთ. (მივარდება).

ქაიხოსრო (წინ წამოდგება). ალარ შემიძლიან! მეტს ველარ მოვითმენ! (თეკლე გამოჭეუვთ მთახლეებს და ტახტზედ დასვამენ. ქაიხოსრო უკან დაიწევს და დედას შესცეკრის) დედავ! (თრი მთსამსახურება მთურავი მიუახლოვდებან, იცნო-

ზენ და უბან ამჟადებიან. შეფერ შედგება, დარბაზიდან ქაისარისაროს ვერ ამჩნევუნ.)

თეპლე (თავის ქხევით შეუკონებლივ). აჩქარდი, შეილო, ქაისარო! თავს დასტრიალებს შენს. მტრედს სიკვდილი.

მარინე. ამ მოხუცებულისა მაინც არა გრუცვენიან! მოახლეებისა, მოსამსახურეთა! (მთახლენი დაჩქქილნი დგან! თეპლეს აქეთ იქით. თამარი ტირის) მითხარ, ვარდისახარ, სამშობლოს დიდება და მშვიდობიანობა რომ ყოფილიყო შენზედ დამოკიდებული, მტერს დანებდებოდი?

გარდისახარ (განკაჭით). დიაღ, დავნებდებოდი.

მარინე. ისე, შენის ბატონის უინის მოსაკლავათ?

გარდისახარ. არა, ბატონიშვილო, ჩემს დღეში არა!

მარინე. შენა, ჩემო თამარო?

თამარ. მე არა ვიცი რა, გული მიკვდება, გონება მებნევა, სირცევილით ვიწვი (თვალებზედ ხელს აიფარებს).

მარინე. მოახლეები გასწავლიან ზრდილობას, დიდო მეფეო!

მეფე (გაბრაზებული შეუტევს მთახლეებს). გასწით აქედგან! (მთახლეები გავლენ) შენ კი ეხლავ ჩემი ხარ! მომბეზრდა ამდენი როტვა! (ხელს სტაცებს და მიიზადავს). ახლა კი ვერსად წამიხვალ!

მარინე (სასორაკვეთოდი). ქაიხოსრო, მიშველე, სადა ხარ!

ქაიხოსრო (სისათდეზედ გამოვა). აქ გახლავარ, ჩემო დედოფალო! (ნელის ნაბიჯით მიდის დარბაზისკენ). მეფე ხანჯალზედ ხელს იტაცებს და მარცხნივ გადგება. მარინე ქაიხოსროს მიგარდება).

მეფე. შენ აქ რა გინდა, მიპასუხე, აქ რას აკეთებდ?

მარინე. ნუ უპასუხებ, ქაიხოსრო! ეგ ჩვენი მეფე არ არის! სისხლში ხარ მოსვრილი! დაჭრილი ხარ? (საჩჯავს, შიში ერევა) წამოდი, შინ შევიდეთ! დედავ! დედავ! დედავ! ქაიხოსრო მოვიდა!

ქაიხთსრო (შარინეს იშთრებს). მომითმინე, მარინე, მომითმინე.
მეფეს უნდა მოვახსენო; გეყურება, უნდა მოვახსე-
ნო მეფეს.

მეფე. პირველად მე უნდა მხლებოდი.

ქაიხთსრო. და აი კიდევაც გეახელი, დიდო მეფეო!

მეფე. (გონებას შოთერებს). მაშ, სთქვი! როგორ არის საქმე!
სად იყავი, ან ჯარი სადა გყავს? რა ქენ, რა გამირიგე?
სთქვი, რალა, რას გაჩუმებულხარ? ყურს გიგდებ..

ქაიხთსრო (ფიქრის შემდეგ). გვერიდებოდა ათაბაგი, გვემალე-
ბოდა, ბრძოლას გაურბოდა. ბოლოს ბედმა გაგვი-
ლიმა და იმისთანა ალაგს მივიმწყვდიეთ, რომ უომ-
რად ველარსად წაგვივიდოდა. მე და ოთარი შე-
ვებრძოლენით, ზურაბი ჩასაფრებული იყო თავის
ჯარით... დავამარცხეთ, გავქციეთ ისაყ-ფაშა, ლტოლ-
ვილოთ ბანაკი ჩვენ დავიჭირეთ. რა ვნახეთ, რომ ზუ-
რაბისაკენ გარბოდა გულ გახეთქილი, კაცი ვაფრინეთ
და ზურაბს შეეუთვალეთ, წინ დახვედროდა, გზა შე-
ეკრა. ზურაბმა კი... დიდებულო მეფევ ბატონო, ზუ-
რაბმა უკან დაიწია, თავისუფალი გახავალი მისცა
ათაბაგს. რაკი მიხვდა ათაბაგი, უთანხმოება რაღაც
სუფევს საქართველოშიო, შედგა, პირი იბრუნა,
მოულოდნელად შემოგვიტია დაღალულთ, დაქან-
ცულთ, ზურაბის ღალატით გულ-ჩათუთქულთ და
შუსრი გაგვავლო, ერთიანად ამოგვწყვიტა. ოთარი
ნაკუშ-ნაკუშად აქციეს ჩემს თვალწინ. ჩვენგან რამ-
დენიმე კაცილა გადარჩა და... ზურაბის რაზმი...
ზურაბის რაზმს არავინ დაჰკლებია... დავილუპენით,
მეფევ! (ჩეხს გადაიხსნის და წელზედ დახვეჭდს და-
გლეჯილს, დასისხდიანებულს დროშის შოიხსნის) ესლა
გადავანარჩუნე გამძვინვარებულს მტერს. (დროშის
ემთხვევა და აჩქარებით): აქეთ მოდიან ათაბაგის და
ოსმალთ ჯარები. *)

*) 1723 წელს მომხდარი ავტორს 1715 წელს ვადააქვს.

მეფე (შიშით). რაო? ათაბაგის და ოსმალთ ჯარები? ერთად არიან? ერთად მოდიან?

ქაიხასრო. დიახ, მეფეო, სერასქირი ისაყს შეუერთდა. ქვეყანა იწვის! ზურაბის რაზმი საით გახლავთ, ვეღარ გავიგე. ერთმა გლეხკაცმა მათხოვა ცხენი და აიგიახელ.

მეფე. ცუდი ამბავი მომიტანე, ქაიხოსრო. არ მეგონა, რომ აგრე ახლო იქნებოდა მტერი! მერმე მაგოდენა ჯარით! განა არა ომანი გრძნობდა.

ქაიხასრო (ზიზდით). ომანმა ყველაფერი იცის, ჩემო ხელმწიფევ! ყველაფერი იცის, ყველაფერს ის განაგებს. ისე გვათამაშებს, თითქო ნარდის კოჭები ვიყვნეთ და იმის ხელთ არის ჩვენი დალუპვაც და გამარჯვებაც.

მეფე. კარგი, კარგი! ახლა რას აპირებ, რას ფიქრობ, სთქვი.

ქაიხასრო. არაფერს, მეფევ, რაც სათქმელი მქონდა თქვენს ქვეშევრდომს და ჩემი ქვეყნის შვილს, უკვე მოგახსენეთ. ახლა კი სხვა მაქეს სათქმელი. (დროშის აიდებს, ფთხილათ მიიტანს და ხატის წინ დაასვენებს. დედასთან მიგა და წასხურჩულებს: მაპატივე, ღეღავ! მერმე მიგა, მარინესთან დადგება. მეფე ეჭის გულხეჭ დაკრეფილი, მუქარით). რაც წელან ბატონიშვილმა გითხრა, მეც იმას გიმეორებ თავით ბოლომდე, სიტყვა-სიტყვით (მარცხნავ კარის კაცი წამთაწევს წინ და უკრის უგდებს, მარჯვნივ მოურავი და მოსამსახურენი გაშტრერებულნი). შენ ჩემი მეფე და მფარველი კი არა, სპარსეთის ყმა ხარ, ჰარამხანაში გაზრდილი, სულით ხორცამდე გარყვნილი და გახრწნილი.

მეფე. ჩუმად, შე მოღალატევ!

ქაიხასრო (ნელი სმათ). მოღალატე მე არა ვარ! (ცხარედ) შენა, ხარ, შენ მოღალატე! შენ ქვეყნის პატრონი და მფარველობა მოგანდო ღმერთმა და შენ

კი... ჩვენს გაუპატიურებას, ჩვენს შერცხვენას,
ჩვენს განხრწნას შესდგომიხარ!

მეჭვა (განუტბული შეჭეურებს). უკვე დათვლილია შენი
დღენი, ქაიხოსრო სპასალარო! გაიგონეთ ჩემი ნა-
ბრძანები! ცხენები ჩქარა. სად არიან ჩემი მხლე-
ბელნი!

გარდა გაცი. ცხენები უკვე მზად გახლავან, ჩემო ხელმწი-
ფევ! მაშხალები გამოიტანეთ! (თხის ჭაცი გამოვა მაშ-
ხალებით, თრი ღარება აქეთ-იქით, თრი წინ გავა და
მაშხალებს მიწაში ჩაუკუთხებ. ავან-სცენა განათდება,
შეფეხ მსწრაფლ დაწვება, წინ თრი მოსახლებურე მიუძ-
ღვის მაშხალებით, უკან სამი მხლებელი ასლავს და გა-
დის, იმავ დროს შემოვარდება დარბაზში აწეწილი გლახა).
გლოხა. ჩემი ბიჭები, ბატონო? ჩემი შვილის შვილები? (ქა-
იხთსრთ თვალს არიდებს) მითხარ, შენი კვნესამე, სად
არიან ჩემი ბიჭები? მითხარ, ბატონო! გაჩუმებული
ხარ?! დაიხოცნენ?!.. და შენ კი ცოცხალი დაბ-
რუნდი?!.. ყველანი, ყველანი გაწყვიტეს, ყველა-
ნი... და შენ კი ცოცხალს გხედავ? (ქაიხთსრთ გაჩუ-
მებულია) მაშ დაიხოცნენ, დაიხოცნენ ჩემი ბიჭები?!
წყეულიმც იყავ! წყეულიმც იყოს, ვინც აქ დაი-
ბადება!

ქაიხთსრთ. აი, აი რის მეშინოდა. ამისი მეშინოდა, ამ და-
წყევლისა, ხალხის კრულვის და ჩაქვავებისა. მეფის
რისხვის გავუძლებდი, მაგრამ ამ უბედურს რა უ-
პასუხო, ან ხალხს რა უუთხრა? როგორ დავარწმუ-
ნო, რომ მოღალატე კი არა, ერთგული მისი შვილი
და მოსამსახურე ვარ? ნუ მწყევლი, გლახა! (გედრე-
ბით) შეიბრალე შენი სპასალარი! ხომ ხედავ, რო-
გორ უმუხოლა ომანმა? შინ მეფე შემომიყენა და
ლაშქარში — თავისი ძმა ზურაბი! ორი ტყვია ჩამოასხ-
ჩემს დასაღუპად, და ორივ მომარტყა, შიგ გულა-
ში მომარტყა! ქაიხოსრო აღარ არის, ჩემო გლახა:

შინ ოჯახი შეურცხვინეს, და იქ ვაჟკაცობა! რალა
შენი წყევლა მინდა?

გლასხა

(ცოტა სნის ფიქრის შემდეგ). ომანმა გიმტრო! შენ-
თან ჰქონდა მტრობა იმ უღმერთოს, ქვეყანას რა-
ღას ღუპავდა!? შემინდე, ბატონო, მაპატივე! ექვსი
შვილიდგან ი ორი ბიჭილა მეგულებოდა ჩემს სა-
ნუგეშოდ და... ეჭ, შეგცოდე ლმერთო! ააცდინე,
გულთა მხილავო, ჩემი წყევლა ამ ოჯახს! გაამაგ-
რე და განაღიდე ქაიხოსროს გვარი ქვეყნის სასი-
კეთოდ და მტერთან საბრძოლად. მე კი... (თეკლე-
სთან მივა მთ ზით) შემინდე, ჩემო კეთილო ქალ-
ბატონო!.. შენ, შენ, ქაიხოსრო დაგიტირებს და
მე კი... ვინ დამიხუჭავს სიკვდილის წინ თვალებ-
სა?! ჩემს უპატრონო, ოხერ-ტიალ კუბოს რომელი
საყვარელი ხელი მიწას!? ვინ?.. ვინა?..
(ქვითინებს).

ქაიხოსრო. ახლა კი რა გზას დავადგეთ, რა ვქნათ! (თავზე
ხელს ივლებს).

მარინე. შენთან ვარ, ქაიხოსრო, საღაც შენ, მეც იქ ვიქ-
ნები. (მხარზედ მიეყრდნობა, თეკლესთან მივლენ, დაუ-
ჩქებენ, ხელზედ ჰქოცნიან. გლასხა დაჩაქილი დაცუ-
ლობს სარის წინ).

ქაიხოსრო. დედა, ველარ მიცნობ შენს ქაიხოსროს? შემომ-
ხედე, დედა!

თეკლე (ქაიხოსროს ხმაზედ გრძნ მოგა და აცქერდება. იცნობს).
მოსულხარ, შვილო! მარინე! გულს მომეშვა! (წა-
მთდგება, პარაცით მიდის აყანსცენზედ. ქაიხოსრო და
მარინე მკლავს უჭირენ) უშველე შენს მარინეს! წა-
იყვანე, გააცილე განსაცდელს! ხელი მომე, შვილო!
(ქაიხოსროს ხელს თვალებზედ მიიფარებს) შენმა ხელ-
მა დამიხუჭოს თვალი, ჩემო ერთად ერთო იმედო
და ნუგეშო! (თვალ დახუჭული ხელ გაშურობილი) შენა
ხარ, ღმერთო, გულთა მხილავი და კაცთა მოყვარე:

დღეს წარმოვლგები მოწყალეო, შენსა წინაშე და შემიწყალე, შემინდე ცოდვანი ჩემი ნებსითნი და უნებლიერნი! შეივეღრე ჩემი სული.

(ფარლა ნელ ნელ ეშვება).

მოქმედება მიღოთხე

(დარბაზი შეფის სასახლეში. თრი სკეტით გაუდფილი სცენის წინა და უკანა მხარედ. სცენის წინა მარცხნივ მხარეს დად ფაჯარის ქვეშ ტახტი, მარჯვნივ დიდი ბუხარი. ბუხართან სკეტს უკან დიდი გარი და მს იქით კუთხემდინ მრავალი ფაჯარი. მარცხნივ ტახტან სკეტს იქით მრავალი ფაჯარი და კუთხესთან დიდი შემოსავალი კარი. დარბაზის უკანა კედელში შეუზედ დიდი კარი, მეფის სადგომი თახებისკენ შესავალი. მარჯვნივ უკანა კედელში ჰატარა კარი. უკედები სალები. ძეელერი შანდლები სანთლებით. ფაჯარებთან ფარჩით მორთული ვიწრო სკამები. შეა დარბაზში სცენის წინა მხართან დიდი მაგიდა, იქვე სკამა და დიდი მაღალი ჩის სავარძელი, ფარჩითვე მორთული მაგიდაზედ შანდლები — სანთლებით და ვერცხლის ზარი, მრგვალ თასისავით და მხობილი, სამ ფეხზედ; გვერდით ზარის დასარეკად ტუავის ტარიანი ჩირი. ძვირფასი მორთულობა, კედლებზედ თარალი. საღამო. დარბაზი თდნავ არის განათებული. მარცხენა კარით შემოდინ დიდებულნი, ბიძინა, ფმანი, რომელსაც უკედები ერიდებინ, კათალიჭაზი, რომელიც თრს ეპისკოპოსზედ არის დაურდნობილი და სხვანი. თარალს ისხნიან, მაგიდაზედ ალაკებენ და მარჯვენა კარით შედიან სავედ განათებულ თახებში).

გარეზ (სწრაფად შემოგა, იარაღს მოისხნის, მაკიდაზედ დაწუჭიბს).
ის გაამტკუნონ!... დაისაჯოს... მაშ ღმერთი სად
არის!... (ჰარჯვნივ შევა. რამდენიმე დიდებულნიც შევ-
ლენ იმავე კარით. კარს მოკერავენ. ხანგრძლივი სიჩუმე.

სანთლები ნელ-ნელა ქრება და ლდნავ განათებულ დარბაზში სიბნელე მატულდის).

კარის-კაცი (შემთვა მარცხნივ კარით, მოსამსახურენი მოსდევენ).
სანთლები ჩამქრალა, ჩქარა აანთეთ, რას უყურებთ!
საკაა სამჯავრო გამობრძანდება! (სანთლებს ანთებენ.
მარჯვენა კარს გააღებენ. ნელ-ნელა გამოდიან მსაჯულნი
და დიდებული).

1-ლი დიდებული (იარაღს ისხამს). ამისთანა საქმეში მსაჯულობას ჩემს მტერსაც არ ვუსურვებ (მარცხნივ გადის).

2-ე დიდებული (მესამეს, თან იარას ისხამს) აღარ შემიძლიან,
ბატონო, სული მეხუთება.

3-მე დიდებული (იარაღს ისხამს). გარეთ გავიღეთ, ბატონო,
თავი გავაცალოთ ამ ჯოჯოხეთს, თორემ მეც აღარ
შემიძლიან! (გადიან მარცხნივ. გაფლის რამდენიმე დიდებული).

გამოზ (ადელებული შემთ ის მარჯვენა კარით). როგორ? გაა-
მტყუნეს! საქართველოს საუკეთესო შვილს სიკვდილი
მიუსაჯეს! წმიდათა შორის უნდა ვიხსენიებ-
დეთ და ჩვენ კი სიკვდილი გადავუწყვიტეთ! ოო,
უბედურნო, გონებით ბრმანო, სულით გლახაკნო!
(კათოლიკოზი გამობრძანდება მარჯვენა კარით არს
ეპისკოპოსზედ არის დაურდნობილი. თან მოსდევს რამდენიმე დიდებული) შენც (მივარდეს) მწყემსთ-მთავა-
რო! ნუ თუ შენც გადაუდევ შენს სულიერ შვილს?
ქაიხოსრო ვარსკვლავივით ანათებდა წყვდიადით
მოცულს შენს სამწყსოში და არ დაესარჩლე, გააქ-
რე იგი ვარსკვლავი, შენივე ხელით გააქრე!! (კათ-
ოლიკოზი ნელ-ნელა მიბრძანდება). ქრისტე ჯვარს ეცვა
ჩვენთვის, შენც... (უავირის) შენც ჯვარს უნდა ეცვა
ჩვენთვის, ჯვარს ეცვა კეშმარიტების და სიმართ-
ლისთვის! კაცის მკვლელთაგანი ხარ, გეყურება,
კაცის მკვლელთაგანი!! არა, არა, შეგცოდე, მე

უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები, მამაო წმიდაო! მაგრამ... რატომ არ გამოესარჩლე, რატომ ჯვარით არ დაიცავი, რათ ჩააქრე ჰაქართველოს სარწმუნოების ლამპარი!

გათაღიგოზი (შედგენა). არ ჩაშიქრია, უფრო ძლიერ აღვანთე! კმარა, დამშეიდდი, ღმერთმან შეგინდოს, შენ აღშფოთებული ხარ! დაისჯება, რაღვან მან შეურაცხვუ. ღვთისაგან კურთხეული მეფე, და შეურაცხვუ რაცხვო თვით ღმერთიც!!

გათოზ (გაცხარებით). ყველანი ამას გაიძახიან! და იმას კი არავინ კითხულობს, რათ შეურაცხვუ? რისთვის? ვისი ბრალი იყო?

გათაღიგოზი. მეფე წარმომადგენელია ჩვენი და ხალხისა ღვთისა წინაშე... მეფის მსაჯული ღმერთი არის გულთამნილავი, და არა ჩვენ. მეფის გვირგვინისაღმი პატივისცემალა დაგვრჩენია, დანარჩენი კი ყველაფერი შერყეული და წაბილწულია. მე ქაიხოსროს უკვე დავულოცე, ვუკურთხე სიკვდილის გზა სამშობლოს საბედნიეროდ და... მირონ-ცხებულ მეფის პატივის აღსაღენად!! (ნელ-ნელა კურთხევით მადის მარცხენა კარით.)

თან (და რამდენიმე დაღებული მარჯვენა კარით). ღმერთია მოწამე, ბატონებო, მე ქაიხოსროს სიკვდილი არ მინდოდა! (უველანი ზიზდით ჩამოვალებას).

გათოზ. ტყუილი ფიცი და ამაოდ ღვთის სახელის ხსენება სხვაგან თუ, თორემ აქ არ გაგივა. რა გინდა, რას დაეძებ, ხომ ხედავ, რომ ყველას ეზიზლები! რად ცდილობ ჩვენთან ყოფნას! რა გვაქვს ჩვენ შენთან საერთო? სამეფო საბჭოსი არ გეყო და ახლა. მე გეტყვი, რაცა ხარ: შერცხვენილი ხარ, საზიზლარი, ქვეყნის მტერი და მოლალატე! ამას მარტო მე კი არა, მთელი საქართველო გეტყვის და პირში ჩაგაფურთხებს! ვინა ხარ, ვინ, რომ აქ ხმას იღებს?!

მხდალო, ლაჩარო, საზინძლარო, უსვინდისო მაჭან-
კალო! (ომანი ხანჯალზედ იყრავს ხელი, უკან გადგება) შენ იარაღს კი არ უნდა ატარებდე, დედაკაცის ლე-
ჩაქი უნდა გეხუროს, კარ და კარ დადიოდე, ჭორი-
კანობდე, და თან უველგან ღვარძლისა ჰქონდე!

(ომან ხანჯალს იცოდს და მივარდება, დიდებულნი
შეაშა ჩაუვარდებიან.)

დიდებულნი (ომანს.). ჩააგე ხანჯალი, ჩააგე! (ომან, რავი ნახავს
ძალას, დამთხილდება. გაითხს) დამშვიდდი, გაიოზ,
რას სჩაღიხარ!

გათაზ (ომანს, რომელსაც რაფაცის თქმა უნდა). ჩუმაღ! თითონ
მეფე რომ შემობრძანდეს, ისიც კი იგრძნობს,
რომ შენ ახლა... აქ... ჩემთან... იმ უბედურზედ...
კრინტს არ უნდა სძრავდე. ხმას ნუ იღებ, შე იუ-
დავ, კაცის მკვლელო! (ხმა დაწევეტილი) შენ არ
მისწერე პატიოსანს შენს ძმას: ბრძოლას ერიდე,
ქაიხოსროს არ დაეხმარო, და თუ ათაბაგს გალჭირ-
და—ათაბაგს უშველეო!!

ომან. არა, ეს სიცრუვეა!!

გათაზ. სტყუ! შენი წერილი ხელთა გვაქვს. მე ჩემის თვა-
ლით წავიკითხე, თქვენც ხომ იცით, დიდებულნო?

უგელანი. ჩვენც ვიცით, ჩვენც წავიკითხეთ!

გათაზ. ბატონს მსაჯულთ უხუცესსა აქვს შენი წერილი.
ჯერ ეს, მეფის შეურაცყოფა, გავათავოთო, ბრძანა,
და მერჩე ომანი გავასამართლოთო! იქ გამოხნდება,
უმაღლესს სამსჯავროში, შენი მუხთალი საქციელი,
მეფემ ჯერ არა იცის რა შენს წერილზე და ღა-
ლატზე, მაგრამ გაიგებს, მალე გაიგებს! გაჩუმდი
განა, ყიზილბაშო?! მაშ გაიარე, მოგვშორდი! სპარ-
სეთში ჯაშუშაღ ჰყავდი მიჩენილი მეფეს, შე საზი-
ზლარო, და აქაც თან გამოგაყოლო შაჰმა! მოღალა-
ტევ, სამშობლოს გამყიდველო! გუშინ არ იყო,
ლეკებს—ჭარელებს ააკლებინე ხუნანთან სამი სოფე-

ლო! არა გრცხვენიან, რალასა სდგეხარ? (მიუბრუნა
დება სხვებს) ჩემი წინასწარმეტყველობა, საწყალ
ქაიხოსროს სახლში რომ. ვსთქვი: ისაყი აქ მალე
იქნება-მეთქი, — აღსრულდა! ის იყო მარინე წამოი-
ყვანეს, ქაიხოსრო დაიჭირეს და... არ გასულა. ორი
საათი ათაბაგის ჯარიც მოადგა სახლს. (დმანს) თეკლეს წყევლას, გულდამწვარი დედის წყევლას
განა წაუხვალ საღმე! რა უღმერთოდ აწამე, თავის
თვალით დაანახვე ერთათ ერთი შვილის და საყვა-
რელი რძლის უბედურობა! ოჯახი დაუქციე!... შე-
შინებულიყვნენ, ყველანი გაქცეულიყვნენ; ათაბაგს
ახლად გარდაცვლილი თეკლე-ლა დახვედროდა შიგ
კარებში... მტერს მიუბარებია მიწისათვის საქარ-
თველოს სპასალარის მშობელი დედა!.. საღლაა
ქართლი?! მუსრი გაავლეს, ამოულიტეს, ტყვედ
წაიყვანეს. ახლა ქალაქისკენ მოიწევს მტერი... მაგ-
რამ ღმერთო დაგვიფარე! დაპკრა ომან, შენმა სი-
კვდილის უამმა! და მალე გეკითხება ქვეყნის ლალა-
ტი და ორგულობა. (ბაძინა და რამდენიმე ღიღებულ-
ნი შამოდიან).

გაითქ. ბიძინავ! ჩემთ კეთილო მსაჯულთ-უხუცესო! ერთი
მიბრძანე... აქ ყველანი მეთანხმებით, და იქ კი...
(მარჯვენა კანს უჩვენებს) იქ სხვაფრივა. სჯით!? აქ
რალაცა ჩემთვის გაუგებარი, ცხოველი აზრის
წინააღმდეგი. გამაგებინე...

ბაძინა. მაგაზედ, გაითქ, ნურას ვიტყვით! არ შეგვიძლიან,
ნება არა გვაქს! ქაიხოსრო დამნაშავეა! ქაიხოსრომ
შეურაცხვო თავისი მეფე!

გაითქ. მეფე? მერმე რაღ გამოიწვია მეფემ შეურაცხვოფა?
განა თვითონ მეფემ სასირცხვებილოთ არ დაამცირა
თავისი ლირსება და სათამაშოდ არ გაღააგდო.
თვითონ არ დაანარცხა მიწაზედ?..

ბიძინა („შევეტინებს სიტუაცის“). მაგაზედ ჩვენ ვერას ვიტყვით! არ შეგვიძლიან! კიდევ გეუბნები: ქაიხოსრომ მეფე შეურაცხვო!! დამნაშავეს ჩვენ დავდეთ მსჯავრი, მეფე არ გარეულა; მეფეს შეიძლებოდა კიდევაც ესურნა შეემსუბუქებინა ქაიხოსროს დანაშაული, მაგრამ ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ! შეურაცხვო მეფე, ძირს დასცა მეფის ღირსება, დაამხო მისი დიდება და ამიტომ სიკვდილით უნდა დაისაჯოს! (მორბილ-დება). თვალს სიყვარული აგთარვია, გაიოზ, და კარგად ველარ ხედავ, ყველას გვიყვარს, ჩვენც და ხალხსაც, მაგრამ უნდა მოკვდეს! ცოტა შორს გაიხედე, გაიოზ, თავი დაახწიე გრძნობას; დაუფიქრდი, გულით-კი არა, ჭიუით და შენც დაგვეთანხმები, რომ სამართალი ამას მოითხოვდა!

ომან. მეც მაგას ვამბობდი, ბიძინა, მაგრამ...

ბიძინა (შეაწევეტინებს ზიზდით). შენ. ჩემთან ბედავ ლაპარაკს! შორს ჩემგან, საზიზლარო! შენ აღამიანებში არ ურევიხარ!! (ომანი გაშმაგებული გავა მარცხნივ).

ეფელანი. ომანის საქმე ცუდათ არის, ცუდათ!

ბიძინა. მოვგშორდა, ლმერმა დასწყეველოს! რა დაგემართა, გაიოზ, ჭიუაზედ მოდი! ველარა გამიგიარა შენი! მიიხედ-მოიხედე, დაფიქრდი, გარემოებას დაუკვირდი! რას შერები, რას აპირებ, შენს თავს არ უნდა ჰყითხო? ქვეყანა დაგვიწყებია, ჩემთ გაიოზ, ქვეუნის ბედი და მომავალი სადლაც მიგიგდია, შენი თავისათვის, შენი რწმენისთვის გილალატნია. აღთქმა დავდეთ: სამშობლოსთვის შეგვიწირავს ჩვენი სიცოცხლე და ყოველივე—გრძნობა, ქონება უძვირფასები. შენა? ქაიხოსროს სიცოცხლეს თავს აკლავ!! მეფე შერცხვენილია, მეფე მკვდარია! სირცხვილისაგან აღარ იცის, სად წავიდეს, სად შეაფაროს თავი! სულ იმის ფიქრშია, ის აკერია პირზედ, სულ ქაიხოსროზედ და ბატონიშვილ მარინე-

ჩედ გველაპარაკება... თავს იმართლებს... ჩვენ კი... ჩვენ ჩუმათა ვართ! ნუგეშის ცემას არ ვკადრულობთ, გამტყუნება, საყვედური არ შეგვიძლიან, და მით უფრო მწვავადა გრძნობს თავის საქციელის საშინელებას!... გრძნობს, იტანჯება, სინიდისი ჰქენჯნის! როგორ წარმოიდგენდა მეფე ბატონი, რომ იგი სხვისთის უნდა იტანჯებოდეს! ასე ეგონა, ჩემს სასიამოვნოდ არის გაჩერილი ეს ქვეყანაო! დღეს ქაიხოსროს უბედურობით იტანჯება, ჩემო გაიოზ, ხვალ ხალხის უბედურობით სულით-გულით დაიტანჯება!

უგელანა. მართალია, მართალი! ბიძინა, მართალს ბრძანებ! **ბიძინა.** მართალია, მეფემ თითონ გამოიწვია თავის შეურაცხ-ჰყოფა; ბრწყინვალე თავისი ლირსება სათამაშოდ გახადა, თითონვე დაანარცხა მიწაზედ! და აი შე-დეგი ამ თამაშობისა: სიკვდილით დაისჯება ქაი-ხოსრო, რომელსაც თავისდა უნებურად მონაწილეობა უნდა მიელო მეფისგან გაბმულ ფერხულში. მაგრამ ეხლა კი შეიგნო მეფემ, რა არის ღვთისგან ცხებული მეფობა და შიშით თრთის ამ დიად ლირსების წინაშე, დარწმუნდა, რომ მეფის მოვალეობა იგივე წმიდა საიდუმლოა და... ჩვენი სალოცავი მე-ფის სალოცავად ხდება!

უგელანი. მართალია, სიმართლეს ბრძანებ! **ბიძინა.** ეხლა მეფე ნუგეშ მოელის ჩვენგან, მცირედ რამ დამამშვიდებელს, ტკბილს სიტყვას. ჩვენ კი გავჩუ-მებულვართ... და ამ სიჩუმით შიშ-მორეულ მეფის გულში ლამპარს ვანთებთ სამშობლოს სიყვარულისას. ქაიხოსრო უნდა მოკვდეს და თავის სიკვდილით ალადგინოს მეფის თვალში მეფის ლირსება! ერთი წამი, ერთი შერყევა და... გამარჯვება ჩვენი იქნება! ჩვენი მეფე ჩვენი შეიქმნება, გაიოზ, სულით და გულით! ქვეყანას პატრონი ეყოლება, ერს წინამ-

ძლვარი, სარწმუნოებას ბურჯი მაგარი! ისაყი და ოსმალთ ჯარი კვამლივით გაპერებიან! შაპის დიდება ავღანელებმა შეარყიცს და ძრწის, ინგრევა დღეს ისპალანი! რუსთა მეფე პეტრე ჩვენს კავშირს ეძებს, რომ ჩვენთან ერთად შეებრძოლოს გულჩამპალ სპარსეთს და ბოლო მოუღოს! ჩვენმა საათმა დაპერა: მონობის უღელს გადავაგდებთ და წამოდგება თავისუფალი, განახლებული, თამარის ღროის მსგავსი, საქართველო! უკვე მზად არის მეფის გული, პატარა ნაპერწკალი-ლა აკლია, სულ უმცირესი, რომ სამშობლოს სიყვარულის ალი წაეკიდოს, განანათლოს, და განასპეტაკოს! ჩვენია მაშინ მეფე, საუკუნოთ ჩვენია! ქაიხოსრო ყოვლათ დასაწველ შსხვერპლად მიმიტანია სამშობლოს საკურთხეველზედ!! (მდელეარებაა).

გათაზ (ცოტა ხნის შემდეგ). ვხედავ, ბიძინავ, რომ კრავ იკლავ სამშობლოს, მაგრამ მე არ შემიძლიან, გულში ადუღებული სისხლი ტვინში ამივარდა, გონებას მიშხამავს, გრძნობა აზრს სჭარბობს, გულს ვერ ვიმორჩილებ, ვერ, ვერ! (ბიძინას მიეუწდნობა და სტირის).

ბაძინა. ეგ გული ამოიგლიჯე და შორს გასტყორცნე!! (გათაზი გასწორდება. სიჩემის შემდეგ) აი აქ არიან ომანის თანამოაზრენი, ისმინონ, თუ სმენა შეუძლიანთ! არჩილ! გინდა შენი სამშობლოს თავისუფლება?

1-ლა დადებული. არამც თუ მინდა, მწყურიან კიდეც, მაგრამ დღეს უძლურად მიმაჩნია ჩემი ქვეყანა და ვშიშობ ვაის თუ გავეყარეთ, ვუის არ შევეყაროთ! მოვითმინოთ, შესაფერს დროს ველოდოთ, ამბობს ომანი, რომ ძალა მოვიკრიბოთ და წელში გავიმართოთ!

ბაძინა. მარტო მაგიტომ რომ გვაშოშმანებდეს ომანი, ჯერ

სუსტნი ვართ და მოვიცადოთ, სანამ ძალლონეს
მოვიკრეფთ და შეგვეძლება მტერს საიმედო ხე-
ლით სასიკვდილო ლახვარი დავცეთ გულშიო, —
მაშინ მე ომანს არ გავამტყუნებდი!

უგელანი. არც ჩვენ, არც ჩვენ!!

ბამინა. მაგრამ თვალს გვიხვევს მაგით სპარსეთის ერთგული
მონა, ღვთისა და ქვეყნის გამყიდველი, მეფის მო-
ლალატე შაჰის ჯაშუში! განა მარტო ქაიხოსროს,
თავის პირადის მტრის, დაღუპვა უნდოდა ომანს!
არა, ეგონა ქაიხოსროს ჩვენც მიუუდგებოდით და
ამგვარად მეფისა და დიდებულთ შორის მტრობას,
შულლს და განხეთქილობას ჩამოაგდებდა, მეფეს
ქართველთ შეაძულებდა!.. რას წარმოიდგენდა უგუ-
ნური, რომ ქაიხოსროს სისხლს გამარჯვებად გვიქ-
ცევდა ღმერთი! ომანს წმიდა არა გააჩნდა-რა, ყველას
ატყუებდა, ყველას შეურაცხყოფას და შელახვას ცდი-
ლობდა, ხალხს აწამებდა... თანამოაზრე რომ არა-
ვინ ჰყავდა, ცდილობდა მოესყიდნა, დაპირებით
მოეტყუებინა... მეფეს ღუპავდა... მეფეს გვირყვი-
და და გვიხრწნიდა... სპარსეთში აღზრდილს!..
მართალს არ გამბობ, არჩიო?

1-ლი დიდებული. მართალსა ბრძანებ, ბიძინა! გვატყუებდა, სამარ-
ცვინოთ გვატყუებდა! ეს ეხლა ცხადია ჩვენთვის!
მტერია ჩენი და არა გვზოგავდა! დროა მეფეს
გარს შემოვეკედლოთ, იმანაც მხარი მოგვცეს და
ოსმალნი და სპარსნი განვდევნოთ. ჩვენი ქვეყნი-
დგან!!

ბამინა. ქართველის გულის ძერაც ეს არის, ჩემო არჩიო!
თქვენ რალას ბრძანებთ, დიდებულნო?

უგელანი. ჩვენც შენთანა ვართ! რა გნებავს ბრძანე! ჩვენი
ცხოვრება, ჩენი სიცოცხლე? მზად ვართ, თავს
დავდებთ სამშობლოსთვის! ომანის მომხრეს დღეის
იქით ჩვენში ვეღარ იპოვნი!

ბიძინა. (გულ-ხელ და გრეფილი). უპირველეს ყოვლისა მეფე გვესაჭიროება, ყოველი ღონის ძიება უნდა ვიხმაროთ, რომ მეფე მტრის ზედგავლენას დავაღწიოთ! ომანის გათხრილ ორმოთი ჩვენ ისე უნდა ვისარგებლოთ, რომ ქაიხოსრომ საქართველოს მტერს თვისი სიკვდილით—სიკვდილი მიანიჭოს!! (სიჩუ-მეა). თავისუფლებავ, თავისუფლებავ! ყველა შენ გნატრობს და შემოგტრფის, მიღუნებულმა ძარღვმა მოძრაობა იწყო, ცხოვრებამ გამოიღვიძა, და ზღვა-სავით აღელვებული გაშმაგებით მიეშურება თავი-სუფლებისკენ! გამოიღვიძა ქართველმაც და თან-და-თან უერთდება საერთო მიმღინარეობას! ძველე-ბური „გამარჯვება—გაგიმარჯოს“ დღეს სხვანაირ-მა მისალმებამ უნდა შესცვალოს—„თავისუფლე-ბა—თავისუფალი“!!

გველანი. „თავისუფლება—თავისუფალი“!! (სიჩუმის შემდეგ).
ბიძინა. ილოცე, გაიოზ! ილოცე, ჩემო გაიოზ, საქართვე-ლოსთვის, რომ ღმერთმა მეფე მოგვანიჭოს ჩვენ! ქვეყანა კვნესის, ველარ უძლებს მონობის ტვირთს!! (აკაცებს გაითხს და ეგელანი ნელის ნაბიჯით და მედი-დურათ გადას მარცხენა გარით).

გაიოზ. (მარტო). სიკვდილი მიუსაჯეს! ნუ თუ ხსნა აღარა აქვს? წავიდე, მეფეს ვთხოვო, შევავედრო, შევახვე-წო ქაიხოსრო, მე მაჩუქოს მისი სიცოცხლე, მე, მე!! მარტო მეფეს შეუძლიან მის გადარჩენა! მომ-ხედე, ღმერთო დიდებულო, შთამაგონე, როგორ მოვიქცე! (დაიხუჭებს და ფოცუჭობს. წამოდგება). რა დიადი მსხვერპლი მოგვაქვს, სამშობლოვ, შენს სა-კურთხეველზედ! მოსაკლავად რომ გაიყვანენ ქაი-ხოსროს, მივალ, გამოვეთხოვები, მივყვები ბოლომ-დის და გაფამხნევებ: ომანმა-კი არა, შვილო, ჩვენ, ჩვენ გაგწირეთ სასიკვდილოდ! მოღალატედ შენ არავინ გთვლის. ერთი სალოცავი აქვს ქართველ

კაცს, შვილო, და, სამარსებათაგან შესდგება იგი: სამშობლო, ჯვარი და მეფე! შენ შეურაცხვავ მეფე და უნდა მოკვდე! ომანი დარჩება და შენ-კი უნდა მოკვდე! როგორ გაკისრებინოთ მართალს დანაშაული, როგორ შეგაგნებინოთ ჩვენის მსჯავრის სიმართლე! მტერმა მთელი სამარსება შეგვილახა: ჯვარი დამხეს, ძირს დასცეს, სამშობლოს გაყვლეფილი, გაცარცული, სისხლ და ცლილი ჩონჩხი-ღარი მოსჩანს, და მეფეს ნარდის კოჭივით ათამა-შებს ხელში სპარსეთის შაჰი... დღეს მეფე გვყავს!..*) გვინდა ჯვარი ავმართოთ, და დაცემულ სამშობლოს აღდგომის და თავისუფლების სული შთავბეროთ! მეფე ჭრიანიტ ჩვენ სალოცავად ვაჭციოთ და... ვაჭცევთ კიდეც. ამისი თავდები შენი სიკვდილია!.. მარინემ შემოგითვალია, უშენოთ ერთს წამსაც ნულარ მაცოცხლოს ღმერთმაო! შენია, შვილო, მარინე, შენი! იქნება გითხრეს რამე! არ დაიჯერო: გატყუებენ, უნდათ უკანასკნელი სიცოცხლის უამი მოგიწამლონ! დედა-შენი კი მიიცვალა! შენმა მტერმა ათაბაგმა დაასაფლავა ღირსეული პატივით საგვარეულო თქვენ ძველ ტაძარში... წადი, შვილო, არ შედრკე! უშიშრად, მამაპაპურად მიეგებე სიკვდილსა და დაიძახე: გაუმარჯოს საქართველოს თავისუფალს!! (მარცხენა კარისკენ მიდის, მერჩე შეა კართან მიგა, გაჩერდება. მობრუნდება და ნელ-ნელა ავანსცენაზედ გამოვა; იარაღს ისხამს; ჩაფიქრდება, იარაღს მიასხნის და მაგიდაზედ დაწეობს. სელს აპერაბს და ცრემლებ მორეული) მეც, ქაიხოსრო, სასიკვდილოდ გწირამ შენ!! (იარაღს ისხამს და ნელი ნაბიჯით მიდის მარცხენა კარით. სიჩუმეა. სანთლები ნელ-

*) 1703 წლიდგან მეფე არ ჰყავსა საქართველოს, საეფოს გახტანგი განაგვებდა, იესეს უფროსი ძმა. იესემ მოსლიმანობა მიიღო, ვახტანგს ცილი დასწამა, სპარსეთში განდევნა და სამეფო ტახტი თითონ მიიღო.

ნელა ჭრება. სცენის წინა მხარი დღნავ არის განათებული, უკანა მხარი — ძნელია. შეა კარი არად გაიღება და სინაოფებს სხივი მოეფინება დარბაზის. კრთან შიგნიდან მოჩანს თრი მსედარი. შეფე მობრძანდება ნელი ნაბიჯით, უკან შიგრივი მოსდევს ქართულ ტანისამოსით. შეფე კართან შედგება, თავს აიდებს... მერმე ისევ წამოვა თავზე შევებული, დარბაზში გამოვა, კარი მოიხურება. შეფეს დამის ტანისამოსი აცვია, ჟამარ-ხანჭლით).

შეფე. მაში მცხეთას მოადგა მტერი? მცხეთა ოლია-რტყმულია? ქართლიდან პაატა ჯერ არ მოშველებია?

შიგრივი. არა, მეფეო! ქსნის ხეობით გიახლებათ პაატა ორი ათასი კაცით!

შეფე. თუ შინი და ფშავ-ხევსურნი ლუარსაბის წინამძლო-ლობით?

შიგრივი. დღეს ხვალ ავჭალას გიახლებიან, დიდებულო მეფევ, სამი ათასი კაცი; დემნაც მოეშურება და მასთან ხუთი ათასი.

შეფე. როდის-ლა მიახლებიან! თუ მცხეთა აილო მტერშა, ზღვასავით მოედება და წალეკავს ქვეყანას!.. (ჩა-ფიქრდება) მაგათ გარდა როსტომია იქ თავის რაზ-მით, ბააღური და ყარამანი. ოც ათასზე მეტი მო-გროვდება!... არა გვიშავს-რა! ანანებენ ასმალთ და ათაბაგს ამ თავხედობას! უკუ-აქუევნ! უნდა დავჩერდეთ ოღონდ, და სპასილარი ჩქარა მივა-შველოთ! (ზარს დაჭრავს, კარის-კაცი შემოვა). კაცი აფრინე, ბიძინა, ფარნაოზ და გიორგი დამიბარე! წადი! (კარის-კაცი თავს უკრავს და გადის) წადი შენც! (შიგრივი თავს უკრავს და გადის). გავიდა ლამე და ჩემმა თვალმა კი ძილის ლული არ იცის. რაღაც სევდა მაწევს გულზედ მძიმე ტვირთად და სულს მიხუთავს! (საფარძელზე დაჯდება) კაეშნით მოცულს მწუხარე გულს ეს მარტოობა ურვას უმატებს და

უორკეცებს (ზარს დაჭერავს, გარის-კაცი შემოვა). მანდ
არის ვინმე?

გარის-კაცი. ომანი გახლავთ, დიდებულო ხელმწიფეო!

მეფე (გახარქებული). ძალიან კარგი! (ჩაფიქრდება) ომანის
მეტი არავინ არის?

გარის-კაცი. არა, მეფეო, არავინ გახლავთ!

მეფე (ფიქრით). ომანი? არა!.. არ მინდა! მარტო დავრ-
ჩები! ცეცხლი გააჩინე ბუხარში! (გარის-კაცი გავა,
მთსამსახურებს მთიუვანს, ცეცხლს აანთებენ, აფანცენს ს
ბუხარი განათებს, უკანა მხარი ღდნავ არის განათებული.
მსახურნი და კარის-კაცი გავლენ). ომანი!—მე ეხლა
ომანი არ მინდა, სულ სხვა სწყურიან სევდიან
გულს, სულ სხვას დაეძებს ობოლი სული, სხვა
თანაგრძნობას, სხვა სიყვარულს, მაგრამ მანც
ძვირფასია ჩემთვის ომანი! ომანთან არის შეკავში-
რებული ჩემი ბავშვობა, ჩემი წარსული, ყოველი
მოგონება. უსუსური ბავშვი ვიყავ, როცა დედ-მა-
მას და ჩემს ქვეყანას მომაშორეს და მძევლათ გა-
დამცეს. ალარა მახსოვს-რა იმ ღროინდელი, ჩემი
ერთგული, შინათაგან გამოყოლილი, ლალას გარ-
და. ის რომ არა მყოლოდა, საჭურისი ვიქნებო-
დი... იმან გადამარჩინა და... გაქრა სადღაც ჩემი
კეთილი მფარველი ანგელოზი! მერმე ომანის მა-
მას ჩამაბარეს... ომანი უფროსია ჩემზე და ბავშო-
ბაში ამხანაგი-კი არა, მასწავლებელი იყო ჩემი და
დამრიგებელი. იგი მწვრთნიდა მე და წინ მიმიძლო-
და. მეც მივეჩვიე მის აზრს და რჩევას... უზომოთ
ერთგული იყო, უუმცირესის ჩემის სურვილის ას-
რულებას ცდილობდა. თვალებში შემომყურებდა
და მით გულში ჩამცქეროდა. ყოველს ჩემს სურ-
ვილს, ნატვრას, ოცნებას ომანი მისრულებდა და
ბედნიერს მყოფდა. მახსოვს, ცამეტის წლისა ვიყავ,
როდესაც მან პირველად გამაცნო მომხიბლავი, და-

მათრობელი ძალა ქალის ხვევნა-კოცნისა... მონა იყო, მორჩილი, ერთგული, მონა იყო, მაგრამ ისე მეფერებოდა, ისე მასიამოვნებლა, რომ უიმისობა შეუძლებელათ გამიხდა! ჯერ როცა მეფე არ ვიყავ, ფეხ-ქვეშ მეგებოდა როგორც მეფეს, მათრობდა პირ მოთნეობით და ათასნაირ სამსახურით... შაჰს ომანი ჩემზედ მეტათ უყვარდა, იმის რიდით პატივსა მცემდა... (ჩაფიქრდება) მერმე... უკვე სიჭაბუკეში... ბრძოლა და ბრძოლა... ინდოეთში ქართველთა ულეტა მირვეისისაგან... ჩემთ ნათესავთ ხოცვა... ყანდალარიდამ გირისკა და იქიდამ სპარსეთში გამოქცევა... სპარსეთი და უსამძღვრო ზეიმი და ღრის გატარება!.. რას არ ვჩადიოდი სპარსეთში! მაგრამ რაც სპარსეთში ადვილად საქართველი იყო და არავითარ სინანულს არ იწვევდა ჩემში, აქ, როგორც ვხედავ, შეუძლებელია. და აი დღეს მამა-პაპურ სამეფო ტახტზედ ვარ, მაგრამ ოინობით და ცილის წამებით-კი არა, როგორც მწამებენ! ჩემი უფროსი ძმა ვახტანგი რჯულს არ გადუდგა და ამიტომ მეფობა მე მარგუნეს!

გარდის-გაცდა (მარცხნივ შემოვა, თავის დაკვრით). ბიძინა, ფარნა-ოზ და გიორგი გახლავან, ღიდებულო მეფევ-ბატონი!

მეფე. მოვიდნენ! (კარის-კაცი გაფა, ბიძინა და თრი ღიდუ-ბული შემთდიან მარცხნივ კარით). იმიტომ მოგიხმეთ ასეთ ღრის, რომ საჩქარო საქმეა. ისაყს და ოს-მალო ჯარს მცხეთისთვის ალყა შემოურტყამთ! რავენათ, რას მირჩევთ?

ბიძინა. ღიდო ხელმწიფევ! დუშეთის მხრივ მომავალს ჯარს პაატა დაუნიშნე სპასალარად, და ავჭალაში მდგომ ჯარს... ბარნაბა!..

მეფე (წამოდგება). ომანს რათ ივიწყებ, ბიძინა? ვიცი, იქნება ზურაბმა კიდეც გვიღალატა, მაგრამ ომანმა?..

ბიძინა. ჩემო მეფევ ბატონო! მე ომანს არ ვამტყუნებ, ზურაბს ლალატს ჯერ არა ვწამებ... იმათზედ შენთან ლაპარაკს ჩვენ ვერა ვბედავთ, ხელმწიფეო, ჯერ დრო არ არის. იმათვისაც მოიცლი, მეფევ ბატონო, და შენ თითონვე განსჯი. მანამ კი, კიდევ მოგახსენებ: ომანი აქ უნდა დარჩეს და ჯარს პაატა და ბარნაბა გაუძლვნენ!

მეფე (შედელვარება ეტყობა). თქვენ რაღას იტყვით? ჩემო ფარნაოზ, გიორგი?

1-ლი დიდებული. ომანს სპასალარობა ეხლავ უნდა ჩამოართვა!

2-ე დიდებული. შენ ჯარებს, დიდებულო მეფევ ბატონო, პაატა და ბარნაბა გაუძლვებიან! (თავს უკვრენ).

მეფე (სავარძელზე დაჯდება, მაგრაზედ დაეურდნობა, შებლზედ ხელს შითვარებს). განკარგულება გაეცი, ბიძინა... აგრე იყოს... მიბრძანებია...

ბიძინა. მონა ვარ შენის სურვილისა, დიდებულო მეფევ! (თავს უკრავენ).

მეფე. გული რაღაცას მითქვამს. უგრძნობ, რომ საშინელი რამ დანაშაულია ომანზე! უსამზლვრო შავი ღრუბელი გველაშაპივით მომპარვია და დამდგომია მაღლიდან და როგორლაც სასტიკ მუჭარით დამყურებს, სულის მიხუთავს... მოდის და ახლოვდება... როდის და რა ძლიერ დაიკექავს, ეს საიდუმლობაა ჩემთვის... უზომო შიში ცივ ჟრუანტელივით მივლის მთელს არსებაში! თქვენ კი! თქვენ იცით, რაშია საქმე, და მიმალავთ! (დიდებული დგანან გაჩუმებული, თავდაღუნული) ჩემს გარეშემო უბედურობის მომასწავებელი, საიდუმლობით მოცული მდუმარებაა; და მე კი არ ვიცი, რაშია საქმე! მაგრამ მე უნდა ვიცოდე, მინდა ვიცოდე! მითხარით, გამაგონეთ! (სამივეს ცალ-ცალკე ხელს ავლებს შარში) მე გთხოვთ, მე გიბრძანებთ, გამაგებინოთ (დიდებული

დგანან გაჩუმებულია, თავ-დაღუნულია. შეფე დაქანცული დაესვენება საჭარძელზე) ერთიან დავიტანჯე, დავშრი, თქვენ, თქვენ ამომხადეთ სული!!

ბაბინა (ადელვებული). ჩემო ხელმწიფევ! ხვალ შენი საბჭო მოგახსენებს დაწვრილებით ყველაფერს! ილოცე, მეფევ, ქვეყნის იმედო! სამშობლო განსაცდელშია! დიდებულია. ილოცე, მეფევ დიდებულო, სამშობლო განსაცდელშია!!

მეფე (სასოწარკვეთიში). წადით!.. თავი დამანებეთ... მარტო დამტოვეთ, მარტო!! (მეფე თავს დასდებს მაგიდაზედ. დიდებული ჩემად გადიან).

მეფე (წამოდგება). „სამშობლო განსაცდელშიაო!“ განსაცდელშია!? ღმერთო, რა ძლიერ შევცდი, როცა ზურაბი გავაყოლე ქაიხოსროს! ეს რომ არ ჩამედინა, დღეს ისაყი ჩემს ხელში იქნებოდა ტყველ. ეს კიდევ არაფერი! ზურაბი რომ არ რევოლა ბრძოლაში, მე ისე სასახელოდ გავიმარჯვებდი მტერზედ, სეთ ძლიერ მეხს დავცემდი თავზედ, ისე გავანადგურებდი და ავიულებდი ჯავახეთსა, რომ სტამბოლუშიაც ჩემი შიშით ცახცახი დაეწყო თვით ხონთქარს. დავიბრუნებდი მამა-პაპათაგან ნაანდერძევ და მათი სისხლით მორწყულ სამცხესა და ყოველ მხრით მომწყვდეულ, დარეტიანებულ ათაბაგის თავზედ მე და ქაიხოსრო ამაყად გადავაჯვარედინებდით სისხლიან ხმლებსა! (ჩაფიქრდება). ოკ, რა მძიმეა, ღმერთო ჩემო, მეფის უღელი! შენ შთამაგონე, დედავ ღვთისაო, მე მეფემან ჩემი სამშობლო რა გზით ვატარო! (გაჩუმდება) ეხლახან ჩემი ქორწილი ერეკლე მეფის ასულთან. დედოფალი მარიამ... ახლა კიდევ დედოფალი ელენე... ორი დედოფალი... და თან მარინეს სიყვარული... გულის დამწველი, მომაკვდინებელი, უსამზღვრო სიყვარული... ომანის წყალობით გაცეცხლებული! მარინე! როგორ მხეცურად დავი-

მორჩილე! მუცელი წაუხდა!.. მოთმინებიდგან გამო-
მიყვანა და... საშინლად დავკარ მუცელში!.. ავალ-
მყოფი, ფერ-მიხდილი, თუთქმის მომაკვდავი იწვა საწ-
ყალი, მაგრამ მაისის ვარდივით, ახლად გაფურ-
ჩქვნილ ვარდივითა ტურფა იყო, სიჭაბუკის ოცნე-
ბით შვერნიერი ედემის შვილი... ვეღარ შევძელ,
აევალმყოფი არ დავინდე!.. ვუალერსებდი, ვკოცნი-
დი და თან ვბრაზობდი! ვბრაზობდი, ვუალერსებ-
დი და ვაწამებდი. სალოცავ ხატად დავისვენე,
ღმერთსავით შევლალადებ და ვლოცულობ და ის
კი... ის... კრიჭა შეკრული, ფერ მიხდილი... შო-
რს სადღაც დაჰქრის მისი სული... ქაიხოსროსთან!
მარინეს სხეული მე დავიმორჩილე, მაგრამ სული...
სულით ქაიხოსროს ეძლეოდა და ეტრფოდა!!.. „მა-
პატივე, ქაიხოსრო, შენი ვარ და მხოლოდ შენ
მიყვარხარ!“ ამის მეტი ვერა ვათქმევინერა! შეკრუ-
ლი მყავდა ერთ დროს, გაბაწრული... ხმა არ ამოუ-
ლია... არც კვნესა და არც ვეღრება... ოჯ, მიყვარს
და ვტანჯავ! და რამდენსაც ვტანჯავ, მით უფრო
მიყვარს... და არა აქვს სამზღვარი არც ჩემს სი-
ყვარულს და არც ტანჯვასა... (თვალებზედ ხელს
მიიფარებს. სიჩუმეა). მარინეზედ ხმას არავინ მცემს
ომანის გარდა. ბიძა ჩემი კათალიკოზი, ყველანი...
ხმას არ იღებენ! მე რომ ვახსენო მარინე, პასუხს
არავინ მალირსებს... ვიცი, ვგრძნობ — შევცდი! მა-
რინე ბატონიშვილია, დაა ჩემი, ჩემი სისხლი და
ხორცი. (ჩაფიქდება) კმარა! სხვაფრივ უნდა ცხოვ-
რება, სხვაფრივ! ძნელი ყოფილა ჩემი ხვედრი! მძი-
მე ყოფილა მეფის დიდება! ჯერ ორი წელიწადი
არ გასულა და რამდენ წლის საკმარისი ჭირ-გარა-
მი გადაიტანა ჩემმა გულმა!! ომანი სპარსეთს უნდა
გავისტუმრო, აქ აღარ ედგომება. სპარსეთში და-
ბადებულა, სპარსეთშივე იცხოვროს! თუ მინდა

მეფე ვიყო, ქვეყნის სასარგებლო და სიყვარელი, გაიოზს უნდა დავუჯერო, გაიოზის გზას მივყვეი ცხადია ჩემთვის, აშკარაა! გაიოზიც და ქართველებიც ღვთის ამორჩეულს, ღვთისაგან კურთხეულს მიწოდებენ, წმინდანსავით პატივსა მცემენ და მათ მიხედვით მართლა ღვთის მიერ აღნიშნულად მიმართია მე ჩემი თავი და დიდებულად სამშობლოსადმი მეფის წმიდა მოვალეობა! თვითონ მე ამ გრძნობადგან ჩემსავე თვალში მაღლა და მაღლა ვიწევი!! (გაჩუმდება) საცაა გათენდება და ძილი-კი არ მეყარება! (უკანა კუდლის ჰატარა კარიდან ხმაურდა ისმას, უკის მიუგდებს, კართან მივა, ბედნიერი დიმილი დაეტეჭბა. მაგიდასთან მივა, ხანჭალს მოისხნის და ზედ დააგდებს). ნუ თუ მარინე... ჩემი მარინე, თითონვე მოდის ჩემს სანახავად! მისი ძვირფასი ხმა შიგ გულში მწვდება!

მარინეს ხმა (სცენის გარედგან). მეფე აქ ბრძანდება? მინდა ვნახო!

მეფე. მობრძანდეს! მობრძანდეს! (მარინე შემოჰავა ჰარით და გაჩერდება, კარი დაიხურება. მარინეს შალი ახვევა). მარინე! შენ თითონ მოხვედი ჩემთან! შენი ნებით!.. რა ვქნა, მარინე, არავარ შენგან ალერსს ჩვეული! (მარინე არ იძერის) მაგრამ იქნება შენს გულში დაიბადა ჩემდამი სიყვარული? (მარინე არ იძერის) და თუ აგრეა, მოდი, მარინე, მოდი, გამახარე! ხომ იცი, რომ შენითლა ვიცოცხალვარ და სიცოცხლეს არ დავზოგავ შენთვის!

მარინე (ნელა). მეფის სიცოცხლე, ხელმწიფეო, მეფეს კი არა, სამშობლო-ქვეყნის ეკუთვნის, და კიდეც რომ გსურდეს, ვერ გამოსწირავ ხალხს თავის კუთვნილს! (წინ წამოდგება) იმიტომ გიახელ, რომ შიშმა გული შემიხუთა! აქ კრება იყო დიდებულთა, და ბედკრული ჩემი გული გრძნობს და მეუბნება,

რომ ქაიხოსროს ბედ-ილბალი გადაწყვდა დღეს! (ზეფა-
სთან შიგა) შენ უწყი, მეფევ, რომ ქაიხოსროს არა-
ფერი დაუშავებია. იგი სიამოვნებით შესწირავს თა-
ვის სიცოცხლეს სამშობლოს დიდებას და შენს ლირ-
სებას!.. განა იტყვის ვინმე, ქაიხოსრომ სამშობლოს
უღალატაო!! ხომ მოგეხსენება, ომანის ძმამ უღა-
ლატა, უკან დაიწია, როცა ნახა, რომ დამარცხდა
მტერი! მთლათ მუსრის გავლების მაგივრათ, ზურაბ-
მა გაქცეულ მტერს გზა დაუთმო, სული მოაბრუნე-
ბინა. ზურაბის ღალატით გამხნევებულმა ისაყმა
ძალ-ღონე მოიკრიფა და მეხი დასცა ჩვენს ერთ
მუჭა მეომართ! ასე იყო, ხელმწიფეო, ეს ყველამ
იცის და შენც იცი, რომ ქაიხოსროს არ უღა-
ლატნია არც თავის ქვეყნისთვის, და არც თავის მე-
ფისთვის. ხომ მოგახსენეს, ლომივით იბრძოდა, ჯარს
ამხნევებდა, სიკვდილს დასდევდა, და მძიმედ და-
ჭრილმა, ღონე მიხდილმა, ბინდისას უკანასკნელმა
დასტოვა ბრძოლის ველიო! (დაუჩქებს და ეალერსება)
ჩემო ხელმწიფევ, ჩემო ძმაო, დიდებულო ჩემო სა-
ყვარელო, ნუ გაიმეტებ სასიკვდილოდ, მაჩუქე ქაი-
ხოსროს სიცოცხლე.

მეფე. ქაიხოსროს სახელის ხსენება ჩემში მხოლოდ ბრაზს
იწვევს, ვაპატივო?! არა, არ შემიძლიან, ვერ ვაპა-
ტივებ!

მარიანე (უურს არ უგდებს). სასიკვდილოდ ნუ გასწირავ! გა-
მოუშვი! შინ მივა, მშობელთან, და თავისი მარინე
კი შინ არ დახვდება!.. უინს მოიკლავ და გამისტუმ-
რებ... მეც იქ მივალ, ჩემთვის უკვე უცხო სახლში.
მუხლებში ჩაუუვარდები, ფეხებზე მოვეხვევი! ქაიხოს-
რო, ჩემო ძმაო-მეთქი, ვეტყვი, მეულლე კი არა, ჩემო
ძმაო... ქაიხოსრო მეფის საყვარელს ცოლად არ ინ-
დომებს... მიყვარდი და სიკვდილს გადაგარჩინე! ან
სიყვარული, ან სიცოცხლე, აირჩიეო ბედმა მიბრძა-

ნა, და მე სიცოცხლე ვირჩიე, შენი სიცოცხლე სამშობლოსათვის. იქნება შევცდი, მაგრამ ეგ ღმერთმან მკითხოს. მე ჩემნი დღენი დავლიე, და შენ კი დიდი ხნის სიცოცხლე მოგელის და ბეღნიერება... და სხვასთან სიყვარული!..

მეფე (ჩაფიქრებული, ალერსით). რას ამბობ, მარინე, რას?

მარინე (დაჩოქილი, თითქო ბჟდავს). ჩემო მეუღლევ, შენთან მოვედი... შენდობისათვის კი არა... არა! სიკვდილისათვის! ტკბილად მინდა მოვკვდე... შენი ხელით, ჩემო ღმერთო და სალოცავო!.. და მომკლავს კიდეც... უარს არ მეტყვის... მერმე (ფრნებით) იქნება შემიბრალოს, თვალი დამიხუჭოს და მომაკვდავს ჯერ თბილ ტუჩს დაეწებოს!..

მეფე (მოუთმენლად). რა ვქნა, რას ბოდავ, მარინე!

მარინე (შემკრთალი). სადა ვარ, ღმერთო, სადა? (გაჟივით აბრიალებს თვედებს, ნელ-ნელა გრძებაზე მოვა) წყეულიმც იყავ! არა, არა, არა! (მუდარით) სათხოვნელად გიახელ! (უალერსებს ტირილით) ღალატისათვის კი არა ჰკლავ ქაიხოსროს! შეურაცხყოფა ვერ გიპატივებია! გვაპატიე მეფეო! უკვე დასჯილნი ვართ! ქაიხოსროს ქუდი მოხადეს, ქაიხოსროს ლაფი დაასხეს, ქაიხოსროს ლალატი შესწამეს და ახლა მოკვლას უპირებენ! მშობელი დედა არ დაინდეს... იქნება მოკვდა კიდეც... ცოლი! მოსტაცეს და მეფის ხასათ გახადეს!! (მეფე შეკრთება და თავს არადებს) აპატივე, მეფეო! (ძალით მთაბრუნებს თავისკენ) მე კი ნუ დამინდობ! აპა, მთლად შენი ვარ! მე გულს ვუბრძანე, მარტო შენთვის ძერდეს, ქაიხოსროსი დღეის იქით ხსოვნაც არ დარჩეს! ოლონდ, აპატივე, სიცოცხლე დაუბრუნე! (კალერსება. შარცება ფანჯრებიდგან რიგრაფის მერთადი სინათლე შემო-

დის. ბუხარში ცეცხლი ნელ-ნელა იფერფლება. სცენის გარედ ხმაურობა, მეფე და მარინე უურს მიუგდებენ! ხმაურობა ახლოვდება, არეულ ხმებში ისმის: „ქაიხოს-როჭთვის სიკედილი მიუსაჯავთ! ქვეენის დამდუშველი! თვით კათალიკზმა გაამტკიცნა!“ ხმაურობა ძლიერდება).

მარინე (მრისსანედ). მეფის დიდება—შენდობა არის!! (მეფე არ იძერის, მარინე მეფის ხანჭალს აიტაცებს და თავის მოკელას აპირებს) მეც შენთანა ვარ, ქაიხოსრო!

მეფე. შედეგ, მარინე, რას შვრები! (ფიქრით) შენდობა არის მეფის დიდება... მოითმინე, ქალო! მეც შევუნდობ... სიყვარული მიბრძანებს (ხელს იტაცებს გულზედ) შეჩერდი, გულო, გესლიანო... (მარინე კარგბისაკენ მირბის) მარინე, ვთქვი და დავაბრუნებ! (ხმაურობა მიჩუმდება. მარინე შეჩერდება. მეფე მარცხნივ კარისკენ მიდის) ომან, ომან! შეაჩერეთ! (ჰასუები არ ისმის. ხანგრძლივი სიჩუმე). მეფე და მარინე უურდებენ. არვინ შემოდის. მეფე გაჯავრებული შეშტრ დაჭკრავს ზარსა. მარინე შეკრთება. ისმის ხმაურობა. ომანი მარცხენა კარით შემოვა გაუვითლებული) თავი შემაზიზლე, ომან! შეაჩერეთ, მე ვბრძანებ, შეაჩერეთ ქაიხოსროს დასჯა!

ომან. გვიანლა გახლავთ ხელმწიფეო... ქაიხოსრო კლდილამ კიდეც გადაჩეხეს... (ხმაურობა ახლოვდება).

მეფე (სახეზედ ხელებს მითვარებს). ომან! როგორ დააჩქარე ქაიხოსროს სიკვდილით დასჯა!! არავინ, არავინ არ მითხრა პატივება, გაიოზმაც კი არ ისურვა!!

მარინე (თითქთ გამოფენზღვდა). გვიანლაა... გვიან... (მიგარდება ომანს, მეფის ხანჭალს ცულში ჩასცემს, და გაიძლევა ბუხრისკენ კივილით, კანკალებს, ჰირზედ ხელე-

ბი აფარია, მოხრილი დგას მაურებელთაკენ ზურგ შე-
ქცეული).

ომან. ოოპ! წყეულო, უნამუსოვ! (მარინესკენ მიიწევს,
სანჯლის ამოდებას ცდილობს, მაგრამ დონე-მისდილი
მუხლებზედ დაშვება) წავაგეთ, მეფეო, ორივემ წა-
ვაგეთ (კგდება).

მეფე. მოპკლეს! აქეთ მომხედეთ, ვინა ხართ! შემოიხე-
დეთ. (შემოცვიდინ ამაღა, დარაჯნი. ნელ-ნელ შემოდის
ფანჯრებიდან სინათლე, მეტადრე იმ ფანჯრიდგან სადაც
ტახტი სდგას. სცენის გარეთ ხმები: „ქაიხსროს
მკედეჭნი, მოგვეცით, ქაიხსროს მტრები!“ გათავა
სწრაფათ შემოდის, დადგება ბუსართახ, რომლის მისუს-
ტებული, ჩაფერფლილი სინათლე ვეღარ ეძრძვის რიგ-
რაჟს).

მარინე (შეშლილი, მეფის ძახილზედ, წელში გაიმართება
ნელ-ნელა, მეფეს მიუბრუნდება, ხელებს გაუშერდობს და
მეფისგენ მიიწევს თვალებ გაბრწყინვებული, ბედნიერი
სახით. სცენის გარეთ ხმები: „ომანმა უდალატა, ომან-
მა!“) მოახლოვდა განთიადი... ჩემო ქაიხსრო! ჩე-
მო ანგელოზო... მეგობარო, წავიდეთ... წავიდეთ!...

მეფე (შეშინებული მოერიდება). შეაჩერეთ! შეიკავეთ! ღმერ-
თო, შენ დამიტარე! მეშინია! (მარინე შემგრთალი
შედგება. ფანჯრიდგან მზის სხივი შემოვარდება და ეფი-
ნება ტახტს, რომლის წინ მეფე სდგას. სცენის გარეთ
ხმები: „მოდალატენი მოგვეცით, ქვეუნის დამღუბელნი!
ქვეუნის გამუიდანი!“ სმაურობა თან-და-თან ძლიერდება
სცენის გათავებამდე).

გაიოზ. შეჩერება ყოვლად შეუძლებელია! ხმა ერისა. ხმა
ღვთისაა და აი კიდევაც გესმის ეს ხმა. მზის სხი-
ვებმა უკვე შემოანათა და ქვეყნის მფლობელის
გულს გაპიობს, და დაშლის ერის კვნესა და ვაება აუშ-

ფოთებს მეფეს სულია, სისხლის ცრემლს დააღვრე-
ვინებს. გაიგებს მეფე ჩვენს სანატრელ გზას, შეითვი-
სებს, დაადგება და აღსდგება სამშობლო... გეგე-
ბები, განთიადო, გეგებები...

(ფარლა ჩამოჟვება).

თ. იგ. აფხაზი

გეღნიერებისაკენ!...

მფ. ნაჟიგანისა

„ბეღნიერებისაკენ!..“ ეწერა სხვილი, შავი ასოებით წითელს აფიშაზე, რომელიც საჯაროდ იყო სვეტზე გაკრული. „ბეღნიერებისაკენ!..“ ჰყვიროდნენ სახლების კედლები; „ბეღნიერებისაკენ!..“ გაიძახოდნენ შენობების ზღუდე-მესრები, რომლებიც ოთხ-კუთხ განცხადების ფურცლებით იყვნენ მთლად აჭრელებულნი. „ბეღნიერებისაკენ!..“ „ბეღნიერებისაკენ!..“ გაპკიოდნენ წკრიალა ხმით ღატაკად ჩატარა ბიჭები. ფურცლებით ქუჩებს ავსებდნენ და ურიგებდნენ უველა გამვლელ-გამომვლელს წითელს განცხადებებს კონფერენციისას, რომელიც ქალაქის ერთ გაუქმებულ საყდარში უნდა მოეხდინა იმ საღამოს ცნობილს მოაზრე-პროტესტანტს, —ახალის, უკეთეს ცხოვრების მოკიქულსა... გატაცებით უსმენდა ხალხი პატარა ბიჭების წკრიალა ხმას; დიდ ხანსა ჩერდებოდა და წითელს აფიშებს გაშტერებით აკვირდებოდა, თითქოს ეგ არის ამ მოლაპარაკე ასოებზე დასძინებიათო ზედა. ხალხის გული რაღაცა მშფოთარე, წარმტაცს ოცნებას გაეტაცა. ცხოვრების გვალვისაგან თითქმის დამჭკნარი იმედები ხელახლად უვავილდებოდნენ... თითქოს ეგ არის მომხიბლავი რამ სანახაობა გადიშალაო ერთბაშად მჭმუნვარე, უნაყოფო უდაბნოზე, ისე გაისმა ხმა შორს — „ბეღნიერებისაკენ!..“

დაჭკრა თუ არა ძველის ტაძრის ძველმავე ზარმა ნელის ხმითა და უცნაურის ნაღვლიან სევდით რვა საათი, ხალხი მაშინვე წამოიშალა. ქალაქის უველა კუთხიდან, ბნელ-ჭისახვევ-

მოსახვევიდგანა და ვიწრო ქუჩებიდგან ყველა მაშინვე დანიშნულ ადგილისაკენ გაეშურა, სადაც მას ბედნიერების ამბავი უნდა მოესმინა... მიღიოდნენ მოხუცებულნი და ყმაწვილნი, ქალი და კაცი, მიღიოდნენ პატარა ბიჭებიც კი; მიღიოდნენ მდიდარნი და ლარიბნი, კეთილნი და ბოროტნი; მაგრამ ყველაზე მეტის სისწრაფით მიღიოდნენ დახეულ-დაბრანძულნი, ჭუჭყიანები, რომელთა ტანთსამოსი და ტლანქი, დაუეუილი ხელებიც უეჭველად გაჭირვებასა და შრომას ჰმოწმობდნენ. სახეზე მრავლად ნაოჭები შეჰკვროდათ,—ნიშანი მუდმივ ზრუნვისა. ყველანი ერთნაირად ეჩქარებოდნენ, ერთი-მეორეს უსწრებდნენ, თითქოს ეშინოდათ, მიმლოდინე ბედნიერება არ გაჰპარვოდათ... მეც საერთო მოძრაობამ გამიტაცა, ნაბიჯს ვუმატე...

ძველს საყდარში, სადაც აბობოქრებული ხალხის ხმა და ფეხის შრიალი გაისმოდა ქვა-ფენილზე, ყველაფერი განათებული იყო, ჰაერი თბილი, მშრალი: სიცივისაგან დამზრალთა და დასველებულთ როგორლაც იმედები მიეცათ, გამოცოცხლდნენ, ჩარიგებულსკამებზე დასხდნენ და მოუთმენლად დაუწყეს ლოდინი იმ წამს, როდესაც ბედნიერებაზე საუბარი დაიწყებოდა. ხალხის გარშემო მალლა, სიბნელეში, მძიმედ ამართულიყვნენ ქვის კედლები, რომელთაც ბევრი, მეტად ბევრი რამ გაეგონათ! ბევრჯერ გაეგონათ ბედნიერებაზე ლოცვაც; ამიტომ ახლა გულცივად გადმოჰყურებდნენ ამ აღელვებულს ხალხს. მაგრამ ხალხი ამ მატს მკაცრსა და თითქოს მკიცხავს დუმილს არავითარს ყურადღებას არ აქცევდა.

მაგრამ აგერ, მათ წინ კათედრაზე, სადაც ძველად საკურთხეველი იდგა, უცებ სინათლემ გაიღლვა; წინა სკამებზე ტაშმა დაიგრიალა. კათედრაზე გამხდარ-გამხდარი, მაღალი ტანისა და სათნო შეხედულობის მოხუცი ავიდა.

ხმაურობა ერთბაშად შესწყდა. გამეფდა მყუდროება, რომელიც მალე მოხუცის ტკბილმა, სასიამოვნო ხმამ დაარღვია: — მეუბრებო...

გულმა ყველას უფრო მხურვალედა და უფრო მეტის ძალით დაუწყო ძერა... ყველა ცეცხლებრ აელვარებულ თვა-

ლებით იმაგრებდა სუნთქვასა, —ზოგნი მხურვალე რწმენით, ზოგნიც იჭვნეულობის სიფრთხილით თვითოვეულს სიტყვას ხარბათ ისმენდნენ. წმინდა სამღურავითა და სუბუქ საყვედლურით აღსავსე მოხუცის სიტყვები დაჭქროდნენ ჰაერში, მომაკვდავ გულთა სასჯელისაგან განმწმედელ ისრებივით; ხან-კი, უზომო სიყვარულით გამსჭვალულნი, წყნარ და მშვიდ ანგელოზებივით ეხეთქებოდნენ თოვლივით სპეტაკის ფრებით დიდებულს სიჩუმეში ძველის ტაძრის თაღებსა და სიმართლის მწყურვალე ხალხის გულს სწვავდნენ, ნათელს აშუქებდნენ... მეც, უცხო ქვეყნელს, უზომოდა მიზიდავდა გულს მიგმირავდა სიყვარულით აღზნებულ გულიდგან ამონახეთქი სიტყვები. მაზიდავდა და მხიბლავდა ხალხის თავზე მზეებრ მოკაშკაშე მოხუცის თავისუფალი, ამაყი სიტყვები.

მოხუცი უკვდავი მიწის საკვირველს მშვენიერებასა და დედამიწის ულეველ სიმდიდრეზე ლაპარაკობდა. ცხოვრების მომღურავმა და სამართლიანობის დავიწყებისათვის აღელვებულმა, ბოლოს მოურიდებლად აპხადა ფარდა მომავილსა. —ხალხი შეძრწუნდა... — აი, აი, ის, ბელნიერება!.. იგი თქვენია!.. მხოლოდ გაბედულება იქონიეთ, გაბედულება, რომ ხელი გაუწიოდოთ!..

ცეცხლებრ მგზნებარე სიტყვებით უხატავდა ამ მომავლის სხვა-და-სხვა ნაირს სურათს. აი, აი, ის!

ხალხი თითქოს უკვე მისწვდა საფუძველს ამ ბელნიერწბისას, წვალობდა, იტანჯებოდა. უაზროდ ჰსურვობდა, უაზროდ ჯავრობდა და არ იცოდა, როგორ უნდა შესულიყო ამ სამოთხეში....

— აი, აი, ის!.. ნაღვლიანად შესძახა მოხუცმა და ხალხს ხელები გაუწოდა. — წაილეთ იგი.

მოხუცის ამ სიტყვებში იმდენი ძალა და იმდენი რწმენა იყო, რომ ყველა იქ მყოფი დარწმუნდა თითქმის, აი, აი, ბელნიერებას ამავ წუთს მოვეწევიო... და თავისი წინასწარმეტყველი მქუხარე ტაშით დააჯილდოვა. მაგრამ არ გასულა სულერთი წამი, რომ ხალხის რწმენამ ისევე დაიწყო ქრიბა და მომხიბვლელ ქვეყნისაკენ. მიმაკვალი გზა ისევე დაიკარგა.

— რა უნდა ვქმნათ ამისთვის? — მოისმა ჭაბუკის ხმა, რომელმაც ტაძარში გამეფებული მყუდროება უცბად და-არღვია. — სადაა გზა?..

აღძრულს კითხვას ათასი სხვა ხმა გამოეხმაურა და ტა-შის ერთბაშვილი გრიგორი საგანგებოდ გამოაშეარვა ეს მდუმარე, ნაღვლიანი ყვირილი, რომელიც შველას ითხოვდა. — ყველა პასუხს თხოულობდა: სადაა გზა?..

და ისევ გაისმა ამ ძალ-დატანებით გამეფებულ მყუდ-როებაში წყნარი, გულში ჩამწვდომი მოხუცის ხმა:

— გზა?.. სთქვა მოხუცმა. — ილაპარაკეთ, იყვირეთ უსა-მართლოებაზე, ითხოვეთ სამართალი, სიმართლის ცეცხლით აღიგზენით გონება და სული! ჩვენი აზრია ხალხს ტანჯვა-წვალე-ბა დავავიწყოთ; შევასრულოთ ეს, რომ მათი ხარხარი ცრემ-ლებს არ იწვევდეს... თუ რომა ვხედავთ ამ გზის მიზანსა, მეტა რა გვინდა? მაშ, გავეშუროთ!..

ვგრძნობდი, როგორ ჩამოწვა ხალხის გულში უქმაყოფი-ლების ღრუბლები... .

— მაშ, ფორმულა, ფორმულა მოგვეცით, — გამოჰდა ელ-გასავით ამ ღრუბლებიდგან მჭექარე ხმა.

— ფორმულა, ფორმულა!.. ისმოდა ხმა, რომელსაც ახ-ლა გაბოროტება ეტყობოდა. ბედნიერებას თვალით ჰედავენ და ის-კი ხელიდგან უპირებთ გასხლტომასა.

— აღიგზენით გული, იყვირეთ — ეს ასე, ის ისე!.. ისრო-და ჩემი უცნობი ყმაწვილი კაცი შემაწუხებელს სიტყვებს. — მაგრამ შეიძლება ამას მთელი საუკუნე მოუნდეს, ჩვენ-კი და-ვილალენით... გვითხარით, რა უნდა ვქმნათ, რომ ბედნიერე-ბას ახლავე მივაღწიოთ? არ შეგვიძლიან ვიცადოთ! გაიგეთ? არ შეგვიძლიან!..

— იბრძოლეთ!.. შიუგო მოხუცმა.

გულზედ ნაწოლი ღრუბლები უარესად ბნელდებოდნენ... შშვენიერს სანახაობას ბინდმა დაჰკრა, დაიმალა; აცივდა, იქაუ-რობა სევდამ მოიცვა... .

შეც სიცივემ შემიპყრო, მწუხარედ ავმართე თვალები და უცებ ტაძრის ბნელა კუთხეში, მაღლა, დიდი, ძველი ჯვარ-

ცმა დავინახე; ჩემი დაბნეული აზრი ხალხთა ბედნიერებისათვის ღიღებულს ვნებულზე შესდგა.

ეს რა არის? — ეკლის გვირგვინით შემკულმა თავი მაღლა ჰიწია; მისი დაშრეტილი თვალები უცბად განათლდნენ... და ფიქრში წასულმა, გაშტერებულმა გავიგონე მომხიბლავი ხმა: — ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოსთ თქვენ... სასუფეველი ღმრთისა თქვენ შორის არს, გარეშე თქვენსა ნუ ჰხედავთ მასა: იგი თქვენს გულშია. გიყვარდეთ მოყვასნი თქვენნი, ვითარცა თავი თვისი, და ნუ მოინდომებთ მათთვის ნურასფერს, რაც თვით არა გინდათ თავისთვის...

ეძიებდით სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი.... გესმით? ყოველი!.. ყოველი!.. შეგეძინოსთ თქვენ... თქვენ-კი ამდენს ხანს ეძიებთ „სულ სხვას“. და იცოდეთ ვერასფერსაც ვერ იპოვით!..

თავზარ-დაცემულმა აქეთ-იქით მიმოვიხედვე... ყველა ნაღვლიანად გამოიყურებოდა...

— ძმებო! უსმინეთ მას!.. შევყვირე მე, წამოვატი და ხელი ჯეარცმისაკენ გავიშვირე, მაგრამ ეკლით მოსილი თავი ისევ ისე უსიკუხლოდ, ისევე გასისხლიანებულს მკერდზე იყო გადმოკიდული. მან ყოველივე სთქვა..

ყველამ თვალები მომაპყრა...

— რას?.. რას ლაპარაკობს? — მომესმა ყველა მხრიდგან გაბრძოტებული ხმა. — ფორმულა, ფორმულა მოგვეცით!.. ჩქარა, — დროა ძილისა, — ხვალ სამუშევარზე უნდა წავიდეთ... ფორმულა!..

— დიდი ხანია იგი თქვენ ხელთაა! — დავიყვირე მე.

— რომელი? არ ვიცით... დაგვავიწყდა... ფორმულა!.. ჩქარა, — დასაძინებლად მივდივართ?.. და თავთავის ადგილი დგან რიგ-რიგად წამოშალნენ.

ორი საათი ლაპარაკობდა ხალხი ცხოვრებასა, სიმართლესა და ბედნიერებაზე, მაგრამ ღვთის სახელი-კი ერთხელაც არ წარმოაუთქვამთ; — მათ უნდოდათ მოეგვარებინათ თავისი

ბედნიერება ულვთოთ, მაგრამ რაკი მინდოდა არ დავრჩენილიყავ გაუგებარი, ვერიდებოდი გამემეორებინა ის, რაც ჯვარ-ცმიდგან მითხრა ხმამ.

— ბედნიერებას გარეშე თქვენსა ნუ ჰქედავთ,—გავიმეორე მე,—ეძიეთ იგი თქვენს შორის. ეცადოს თვითოული თქვენგანი სასურველ იდეალის მიღწევასა და ბედნიერება მაშინ თქვენ ხელთ იქმნება... მაგრამ, ყველაზე უწინარეს დაწყება საჭმეს თქვენიდგან უნდა, ყველა უნდა სცდილობდეს თავისი თავი მოამზადოს...

— ფორმულა!.. ფორმულა!..

— მოექეცით ყველას განურჩეველად; მოექეცით ისე, როგორც თქვენ თვითონა გსურთ, რომ მოგექცნენ...

და იმ წამიდგან, რა წამსაც ასრე დაიწყებთ ცხოვრებას, ბედნიერება თქვენ ხელთ იქნება! — ჩემ პასუხად მხოლოდ შემაშფოთებელი დუმილი იყო გამეფებული... ჩაფიქრიან ებულთ, თითქოს შერცხვენილთ, ხმის ამოულებლივ გასწიეს კარებისაკენ; ის, რაც მე ვსთქვი, სულ ძველი იყო. მაგრამ იყო უბრალო, გასაგები, ადვილად მისაღები... ყველამ ისევ ღამის ცივს სიბნელეს მისცა თავი. დაბლად ჩამოწლილ შავ ციდან სასოწარკვეთილების ცრემლებივით სხვილ-სხვილი ცვარები ცვიდა... აღგილ-აღგილ, მკრთალი სინათლის გამომცემი ფარანი სუსტად აბნევდა შუქსა... მოსჩანდნენ წითელი აფიშები, რომლებიც ხალხს იწვევდნენ ბედნიერებისაკენ; — ახლა ისინი წვიმისაგან იხაზებოდნენ, ნელ-ნელა იცრიცებოდნენ და უსახოდ დაცრეცილნი ნახევებათ კედლიდან ძირსა სცვიოდნენ... მისცურავდენ ძირს, ტალახში, ფეხთ ქვეშ გასათელადა...

ხეორისპირელი.

უსინათლო მემუსიქე

გლად. ქოროლენჯიაი

(ეტიუდი)

თავი მეზოთე.

I.

ასე განვლო. კიდევ რამდენმამე წელმა.

პოპელსკების მშვიდობიანს ოჯახში არა გამოცვლილა-
რა. ბაღში წიფლები წინანდებურადვე შრიალებდნენ, მხოლოდ
ფოთოლი გაუშავდათ თითქოს და უფრო მეტად დაიბურნენ;
წინანდებურადვე მოსჩანდნენ თებრი, ალერსიანი კედლები,
მხოლოდ ცოტათი გაბრუნდებულიყვნენ და ძირს დაეწიათ;
თითქოს წინანდებურადვე მოქუშულიყვნენ ჩალით დახურული
საოჯახო ნაშენობები და იოხიმეს სალამურიც კი თითქმის
ისევე იმ დროს ისმოდა ხოლმე საჯინიბოდგან. იმ განსხვავე-
ბით მხოლოდ, რომ იოხიმე ახლა უკვე ჭალარა, უცოლოდ
დაბერებული მეჯინიბე იყო და ამჯობინებდა სტვირსა ანუ
ფორტოპიანოზე უსინათლო პანიჩის დაკვრისათვის დაეგდო
ყური, ვიდრე თვითონ დაეკრა.

მაქსიმსაც უფრო მეტად მოერია ჭალარა. პოპელსკებს
სხვა ბავშვი აღარ მისცემიათ; ამიტომაც მთელი ოჯახობა ისე-
გუ უსინათლო ჭირმშოს ევლებოდა თავსა. შის გამო მთელი
ოჯახი კარ-ჩაკეტილადა სცხოვრობდა თავისთვის მყუდროდ,

რომელსაც მეზობლად ასრევე მყუდროდ მცხოვრები პოსტ-
სორის ოჯახი და „ქოხი“ ედგა მხოლოდ. ამ რიგად სათუთად
ნაზარდ ყვავილივით გაატარა პეტრემ თვისი ბავშვობა და ისე
დაჭაბუკდა, რომ შორეულ ცხოვრების არც ერთი მკაცრი გავ-
ლენა არ მიჰყარებია.

როგორც წინადაც, იგი უშველებელ, ბნელით მოცულ
ქვეყნიერების შუა გულ იდგა; მის მაღლა, გარშემო, ყველ-
გან წყვდიადი იყო უსაზღვროდ გამეფებული; მგრძნობიარე,
ნაზი არსება მისი მაგრა დაჭიმულ სიმივით ყოველ-გვარს
შთაბეჭდილებას სისწრაფით ეგებებოდა და მზად იყო მაშინვე
საპასუხოდ აფლერებულიყო. შესამჩნევად ეტყობოდა უსინა-
თლოს სულიერს განწყობილებას ეს ფხიზელი მოლოდინი:
ჰერიკებდა მუდამ, რომ საცაა, თავისს უხილავს ხელებს მისკენ
გააწვდიდა ეს წყვდიადი და რაღასაც ისეთს შეახებდა, რაც ჯერ
ისევა სთვლემდა მისს სულში, მაგრამ ელოდდა გაღვიძებასა.

მაგრამ ნაცნობი, კეთილი და მოსაწყენი წყვდიადი კარ-
მიდამოსი მხოლოდ ძველი ბაღის პირითი ეალერსებოდა ხოლმე
ჩურჩულით, თან რაღაც გაურკვეველს, ნანასავით დამაძინე-
ბელს, დამამშვიდებელს ფიქრს ჩასძახოდა. შორეული ქვეყნიე-
რება თვისის მძაფრად მღელვარე ნაკადულებით თავს არ ეს-
ხმოდა. მათი ვინაობა და ბუნება მხოლოდ სიმღერებიდანაც და
ისტორიიდგანა პქონდა უსინათლოს გაცნობილი. შორეულ
ცხოვრების ღელვა-ქარიშხალს მხოლოდ მოთხრობებიდგან
ივებდა ხოლმე თავისს მყუდრო ოჯახში, ძველი ბაღის ჩა-
მაფიქრებელ ჩურჩულს შუა. და ყოველივე ეს რაღაცა მომ-
ხიბლველ ბურუსათ, სიმღერათ, რაღაც ძველ თქმულებათა
და ზღაპრათ ეხატებოდა. თითქოს ყველაფერი კარგად იყო. ჰე-
ლავდა დედა, რომ მისი შვილის სული რაღაცა ხელოვნურსა და
ჯადოქრულს თვლემაში იყო, მაგრამ დამშვიდებული-დაწყა-
რებული, თითქოს გარს გაღავანი არტყია. და არ უნდოდა
დაერღვია ეს მყუდროება, ეშინოდა.

ეველინაც სრულიად შეუმჩნეველად გაივსო და გაიზარ-
და. უცქეროდა ამ ჯადოქრულს მყუდროებას თავისის ნათელი.

თვალებით, რომლებსაც დრო და დრო რაღაცა მიუმხვდარობა ეტყობოდა ხოლმე მომავალის შესახებ, მაგრამ მოუთმენ- რობა-კი არასოდეს. მამამ—პოპელსკიმ—მამულის საქმე ყოველ მხრივ წესიერად მოაწყო, მაგრამ შვილის მომავალი ამ კეთილს კაცს მაინც არასფრით არ აფიქრებდა. მხოლოდ მაქ- სიმს-ლა აწუხებდა ეს მყუდროება, ისიც მხოლოდ როგორც დროებითი, მისს გეგმაში უნებლიერ ჭაიდგანაც ჩარეუ- ლი. საჭიროდ სთვლიდა ბავშვის სული ცოტათიც არის და- წყნარებულიყო, გამაგრებულიყო, რომ შესძლებოდა ცხოვ- რებასთან მწვავად შეხება აეტანა.

იქ-კი, ამ ჯადოქრულ წრისა გარეშე, სიცოცხლე სდულ- და, ჰელენავდა, აბეზარობდა. ბოლოს, როგორც იყო, დადგა ის დროც, როცა ძველმა მასწავლებელმა გადასწყვიტა ამ წრის გარღვევა და ჩაკეტილ კარის გაღება, რომ სუფთა პაერსაც ემუშავა გარედამა.

II

პირველის შემთხვევისათვის მაქსიმა ერთი თავისი ძველი მეგობარი დაიპატიუა, რომელიც პოპელსკებილამ ასე 70 ვერ- სის მოშორებითა სცხავრებდა. მაქსიმი რამდენჯერმე წინადაც უმობრივი მაგისტრისას, მაგრამ იცოდა ამ ფამალ, რომ სტავ- რუჩენკოს ყმაწვილები ჰყვანდნენ სტუმრად; მისწერა და მთლად თავისის სტუმრებით მოიწვია. დაპატიუებას სიამოვნებით შეეგებნენ, რადგან ბებრები დიდი ხნის მეგობრები იყვნენ და ახალგაზდებს კიდევ მაქსიმ იაცენკოს საქმაოდ განთქმული მემამულისა. სტავრუჩენკოს ერთი ვაჟი კიევის უნივერსი- ტახელი ახსოვდათ. სტავრუჩენკოს ერთი ვაჟი კიევის უნივერსი- ტეტის სტუდენტად ითვლებოდა საფილოლოგო ფაკულტეტ- ზედ, რომელიც იმ დროს დიდს მოდაში იყო. მეორე პეტერ- ბურგის კონსერვატორიაში სწავლობდა მუსიკას. ამათთანვე იყო სტუმრათ მოსული ახალგაზდა კადეტი, შვილი მეზობელ მემამულისა.

სტავრუჩენკო მაგარის აგებულების ჭალარა მოხუცი იყო, გრძელის, ყაზახურად დაყენებულ ულვაშებითა და განიერის, ყაზახურისავე შარვლით. წელში მუდამ თამბაქოს ქისასა და ჩიბუხს ატარებდა და ლაპარაკობდა მაღოროსიულად, ასე რომ თავისის მაღოროსიულად ჩატარებით გოგოლისეული ტარას-ბულბასა და მისს „ხლოპცებს“ ძალიან მოგავონებდათ. მაგრამ გოგოლის გმირის რომანტიზმისა ნატამალი-კი არსად-რა მოექცენებოდა სტავრუჩენკოს. პირ-იქით, საუცხოვო, გამოც-დილი მემამულე იყო; მთელს თავისს სიცოცხლეში ბატონ-ყმობისას არაფერს არ აუღელვებია და ახლაც, „ბატონყმობა“ რომ გადავარდა, ახალს გარემოებასაც შესანიშნავად შეეწყო. იცნობდა ხალხს ისრევე, როგორც სუნობდნენ მას საზოგადოდ მემამულები; არც ერთი გლეხი თავისის სოფლისა არ გამო-ჰარებოდა, იცოდა, ვის რამდენი ძროხა ჰყავდა და როგორი, ან ქისაში რა უჭიაოდა გლეხსა და სხ.

სამაგიეროდ, თუ რომ ბულბასავით შვილებს არ ეკრი-ვებოდა, სიტყვით მაინც არას აკლებდნენ ხოლმე ერთმან-ერთსა და საშინელი შეტაკება ჰქონდათ მუდამ, რომელსაც ვერც ადგილი და ვერც დრო ხელს ვერ უშლიდა ხოლმე. შინ, თუ სტუმრად, სულ უპრალოზე ასტებდნენ მამა-შვილნი კამათსა და ჰქონდათ ერთი დაუსრულებელი დავა. უფრო ხშირად კი იმაზე აუტყდებოდათ ხოლმე ლაპარაკი, რომ მოხუცი მამა „იდეალურს პანიჩებს“ დაცინვასა და გამოჯავრებას დაუწყებდა ხოლმე. შეფუცხუნდებოდნენ პანიჩები, მოხუციც შეხურდე-ბოდა და შეუდგებოდათ წარმოუდგენელი ყაყანი, რომლის დროსაც გულს არავის არ აკლდებოდა, ყველას ჰქვდებოდა.

ეს ოყო სურათი „მამათა“ და „შვილთა“ განსხვავებისა. სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, საღაც მეტად რბილი ზნე-ჩვეუ-ლება აქვთ, ოჯახობაში, რასაკვირველია, ეს გარემოება სულ შეუნიშვნელი იქნებოდა. სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდობა სოფელს მაღლოდ ზაფხულობითა ჰქედავდა და ამიტომაც, რა-საკვირველია, ისეთი ნამდვილი ცნობა არ ექმნებოდათ ხალ-ხისა, როგორც მათს მემამულე მშობლებსა. საზოგადოებაში

რომ „ხალხმოყვარეობის“ (ჩვენებურად „ტეტიათა ტრფობა“) ტალღა დაიძრა, ახალგაზრდებს ამ ტალღამ გიმნაზიის მაღალს კლასებში მოასწრო და ამათაც დაიწყეს ხალხის შესწავლა წიგნებიდან. მეორე ნაბიჯი კიდევ ის თუ, რომ ხალხის სულისა და გულის უკეთ გასაცნობად მისს ნაწარმოებთა და გონების ნამოქმედარის შესწავლას შეუდგნენ. მალოროსიულად „სვიტკებითა“ და განიერ შარვლებით პანიჩების სიარული ხალხში მეტად გავრცელებული იყო მთელს სამხრეთ-დასავლეთ მხარე-ში. ეკონომიურ ვითარებათა შესწავლას-კი საიმისო ყურადღებას არ იქცევდნენ. ჰკრებდნენ ხალხურს სიმღერებსა და ლექსებსა, სწავლობდნენ მათს ზეპირგადმოცემებსა, იკვლევდნენ ისტორიულ ფაქტებსა და ხალხის ხსოვნას ადარებდნენ, —ერთი სიტყვით, გლეხს საერთო —ინტელიგენტურ იდეალიზმის თვალით უყურებდნენ, პოეტურადა ჰყავდათ წარმოდგენილი. ამ რიგად, მოხუცისა და ახალგაზრდების სრულიად ერთი-მეორის წინააღმდეგი შეხედულებანი ერთმანერთს ვერასოდეს ვერ ურიგდებოდნენ, ვერ სთანხმდებოდნენ. თუმცა მოხდებოდა ხოლმე ისეც, რომ ახალგაზრდების მჭევრმეტყველურს სჯაბაასს მოხუცი გატაცებით უგდებდა ხოლმე ყურსა.

— აბა, ერთი ყური უგდე, — ეუბნებოდა სტავრუჩენკო მაქსიმსა და თან მაცლურად მუჯლუგუნს სცემდა, სტუდენტი რომ თვალებ-ანთებული და მთლიად გაშითლებული მჭევრმეტყველობდა. — ისე ლაპარაკობს ეს ძალლის შვილი, გეგონება სწერსო!... მართლაც და მეცნიერი ვინმე ეგონება ადამიანს. აბა, ერთი გვიამბე, შენ ეი, ნასწავლო ჭოგრავ, ჩემმა ნები-პორემ როგორ მოგატყუა, ჰა?...

და მოხუცი შერე ულვაშების გრეხითა და ხარხარით მოუთხრობდა ნამდვილის ხახოლურის იუმორით ამ შემთხვევასა. ახალგაზრდებიც წითლდებოდნენ, მაგრამ თავისს მხრივ არც თვითონ რასმეს აკლებდნენ. — „თუ ამა და ამ სოფლიდამ ნები-პორესა და ხვედექოს არა ვცნობთ, სამაგიეროდ მთელის ხალხის შესწავლას ვსულილობთ; ჩვენ მაღალის აზრითა ვსწავლობთ ხალხს, გვინდა ერთი თვალის გადავლებით მთლიად მისი სული

და გული გაფიცნოთ, თქვენ-კი, დახავსებული ბებრები, თითო თროლა ხეს იქით ტყეს ვერა ჰედავთო“.

მაგრამ შვილების ნასწავლი სიტყვები როდი სწყინდა ხოლმე მოხუცსა.

— ეტყობა, ტყუილად არა სწავლობენ სკოლაშიო, — ამბობდა სტავრუჩენკო. მაგრამ მაინც ჩემი ხველკო ბოჩოლებივით, საითაც უნდა, იქით გიზამთ თავს, აი რა!... მე კი ვერ მომატყუებს, თვით მევე ჩავაბრძანებ იმ გაქნილს ქისაში და ჯიბეში ვუკრავ თავსა. თქვენ-კი ჯერ რე არ შეგშრობით, ისევე სულელები ხართ!

III

ის იყო შესწყდა ერთი ამგვარი კამათი. უფროსები სახლში შევიღნენ. ღია ფანჯრებიდამ-ღა ისმოდა დროგამოშევით, სტავრუჩენკო როგორ მოუთხრობდა გულიანად სხვა და-სხვა სასაკილო ამბებსა და ყურის მგდებლებიც როგორ მხიარულად ხარხარებდნენ.

ახალგაზრდები ბაღში დარჩნენ. სტუდენტმა ქვეშ „სვიტკა“ გაიშალა, ფაფახი უკან მოიგდო და მოურიდებლად ბალახზე წამოწვა, მისი უფროსი ძმა ეველინას გვერდით იჯდა ნაყარ მიწაზედ; კადეტიც იქვე იმაო გვერდით იყო მუნდირში გამოწკეპილი; ცოტა მოშორებით უსინათლო დაჰყრდნობოდა ფანჯარასა და იჯდა თავჩაკიდული: პეტრუსი ახლა შენაწყვეტს კამათს უკვირდებოდა, რომელმაც ღრმად ააღვლვა იგი.

— თქვენ რალასა ჰეთქრობთ პანნა ეველინა, იმაზე, რაც აქ ითქვა, — ჩაეკითხა ახალგაზრდა სტავრუჩენკო თავისს მეზობლად მჯდომს ქალსა. — ვგონებ, თქვენ სულ ხმა არ ამოგი-ღიათ.

— ყველაფერი ეგ კარგია, ე. ი. რაც მამას უთხარით, მაგრამ...

— მაგარი რაღაა?...

ქალმა უცბად არ უპასუხა. სამუშაო მუხლზე დაიდო, ხელი გაუსვ-გამოუსვა და ოდნავ თავდახრილმა ჩაფიქრებით დაუწყო სინჯვა. ძნელი იყო თქმა იმისი, უნდოდა შესაკერად უფრო სხვილი კანვა ამოერჩია და ამასა ფიქრობდა, თუ პასუხს ამზადებდა.

ყმაწვილები-კი მოუთმენელად ელოდნენ პასუხსა: სტუდენტმა ნიდაყვზე წამოიწია და ცნობის-მოყვარეობით დაუწყო ცქერა. მეზობელიც დამშვიდებული აკვირდებოდა გამომცდელის სახით. უსინათლომარი პოზა გამოიცვალა, გასწორდა, თავი წინ წამოხარა, მოლაპარაკეთაკენ იბრუნა პირი.

— მაგრამ, — დაიწყო ჩუმად და ხელს ისევ ნაკერს უვამდა, — ცხოვრებაში, ბატონებო, ყველა კაცს თავისი გზა აქვს.

— ღმერთო! — შესძახა უცბად სტუდენტმა, — რა გონივრებაა! მითხარით, პანოჩა, რამდენის წლისა ხართ?

— ჩვიდმეტისა, — მიუგო ეველინამ უბრალოდ, მაგრამ მაშინვე გულუბრყვილოდ დასძინა ცნობის-მოყვარეობით:

— თქვენ-კი ჰეტიქრობდით, უფრო მეტისა ვიყავ, არა? ყმაწვილებს გაეცინათ.

— ჩემთვის-კი რომ ეკითხა ვისმე, — მიუგო მეზობელმა, — უთუოდ ვიყოყმანებდი და ან ცამეტის წლისათ მიგილებდით, ან ოც-და-სამისათ. ნართლაც-და, ხან სულ ბავშვათ მოსჩანსართ, ხან-კი გონიერ მოსუცისავით მსჯელობთ.

— სერიოზულ საქმეში, გავრილო პეტროვიჩ, სერიოზულად უნდა მსჯელობა, — წარმოსთქვა პატარა დედაკაცმა რწმენის კილოთი და ისევე მუშაობას შეუდგა.

ერთს წამს ყველანი გაჩუმდნენ. უველინას ნემსი ისევე მწყობრად უვლიდა კანვასა, ახალგაზრდები კიდევ გონიერ ქალის პაწია ფიგურას სინჯავდნენ ცნობის-მოყვარეობითა.

IV

მას შემდეგ, რაც პირველად ეველინა პეტრეს შეჭრდა, რასაკვირველია, საკმაოდ გაიზარდა და განვითარდა იგი, მაგრამ სტუდენტის შენიშვნა მისის წლოვანობის შესახებ მაინც მართლი იყო. პირველად მნახველი ამ პატია, გამხდარს ქმნილებას მართლაც ჯერ ისევ გოგონათ მიიღებდა; მაგრამ მისი აუჩქარებელი, ზომიერი მოძრაობა ხშირად დიდის დარბაისლობას უდრიდა. ასეთსავე შთაბეჭდილებას ახდენდა მისი სახეც. ასეთი სახე, ვგონებ, სლავიან ქალებსა აქვთ ხოლმე. სწორე, ლამაზი მოხაზულობა სახისა ცივად ჰქონდა გამონაკვთული, — თვალები მშვიდი, წყნარი, ცის ფერი. გაცრეცილს, მიმკრთალებულს ლოკებს სიწითლე იშვიათად თუ დაპკრავდა ხოლმე, მაგრამ ეს ის ჩვეულებრივი ფერმიხდილობა როდი იყო, მუდამ რო მზადაა მხურვალე ვნების ცეცხლით აენთოს, არა! ეს იყო მხოლოდ თოვლივით თეთრი სისპეტაკე. სწორე, ქერა თმები მარმარილოსავით მიმკრთალებულს საფეთქლებზედ ლდნავად გამოკკრთომოდა და გრძელ ნაწნავათა ჰქონდა უკან ჩამოშვებული, თითქოს სიარულის დროს თავს უკანა ჰქონდა.

უსინათლოც გაიზარდა, დავაუკაცდა. ვინც-კი იმ უამად განაპირებით მჯდომს პეტრუსის დააკვირდებოდა, ცველას უცბად მისი ფერ-მიხდილი, ლამაზი, ძლელვარე თავისებური სახე წარმოუდგებოდა, რომელსაც თვითოვეული სულიერი მოძრაობა ნათლადა ჰქონდა აღბეჭდილი. წინ წამოწეულს, აღრეულად დანაოჭებულს მაღალს შუბლს შავი თმა კოხტად დაპკროდა; წამოუწითლდებოდა სწრაფად სახე და ისევე სწრაფად მიუღმერალდებოდა. ძირს ჩამოწეული ქვედა ჭუჩის ნაპირები ღროვამოშვებით ძლიერად უთამაშებდა და ლამაზი, დიდი, უძრავი თვალები კიდევ ახალგაზრდის სახეს რაღაცა არა ჩვეულებრივს დაღვრემილობას აჩნევდნენ ხოლმე.

— მაშასაღამე, — დაიწყო დაცინვით მცირე სიჩუმის შემდეგ. სტუდენტმა, — პანნა ეველინას აზრით, რაც კი რამ ით-

ქვა, ქალის ჭკუისათვის ყოველივე ეს მიუწდომელია, მისი საქმე მხოლოდ ბავშვები და სამზარეულოა.

ახალგაზრდის ხმას სალაპარაკოდ გამომწვევი დაცინვა ეტ-ყობოდა; რამდენსამე წამს ყველა გაჩუმდა. ქალის სახეს მღელვარება დაეტყო.

— აჩქარებულია ეგ ოქვენი დასკვნა, — უპასუხა ქალმა. — მე ყოველივე მესმის, რაც-კი აქ ითქვა. — მაშასაღამე, ქალის ჭკუისათვისაც მისაწდომი ყოფილა იგი. ნათქვამი მხოლოდ პირადად მე შემეხებოდა. ქალი გაჩუმდა და ისეთის ყურადღებით მიუბრუნდა სამუშაოსა, რომ ველარ გაბედა სტუდენტმა, ეკითხა რამე.

— უცნაურია სწორედ, — ჩაილაპარაკა სტუდენტმა. — გეგონებათ, სიცოცხლე უკვე თვით სამარის კარამლე გაზომილი გქონდეთ.

— რა არის მერე, გავრილ პეტროვაჩ, უცნაური? — მიუგო წყნარად ქალმა. — მგონია, ილია ივანიჩსაც-კი გარკვეული აქვს ცხოვრების გზა და ის ხომ ჩემზედ უმცროსია.

— მართალია, — შეპნიშნა კმაყოფილებით კადეტშა. — დიდი ხანი არ არის №№ ბიოგრაფია წავიკითხევი. იმასაც ნათლად პეტრი გარკვეული გეგმა: ოცი წლისამ ცოლი შეირთო; ოც-და-ხუთისა ცალკე ნაწილსა უფროსობდა.

სტუდენტს გესლიანად ჩაეცინა, ქალი ოდნავ წამოჭითლდა.

— აი, პეტრი, — მიუგო როგორლაც ცივადა და მკაცრად ეველინამ, — ყველას თავისი გზა აქვს.

წინააღმდეგი აღარვების რა უთქვამს. ახალგაზრდებში სერიოზული დუმილი ჩამოვარდა, რომელიც რაღაცა გაუგებარს შიშს აგრძნობინებს ხოლმე აღამიანსა: ყველა მიპევდა ბუნდად, რომ ლაპარაკი პირადს ნიადაგს შეეხო თავაზიანად, რომ ამ უბრალო სიტყვებს საიდგანლაც ფხიზლად დაჭიმულმა სიმბა ხმა გამოსცა... და ამ დუმილში ისმოდა ნათლად მხოლოდ შრიალი შავად დაჩრდილულ, თიღებოს რაღაცით უკმაყოფილო ქველის ბალისა.

V.

ყველა ამ საუბარმა, კამათმა და ახალგაზრდა მისწრაფება-იმედებისა და აზრების ტალღამ ქარიშხალივით მოულონდნელად დაპბერა უსინათლოსა. პირველად აღტაცებულის განცვითრებით უგდებდა ყურსა, მაგრამ მალე შეჰნიშნა, რომ ეს ცოცხალი ტალღა მას გვერდს უქცევდა, არავითარი საქმე უსინათლოსთან არა ჰქონდა. მას სრულიად არ ეკითხებოდნენ, არა სცდილობდნენ გაეგოთ, რა აზრისა იყო; ერთი სიტყვით, აღმოჩნდა მალე, რომ იგი სრულიად განცალკევებული იყო, იმდენად უფრო როგორლაც დაღვრემით განმარტოებული, რამდენადაც ამ ჟამად თვითონ მათი სახლი იყო ახმაურებული, გამოცოცხლებული.

მაინც უგდებდა ყურს ყოველისფერს, რაც-კი მისთვის ასე ახალი იყო და ღრმად ჩამოწეულ წარბებსა და ფერმიხ-დილს სახეზე ეტყობოდა, რომ მთლად ყურადღებად იყო გადაქცეული. მაგრამ მოღრუბლული იყო ეს მისი ყურადღება; მძიმე და მწარე აზრების მუშაობა იყო მასში დაფარული.

მწუხარებით აღსავსე თვალებით შეჰყურებდა დედა შვილსა. ეველინას თვალებიც თანაგრძნობისა და მოუსვენრობის გამომეტყველებად გარდაქმნილიყვნენ. მხოლოდ მაქსიმი არ ატყობდა თითქოს, ეს ახმაურებული საზოგადოება როგორა მოქმედებდა უსინათლოზე და გულითა სთხოვდა სტუმრებს, ხშირ-ხშირადა სწვეოდნენ, თან ჰპირდებოდა ახალგაზრდებს, რომ შემგიდესაოვის დიდ-ძალს საეჭნოვრაფო მასალას დაახვედრებდა.

დაჰპირდნენ სტუმრები, რომ ეწვეოდნენ და წავიდნენ. გამოთხოვებისას ახალგაზრდებმა ჰეტრეს ხელი გულითადად ჩამოართვეს. ისაც ასრევე აჩქარებით არამევდა ხელსა და დიდხანს უგდებდა ყურს, მათი ეტლის თვლების ხრიალი როგორ ისმოდა გზაზედა. მობრუნდა მერმე უეცრადა და ბალისაკენ გასწია.

წავიდნენ სტუმრები და სახლი ისევ დუშილმა მოიცვა, მაგრამ ეს მყუდროება უსინათლოს როგორლაც არა ჩვეულე-

ბრივადა და უცნაურად ეჩვენებოდა. ისმოდა თითქოს ამ მყუდროებაში, რომ რაღაცა მეტად საყურადღებო რამ მოხდა. დადუმებულს ხეივნებში, წიფლებისა და იასამანის შრიალზე წარსულ ლაპარაკის გამოხმობასა ჰგრძნობდა მხოლოდ უსინათლო. ესმოდა აგრეთვე ლია ფანჯრიდამ, დედა მისი და ეველინა მაქსიმს როგორ ეკამათებოდნენ სასტუმრო ოთახში. დედის ხმას ხვეწინა და ტანჯვა ეტყობოდა, ეველინასას—შრისხანება; მაქსიმი-კი, ეტყობოდა, ცხარედა და მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა დედაკაცებსა. მიუახლოვდა თუ არა, ლაპარაკი ნელ-ნელა შესწყდა.

შეგნებითა და დაუნდობელად გაარღვია მაქსიმმა პირველად კედელი, რომელიც აქამდის გარს ერტყა უსინათლოსა. მშფოთარე და მოუსვენარი პირველი ტალღა უკვე მიაწყდა გასატანადა და სულიერი მყუდროება უსინათლოსი უკვე შეაკრთო ამ ნაკრავმა.

ახლა უკვე ვიწროთ ეჩვენებოდა თავისს გარშემო ჯადოქარი წრე. ემბიმებოდა მყუდროება სახლისა და ზარბაცი, ნელი შრიალი ძველის ბალისა, ემბიმებოდა თავისივ სულიერ ძილის სიმშვიდე. სიბნელემ თვისი ახალი მომხიბლველი ხმა მიაწვდინა, შეირყა მის წინ, გაიწ-გამოიწია და მოსაწყენ ამაოებით წასატყუებლად გამოცოცხლდა.

ეძახდა იგი, თავისაკენ იტყუებდა და სულის სილრმეში მთვლემარე მოთხოვნილებათ უღვიძებდა, რომელთაც მისს სახეზე ფერ-მიხდილობათ იჩინეს თავი, ხოლო სულში—ცრუ და ბრუნდოვან ტანჯვათა.

არ გამოეპარათ ეს შეშფოთების ნიშნები დედაკაცებსაც. ჰედავდნენ, რომ მაქსიმიც ატყობდა ამ ნიშნებს, მაგრამ იცოდნენ, ეს მისი გეგმა იყო. დედაც და ეველინაც, ორივენი სასტიკობადა სთვლიდნენ ყოველსავე ამას და უნდოდა კიდეც დედას, რომ ხელი გაღაეხვია და დაეფარა როგორმე შვილი ცხოვრების ამ მშფოთარე ქარიშხლისაგან. „სათბუნებელიო!—მერე, რა არის, თუ მისი შვილი დღემდის თავს კარგადა ჰგრძნობდა ამ სათბუნებელში; დეე, შემდეგშიც ასრე-

ვე რყოს“. ეველინა-კი თითქოს ყველაფერს არ ამბობდა, რაც გულში ედო, მაგრამ ბოლოსა და ბოლო დროს სულ უბრალო წინადაღებაზედაც-კი მკვახედ ეწინააღმდეგებოდა ხოლმე მაქსიმსა.

შეჰქედავდა მოხუცი მაქსიმი წარბებ ქვეშ გამოსაცდელად ქალის მრისხანე, ცეცხლივით აკვესებულს თვალებსა და თავს აქნევდა, რაღასაც ბუტბუტებდა; თან ჩიბუხის წევას უხში-რებდა და მთლად თამბაქოს კვამლში გაეხვეოდა ხოლმე, ნი-შნად იმისა, რომ ფიქრს ძლიერად ამუშავებდა. მაგრამ მტკი-ცედ ადგა თავისს გარიდაწყვეტილებასა და მწარედ დასცინო-და ხოლმე ზოგჯერ ქალის უკუნურს სიყვარულსა და მოკლე ჭკუასა; ამიტომაც არის, რომ წამიერ ტანჯვისა და სიხარულის მეტს დედაკაცი სხვას. ვერასა ჰქედავსო.

— კრუხო! — ეტყოდა ხოლმე ზოგიერთჯერ დასა და თან გაჯავებული ყავარჯნების კაკუნს მოპყვებოდა ოთახში; მაგ-რამ იშვიათადა ჯავრობდა ხოლმე, მომეტებულ ნაწილად-კი დის საბუთებს დაშვიდებული ეწინააღმდეგებოდა, როგორ-დაც შემბრალო კილოთი, მით უფრო, რომ როგორც-კი მა-რტონი დარჩებოდნენ, უთუოდ უთმობდა ხოლმე და ძმასა; მაინც არას უშლიდა ესა, რომ ლაპარაკი მალე ისევ გაეახლებინა. მაგრამ თუ ლაპარაკს ეველინაც დაესწრებოდა, მაშინ-კი ცო-ტა ძნელდებოდა ხოლმე საქმე; ამგვარს შემთხვევაში მოხუცი ისევ გაჩუმებასა რჩეობდა. თითქოს ახალგაზრდა ქალისა და მაქ-სიმს რაღაცა ბრძოლა აქვთ ერთმანერთშიო, ჯერ მხოლოდ მო-წინააღმდეგის შესწავლას სცდილობდნენ ორივენი და გულის ნადებსა და განზრახვას-ჭი ორნივ ჰმალავდნენ.

VI

როდესაც ორის კვირის შემდეგ კვალად ეწვივნენ თა-ვიანთის მამით ახალგაზდები, ეველინა ცივად, თავდაჭერით შეეგება. მაგრამ არ შეეძლო ახალგაზდობის მომხიბლველ სიცოცხლის წინაშე თავი შეემაგრებინა. მთელი დღე სოფელ-

ში დახეტიალებდნენ, ნადირობდნენ, მომკალთა სიმღერებსა სწერდნენ მინდვრად, საღამოზე კიდევ ყველანი ბალში იკრიბებოდნენ სახლის წინ ნაყარ მიწაზედა.

ერთ-ერთს ასეთს საღამოს, ეველინასათვის სრულიად მოულოდნელად, ისევ საჩოთირო საგნებზე ჩამოუვარდათ ლაპარაკი. როგორ მოხდა და ვინ დაიწყო პირველად ლაპარაკი, ვერც ეველინა და ვერც სხვა ამაზედ ვერას იტყოდა. მოხდა ეს ისრევე შეუმჩნეველად, როგორც მზის დასავალი მიმქრალდა შეუმჩნეველადა და საღამოს ბინდი გაიძნა ბალში, როგორც შეუმჩნეველად თვისი საღამოს გალობა გააბა ბულგულმა ბუჩქებში.

ახალგაზრდა ლაპარაკობდა ფიცხად, იმ განსაკუთრებულის ჭაბუკურის ვნებით, რომელიც უცნობს მომავალს სრულიად წინდაუხედავადა და მოუფიქრებლად შეეგებება ხოლმე ამაყად. ამ რწმენასა და ვნებაში რაღაცა განსაკუთრებული მომ-ხიბლველობა, თითქმის უძლეველი რამ ძალა იყო მოწოდებისა...

ვთლოდ აენთო და მიჰხვდა ახალგაზრდა ქალი, რომ ეს მოწოდება, იქნებ სრულიად შეუგნებელადა და უანგარიშოდაც, პირდაპირ მისდამი იყო მიმართული.

დაბლა დაეხარა თავი სამუშაოზე ქალსა და ისე უგდებდა ყურსა. თვალები ცეცხლივით აენთო, სახე წამოუწითლდა, გულმა უხშირა ცემასა... მერე ისევ ჩაუქრა ცეცხლი, სახე გაეცრიცა, ტუჩქები მოეკუმა; გული-კი ისევე ძლიერად უცემდა, შიშმა გადაჰკრა...

შეეშინდა იმისა, რომ ახალგაზრდა სტუდენტის სიტყვებმა თითქოს წინ ამართული ბნელი კედელი გაურღვიეს და ამ ხერელიდგან სიცოცხლით სავსე, ვრცელის, მომქმედ ქვეყნიერების შორეულ სანახაობათ გამოაშუქეს.

დიახ, დიდი-ხანია იწვევს მას ეს ქვეყნიერება. მაგრამ აქამდის იგი ამას არა ჰერძნობდა, თუმცა ბალის განმარტოებულს ხის საჯდომზე ბევრჯელა ყოფილა მთელის საათობით რაღაცა არარსებულის ოცნებით გატაცებული. ოცნება რაღაცა

შორეულს, ნათელს სურათებს უხატავდა ხოლმე, მაგრამ მათ შორის უსინათლოს ადგილი არა ჰქონდა...

ახლა-კი მოუახლოვდა ეს ქვეყნიერება და არამც თუ იტყუებს თავისკენ, რაღაც უფლებასაც-კი აცხადებს მასზედ.

ქალმა პეტრეს გადაჭედა სწრაფად და იგრძნო, რომ გულში რაღამაც უჩხვლიტა. პეტრე დაფიქრებული იჯდა უძრავად; მთელი მისი არსება როგორლაც დამძიმებულად ეჩვენა და შავ მოგონებათ ჩაპრჩა ხსოვნაში. „მას ყოველივე ესმის“, — ელვის სისწრაფით გაუარა ფიქრმა უველინასა და გააცივ-გააურეოლა. სისხლი გულზე მოაწვა და იგრძნო, რომ სახე მთლად გაეცრიცა. წარმოიდგინა უკვე ერთს წამს, ვითომ იგი უკვე იქ, შორს, სიცოცხლითა და მოქმედებით სავსე ქვეყანაშია და პეტრე-კი აქა ზის მარტოდ-მარტო თავზაკიდული; ან, არა-და... იქ, ქედობზე ზის წყლის პირად ეს უსინათლო ბავშვი, რომლის გულისათვისაც იმ დამეს ისე გულითა სტიროდა იგი...

და უცბად ყოველივე ეს საზარლობად ეჩვენა. წარმოუდგა, ვითომ მისს დიდი-ხნის იარას ვიღაცა დანის აჭოლებასა და პირის გახსნის უპირებს...

მოაგონდა მას მაქსიმის დაშტერებით ცქერა. აი, თურმე რასა ჰნიშნავდა იგი! მისი სულიერი განწყობილება მაქსიმა უკეთ იცოდა, მიჰვდა, რომ ბრძოლა და არჩევანი ჯერ კი-დევ შესაძლებელი იყო, რომ თვითონ ეველინასაც არ შეძლო თვისის თავის ნდობა... მაგრამ არა, — სტყუვდება იგი. კარგად იცის ეველინამ, რაც მოიქმედა; შემდეგში-კი ჰნახავს, ცხოვრებას რას გამოჰქება...

და მძიმედ და ღრმად ამოიოხრა, თითქოს სამძიმო მუშაობის შემდეგ სული ძლივს მოიბრუნაო. მერე გარშემო მიმოავლო თვალი, მაგრამ ვერ იტყოდა ვერაფერს, დუმილმა რამდენს ხანს გასტანა, სტუდენტი როდის გაჩუმდა, კიდევ სთქვა რამე, თუ არა... იქით რო მიიხედა, საღაც ერთის წამის წინად პეტრე იჯდა,

ველარა ნახა, წასულიყო.

VII

დაკეცა მაშინვე დამშვიდებულმა თავისი სამუშაო და
ისაკ წამოდგა.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონებო, — მიჰმართა სტუმრებს, —
რომ დროებით მარტოდ გტოვებთ.

და ბნელი ხეივნისაკენ გასწია.

მარტო ეველინასთვის არ იყო ეს საღამო მღელჭარებისა
და შფოთის საგნად. ხეივნის მოსახვევში, ხის საჯდომი რომ
იდგა, ქალს მღელვარე ხმები შემოესმა. მაქსიმი დას ელაპა-
რაკებოდა.

— დიახ, ამ შემთხვევაში ქალზე ნაკლებად არა ვფიქრობ-
დი, ვიდრე ჩვენს ბავშვზედ, — ეუპნებოდა მოხუცი მკაცრად. —
იფიქრე, აბა, ისიც ხომ ჯერ ისევ ბარშვია, ცხოვრების სრუ-
ლიად არ მცოდნე! არა მჯერა, რომ ბავშვის ასეთ უცოდინა-
რობით გდომოდა გესარგებლა...

ანნა მიხაილოვნას პასუხში უკვე ტირილი ისმოდა.

— მერე, რა ვუყოთ, მაქს, რომ... რომ იმანაც... ჩვენს
ბიჭს რა მოუვა მაშინ?

— მოუვიდეს, რაც მოსასვლელია! — უპასუხა ძველმა მეო-
მარმა მტკიცედ და დაღვრემით. — მაშინა ვნახავთ. ყოველს
შემთხვევაში, სხვისა გაუბედურებულ სიცოცხლის შეგნება მას
არ უნდა აწვეს ტვირთადა... და არც ჩვენს სინიღისსა...
იფიქრე აბა, ანნა, — დასძინა უფრო რბილადა.

მოხუცმა დას ხელი გამოართვა და ნაზად აკოცა. ანნა
მიხაილოვნამ თავი დაპხარა.

— საბრალო ჩემი ბიჭი... საბრალო...

ეველინა უფრო მიჰხდა ამ სიტყვებსა, ვიდრე გაიგებდა,
რადგან დედას სულ ჩუმად ამოჳხდა გულიდგინ იგი.

მთლიად აენთო სახე ეველინასა და უნებურად შესდგა
ხეივნის მოსახვევში... რო გამოვა ახლა, ორთავენი დაინახა-
ვენ, რომ მათი საიდუმლო ფიქრი გაუგონია...

მაგრამ რაშდენისამე თვალის დახამხამების შემდეგ თავი ამაყად ასწია მაღლა, სრულიადაც არ სდომებია ეველინას, ყური ვისთვისმე დაეგდო; ყოველს შემთხვევაში ცრუ სირტვილი ვერ შეაყენებს მას ამ გზაზედა. და მასთან მოხუციც ერთობ ბევრსა კისრულობს როგორლაც; მაშინ როდესაც თვითონაც შეუძლიან თვისის სიცოცხლის წარმართვა.

გამოვიდა ხეივნის მოსახვევიდგან და მოლაპარაკეთ გვერდთ გაუარა დამშვიდებულმა, მაღლა თავ-აწეულმა. მაქსიმმა უნებურად ყავარჯენი მოიზიდა, რომ გზა მიეცა, ანნა მიხაილოვნამ კიდევ რაღაცა გამშრალი სიყვარულისა და შიშის გრძნობით გადაჭრედა; თან ეტყობოდა, რომ თითქმის აღმერთებდა ამ ქალსა.

ჰერძნობდა თითქოს დედა, რომ ამ ქერა თმიანმა გოგომ, ასე მრისხანედ რომ გაუარა ამაყად წინა, თან მისი შვილის ბედი და უბედობა გაატარა.

VIII

ბაღში ძველი, თავმინებებული წისქვილი იდგა. თვლები დიდი ხანია აღარ უბრუნავდნენ, მორგვებს ხავსი მოსდებოდა; ძველი ლარები კიდევ წყალს ველარ იჭერდნენ და ადგილ-ადგილ ერთ-თავად წვრილი ნაკადულები ჩამოუჩხრიალებდნენ. ეს იყო უსინათლოს საყვარელი ადგილი. იჯდა ხოლმე აქ მთელი საათობით ტივის მოაჯირზე, ყურს უფდებდა ნაკადულის ჩხრიალსა და შესანიშნავად იცოდა ხოლმე ფორტოპიანოზე ამ ხშის დაკვრა. მაგრამ ახლა ამისთვის არა სცელოდა... დანაღვლიანებული და გულ-გასიებული სწრაფად გადიოდგამოდიოდა ბილიკზედ, შინაგან ტკივილისაგან სახე მთლად დაჰმან ჭვოდა.

მოესმა თუ არა ქალის სუბუქი ფეხის ხმა, უსინათლო შესდგა; მივიდა ეველინა, მხარზე ხელი დაადო და დინჯადა ჰკითხა:

— მთხარი, პეტრე, რა დაგმართვია? აგრე რამ დაგალონა?

მიბრუნდა ისევე უცბად პეტრე და სიარული განაგრძო. ქალიც გვერდით გაჰყა.

მიპევდა ეველინა, რად შემობრუნდა პეტრე ისე უცბადა ან ეს სიჩუმე რასა ჰნიშნავდა და ერთს წამს თავი ჩაპლუნა. სახლიდამ სიმღერა მოისმოდა. მანძილისაგან მორბილებული ნორჩი, მძლავრი ხმა სიყვარულსა და ბედნიერებას უმღერდა და ეს ხმა ლამის მყუდროებაში ბალის ზარმაცეს ჩურჩულს ზთლად ჰფარავდა.

იქ იყენენ ბედნიერები, რომლებიც ნათელსა და ყოველისფრით სრულს სიცოცხლეზედ ლაპარაკობდნენ; რამდენისამე წამის წინად ისიც იმათთან იყო, ამ სიცოცხლეზედ ოცნებობით აღსავსე, მაგრამ უსინათლოს იქ ადგილი არა ჰქონდა. ვერც-კი შეპიშნა ეველინამ, როგორ წამოვიდა იგი, ან რამდენად გრძლად ეჩვენა მას ეს ორიოდე წამი განმარტოებულის მწუხარებისა...

ასე ფიქრობდა თავისთვის ეველინა, ვიდრე პეტრესთან ერთად ხეივანში დადიოდა. არასოდეს ჯერ მასთან ლაპარაკე და მისის სულიერ განწყობილობის გაზიარება ისე ძნელად არ სჩვენებია ეველინას. ჰერძნობდა მაინც იგი, რომ მისი ახლო ყოფნა, ცოტათი მაინც არის, აშელავათებდა ჸავს ფიქრებს უსინათლოსას.

მართლაც ნაბიჯს უკლო, სახე დაუმშვიდდა პეტრესა. გვერდით ეველინას ფეხის ხმას ჰერძნობდა და ცოტა-ცოტაობით მწვავე სულიერი ტკივილი უცხრებოდა, ადგილს ახლა სულ სხვა რამ გრძნობას უთმობდა. მართალია თავისს თავს ანგარიშს არ აძლევდა, რასა ჰერძნობდა, მაგრამ ემცნობოდა-კი ეს გრძნობა და მისს კეთილს გავლენის სულ ადვილად ემორჩილებოდა.

— რა დაგემართა? — გაუმეორა კითხვა ეველინამა.

— საიმისო არაფერი, — მიუგო მწუხარედ, — მგონია, ვითომ სულ მეტი ვიყო ამ ქვეყანაზედ.

სახლის გვერდით ერთ ხანძღვ სიმღერა მისწყდა და მცირე ხნის. შემდგომ ახლა სხვა გაისხა. ოდნავ ისმოდა იგი; ახალ-

კაზრდა ყმაწვილი ძველებურს „დუმკას“ მღეროდა და მეფან-დურეთა კილოს ჰაბაგვდა. ხან-და-ხან ხმა თითქმის მთლად მის-წყდებოდა, ერთს წამს დუმილი ჩამოვარდებოდა, ოცნებას რაღაც ბინდით მოცული ფიქრი გაიტაცებდა, მერე-კი ფოთ-ლების შრიალში ისევ გაისმოდა ხოლმე ეს წყნარი მელოდია...

უნებურად შესდგა პეტრე, ყური მიუგდო.

— იცი, ჭრა არის, — დაიწყო პეტრემ ნალვლიანად, — მგონია, რომ ხან და ხან მოხუცნი არა სტყუიან, რო ამბობენ, რაც დრო და ხანი გადის, ეს ქვეყანა უფრო და უფრო ფუჭდებათ. ძველს დროში უსინათლონიც-კი უკეთ სცხოვრებდნენ უთუოდ. ფორტოპიანოს მაგივრად ფანდურზე დაკვრას შევისწავლიდი, მაგალითად, მაშინ და ვივლიდი ისე დაბად და ქალაქად... შემოკრბებოდა ჩემს გარშემო ბრბო ხალხისა და მეც მამა-პაპის საგმირო საქმეებსა და გამარჯვებაზე კუმღერდი. მაშინ მეც რამე მნიშვნელობა მექმნებოდა ამ ქვეყნად. ახლა-კი? აი, ის კადეტიც-კი, ჭყვირალა ხმა რო აქვს, ისიც-კი, — ხომ გაიგონე? ცოლის შერთვასა და ცალკე ნაწილის უფროსობაზე ლაპარაკობს. მართალია, მასაც დასკინეს, — მაგრამ... მე რომ ესაც არ შემიძლიან, ხელი არ მიმიწვდება.

მთლად დაეზარდა შიშისაგან ლურჯი თვალები ქალსა, ცრემლი ჩაუდგა.

— სტუდენტის სიტყვებზე ამბობ მაგასა, — ჩაელაპარაკა ეველინა მცირედ შემკრთალი და თან სცდილობდა თავის ხმი-სათვის უზრუნველი, ხუმრობის კილო მიეცა.

— დიახ, მიუგო პეტრემ ჩაფიქრებულმა. — მერე, რა სა-უცხოვო რამ არის... ისეთი საამური ხმა აქვს...

— მართალია, კარგია, — დაადასტურა ჩაფიქრებით და თითქმის ნაზადა ეველინამ, მაგრამ უცბად როგორლაც გაჯავ-რებით დაუმატა: — არა, მე სრულიადაც არ მომწონს იგი! შე-ტის-მეტად გულ-დაჯერებულია და ხმაც უსიამოვნო, მკვახე აქვს.

პეტრემ ეს რისხვა განცვითორებით მოისმინა. ქალმა ახლა ფეხიც დაბრახუნა და განაგრძო:

— ყველა ეს სისულელეა! ვიცი, ყველაფერი ეს მაქსიმის მოგონილია. ო, როგორა მძულს ახლა მაქსიმი!

— რათა, ვალია, რას ამბობ? — ჩაეკითხა უსინათლო. მაქსიმი აქ რა შეუშია?

— ო, ისიც ჭკვიან კაცათა სთვლის თავისს თავსა და ამიტომაც მთლად ჩაიხშო ამ ანგარიშებით ყოველივე ნიშნები გულითადობისა... ნუ, ნუ, მეტყვი მათზე ნურასუერს... მერე საიდგან მიითვისეს, ნეტა, უფლება სხვისა ბედის გამგეობისა?

ეველინა აქ უეცრად შესდგა, წვრილი ხელები მაგრა მოისრისა, ასე რომ თითებმა მთლად ტკაცუნი დაუწყო და როგორდაც ბავშვურად დაიწყო ტირილი.

უსინათლომ განცვიფრებულმა მოჰკიდა ხელი თანაგრძნობით. ასრეთი უცები აღვლვება მუდამ თავდაჭერილისა და მშვიდის ეველინასი სრულიად მოულოდნელი და აუხსნელი იყო. და პეტრეც ყურს უგდებდა, ერთის მხრივ, ეველინას ტირილსა და მეორე მხრივ, იმ უცნაურ ხმას, რომელიც ამ ტირილზე მისს საკუთარს გულში იღვიძებდა.

მაგრამ ეველინამ ხელი უცბად გააშვებინა, უსინათლო ისევ განცვიფრებული დარჩა: ქალი ახლა იცინდა.

— არა, რა სულელი ვარ! მერე, რას ვსტირი, ნეტა?

მოიწმინდა თვალები და ახლა აღტაცებულის, კეთილის შმით დაიწყო:

— არა, სიმართლე ყველას სჯობია; ორივენი გულკეთილები და პატიოსნები არიან. და ის, რასაც იგი ახლა ამბობდა, მართლა კარგია. მაგრამ ყველასათვის როდი.

— ყველასათვის, ვისაც-კი შეუძლიან, — მიუგო ყრუდ უსინათლომა.

— აბა, ეგ რა სათქმელია! — მიუგო ქალმა მკაფიოდ, თუმცა მისს ხმაში ლიმილთან ერთად ცრემლები ისევ ისმოდა. — აგერა არ არის, მაქსიმიც იბრძოდა, სანამ შეეძლო, მაგრამ ახლა-კი ისე სცხოვრობს, როგორც შეუძლიან. მაშ, ჩვენც ისრევე...

— ნუ ამბობ: ჩვენცაო! შენი საქმე სულ სხვაა...

— სრულიადაც არა.

— რათა?

— რათა და ისე... ჰო-და ისე, რომ ცოლათ შემირთავ ხომა, მაშინ კი ჩვენი ცხოვრებაც ერთი იქმნება.

უსინათლო გაკვირვებული დარჩა.

— მე?.. ცოლათა?.. ჩემხე სთხოვდები მაში?...

— რასაკვირველია, —უპასუხა ეველინამ აჩქარებულის მღელვარებით.

— რა სულელი ხარ! ნუ-თუ, მაშ, ეს ფიქრად არ მოგ-სვლია? ხომ ასე უბრალო რამ არის! არა, სხვას, აბა, ან-კი ვის შეირთავ, თუ არა მე?

— რასაკვირველია, —დასთანხმდა პეტრე რაღაცა უცნა-ურის თავკერძოობით, მაგრამ მაშინვე მოაგონდა.

— ყური დამიგდე, ვალია, —დაუწყო პეტრემ და ხელი დაუჭირა. —ეს-კია ლაპარაკობდნენ იქ, რომ დიდ ქალაქებში ქალები ყველაფერს სწავლობდნ, შენც შეგეძლო, მაშ, გზა გაგხსნოდა... მე-კი...

— რაო შენ?

— მე... უსინათლო ვარ! —დააბოლოვა სრულიად უაზ-როდ.

გაელიმა ქალსა, მაგრამ იმავე კილოთი განაგრძო:

— მერე, რა არის, რომ უსინათლო ხარ? თუ-კი ქალი უსინათლოს შეიყვარებს, ცოლადაც, მაშ, მას უნდა გაჰყვეს... ასრეა ხოლმე ყოველთვის, რას ვიზამთ?..

გაელიმა პეტრესაცა და ჩვეულებრივად ჩაჰკიდა. თავი ჩა-ფიქრებულშა, თითქოს ყურს უგდებსო იმ გრძნობას, რომელიც მისს გულში იღვიძებდა. მყუდროება იყო; მხოლოდ წყალი მოსთქვამდა რაღასაც, მოჩუქჩუხ-მოწკრიალებდა. დროგამო-შვებით-კი მისუსტდებოდა, გეგონებოდათ, აი, საცაა მთლად ჩაწყდებაო. მაგრამ იმავ წამს ისევ ახმაურდებოდა და გაჰქონდა დაუსრულებლივა. და შეუწყვეტლივ წკრიალი. ფოთლებით შა-ვად დაბურული ხშირი ყრუახე რაღასაც მოჩუქჩულებდა;

შესწყდა სიმღერა სახლთანა, მაგრამ ახლა ბულბულმა გააბა წყლის პირად გალობა...

ამ გაბედულისა და მოულოდნელის ნაბიჯით მთლად გა-
ჰქონტა ქალმა უსინათლოს გულზე ნაწოლი შავი ლრუბელი.
ოდესლაც მასში შეპარული და გარინდებული გრძნობა, რომ-
ლისათვისაც ანგარიში ვერ გაეწია, ახლა უცბად მთლად გა-
მოირკვა მისს გონებაში, გაძლიერდა და თვალის დახამხაშებაზე
გული მთლად დაუტყვევა. არა-და, რატომ ან-კი აქამდისაც
არ მიჰვდა ნამდვილსა?

ერთ-ხანად იგი უძრავად იდგა, მერე თავი ასწია მაღლა,
ომები შეათამაშა და ეველინას პაწია ხელი მაგრა ჩაბლუჯა.
უცნაურად ეჩვენა, რომ ეველინას საპასუხო ოდნავი ხელის მო-
ჭრა_როგორლაც წინანდებურს აღარა ჰგვანდა ახლა: ჰგრძნო-
ბდა, ვითომ სუსტი მოძრაობა მისის პაწია თითებისა გულის
სიღრმესა სწვდებოდა. ერთი სიტყვით, წინანდეჭ, პატარაო-
ბის მეგობარ, ეველინას გარდა, მის არსებაში ახლა კიდევ
ვიღაცა სხვა ახალს ქალსაცა ჰგრძნობდა.

მოაგონდა პეტრეს ეველინას ცრემლები და რაღაცა სა-
კუთარი ძალა იგრძნო, თავისი მეგობარი-კი როგორლაც მტი-
რალათ, სუსტათ ეჩვენა. მიიზიდა მაშინ ლრმა სწნაზით ქალი
და აბრეშუმივით გრძელს თმაზე ხელის სმა დაუწყო.

და ევონა იმ უამდ, რომ მწუხარება მთლად გაუქარ-
წყლდა, რომ, იმ ნამდვილის წამის გარდა, აღარავითარი სხვა
მისწრაფება და სურვილი აღარა ჰქონდა.

გაიწმინდა, გაისუფთავა ხმა ბულბულმა და ცოცხლად შე-
მოსძახა, მღუმარე ბალში გრძნობით ჩაიწკრიალა. ქალი შე-
კრთა, პეტრეს ხელი მორცხვად მოირიცა.

— კმარა, ჩემო კარგო, — უთხრა და ხვევნისაგან თავი
გაინთავისუფლა:

არც პეტრეს გაუწევია წინააღმდეგობა, გაუშვა ხელი და
თავისუფლად, ლრმად ამოისუნთქა. ესმოდა პეტრეს, როგორ
ისწორებდა თებეს ეველინა. გული ძლიერად უცემდა, მაგრამ
თანასწორადა და სასიამოენოდ-კი. ჰგრძნობდა კარგად. გახუ-

რებულს სისხლს ახალი რამ სასიცოცხლო ძალა როგორ მი-
მოჰქმნდა მთელს - სხეულში. როდესაც ერთის წამის შემდეგ
ჩვეულებრივის კილოთი უთხრა ეველინამ: „ახლა-კი სტუმრე-
ბი მოვნახოთ“, პეტრე უკვე განცვიფრებული ისმენდა ამ
ტკბილს ხმასა, რაღაცა ახალ, არაჩვეულებრივ მელოდიათ მო-
ესმოდა იგი.

IX

სტუმრები და მასპინძლები პატარა სასტუმრო ოთახში
შეკრებილიყვნენ; არსადა სჩანდნენ მხოლოდ უსინათლო და
ეველინა. მაქსიმი თავისს ძველს ამხანაგს ელაპარაკებოდა,
ახალგაზრდები კიდევ ღია ფანჯრებთან ჩსხდნენ ჩუმადა. ამ
პარტა საზოგადოებაში გამეფებულიყო ის განსაკუთრებული
დუმილი, რომელსაც ბინდით მოცული რამ დრამა აქვს უთუ-
ოდ ჩაქსოვილი, თუმცა ცალმხრივად, ანდეთი ყველა ჰერძნობს
ამ დრამასა. ლაპარაკობდა მაქსიმი და თან ქურდულად კარებს
გაჰყურებდა, რაღასაც ელოდა. პანა პოპელსკაიაც სკუდილობ-
და სტუმრებს თავაზიანად და ყურადღებით მოჰყურობოდა, მა-
გრამ ნაღვლიანობა და თითქოს დანაშაულობაც რამ სახეზე
ნათლად აღმოჩენილია. ერთად ერთი ბ-ნი პოპელსკი იჯდა. ჩა-
რგვალებული და უზრუნველი თავისს სკამში და ვახშამს ელოდა.

სასტუმროდგან ბაღში გამავალ ერდოზე რომ ფეხის ხმა
გაისმა უცტად, ყველამ თვალები იქით მიანათა. ღია კარების
შავს ოთხ-კუთხში ეველინა გამოჩნდა, რომელსაც უკან წყ-
ნარა მოსდევდა კიბეზედ უსინათლო.

იგრძნო ქალმა, როგორის ყურადღებითა და დაშტერებით
უყურებდნენ ყველანი; მაგრამ არ შემკრთალა. ოთახი ჩვეუ-
ლებრივის თანაბარის ნაბიჯით განვლო და მხოლოდ თვალის
დახამხმებაზე მოჰყრა წარბებს ქვეშ თვალი მაქსიმს, ღდნავ
გაელიმა და თვალები როგორლაც დაცინვითა და ნიშნ-მიგე-
ბით გააკვესა. ფიქრმა წაიღო მაქსიმი და კითხვაზედ ვიღასაც
სულ სხვა, უადგილო პასუხი მისცა. პანა პოპელსკაიაც შვილს
მიჰშტერებოდა.

უსინათლო ქალს მოსდევდა, მაგრამ არ იცოდა თითქოს, საით მიჰყავდა. გაშოჩნდა თუ არა მისი ფერ-მიხდილი სახე და წვრილი ტანი კარებში, უცბად შესდგა ჩაფიქრებული ამ ხალხით სავსე გაკაშკაშებულ ოთახის შესავალში. მაგრამ გადასდგა მერმე ისევ ფეხი და სწრაფად როგორლაც დაბნეული, გულჩათხრობილი ფორტოპიანოსთან მივიდა, თავი აპხადა.

დაჰვიწყებოდა თითქოს, სად იყო; აღარ ახსოვდა, რომ ოთახში უცხონი ისხდნენ, ინსტინქტიურად საყვარელ საკრავი-საკენ მიისწრაფვდა, რომ მოზღვავებულ გრძნობისათვის გზა მიეკა.

აპხადა თავი საკრავსა და კლავიშებს ოდნავ შეეხო, რამდენიმე სუბუქი, სწრაფი აკკორდი გამოალებინა. ეტყობოდა თითქოს, რომ თავისს თავსა თუ საკრავს რაღასაც ეკითხებოდა.

გაშალა მერმე კლავიშებზე ხელები და ღრმად ჩაფიქრდა; სასტუმრო ოთახში დუმილი ჩამოვარდა. ლია ფანჯრებიდგან ღამე შემოიყურებოდა; აქა-იქ ბალიდგან ლამჭის შუქზე განათებული მწვანე ფოთლებიც ცნობის-მოყვარეობით იცქირებოდნენ თითქოს. ახლად დაჩუქრებულ პიანინოს გაურკვეველის გრძალით ყურის საგდებად მომზადებული სტუმრები სულგანაბულნი ისხდნენ მოლოდინში და უსინათლოს გაცრეცილს სახეზე მოციმციმე უცნაურ ზეშთაგონებით იყვნენ თითონაც გატაცებულნი...

პეტრე-კი ისევა სდუმდა; უსინათლო თვალები მაღლა მიეპყრო და თითქოს ყურს რაღასაც უგდებდა. სხვა და სხვა გვარი შეერძნებანი აფორიაქებულ ზვირთებივით იძვროდნენ მისს სულში. ზღვის პირად, ქვიშაზე, ღიღ-ხანს შშვიდობიანად მდგომ ნავივით საითლაც მიაქანებდა ტალღა უცნობის, უცალის სიცაცხლისა... სახეზე განცვიფრება აღბეჭდვოდა, კითხვა და კიდევ რაღაცა განსაკუთრებული რამ მღელვარება ხან გამოუკრთხებოდა სახეზე, ხან-კი ისევ გაუქრებოდა. უსინათლოს თვალები ეზრდებოდა, უელვარებდა, მერე ისევ უმკრთალდებოდა.

შეიძლებოდა გეფიქრათ ერთს წამს, რომ ვერა პოულობდა სულის სიღრმეში იმას, რისთვისაც ფხიზლადა და დაკვირვებით ყური მიევდო. მაგრამ ბოლოს ისევე გაცვიფრებულმა დაჭკრა მოუთმენელად ხელი კლავიშებსა და ახალის გრძნობის ტალღამ გაიტაცა, მთლად სუბუქსა და მოციმულმა წკრიალა, მგრგვინავს აკუორდებს გააყოლა სული და გული...

X

აქ იყო ყოველივე, რაც-კი რამ მისს ხსოვნაში მოიპოვებოდა, როცა ერთის წამის წინად თავშალუნული ჩუმად უგდებდა ყურს თავისს წარსულ შთაბეჭდილებათ. აქ იყო ბუნების ხმები, ქარის შუილი, ტყის ჩურჩული, წყლისა ჩქეფა და გაურკვეველი, უცნობ მხარედგან ყრუდ მონადენი ლაპარაკის ხმა. ყოველივე ეს ერთად ჩაწნულიყო და მოწკრიალებდა განსაკუჯორებულ, ღრმა, გულის გამღებ იმ გრძნობის ნიადაგზე, რომელსაც სულში ბუნების იღუმალი ხმაურობა აღძრავს ხოლმე და რომლისათვისაც ნამდვილი სახელის გამოძებნა ასე ძნელია... კაშანია?.. მაშ, რად არის ასე საამო?.. სიხარული?.. რად სწვდება გულს ღრმად, ასე უსაზღვროდ ნაღვლიანი რისათვის არის?

ყოველივე ეს ჯერ წყნარად და როგორდაც მორიდებით გაურკვეველად იკვროდა, თითქოს სცდილობსო დამკვრელის ოცნება, ღომხალივით არეული შთაბეჭდილებანი სძლიოსო. მძლავრსა, მაგრამ ნაწყვეტ-ნაწყვეტს, ბინდით მოცულსა და გაურკვეველს, ძლიერს, სულის მიმღევს გრძნობას ასრევე მძლავრისა და გულქვა ბუნებისას მთლად გაეტაცნა დამკვრელი, მაგრამ სურვილისამებრ მათი უფლობა ჯერ კიდევ არ შეეძლო.

ღრო და ღრო ხმა, ძალს იკრებდა, იზრდებოდა, მკვრივედებოდა. გეგონებოდათ, აი, ეს არის რამდენისამე ხელის დაკვრით შეადუღებს და შწყობრ, მძლავრ მშვენიერ ჰარმონიათ გარდაჭმნისო; და ყურის მგდებლებსაც მოლოდინში მთლად გაენაბათ სული; მაქსიმი კიდევ ჰკვირობდა, საიდგან შემოი-

კრიბა ეს იშვიათი ძალა გრძნობებისა. მაგრამ ჯერ ისევ მაღლა ასვლას ვერ მოასწრებდა ხოლმე, რომ როგორლაც საბრალის გრგვინვით უცხად ისევ ძირს ეშვებოდა, თითქოს. ტალღა გაიბნა და ქაფად და წინწყლებათ იქცაო. და მერე დიდ-ხანს ისპოდა ხოლმე კიდევ რაღაცა მწარე მიუმხვდარობისა და კი-თხვის გამომეტყველი ნოტები.

შესწყვეტავდა ერთის წამით დაკვრასა უსინათლო და სასტუმრო ოთახში ისევე ისე დუმილი გამეფებოდა, რო-მელსაც მხოლოდ ფოთლის შრიალი არღვევდა ხოლმე ბალი-დამა. ტკბილი რამ მომხიბლველი გრძნობა, რომელსაც ყურის მგდებლები გაეტაცნა შორს სატლაც ოთახს გარეთ, დროებით ირღვევოდა და პატარა ოთახი ისევე ხილული ხდებოდა. მათ-თვის, ღამეც ისრევე ისე შეჰყურებდათ ღია ფანჯრებიდამა, ვიდრე მემუსიკე ხელ-ახლად ძალას შემოიკრებდა და კლავი-შებს აამოძრავებდა და ისევე გუმკვრივდებოდა ხმა და მაღლა, მაღლა რაღასაც დაუწყებდა ძებნასა... აკუკრდების გა-ურკვეველს ერთმანეთში გადაძახილს ჩაექსოვებოდა ხოლმე საუ-ცხოვო რამ მელოდია ხალხურის სიმღერისა, რომელსაც ხან სიყვარული ჰქონდა საგნად, ხან მწუხარება, ხან იგონებდა წარ-სულთა დროთა ტანჯვასა და დიდებასა, ხან-კი ახალგაზრდო-ბის ლალს გმირობასა და მათს იმედებსა. უსინათლო ამითი თა-ვისის გრძნობის გამოხატვასა სკლილოპლა უკვე მზა-მზარეუ-ლისა და კარგად ცნობილის ფორმებით.

მაგრამ სიმღერაც ისრევე გარდაუწყვეტელის კითხვის. სა-ბრალის კილოთი შესწყდებოდა ხოლმე პაწია სასტუმრო ოთა-ხის მღუმარებაში.

მესამედ, ოდესლაც ნოტებით შესწავლილს პიესაზედ შეს-დგა... იქნებ მედი ჰქონდა თავისის ახალს პირადს გრძნობას. მუსიკალურ გენის პირადსავე შემოქმედებას როგორმე შეუ-წყობდა...

XI

ნოტებით სარგებლობა უსინათლოსთვის საზოგადოდ მეტად ძნელია. ნოტებიც ასოებივით ამობურთულია და ცალკე ნიშნებით გამოყვანილი, წიგნის სტრიქონებივით წყობისად და-ლაგებული. აკორდათ შეერთებულ ნოტების აღსანიშვნელიად შუა-შუა გაკვირვებითი ნიშანი ისმება. ამიტომაც უსინათლოს ცალკე-ცალკე უხდება მათი ზეპირად შესწალა და ისაც თვი-თოვეულის ხელისათვის ცალკე. ამ რიგად ეს მეტად რთული და მძიმე სამუშაო ხდება; მიუხედავად ამისა, სამუშაოს ცალკე-ცალკე ნაწილების სიყვარულმა პეტრეს აქაც უშველა. რო-გორც-კი რამდენსამე აკორდს გაიზეპირებდა, მიუჯდებოდა ხოლ-მე ფორტოპიანოს და რო პნახავდა, ამ იეროგლიფებიდამ (ძველის-ძველი ძნელად საკითხი სამწერლობო ნიშნებია) მწყობრი რამ საამური ხმა შესდგებოდა, დიდად სიამოენებდა და სამძიმო მუ-შაობა შესწავლისა სრულიად ავიწყდებოდა, თითქმის იზიდავ-და ხოლმე კიდევაცა.

მაინც ქალალდზე ნაწერ პიესისა და მის შესრულების შუა მეტად დიდი მანძილი იყო ხოლმე გასავლელი. ვიდრემდის რომელიმე ნიშანი გარკვეულ მელოდიათ იქცეოდა, ჯერ უნ-და ხელებს შეეთვისებინათ, მერმე მეხსიერებას შთაპეჭლვოდა და მხოლოდ ისე-და დაპირუებოდა უკან თითებსა, რომ სასმენად საამური ყოფილიყო. ამასთან დიდად განვითარებული, თავისე-ბურად გარკვეული მუსიკალური ოცნებობა უსინათლოსი შე-სწავლის რთულს მუშაობაში უნებურად ერეოდა და სხვისა პიესას თავისს პირადს ბეჭედს ასვამდა ხოლმე. პეტრეს მუსი-კალური გრძნობის ფორმები იყვნენ იგივე, რომლებითაც თავდა-პირველი მელოდია გამოეცხადა და შემდეგ დედა უკრავდა ხოლმე. ეს იყო ფორმები ხალხურის მუსიკისა, რომლებიც მისს საკუთარს სულში ისმოდნენ მუდამ და რომლებითაც მშობელი ბუნება ესაუბრებოდა ხოლ მე მისს სულსა.

და აი, ახლა, როდესაც გულის ფანცქალითა და გრძნობა მორეული უკრავდა ამ პიესას, მისს პირველსავე აკორდებში გაისმა რაღაც რამ ისე ნათელი, ცოცხალი და თავისებური, რომ ყურის მგდებლები დიდ-ხანს იყვნენ კიდევ შემდევ აღტა-ცებულნი და განცვიფრებულნი. მიუხედავად ამისა, რამდენი-სამე წამის შემდევ ყველა ისრევე მოჰქიბლა ამ დაკვრამ და უფროსი შვილი სტავრუჩენკოსი, ხელობით მემუსიკე, დიდ-ხანს უგდებდა კიდევ ყურსა და სცდილობდა, ნაცნობი პიესა მოეგონებინა, დამკვრელის თავისებური ჩვეულება გაერკვია.

პარტიობასა და აზრთა სხვა-და-სხვაობას მუსიკასთან საქმე არა აქვს. ახალგაზდებს თვალებში სიცოცხლე მოემატათ, სახე გაუნათლდათ, უცნობის სიცოცხლისა და ბედნიერების შესა-ხებ გაბედული აზრები აღეძრათ. ბეპერს სკეპტიკაც-კი რა-ლაცა გამხნევება დაეტყო თვალებში. ჯერ თავ-ჩაღუნული იჯდა მოხუცი სტავრუჩენკო და ისე უგდებდა ჩუმად ყურსა, მაგრამ მერე თან-და-თან გამხნევდა და მაქსიმს დაუწყო მუჯლუგუნე-ბის ცემა, ჩურჩული:

— ჰელავ, როგორ კარგა უკრავს. მართლა რო კარგა უკრავს... ღმერთმანი!..

და რამდენადაც ხმები იზრდებოდა, იმდენი რაღასაც იგო-ნებდა მოხუცი, — უთუოდ თავისს ახალგაზრდობის შესახებ; თვა-ლები უელვარებდა, სახე მთლად სისხლით ევსებოდა; ბო-ლოს წელში გასწორდა, ხელი მაღლა აზიდა და უნდოდა მაგი-დასათვის მუშტი. დაერტყა, მაგრამ თავი შეიმავრა, მუშტი წყნარად დაუშვა. მერე სწრაფად თავისს ახალგაზრდებს გადაავ-ლო თვალი, ულვაშები გაისწორა და მაქსიმისაკენ დაიხარა, ჩურჩულით წასძახა:

— უნდათ, ვითომ ბებრები არხივს მიგვცენ, დაგვივიწყონ... მიჰქარავენ!.. თავისს დროზე, ძმაო, ჩვენცა ვყოფილვართ... ან ახლა... კი... მართალს ვამბობ, თუ არა?

ანნა მიხაილოვნა კიდევ ეველინას შესცექეროდა გაკვირვე-ბული. ქალს მუხლზე სამუშაო დაედა. და უსინათლო მემუსი-

კეს შეჰყურებდა, მაგრამ მისს ლაუგარდს თვალებში მხოლოდ აღტაცებული ყურადღება იხატებოდა. ეველინას ეს ხმები თავი-სებურად ესმოდა: ძველი ლარების წყლის ჩერიალსა და ბნე-ლი ხეივნის ყრუახის ფოთლის შრიალს აგონებდა.

XII

მხოლოდ უსინათლოს არ ეტყობოდა აღტაცება, რომელ-მაც მისი ყურისმგდებლები გაიტაცა ისე. სჩანს, ამ უკანასკ-ნელმა პიესამაც არ მიანიჭა კმაყოფილება, რომელსაც იგი ეძებდა. ბოლო ნოტები აქაც წინანდებურად რაღაცა გაურკვე-ველის კითხვით, უკმაყოფილობითა და ჩივილით დამთავრდა; და რომ ჩააკვირდა დედა შვილსა, გამომეტყველება ემცნაურა: მოაგონდა დიდი-ხნის წარსული, მზიანი დღე გაზაფხულისა, სიცოცხლით სავსე ბუნების მიერ აღმრულ შთაბეჭდილებათა-გან მოთენ-თილი რომ იდვა მისი შვილი მდინარის პირად, პა-ლახზედ.

მაგრამ ამ გამომეტყველებამ ახლა მხოლოდ ერთის წამით გადაჰკრა პეტრესა. სასტუმრო ოთახში ხმამაღლა ლაპარაკი ატყდა. მოხუცმა სტაციურენკომ მაგრა ჩაიკრა გულში დამკვ-რელი.

— კარგათ უკრავ, ხლოპჩე (ბიჭო)! ღმერთმანი, ჩვენებუ-რად უკრავ!

ჯერ ისევ მღელვარე, აღტაცებული ახალგაზრდები, მო-წონების ნიშნად, ხელს უჭერდნენ მაგრა. სტუდენტი დიდის არტისტის განთქმულს სახელს უწინასწარმეტყველებდა.

— მართალია! — ამოწმებდა უფროსი ძმა, — შესანიშნავად შეგითვისებიათ თვითონ ხასიათი ხალხურის მელოდიისა, შეგი-სისხლხორცებიათ და შეგისწავლიათ სავსებით. მაგრამ, მითხა-რით, გეთაყვათ, სულ ბოლოს რა პიესას უკრავდით?

პეტრემ რომელილაც იტალიანური პიესა დაუსახელა.

— მეც სწორედ აგრევე ვფიქრობდი, — მიუგო ახალგაზრდამ. — უოტათი არ არის, ვიკნობ მაგ პიესასა... საკვირველი თავისებური დაკვრა გაქვთ. ბევრნი თქვენზე უკეთაც უკრავენ, მაგრამ ისე, როგორც თქვენ უკრავთ, ჯერ არავის არ დაუკრავს.

— რათა გვინია, რომ სხვები უკეთესად უკრავენ? — ჩაკითხა ძმა.

— გესმის, რა არი... მე გამიგონია დაკვრა ამ პიესისა ისე, როგორც ამას ნამდვილად მოითხოვს დედანი. ეს-კი... თითქოს იტალიანურ მუსიკალურ ენიდგან მალოროსიულად არის გაღმოთარგმნილი.

უურადღებით ისმენდა უსინათლო ამ ლაპარაკესა. ეს პირველად იყო, რომ ისიც გაცხარებული ლაპარაკის საგნად შეიქმნა და იგრძნო, რომ სულის სიღრმეში თავისის ძალის ამაყი რამ შეგნება აღეძრა. მაში, იმასაც შესძლებია ცხოვრებაში რისამე გაკეთება. იჯდა იგი თავისს სკამზედ, გიმოწეულ პიუპიტრაზე ხელ-გაწვდილი და იგრძნო უცბად ამ გაცხარებულს ლაპარაკში, რომ მისს ხელს ვიღასიც გახურებული ხელი შეეხო. ეს ეველინა მისულიყო, შეუმჩნეველად თითებს უსრესდა და მხიარულის მღელვარებით ჩასჩურჩულებდა:

— გაიგონე? შენც შენი სამუშაო გექმნება... ოჰ, რო გენახა, როგორ შეგიძლიან იმოქნედო შენის დაკვრით ხალხზედა?..

უსინათლო შეკრთა, გასწორდა.

დედის მეტმა ეს პატია სცენა სხვამ ვერავინ ვერ შეჰნიშნა... და სახე მთლად აენთო, თითქოს ეგ არის ახალგაზრდობის ვნებით აღსავსე სიყვარულის პირველი კოცნა იგრძნოვო.

იჯდა უსინათლო ისევე ისე ფერ-მიხდილი თავისს ადგილასა და ახალის ბედნიერების მოზღვავებულ შთაბეჭდილებათ

ებრძოდა. ვინ იცის, იქნება იმასაცა ჰერძნობდა, რომ მისის
ტვინის სილრმეში საიდგანლაც უბედურების მომასწავებელი შავი
რამ მძიმე ღრუბელი წამოშლილიყო.

ინ-ანი.

(დასასრული იქნება)



ცხოვრება და ღვაწლი

თ-დის გრიბოე ორგანიანისა

XIII *)

მთავრობისგან დანიშნულმა კამისიამ, რომელშიაც მონა-
შილებას იღებდა თბილისის ქალაქის თავი და ქალაქის დე-
პუტატები, გადასწყვიტა და მთავარ სამართველომ დაამტკი-
ცა, რომ 1865 წლიდამ დაწესებულიყო თბილისში ახალი
გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ. გადასახადი უნდა დასდე-
ბოდა: 1, ცხენებს, 2, საშენი მასალების დაწყობის უფლებას
ქუჩებზე და 3, გაჯის ამოლებას ქალაქის მიწებიდამ. ჭმას გარ-
და 25% გადასახადი უნდა მომატებოდა სირაჯებს და სხვა
სასმელების მოვაჭრეთ. 28 მაისს, 1865 წ. ქალაქის მმართვე-
ლობამ ქალაქის პოლიციის და კამისრების საშვალებით გა-
მოუცხადა თბილისის მოსახლეთა ეს ახალი გადაწყვეტილება.
ქალაქში დარიგდა დაბეჭდილი განცხადებანი რუსულს, სომ-
ენობრივ და ქართულს ენაზე. გაზეთმა „კავკაზშა“ დაბეჭდა გან-
კარგულება თვისს ოფიციალურს განყოფილებაში.

2 ინის თითო ორ-ორა პირთა შემოიტანეს კიდეც გა-
დასახადი, გარნა ორ-ორა მეტცხალმა გაზაფხული ვერ მოი-
ყვანეს. ახალი ხარჯი + საზოგადოდ ყოველთვის სამძიმო, ქალა-
ქის ხალხისთვის ერთობ საგრძნობელი შეიქნა. ერთ დროებით
მოემატა ხარჯი ოთხ საგანს და ყველა ეს გადასახადი სრუ-
ლის თვისის სიმძიმით დააწვა დაბალს, ღარიბს ხალხს, რო-

*) იხ. „მოამბე“ № IV, 1904 წ.

მელსაც უამისოთაც ეძნელებოდა ამ წელს ჩვეულებრივი გარდასახადის შეტანა ქალაქის კასსაში, რაღაც კალიამ და სეტყვამ პურ-ლვინო ააოხრეს და სიძვირე ემუქვროდა ქალაქს. შეიქნა დრტვინვა. დუქნებში დაიწყეს ხმა მაღლა ლაპარაკი მთავრობის უსამართლო საქციელზე. ხარჯ-მომატებული სირაჯები შეიქმნენ უკმაყოფილოთა მოწინავე წყობათ, აგიტატორებათ. „ყოვლად ძლიერმა“ ლვინომ ძალი მისცა მათ და ქალაქში ცოტ-ცოტად დაიბადა მთავრობის ურჩობა. ბევრის ლაპარაკის შემდეგ ხალხი მაიდანზე გავიდა. აიღეს, დაიღეს და არჩიეს ეთხოვნათ მთავრობისთვის ახალი გარდასახადი ეცლიათ დრომდე და თუ არ აპატივებდენ—გამბედავნი ამასაც ამბობდენ—გამოეცხადებინათ მთავრობისთვის თავიანთი possuumus და კარგა ლაზათიანად მიემსხვრ-მიემტვრიათ ამ ახალი გარდასახადის შემოლების მიზეზნი პირნი. „ივნისს ქალაქის სახლის მაიდანზე— რევოლუციები ყოველთვის ქალაქის სახლთან იწყება— შეკრბა მთელი თბილისის შავი ხალხი... შავ-ლრუბელსავით გაპნეტილი ჭექითა და ქუხილით. პოლიციის უფროსს როსლავლევს უნდოდა გაეფანტა ხალხი, მაგრამ ვერ შეიძლო ვერა გააწყო-რა ვერც სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა: თნიკო ჭავჭავაძემ, რომელიც მოიჭრა მაიდანზე ხალხის შესაგონებლად (გუბერნატორი ორლოვსკი რუსეთში იყო წასული). ათი ათასზე მეტი კაცი ირეოდა მაიდანზე მუქარითა და ყვირილით. ბოროტ-განზრახველთა ენამ მოპფანტა ხალხში ხმა, ვითომ მთავრობას უნდოდეს ხარჯის დადება ქათამზე, ვერცხლის ქამრებზე, კვერცხებზე, ჩოხებზე და ამ ხმამ სულ გადარია ხალხი. ამას ისიც დაუმატეს, რომ იმ დღის შემდეგ მოქალაქეებს ქალამნის მაგიერ რუსული საპოლები ეტარებინათ, რომ თითო სტუმარზე მასპინძელს ათი შაური ეზლო ხაზინისთვის, რომ „გალავას“ ხელი მოეწეროს სალდათები გამოეყვანათ ხალხიდამ და სხვა ამ გვარი ჭორები. რომ ვერას გზით ვერ მორთეს ხალხის შეგონება, გრ. ორბელიანი თითონ მობრძანდა მაიდანზე. პოეტს ეგონა, რომ მისი დამ-

სახურება, გვაროვნობა, მაღალი თანამდებობა, საზოგადო პატივის-ცემა და ტკბილის ენით მართალი სიტყვის თქმა საკმაო იქნებოდა ამბოხების დასაწყნარებლად, მაგრამ... ღილად შესცდა! ხალხის არეულობა სიტყვით არასოდეს არ დამშვიდებული. შეცდომა შეიქნა იმის მხრით ისიც, რომ მაიდანზე მოვიდა და ხალხს დაენახა. მთავარ-მმართველი კავკასიისა, სამასი ათასი ჯარის სარდალი, რომელსაც საკმაო იყო ერთი სიტყვა ეპრძანა, რომ ეს ხალხი გამჭრალიყო დედა-მიწიდამ, უფრო მძიმეთ უნდა მოქცეულიყო, რომ ხალხს შიში ჰქონოდა. რომ დაინახა ხალხმა მთავარ-მმართველი მქადაგებელი და მთხოვნელი მშვიდობიანობისა, ის უფრო თავს გავიდა. არავითარმა რჩევამ არ იმოქმედა იმაზე.

— შეილებო, გონს მოდით, დამშვიდდით, კანონი ყველასთვის ერთია. კაცი მთავარ-მმართებელი ვარ და ცხენის ხარჯს მეც ვიხდი, ხომ ხედავთ, უთხრა ხალხს პოეტმა.

— ეჭ! დალოცვილო—უპასუხა პოეტს ერთმა კინტომ — თქვენი საქმე სულ სხვა არის. თქვენ ცხენს ინახავთ, ჩვენ ცხენი გვინახავს — აი რა განსხვავება არის ჩვენ შორის. საიდამ მივცეთ მომეტებული ხარჯი, თუ არა გვაქვს.

მომეტებული ლაპარაკი საჭირო არ იყო. ორბელიანი დაბრუნდა შინ და სანამ ენერგიულ ზომას მიიღებდა, ხალხი შესცვივდა ქალაქის თავის სახლში და სულ ერთიანად მიაშენერია, რაც რომ ნახა შიგ. მერე შესცვივდა ბოქაულის ბაშბეუქოვის სახლში, ის სახლიც აიკლო და ბაშბეუქოვიც მოჰკლა. არეულობა დაიწყო. ამ ღროს მოვიდა დაიარალებული ჯარი და თოფის სროლით გაპტანტა ხალხი. ორბელიანმა მაშინვე დაიბარა კოჯრიდამ შტაბის უფროსი კარულები და უანდარმებისა — მინკვიცი, რომელთაც დიდი შემწეობა აღმოუჩინეს იმას. კარულემა განკარგულება მოახდინა ყარაბულალიდამ მოსულიყვნენ ქალაქს რამდენიმე ბატალიონები, ხრამიდამ — ყაზახები და მუხრავანიდამ მოეჭანათ ზარბაზნები. ეშინოდათ სოფლელები არ გამოსარჩლებოდენ ქალაქელებს და დიდი უწესოება არ მომხდარიყო თბილისში. იმ ღამეს, ორ-

ბელიანის ბრძანებით, ორსავე ავლაბრის ხიდებზე, თათრის მაიღანზედ, პოლიციასთან, კუკიის ხიდთან და კუკიის საყდრის სიახლოეს ჯარები დააყენეს. ღამემ მშვიდობიანად განვლო. მეორე დღეს მთელი ქალაქის დუქნები დაიკეტა, მედროუკეებმა დაუტევეს ბირჟა, მეპოვოსკეები დაიმალნენ, თულუხებმა შესწყვიტეს წყლის ზიდვა. მთელი ქალაქი გალაგდა ხოჯივანქში, ბებუთაანთ სასაფლაოზე. შუადღისას არეულებთა ბანაკიდამ მოუგზავნეს ორბელიანს დეპუტაცია, რომელიც ითხოვა ეპატივებინათ ახალი მომეტებული ხარჯი, ან დაეცალათ გადახდევინება დიდი მთავრის მოსვლამდე. ამაზე არბელიანმა პასუხად მისცა, რომ ის მთავარ-მმართებლის ბრძანებას ვერც შესცვლის და ვერც შეაყენებს. მაშინ დეპუტაციამ მოითხოვა მიელო ორბელიანს თხოვნა დიდის მთავრის სახელზე. ამაზე კი დათანხმდა პოეტი. მაგრამ იმ პირობით, რომ ჯერ ხალხი დამშვიდებულიყო, წასულიყო თავიანთ სახლებში, ქალაქში ჩამოვარდნილიყო სჯულიერი წესი, დუქნები გაეღოთ, დამნაშავეები დაეჭირათ... დეპუტაციამ ეს პასუხი წაიღო ხოჯივანგს, მაგრამ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა არეულთა გუნდი. მალე მთა დაიძრა და მოაწვა ავლაბრის ხიდს. აქ დაუხვდა იმას ჯარი, რომელმაც ქალაქის გზა შეუკრა არეულებთა დაუშინეს ჯარს ქვები, ჯარმა თოფი ესროლა, რომლისაგან ორი კაცი შოკვდა და შვიდი დაიჭრა და თოფის ხმით ზარ-დაცემული ხალხი უკუ-იქცა. ეს რომ მოხსენდა ორბელიანს, იმან მაშინვე აფრინა ხოჯივანგს მინკვიცი და მისგან ახლად დანიშნულ ქალაქის თავი აბესალომოვი, რომელთაც დაამშვიდეს ხალხი. მეორე დღეს თბილისის ქუჩებზე ჩვეულებრივი შშვიდობიანობა ჩამოვარდა: დუქნებიც გაიღო, ჭაეტონებიც გამოჩნდნენ, თულუხებიც მოვიდნენ. ყოველ-დღიური ცხოვრება თბილისისა წავიდა თავის წესზე.

ორბელიანის გულ-კეთილობა და ქალაქის ხალხის სიყვარული არეულობის დამშვიდების შემდეგ უფრო გამოჩნდა. თბილისის ბუნტი, ხარჯის მომატებისაგან მომხდარი, სულ

სხვა გვარად განმარტეს რუსეთში როგორც გაზეთებმა,*) ისე მმართებლობის წრეებში. ბუნტს მიუწერეს პოლიტიკური ორგულობა მიზეზად. ორბელიანმა ამ ცილის წამების აცილებას ბევრი მამაკანი მოახმარა... მაგრამ დააფასა კი უველამ ლირ-სეულად პოეტის ამ საქმეში მონაწილეობა? არა.

არა თუ პოეტის მტერთა, არამედ პოეტის მეგობართაც გაკიცხეს იგი ამ საქმის გამო. ერთმა ჩემმა მეგობარმა, პოეტის ღიღმა თაყვანის-მცემელმა, სწორედ იმან, რომელმაც, როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, თბილისის ქალაქის სახლის გუმბათი უნდა ჩამოაქციოს, მითხრა ერთხელ პეტერბურგიდამ ახალ ჩამოსვლაზე: „ეჭ თბილისში მოსვლას ხალისი დაეკარგა მას აქედ, რაც ორბელიანი მოკვდაო“, და რამდენიმე საქები სიტყვის შემდეგ დაუმატა: „Впрочемъ за нимъ есть политические сферы!“ ეს „სჩოტები“ იყო ქალაქის ბუნტის დამშვიდება. ამ მეგობარს და სხვა მტრებს ვერ მოუნელებიათ და ვერ შეუნდვიათ ორბელიანისათვის ის გარემოება, რომ ორბელიანის ბრძანებით თბილისის ხალხს თოფი ესროლეს. რომ არ იცოდნენ ამ მტერ-მოყვარეთ ბუნტის ამბავი, იმათი უმართებულო ჰაზრი ორბელიანზე იმდენად არ იქნებოდა საწყენი, მაგრამ იმათ კარგად იციან, რომ ორბელიანმა ყოველი ღონის-ძიება იხმარა ხალხის შეეონებისა, რომ თითონ თოფის სროლის ბრძანებაც მაშინ გასცა იმან, როდესაც ხალხმა ქალაქის თავის სახლი აიკლო და ბაშბეუქვივის სისხლი დაღვარა, რომ მეორე დღესაც ჯარმა თოფი მხოლოდ მაშინ ესროლა, როდესაც ხალხი ქვის სროლით მოუხდა იმას და უნდოდა ძალით შემოსულიყო ქალაქში. იციან და მადლობის მაგიერ ემდურებიან გულ-კეთილს კაცსა, რომელსაც მამასაცით უყვარდა ქალაქის ხალხი. ემდურებიან ვინ? ვიღაც დაუპატიუებელნი ქალაქის პატრონნი, ვიღაც სახელის შეძენის მოქენე ლიბერალნი, ვიღაც უურნალისტები, ვიღაც ფინანსისტები, რომელთან

*) ნახეთ ამ საგანზე წიგნის ბოლოს წერილი ალექსანდრე იორბელიანისადმი.

თვის არც ძველი სამსახური არის, არც ძველი სახელი, არც ძველი გვაროვნობა, რომელნიც არც ქალაქის შვილნი არიან, — რადგანაც მოშორებიან ამ ქალაქის ტრადიციებს ვითომ განა-
თლებითა — არც რამესამოქალაქო. წყობის წარმომადგენელნი,
რომელთაც გულით და სულით კი არ უნდათ ქალაქისა და
ერის მსახურება, მარტო ენის ტრიალით, თავის გამოჩენით,
საკუთარი საქმეების კეთებით. ემდურვიან ვის? ისეთს კაცს,
რომელიც ჯვარს ეცმოდა ქალაქის ხალხისთვის, რომელსაც
მართლა ცოცხლად უყვარდა ეს ხალხი, რომელიც იყო ხორ-
ცი ხორცთა მისთაგანი და ძვალი ძვალთა მისთაგანი. თუ რამ
საყვედური ეთქმის ამ გვარ კაცს, ეს ის, რომ თითონ მივიღა
ამბოხებულ ხალხთან და ამით ცოტა არ იყოს დააჭვევითა
მთავრობის ძლიერებება. ამ გვარსავე შემთხვევაში, როდესაც
პეტერბურგში არეულობა იყო, ნიკოლოზ ხელმწიფე თითონ
კი არ წაბრძანდა აჯანყებულთა შესაგონებლად, პეტერბურ-
გის მიტროპოლიტი და მილორადოვიჩი გაგზავნა და როდესაც
ინსურგენტები არ დამორჩილდნენ, იმათ ახალს უწესობას
კი არ უყურა, კარტეჩი დააჭრევინა და წამსვე გაჭიანტა მისი
ტახტზე ასვლის მოწინააღმდეგენი.

მაგრამ თავი ვანებოთ ამ ამბოხების მოთხრობას და გან-
ვაგრძოთ ჩვენი ცხოვრების აღწერა. ორბელიანის დროე-
ბით მთავარ-მმართებლობაში კავკასიაში დაიწყეს რკინის გზის
გაყვანა ფოთიდამ თბილისს. ავჭალას, ახალ-ქალაქს, ორპირსა და
ფოთს შიგნით ჯარები დააყენეს. რკინის გზის ლიანდაგის გა-
საყვანად დაიწყეს ყარაიას არხის გაყვანა; გაიგზავნა სოფელ-
სოფელ ჩინოვნიკები, რომ გამართონ სასოფლო სასამართ-
ლოები; მიჰყვეს ხელი შოსხეს გაკეთებას დილიქანსიდამ ჯულ-
ფამდის, საცა სპარსეთსაც უნდა გაეყვანა გზა და ამ გვარად
ტრანზიტის გზა გახსნილიყო; დაიწყო ჩაჩნების გადასახლება;
თბილისის მაზრაში, ყაზახ-ბორჩალოში, სილნახში, ბაქოს გუ-
ბერნიაში გაჩნდა კალია; გაჩნდა ხოლერა; გაჩნდა „მოსკოვის
უწესების“ სტატიები, რომელშიაც ორგულად იყვნენ გამო
სახულნი სომხები, ქართველები, თათრები.

ոյզոմներու գասլով մտաշար-մմարտեցելու քածիւնը դա
ռհելուանո ույզ գանձեցնենա մոյցա. տօլուանու ցեցերալ ցո-
ծերնաթորու դա մտաշար-սամմարտեցելու հիշու տազմչգոմն-
երու մոշալուրու թշուզուանո մոշալուրու ոյտ, հոմելու
ար տեռուլուրու մուցան դուր Մրոմասա.

Ցեմդյաց 1866-ի Ելունո, ազրուա, ռհելուանո, ելութիո-
ց ոմէցերաթորու ծիրանեցու, ցամցինացրա փյուրանածատս, յա-
նու Նլզանց, և արևոտու Պատու Ցեմայրելուա.

„Я выѣзжаю къ сторонѣ Астарабада,—сѣхրա ու, եղա-
նու յոլունց, տացու հմալս հարձակյ ռհելուանուա—чтобы пред-
ставиться Его Величеству Шаху персидскому, который изъ-
явилъ желаніе видѣть нашу Каспийскую флотилию и вмѣстѣ
съ тѣмъ испытать себя можетъ ли онъ выдержать морское
плаваніе, такъ какъ онъ имѣетъ непремѣнное намѣреніе по-
сетить Европу. Полагаю, что эта поѣздка продлится около
мѣсяца и я предстану предъ лучезарное лицо Средоточія
Вселенной. Такое счастіе рѣдко достается смертному. Мою
свиту составляютъ бакинскій губернаторъ Колюбякинъ,
Принцъ, Князя Датико и Вано Орбеліани, Графъ, баронъ
Брюгенъ, Лорисъ-Меликовъ и флигель-адъютантъ Шпиттеръ.
Видиши какіе пышные титулы украшаютъ мое посольство“ *).

„Անցալ ասբարհածնագուստն, հոգ մու շգուցեցւուցուա Տաճարայուու
Պատ Ֆարաւուց, հոմելուաց Աւուր հիցբո յանձու Նլզու ցլութուու Յն-
եմս, դա եւագու աշտան Ցեւեցցի տու առա Նլզու մոցինաշրանասա, հա-
ջանց ցանինաց այց ցընուա ոնանուու. հիմու գոյինու, մոցինաշրան-
ց ցիտ ուցեմց ցանին դա Ֆարաւուցցի Պարագանցուցու մուլու Տաճա-
րայուու ցլուուաս. մոմայուցուատցու այտու ծընուցինա ութցուատու. հիմու
ամալու Ցեւացցենք: հայու ցնինա թարաւուարու յուլուցույնո, Յնինց, տաշանու
դատոյու դա ցանու ռունուանո, ցրայու, ծանուն ծնուցցին, լուրու-մելու-
յուց դա ցլուցց-ացութանու Ցլութուցի. Յնցաց, հա ծիրինցալա Օութ-
լուց ամպանցենք հիմու Տաճարայուու.“

աթ Ելու ռհելուանո դանունու-ոյմենա Տաճարայուու հից-
բու Ելու (26 ոյզ). մտաշար-սամմարտեցելու հիշանու հյ-

*) Երևան 5 ՀՀ, 1866 ֆ.

ჭორმა უნდა მომხდარიყო მომავალს წელს, გენერალ-გუ-
ბერნატორობა სულ უნდა გაუქმებულიყო და პოეტს სამსა-
ხურიდამ გასვლას და კერძო კაცის ცხოვრებას უმზადებდენ
უმაღლესს ადმინისტრატიულ წრეებში. დრო მოვიდა და ეს
სამსახური დაუტევა ორბელიანმა. დატევების დღეს ის სწერ-
და ხუმრობით თბილისის კამენდანტს აპაჩინინს:

„Прошу васъ, уважаемый Алексѣй Петровичъ, принять
отъ меня въ подарокъ двѣ будки и одного часового, кото-
рые стоятъ у моего дома, какъ воспоминаніе моего прежн-
яго величія, и если возможно, только ночные пусть продал-
жаютъ охранять мою жизньъ!“

„გთხოვთ, პატივცემულო ალექსეი პეტროვიჩ, მიიღოთ ჩემგან საჩუ-
ქრად ორი ბუდკა (ხულა) და ერთი მოდარაჯე, რომლებიც, ნიშნად წარ-
სულის დიდებისა, ჩემ სახლთანა სდგანან და, თუ შეიძლება, მხოლოდ
ლამ-ლამბით-და უდარაჯონ ხოლმე და დაიცვან ჩემი სიცოცხლე.“*)

ამგეარის ხანგრძლივის და ნაყოფიერის სამსახურის შემ-
დეგ პოეტს შეეძლო გადაევლო თვალი წარსულის თვისის
კარიერისათვის და გულ-დამშვიდებით ეთქვა თავის თავზე:
„გზა ცხოვრებისა მეც განვვლე და აღვგეჭდეცა ნავალი“!

XIV.

ამას შემდეგ სიკვდილის დღემდის ორბელიანი კერძო
კაცად სცხოვრობს თბილისში, სამსახურით, ჰასაკით და ნი-
ჭით განსხვავებული, ყოველთაგან თაყვან ცემული, ყოველთა-
თვის საყვარელი, ტკბილი, თავაზიანი... მთელ თბილის დიდ-
პატივად მიაჩნია მასთან ხლება, მისი მუდამ მხიარული პირის-
სახის დანახვა, მისი ხუმრობით სავსე მუსაიფის გაგონება. კი-
დევ რამდენიმე წელი და იმას დაერქმევა სახელი კავკასიის
ჯარების პატრიარქისა, ის გახდება ცოცხალ ღირს-შესანიშნ
საგნად თბილისში, რომლის დანახვას ერთგვარად ეძიებდენ

*) წერილი 5 აპრ. 1866 წ.

დიღნი და პატარანი, მდიდარნი და ლარიბნი. ღრო და ჰასაკი ვერას დაკლებს რა ვერც მისს მეყსიერებას, ვერც მისს გონებას, ვერც მისს ხასიათს, ვერც მის სიმრთელეს. იმ მოკვდება, როგორც სცხოვრებდა, მოკვდება ზეზე, სულ მუდამ გონება მღვიძარე, სულ მუდამ გულ-ლია ახალს შთაბეჭდილებისათვის, სულ მუდამ ყურ-მიპყრობილი და გამგები ახლის მოვლენისა და მიმართულებისა. არც მისს, მუდამ ელვარე და ბრწყინვალე, თვალებს დაეტყობა მოხუცებულობა, არც მისს ყურებს, არც მისს დევის მკერდს, ფართედ გადაშლილს! როგორც კლდეს, ღრო ვერას ზააკლებს, სანამ არ „შემუშავს თვით კლდეს“, ისე ამ საკვირველ კაცს, როგორც ის თვითონ ამბობს ერთს ლექსში.

ესეთს ხანგრძლივს და მდიდარს ცხოვრებაში პოეტის ცხოვრების მემატიანეს გვის მაჩვენებლად უძლვოდა ეხლამდის პოეტისავე სამსახური. ეხლა კი, რა სამსახურს დაანება თავი და მემატიანეს არიანეს ძაფი გაუწყდა, ამ ცხოვრების აღწერის წლითი-წლადი დაწვლილებაც ძნელი შეიქმნა. საჯაროდ მოქმედი კაცი შინაურ ცხოვრებაში შევიდა, საცა მწერალი ან ვერ შეჰყვება, ან თუ შეჰყვა და ვერ ილაპარაკებს პირ-ახსნით სულ ყველაფერზე, რის დანახვა და გაგონებაც შეეძლება იმას. რომ მემატიანემ სანათური შეიტანოს ამ შინაურს ქვეყანაში, საჭიროა... ბევრი რამ სჭიროა და სხვათა შორის ის, რომ წაიკითხოს პოეტის მეგობართაღმი მინაწერი წიგნები, თუ სხვა მცირე შენიშვნები, თუ წიგნის კოპიონი, რომელნიც პოეტის ქაღალდებში მოიპოვებიან, საჭიროა მოისმინოს ამ პოეტის ახლო მეგობართაგან, ან ნათესავთა და მოსამსახურეთა იმათი ხსოვნისაგან. შენახული საინტერესო ამბები და ამ გვარად გაეცნოს კერძო კაცს შინ, ღილ-გახსნილად კაბინებში მჯდომარეს, თუ ნაცნობ ნათესავებში მოშეიარულეს, თუ საზოგადოებაში მყოფს. ამასობაში ხან და ხან თითონ პოეტიც გამოყოფს თავს კერძო ცხოვრების დავიწყებიდამ და დაგვერახება ან საჯაროდ მოლაპარაკედ, ან საზოგადო საქმის მოღვაწედ და მაშინ გაზეთებიც გვეტყვის იმეზე თითო ორ-ორა სიტყვას!...

ორბელიანმა დაანება თავი სამსახურს მაშინ, როდე-
საც აღვიდა იგი ადმინისტრატიული იერარხიის უმაღლესს—
ხარისხამდე. მას შემდეგ იმან თოთხმეტი წელი იცოცხლა და
თოთხმეტი წელი სწერა... იმ სიმაღლიდგან, სადაც მთელს
საქართველოში ის იდგა მარტოდ მარტო, საიდამაც ის სჯი-
და ეს maitre თანამედროვის ცხოვრების მოქმედთა პირთა და
გარემოებათა. სამსახურიდამ გამოსვლამ მას მისცა მოცალეობა,
გამოცდილებამ—ცოდნა, ბუნებამ—ნიჭი და ორბელიანი, კაცე-
ბისა და გარემოების მოსამართლე, თავის მსჯელობით აღიწია ამ
ნაწერებში იმ მაღალ სტერამდის, საცა აქვს ადგილი მხოლოდ
სახელმწიფო კაცებსა და ფილოსოფოსებს. სამწუხაროა მხო-
ლოდ ერთი, რომ პოეტმა მემუარები არა სწერა, ბეჭდვის-
თვის გამზადებული, არამედ კერძო პირთადმი მიწერილ წი-
გნებში, რომელსაც ხშირად ლიტერატურული შემუშავება
აკლდა, გაპფანტა თვისი ჰაზრები და ბრძნული დაკვირვება.
ბევრი დაკარგულია ამ ნაწერებიდამ და ბევრს დაბეჭდვა არ
შეხვდება სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო.

მაგრამ ჯერ მაინც განვაგრძობთ ხრონოლოგიურ მოთ-
ხრობას პოეტის ცხოვრებისას.

7 ივლისს 1871-ს თბილისში იდლესასწაულეს პოეტის
აფიცრად მსახურებისა ლდმოცდა მეათე წელი. რაც ქა-
ლაქში გენერლობა იყო თუ დიდ-კაცობა, მოვიღნენ ამ დღეს
პოეტთან იუბილეის მისალოცავად. საღამოს საზაფხულო თეა-
ტრის ბაღში გამართული იყო დიდი სადილი იუბილიარის საპა-
ტიოდ. სადილის წინ მოულოდნელად მობრძანდა ქალაქს
ბორჯომიდან მისი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკო-
ლობზის ძე. სადილზე დამსახურებულს პოეტს მრავალი სიტყვა
უთხრეს: ბარონ ნიკოლაიმ, გუბერნიის მარშალმა გენერალმა
ანდრონიკოვმა, ქალაქის თავმა იაზონ თუმანოვმა და სხვათა.
სხვაზე უკეთესი სიტყვა იყო თვით მთავარ-მართებლისა, რო-
მელმაც ასე გაათავა თავისი სიტყვა.

„Со дня вступления моего въ управлениѣ Края, Я впой-
нѣ оцѣнилъ всю пользу, вами приносимую и ту опытность,

каторую вы пріобрѣли а душевныя качества ваши внушили мнѣ искреннюю сердечную любовь и глубокое уваженіе. Вы это знаете, князь, и въ этомъ не сомневайтесь, но лично приѣхавъ сюда, Я хотѣлъ публично выразить вамъ, какъ глубоко я васъ люблю, почитаю и уважаю.

„ დავაფასევი სავსეპით საჩუებლობა იქვენი და თქვენ გირზ შეძენი-
ლი გამო უდილება იმ დღიდანანვე, რაც ქვეყნის მართვა-გამგეობას შევადები,
ხოლო სულიერმა თქვენმა თვისებებმა შამინერვებს წრფელი და გული-
თადი სიყვარული და ღრმა პატივისცემა. თქვენ ეს იცით, თავადო, და
ეჭვიც არა გაქვთ, მაგრამ მოვედი ამ უამად იმისათვის, რომ სურდა გა-
მომეტებებინა საჯაროდ თუ რა ღრმად მიუვარხართ, გაფასებთ და პა-
ტივხა გცემთ.“

და დიდმა მთავარმა დალია მისი სადღეგრძელო. პასუ-
ხად იუბილიარმა სთქვა:

Ваше Высочество, Милостивые Государи!

Съ глубокимъ чувствомъ повергаю предъ Вашимъ Вы-
сочествомъ мою благодарность за честь, которою благоугод-
но было Вамъ въ этотъ день почтить меня и за то милости-
вое сочувствіе, съ которымъ отнеслись Вы къ моей проше-
дшей службѣ. Слова Ваши запали глубоко въ мою душу и
не скрою, онѣ слишкомъ радостны маему самолюбію. Госпо-
да, ваше дружественное вниманіе слишкомъ дорого моему
сердцу и подобное чувство не изглаживается временемъ.

Но, господа, не 50 летъ составляютъ жизнь человѣка,
а его дѣла. Эта мысль, признаюсь, всегда смущала меня,
преслѣдуя тайно тревожнымъ вопросомъ о томъ, принесло
ли мое служеніе пользу? Не знаю. Знаю только, что я слу-
жилъ Великому Престолу добросовѣстно. Еще болѣе знаю
то, что милость Великодушнаго Монарха всегда была пре-
выше моихъ заслугъ. А теперь не ожиданное присутствіе
Вашего Высочества среди насъ составляетъ вѣнецъ моей
службы, гордость моей жизни.

Кто-то изъ зловѣщихъ людей сказалъ, что въ этомъ
мирѣ для человѣка нѣтъ радости полной. И дѣйствително,
даже въ эту торжественную для меня минуту невольно над-
вигается на мое сердце тѣнь грусти съ роковымъ напоми-

наниемъ о томъ, что лучшая часть моей жизни уже не существуетъ, что пора свести счети съ жизнью, и что даже этотъ юбилей есть только намѣкъ на то, что приближается начало другой жизни. Что дѣлать? Установленный Свыше порядокъ ни для кого не измѣняется и я жду безъ страха; но все же мнѣ хотѣлось бы прожить еще съ вами, радоваться вашему счастью и на поприщѣ служебной вашей дѣятельности и у семейного очага, а уже пѣтомъ... и уйтти... но уйтти раньше васъ, прежде васъ... туда... а пока будьте счастливы и примите еще разъ отъ души мою благодарность.

Ваше Высочество живите долго, долго на славу Россіи, на счастіе этого обширнаго края, ввѣреннаго просвѣщенному вашему правлѣнію. Господа, за здоровье обожаемаго нашего Главнокомандующаго Кавказскою арміею Великаго Князя Михаила Николаевича. Ура!!!

Թյզեն շմալլյեստաց, թո՞յսալյեռ Ելլմիուզ!

Կրկնեցիս շրմենքուտ թոշակսենց թագլուծաս տյզեն շմալլյեստաց ոմ Յարոցուտցու, հոմլու լուրեսուր կրտոլ-պեղեց դա ցամեացը քլյը, ագրետց ոմ թո՞յսալյ տաճաշրմենքուտցու, հոմլու հեմու Քահսշլ սամ-սաեշնուսա ցամու արմամուինց տյզեն նորուցնու լուրմաց հասված հեմս և լուրմաց հեմու գշլուսատցու տյզեն թյզանեալուն պարագանեալ դա ցամեացը ամ ցամու լուրմաց համար Քաշնուս.

Եացրամ, ծարունց ծամուանու նուրութլյը Շյալցին սայմեն նունո դա առա 50 Քաշնուս դո. դա ցամոցուրուց ծամուանու մայնութեած, մաթուութեած, սամութլուց համ կոտեցա մշւամ մեժանութ, — ցամուու համ սարցեալուծ հեմմա սամսաեշրմա մետյու տու առաջ առ զուրո. զուրո մեռուց ու, հոմ գութեալուն բաշիւ կրտոլ նոնուուսուրաց զեմսաեշրմա ծամուանու մերուց մերագ-կո զուրո ու, հոմ գութեալուն մոնարչու մո՞յսալյեա հեմս սամսաեշրմա ծամուանու մերուց ալյեմա բաշրմա մշւամ. աթլա կո տյզեն սամութլուն մուլուցնու հեցն Շորու սուրբնա մեռուց հեմու սամսաեշրմա ցուրուցնու դա հեմու նուրութլու սուրուն Շյալցին.

Յուրաց ծարուուն սուրյամե, ամ մեցնաց կարուսատցու և կուրուն կուրուն առ առնեանուտ. դա թարտլապ, ագյու, հեմտցու յետուց սասուսարուն Քամս սենեանու գուլու հալու բալու կարակցրու դա մացոնեա ծերուու, հոմ սաշյետու բալուու սուրութլուսա սուրյա ցալուու մայսե, առաջ առնեանուտ; հոմ լուրու սուրութլու անցարութ ցալուու; տցու յու ութուուց.

კი ნიშანია მხოლოდ იმისი, რომ სულ სხვა ცხოვრების დასაწყისი მიახლოვდება. რა ვჰქმნა? ზე დადგენილი წესი არავისთვის არ შეიცვლება და მეც უშიშრად ველი; მინდოდა მაინც კიდევ მეცხოვრა თქვენთან, მემჩია-ზულნა თქვენის ბეჭნიერებით, როგორც თქვენის სამსახურის ასპარეზე, ისე ფჯაში, შემდეგ-კი... წავსულიყავი კიდეც... მაგრამ წავსულიყავი თქვენზედ აღრე, თქვენზე უწინ... იქიმ... მინამდის-კი იყავნთ ბეჭნიერ და მიიღეთ ერთხელ კიდევ სულრს სიღრმიდგან ჩემგან მოძღვნილი ბე-დლობა.

თქვენი უმაღლესობავ, იცოცხლეთ დიდ-ხანს რუსეთის სადიდებლად და საბედნიეროდ ამ ვრცელის ქვეყნისა, რომელიც თქვენ ს განათლებულს მმართვა-გამგეობასა აქეს მონდობილი. ბატონებო, ვადლეგრძელოთ ჩვენ მიერ გაღმერთებული მთავარმართებელი კავკისის მხედრობისა დიდი მა-გარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. ურა!!!

იუბილესს ზვედრი ჯილდო — ანდრია პირველ-წოდებულის ორდენი — ორბელიანმა პირადად ხელმწიფისაგან მიიღო. ამ წელს, სექტემბერში, ქალაქს უნდა მობრძანებულიყო ხელმ-წიფე იმპერატორი, რომელსაც ენება პირადად გადაცემა ჯილდოსი. რადგანაც ხელმწიფის მოსვლა საქართველოში და ორბელიანისაგან მისი ნახვა თავისითავად საინტერესოა, რაღ-განაც ის წამები, რომელიც პოეტმა გაატარა ხელმწიფესთან, შეადგენს სასიხარულო წამებს პოეტის ცხოვრებაში, ჩვენ არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოდ აქ *in extenso* ერთა მისი წე-რილი, რომელშიაც იგი აუწერს თავის ძალუას სოფიოს ამ სასიხარულო ამბავს. ეს წერილი ბიოგრაფიის მიუკილებელი ნაწილია, ცხოვრების აღწერის ერთი, ნაბიჯით წინ წამწევი: მისი არ დაბეჭდვა შეუძლებელია. სიღიღეს შინაარსის სიმღიდ-რე გამოისყიდის.

ჩემო საყვარელო ძალუავ სოფიო! კელმწიფე. იმპერატო-რი გაბრძანდა 25 სეკტ. ბორჯომისაკენ, სადაცა დაიღამებს და იქიდამ ქუთაისზე ყირიმისაკენ, დიდად გახარებული ყოვ-ლითა მით, რაიცა იხილა პეტროვსკიდან თბილისამდე, მეტად-რე დაღესტანი, რომლისა კეთილად მოვლა, მშვიდობიანობა და გზები უხაროდა დიდად. მიბრძანა: „ვის ეგონა ათის წლის წინა, რომ მე მოვვლიდი ჭალისტანში იმ ალაგებსა, სადაცა

იყო დაუცხრომელი ბრძოლა და ჩემ მცველად გზაზე იქნებოდნენ ისევ ის ხალხი და ნაიბები, რომელნიცა მაშინ იყვნენ დაუძინებელნი მტერნი ჩვენნი?“ მე მოვახსენე, მიზეზი ესრეთის დამშვიდებისა არის მხოლოდ მოვლა ერისა კეთილ-გონიერებით, სიმართლით და სიყვარულით.“ მაგრამ სჯობს და ვიწყო თავიდან.

20 სეკტ. იმპერატორი ნასლედნიკით და ვლადიმირით მობრძანდა პირდაპირ ლაგირში, საბურთალოზე, საღაც დახვდა ველიკაია კნეინა უფროსის შეილითა. კელმწიფე გადაეხვია, ჩაჰკოცნა და შემდეგ ჩამოუარა პაჩოტნის ყარაულსა და მთლად იქ შეკრებილთა ღენერალთ-აფიცრობათა. მე დიდის მოწყალებით მომიკითა, მიბოძა ხელი და მეცა ვაკოცე. მეჩე შებძანდა კარავში და მცირეს ხანს უკან გამობძანდა მუნდირით და გაემართა ცხენით ჯარებისაკენ, რომელნიცა იყვნენ მშვენივრად მომზადებულნი. ჯარების უკან მთლად გორები იყვნენ ხალხით ასხმულნი. მხიარულად მოწყალეს თვალით კელმწიფემ ჩაუჭენა ცხენი ჯარსა, ჯარშა შესძახა მოუწყვეტელი ურა, ხალხმა მოსცა ბანი, და ასეთი ხრიალი შეიქნა, რომ მართლად ყარამანიანობა მომაგონდა, პაერი იყო წმინდა, მშვენიერი; ლაუვარდოვანის ციდამ დაჭნათიდა ბრწყინვალე მზე და ყაზიბეგიც თავ აწეული დასკეროდა შორიდამ ამა დიდებულსა სახილველსა! გათავდა ცერემონიალნი მარში; კელმწიფემ უწყალობა ღენერალ-აღიუტანტობა კნ. თარხანოვსა და წამობძანდა ცხენით ქალაქისაკენ, წინ მოუძღვნენ თავად-აზნაურნი, მაინც კიდევ კარგნი სანახავნი, მათ შორის იყვნენ მოხუცი ყაფლან და ჩემი გიორგი ქართულად მოქმაზული საცვეთ-წალებით; ვეება მინდორი შევიწროვდა ზღვად გადაქცეულისა ხალხისაგან; ვერის ჯვართან შედგა კელმწიფე, პირს ჯვარი დაიწერა და მიიღო შესხმა და პურ-მარილი გალავასაგან; ქუჩებში ძლივს ირყეოდა ხალხი; ბანები, ფანჯრები, მოაჯირები მოჭედილნი იყვნენ მორთულის ქალებთა და ყოვლის მხრიდამ მოისმოდა ხმა-ქუხილი სიხარულისა და მოდიოდა. წვიმა ყვავილებასა.

აღწერა ესრეთის სანახავისა შეუძლებელია: იმ უამსა კაცის თვალებიცა, გონებაცა გამოშტერებულია და ახსოვს მხოლოდ ერთი რაღაცა გამოუთქმელი საკვირველება. მე, მირსკი და მრავალნი სხვანი დავრჩით სიონს გარეთ, ასე ვიყავით შეიწროებულნი. სიონიდამ იმავე ყოფით კელმწიფე მობრძანდა სასახლეში, ჩვენ გამოვეთხოვენით და ამით დაბოლოვდა ეს დღე. იმ ლამეს იყო ჩირალდანი, რომლისა მსგავსი აქ ჯერ არ ყოფილა. დაღალული, დაქანული მოველ შინ, მაგრამ ჯერაც ვერ მიმხვდარ-ვარ რად ვიყავ ისე ღონე მიღებული? მგონია ამ საკვირველმა სანახავმა მეტის-მეტ დიდებულებით ჩვენ დაგვამცირა, ვერ მივწვდით მის სიმაღლეს და ამ შინაგანს ბრძოლაში წაგვერთო გონებაცა და ღონეცა. ლამე შემიპყრო რაღაცა მოუსვენებლობამ, ძილიც გამიკრთო და ვიყავ ისე გათენებამდის ოცნებაში ტყუილად თვალებ დახუჭვილი.

21-ს წარვსდევ მე ნასლედნიკთან და ვლადიმირთან. ეს კი დამავიწყდა, რომ გუშინ გზაზედვე კელმწიფემ გამაცნო თრნივე თავისი შვილები, ორნივე ლომების მსგავსი, მაგრამ მე ნასლედნიკი დიდად მომეწონა სახით მოყვანილობით, გონებით, დარბაისლობით. ნასლედნიკიდამ შევედით მთლად ამალა კელმწიფისა სასახლის ეკულესიაში. იქ ვიდრე დაიწყობოდა წირვა, ჩვენმა ველიკი კნიაზმა მითხრა კელმწიფე გიბრძანებსო. შეველ კაბინეტში, კელმწიფე ბრძანდებოდა მარტო, მოახლოვდა და მიბრძანა: მე აქამდის არ მოგილოცე შენი უბილეთ, რაღვანაც მსურდა მე თვით პირის-პირ მომელოცნა და გამომეცხადა ჩემი მადლობა შენის თავდადებით ერთგულ სამსახურისათვის და ნიშნად ჩემის მადლობისა მიწყალობებია ესე. აიღო წითელი ჭუტლიარი და მიბოძა; მეც ჩამოვართვი გულზე კოცნითა და მოვახსენე: „ღრმად ვგრძნობ, რომ ჩემი ნამსახურობა არ არის ღირსი ესრეთის მოწყალებისა, მაგრამ ვინც როგორც გინდა გემსახურნეთ, მაინც წყალობა ზქვენი მარადის უმაღლესია და ვართ თქვენ წინაშე ყოველთვის ვალგადუხდელნი“. კიდევ გულზე ვაკოცე და გამოველ ექცლე-

სიაში; შემომეხვია მთლად ამალა, ჯერ მეც არ ვიცოდი რა წყალობა იყო. გავხსენით ჭუტლიარი და დავინახეთ ანდრია პერვოზვანნისა ლენტი და ჯაჭვი და მათზე რესკრიპტი. შეიქმნა ლალადება მოლოცვისა. ტალიზინმა იქვე გამიკვთა და ჩამომკიდა ლენტი და თავ-მალლა-აწეულად მოვისმინე წირვა.

წირვის შემდეგ იყო დიდი ჰრიდამი. ერთს ზალაში იყვნენ სამხედრონი, მეორეში სამოქალაქონი და მესამეში ჩვენი დვორიანსტვო. გამობრძანდა მხიარულის სახით კელმწიფვე ჯერ სამხედროებთან გვიბრძანა საზოგადოდ მაღლობა და თვითოვეულსაცა მოაგონა რაცა კი სამსახურში ექმნა გამოსაჩენი. სხვათა შორის ბრძანა, რომ ამ მინუტში მივიღე წიგნი კნ. ბარიათინსკისაგან. მერე გაბრძანდა სამოქალაქო ჩინოვნიკებთან. იქ უბრძანა: არა მქონდა დრო გამესინჯა დაწვრილებით, თუ როგორ დაგიწესებიათ და დაგიმკვიდრებიათ ახალი სამსჯავრო, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეგე სამოქალაქო ნაწილიცა მიახწევს ბრწყინვალეს ხარისხამდის, როგორც ვიხილე სამხედრო ნაწილი. გაბრძანდა ჩვენს დვარიანსტვოსთან; დიდის გულითადის მოწყალებით მიიღო და გამოუცხადა თვისი მაღლობა თავდადებით ერთგულობისათვის ამ სიტყვებით: „მამანი თქვენნი და თვით თქვენცა ყოველს ბრძალაში სისხლის დანოხევითა ერთგულებასა უჩვენებდით ჩემს მამასა და თვით მეცა. და შემდეგ, რაცა მოვითხოვე დვარიანსტვოდამ ყმების განთავისუფლება, მე თქვენზე სრულებით ვიყავი დარწმუნებული და ესრეთი ჩემი სურვილი დაუბრკოლებლივ აღასრულეთ თქვენ და მე ესე არასოდეს არ დამავიწყდება. იმედი მაქვს, რომ თქვენი შვილებიცა თქვენსავით ერთგულებით ემსახურებიან ჩემს ნასლენიკსა, რომელსაცა აი წარმოგიდგენთ თქვენ“. მერე იქვე წაიკითხა ხმა-მაღლივ დვორიანსტვოს აღრესი, რომლითა სთხოვდნენ სასწავლებლის განვრცელებასა და მიღებასა სახელმწიფოს ხარჯზედ ვოენნის გიმნაზიაში ორასის ყმაწვილებისა ლარიბთა თავადაზნაურთა შვილებისა. ამის პასუხად ბძანა: „თქვენი თხოვნა შეადგენს თვით ჩემ სურვილსაც და სიხარულით აღვისრუ-

ლებთ“. ამ შემთხვევაში შესანიშნავი ეს იყო, რომ როცა ველიკი კნიაზმა წარდგენის დროს მოახსენა: დვორიანსტვო ტიფლისკოი ლუბერნიი კელმწიფე-კი რაოდენჯერმე თითქოს განგებ ამბობდა გრუზინსკოე დვორიანსტვო, მოე ვერნოე გრუზინსკოე დვორიანსტვო, და ერთხელაც არ ახსენა ტიფლისკოი ლუბერნიი.

ამავე დღეს წარსდგნენ სომხის პატრიარქი, ჩვენი ეგზარქი, პოსლანნიკები ყიზილბაშისა და ოსმალოსი. ყიზილბაშისა იყო ბიძა ყაენისა ამზა მირზა, მაღალ-ზრდილობიანი, დიდი დარბაისელი, კარგი მოლაპარაკე, კეთილის გულისა, მაგრამ მისუსტებული, მინაზებული, ღონე-წარსული.

შვადლისას იყო მანევრი ლისის ტბასთან; ერთიანად ქალაქი იქ გადასახლდა, ქვეითად, ცხენებით, ფურგონებით, ჭაეტონებით და აავსო იქაურნი მთებნი და ველნი. გათავდა მანევრები და კელმწიფემ უწყალობა ჭლიგელ-ალუტანტობა გურჩინს და გალიცინსა. კელმწიფეს დიდად მოეწონა ჩვენი ჯარები და მართლად დიდად მოსაწონი არიან.

შვიდს საათზე მობრძანდა დვორიანსკის სადილზე ახალს თეატრში; მხიარულ სახით ბრძანდებოდა კელმწიფე და აქა-იქ გვეუბნებოდა ალავერდი თავის დროს ჩვენმა მარშალმა სადლეგრძელოს ჟამს მოახსენა კარგად ლაზათიანი სიტყვა, და იქვე უწყალობა ღენერალ-ალიუტანტობა. სადილად ქალები იყვნენ მიწვეულნი, რასაკურველია ველიკი კნეინას გარდა, მხოლოდ ბატონის რძალი, ანნეტა, ვარინკა, ქეთოშა, ჩებენ-დერის ცოლი და მარშლების ცოლები. ამზა მირზასთან იჯდა ანნეტა, იმ ღამეს მეტად განშვენებული. მე უთხარ ამზა მირზას, რომელიცა იმას ხან-და-ხან როგორლაც თვალს გადაულებდა „თქვენო უმაღლესოებავ წიგნში ჰსწერია ჩემმა ულმობელმა მეზობელმა დამწვა მე. ამ მინუტში ხომ არ გეკიდებათ თქვენცა ცეცხლი უწყალო მეზობლისაგან? — ვახ! ვახ! აგრეა, სწორედ აგრეა! მერე, მერე გეტყვი პასუხსა!

სადილს შემდეგ გაბძანდა კელმწიფე ბალში, სადაცა წარსდგნენ ჩვენნი ქალები, იქ აღრევე შეკრებილნი; იყა

მცირედი ლეკურიცა და მერე კელმწიფე წაბძანდა თეატრში და მას, რა საკურველია, გაჲყვა ერთიანად საზოგადოებაცა.

თეატრის შემდეგ შეველ ჩვენს ველიკი კნიაზთან, რომელსაცა დავებარებინე.

— ხომ არ დაიღალე?

— სწორედ მოვახსენო ღიღად დავიღალე.

— ჩაი ხომ არ გინდა?

— როგორ არ მინდა, ძალიან კარგი იქნება, რომ და-მალევინოთ; მაგრამ ერთი მიბრძანეთ კელმწიფე არ იღალება?

— აი როგორ იღალება: ეხლა დოკლადით ახლავს შუვალოვი და მერე მე უნდა წავიდე. აი ჭხედავ რამოდენა გროვა ძევს სტოლზე ქალალდებისა, ეს სულ ამაღამ უნდა მოვახსენო და რა საკურველია ორს საათამდის ძლივს გათავ-დება და ექვსს საათზე დიღით ყოველთვის ტან-ჩაცმული ბძანდება!

აი, ჩემო სოფიო, პუშკინის სიტყვა თურმე მართალი ყოფილა „თაჯელა შაპკა მონომახა“. აი რა შრომა აქვთ კელმწიფეებსა!

დღეს ნასლედნიკი და ველიკი კნიაზი ვლადიმირი მო-ბძანდნენ ჩემთან ვიზიტად.

22-ს კელმწიფემ გაშინჯა ლაგირში თოფების სროლა და ზარბაზნებისა მიზანში და ღიღად მოეწონა; ამ დღესვე ველიკი კნიაზსა პეტრები დიდი გაჭიმული სადილი, რომელ-ზედაც ველიკი კნიაზმა მოახსენა წჭყა კელმწიფის სადღეგრძე-ლოს დალევის უამსა და კელმწიფემაც უპასუხა ჩინებულად.— იმავე ღამეს იყო მუშთაიდის ბაღში ბრწყინვალედ გამართუ-ლი ქალაქისაგან ბალი, მორთულ-შოკმაზული, როგორცა შეეფერებოდა უდიდებულესსა სტუმარსა; ამასთანა იყო საუ-ცხოო სხვა-და-სხვა გვარი შუშხუნა, რომელთა შორის იყო არტილერიის კაზარმიდამ დაქანებული მტკვრამდის მდინა-რე ცეცხლისა. კელმწიფემ ბძანა: ეს ჩემს დღეში არ მინა-სავსო. მერე კელმწიფე ველიკაია კნეინით, ნასლედნიკი ბა-ტონის რძლითა და სხვანი ყველანი ქალებითა წაბძანდა ხეივ-

ნებში, სადაცა ისხდენ ვახშმად ათი ათასზე მეტი კაცი, ჩაუარა ყველა ამქარსა და შენ იფიქრე რა ყვირილი იყო სიხარულისა! ნეტავი ვიცოდე ამ დროს რას ჰფიქრობდა შუვალოვი და ანუ აღუტანტები ავსტრიისა და ლერმანიისა იმპერატორებისა? ამ წესით შემობძანდა ისევ ზალაში, სადაცა დაიწყეს კადრილი. მე ვიყავ ვლადიმირის ვიზავი! კელმწიფემ რომ დამინახა, ჰსთქვა: კნიაზ გრიგორი დიმიტრის პოდაეტ პრიმერ, ნეც უნდა ვიტანციონ და გაიყვანა კნეინა ანნეტა.—ასე მხიარულებით ბძანდებოდა კელმწიფე პირველს საათამდის, და მერე წაბძანდა. მიართვეს ის ტახტი კელმწიფეს, რომელზედაც იჯდა და რომელიცა იყო მშვენიერად და მღიღრად ნაკერი ხუთასის თუმნისა. ამასთანა დიღროანნი ვერცხლის გოზაურები და მინანქრის ჯამები და აზარფეშები; ეგრეთვე ნასლედნიკსა და ვლადიმირსა სხვა-და-სხვა ფეშქაშები. ეს დღეც ასე დასრულდა მხიარულად.

23-ს კელმწიფე წაბძანდა შვილებითა, ველიკი კნიაზითა და ამაღლითა ყარაიაზე სანადიროდ. აქაც ბედმა ჩვენმა გასჭრა და მოკლა ტახი კელმწიფემ, მოკლა ირეში ნასლედნიკმა, ვლადიმირმაც მოკლა ღორი და კიდევ სხვათაც. იქ შვიდ საათზე ისადილეს და ღამე დაბრუნდნენ.

24-ს კელმწიფემ გაშინჯა სხვა-და-სხვა ზავედენიები და მუზეუმ; გაუკეთა ვიზიტი ყიზილბაშის პოსლანნიქს და მაჰემად მირზასა. უნდა მოგახსენო რომ ამზა მირზა და მაჰემად-მირზა ძმები ყოფილან. სადილად იყვნენ მხოლოდ ლენერალ-აღიუტანტობა და საღამოზე ტეატრი.

ასე დაუხვდა ჩვენი ერთგული ქვეყანა თავის ყოვლად მოწყალეს კელმწიფესა.“

ი. ბეჭნარგა.

ვეზევის ცარისნის უსამოწმეგალი მასალა.

(უბის წიგნიდან)

ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა „ვეფხვის ტყაოსანზედ“; შემდეგ შიაცბევრ ირთქმის და უფრო მეტი დაიწერება. ესეთი ხველრი არგუნა ბედმა მხოლოდ ვეფხვის ტყაოსანს, რაღაც მას გენიოსური ბეჭედი აზის. ეს თხზულბა ისეთივე ბუმბერაზია ჩვენს ლიტერატურაში, როგორც იალბუზი სხვა დაბალ კავკასიონის ქედების შედარებით. და ამიტომ ყოველ ცდას ვეფხვის ტყაოსნის ზოგიერთს დაზიანებული ადგილების აღდგენის საქმეში მნიშვნელობა აქვს. ჩვენც შეძლებისა და გვარად გვსურს შევიტანოთ ჩვენი წვლილი სამშობლო ლიტერატურის ტრაპეზზედ. მცირეოდენი შენიშვნა ვეფხვის ტყაოსანზედ ჩვენ გამოვსთქვით მასზედ „ივერია“-ში*). ორიოდე სიტყვას ამ უკვდავ ქმნილებას ეხლაც ვუძლვნით.

ამ ათი წლის წინად ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი შესანიშნავი ვარიანტი ვეფხვის ტყაოსნისა, მაგრამ შემთხვევა არა გვქონდა გაგვეცნო ქართველ საზოგადოებისათვის ეს ძვირფასი ხელთ-ნაწერი. ვარიანტი რამდენჯამე დღითი მომიტანა სასულიერო სასწავლებლის მოწაფემ ბ. მიროტაძემ და, როგორც მან გადმომცა, ის ეკუთვნოდა თბილისში მცხოვრებს სომხის ქვრივ მანდილოსანს. ეს ვარიანტი იყო გადაწერილი

*) იხ. გაზეთი „ივერია“ 1895 წლ. № 93.

გასანთლულ ქაღალდზედ, in folio, და შეიცავდა 227 ფურცელს. რაღანაც ამ ბოლო დროს ჩვენ საზოგადოებაში აღიძრა კეთილი სურვილი ვეფხვის ტყაოსნის საფუძვლიანად შეწავლისა და ბ. ა. სარაჯიშვილმაც დიდი შრომა უძღვნა ამ საქმეს, ჩვენც გადავსწყვიტეთ განვუზიაროთ მას ჩვენი მცირე შენიშვნები, მით უმეტეს, რომ, როგორც შემდევ დავინახავთ, თვით ვარიანტი ძალიან საინტერესოა.

ბ. ჩუბინაშვილის მიერ დაბეჭდილი ვეფხვის ტყაოსანი შეიცავს 1594 ტაქს და თავდება ტარიელისა და ნესტან დარეჯანის, ავთანდილის და თინათინის ქორწილით. მაგრამ როგორც საღმრთო წერილის ზოგიერთა დაფარულმა ადგილმა ან გაკვრით თქმულმა ამბავმა გამოიწვია მთელი სასულიერო ლიტერატურა აპოკრითებისა, აგრეთვე შოთას უკვდავმა და შეუდარებელმა ქმნილებამ დაპატარა მთელი გუნდი მიმბაძავთა და გადამკეთებელთა. ამით აიხსნება, რომ ვეფხვის ტყაოსანს შეეხნენ თვისის მკრეხელის ხელით, როგორც თანამედროვენი, აგრეთვე შემდეგის დროის მწერლები. მაგრამ ზოგთა ესეც არ იკმარეს: მოინდომეს დაესრულებინათ ვითომდა დაუსრულებელი პოემა შოთასი. ამ ნაირად გაჩნდნენ გაგრძელებანი. პირველად, რასაკვირველია, გაგრძელების ავტორი ჩასწერდა გაგრძელებას თვისს ვეფხვის ტყაოსნის ხელთ-ნაწერში, და იქნება აზრად არც კი ჰქონდა მისი გავრცელება ხალხში, რაღანაც თვით, ეჭვი არ არის, უცკეროდა ამ მცირე შრომას, როგორც კალმის ცდას, მაგრამ შემდეგ ზოგიერთა გადამწერთა წყალობით, რომელნიც ვერ საზღვრამდნენ შოთას ვეფხვის ტყაოსანს და გაგრძელებას, ვრცელდებოდა ხალხში დამატებიანი და გავრცელებული ვეფხვის ტყაოსანი. ამ ვარიანტში, რომელიც ჩვენ გადავშინჯეთ, არის გაგრძელებაში მხოლოდ 222 ტაქსი, მაშინ როდესაც ბ. პ. კარბელაშვილისაგან დაბეჭდილი დამატება უფრო ვრცელია და შეიცავს 3.15 ტაქსს*).

ჩვენ ვარიანტში კერძო სათაურები გაირჩევა დაბეჭდილ ტექსტისაკან და ყოველი სტრიქონი იწყობა წითელი მელნით.

*) ეურნალი „ივერია“ 1880 წლ. გვ. 3—54.

ეს უკანასკნელი გარემოება ნათლად უჩვენებს იმ მნიშვნელობას, რომელსაც ვეფხვის ტყაოსანს მიაწერდნენ ჩვენნი წინაპარნი. როგორც საღმრთო და საეკლესიო წიგნების დასაწყისი ადგილები იწერებოდნენ ამ გვარად წითელის მელნით, აგრეთვე იწერებოდა საერთო თხზულებიდან მხოლოდ ვეფხვის ტყაოსანი.

სამწუხაროდ, ვარიანტში არ არის ნაჩვენები არც დრო გადაწერისა, არც ვინაობა გადამწერისა და არც ადგილი, სადაც იგი გადაწერილია. მაგრამ პალეოგრაფიულის ნიშნებით შეიძლება ზედ მიწვნით აღინიშნოს დრო, რომელსაც ეკუთვნის ეს მანუსკრიპტი. ასო „პ“ ავ ხელთ ნაწერში არის ოთხ და ხუთ კბილოვანი; „პ“ არის სამ კბილოვანი. განსვენებულ ისტორიკოსი-არხეოლოგის ბ. ლ. ბაქრაძის დასკვნით, რომელმაც ჩვენში პირველმა მტკიცე საძირკველი ჩაჰყარა ქართულის პალეოგრაფიისა, ნაჩვენები ზემოთ ასოები იწერებოდნენ ამ გვარად XV—XVI საუკუნეებში. მაგრამ რაღაც ამ ვარიანტის თავში არის მოთავსებული ორი ფურცელი ლექსად თქმული წმ. ქეთევანის წამებისა და გადაწერილია ვარიანტისავე ხელით, ამიტომ საფუძვლიანად გვვონია მივათვისოთ ამ ვარიანტის გადაწერვა მე XVII საუკუნის დასაწყისს. ვარიანტს ეტყობა, ძალიან ძველი დედნისაგან არის გადაწერილი.

ჩვენგან გადაშინჯული და შემოწმებული ხელთნაწერი იწყება ისე, როგორც ბ. პროფესორის ა. ს. ხახანაშვილის მიერ აღმოჩენილი და გარჩეული ვარიანტი არხივის ხელთნაწერისა*). აქ საზოგადოდ საჭიროდ ვსთვლით შევნიშნოთ, რომ ჩვენს ძველ ლიტერატურაში ყველა უცხო ენიდგან თარაგმანს აქვს შერჩენილი თვისი სახელი, მაგალითად: ვისრამიანი, ქილილა და დამანა, ყარამანიანი, როსტომიანი და სხვა. ვეფხვის ტყაოსანს კი ქართული სახელი აქვს, ეს რის მაჩვე-

*) Грузинская рукописная поэма „Варсова Кожа“ изъ Московского главного архива министерства иностранныхъ дѣлъ. Труды Восточ. Ком. Импер. Москов. археол. Общ. т. II.

ნებელია თუ არა იმისი, რომ იგი თარგმანი კი არ არის, არა მედ ორიგინალური, ნაციონალური ქმნილება.

აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ გმირის შემოსვა ვეფხვის ტყავში უნდა იყოს ჩვენი ნაციონალური ჩვეულება, ქართველი ხალხის გენის ნაწარმოები; ამის კვალი უნდა ვეძიოთ ჩვენ წინაპართა ძველ გარდმოცემებში-ლეგენდებში, იმ დროს, როდესაც ქართველები ბინაღრობდნენ შუა მდინარეზე (მესოპოტამიაში).

ჩვენი შენიშვნები და გამონაწერები ზოგი დაგვკარგვია ამ ათი წლის განმავლობაში და რაც დაგვრჩა, იმას განვუზიარებთ მკითხველებს.

ვარიანტში წინა სიტყვაობის ტაეპები შემდეგ რიგზეა მოყვანილი:

ვარიანტი	ჩუბინა- შეიღლისა.	ვარიანტი	ჩუბინა- შეიღლისა.
1	"	21	9,
2	7,	2	10,
3	4,	23	"
4	15,	24	8, ჩახანაშ.
5	6,	25	1,
6	16,	26	"
7	4, (ჩახან.)	27	"
8	7, (ჩახან.)	28	3,
9	9, (ჩახან.)	29	5,
10	17,	30	23,
11	18,	31	27,
12	6, (ჩახან.)	32	25,
13	19,	33	11,
14	20,	34	12,
15	21,	35	13,
16	26,	36	14,
17	27,	37	30,
18	28,	38	31,
19	29,	39	2.
20	8,		

აქ მოყვანილ ცხრილიდგან სჩანს, რომ ვარიანტში არ შოიპოვება ოც და მეორე ტაეპი, ჩუბინაშვილის მიერ დაბეჭ-
დილი ვეფხვის ტყაოსნისა. საზოგადოდ წინასიტყვაობის შესა-
ხებ უნდა შევნიშნოთ, რომ უხლანდელი რედაქცია მისი შე-
იცავს ბევრ ტაეპს, რომელნიც შოთას მაღლიან კალამს არ
ეკუთვნიან, არამედ შემდეგის დროის ნაწარმოებათ უნდა ჩა-
ითვალონ. წინასიტყვაობაში ზოგი ტაეპი ერთი მეორეს ეწი-
ნააღმდეგება (5, 16) და არც ორც თრგანიული კავშირი არ-
სებობს მათ შორის.

მესამე მუხლი ვარიანტის ოცდა მერვე ტაეპისა (ვ ჩუბი-
ნაშვ.) ასე თავდება: „მას არა ვიცი, შევმართო ხოტბისა შე-
სხმა შერისა“. დაბეჭდილში კი არის: „მას არა ვიცი, შევკა-
დრო შესხმა ხოტბისა ხშირისა“. ბ. ჩუბინაშვილს დაზიანებულ
ხელთნაწერიდგან გადმოუბეჭდია ეს ტაეპი და „შერის“ მა-
გივრად უხმარია „ხშირი“, რომელიც არც რითმას ესაბამება.
და არც აზრის მომდინარეობას. შერი არის რჩეული ლექსი
და ეს სიტყვა იქნებოდა პირველ დედანში ნახმარი. ამ ტა-
ეპის საში მუხლში თანხმობაა ხუთი ასოთი (ერისა), მარტო
ერთი მუხლია, სადაც ნახმარია ხშირისა, და აქ შეთანხმებაა
მხოლოდ ოთხი ასოთი (რისა) და ამასთან სიტყვა ხშირისა მუ-
სიკალურ ჰარმონიასაც არღვევს. სიტყვა „შერისა“ რომ ვიხ-
მართო ამ ტაეპში დაბეჭდილი სიტყვის მაგივრად, მაშინ ნამ-
დვილი რიმა იქნება და ამასთანავე მივიღებთ უფრო მაღალ
აზრს, რადგანაც ხშირი უჩვენებს მრავლობას, რაოდენობას,
ხოლო შერი კი ლირსებას. რომ ნამდვილად ჩვენგან ნაჩვენე-
ბი სიტყვა უნდა ყოფილიყო თვით პოეტის დედანში, ეს მე-
ოთხე ტაეპიდანაც სჩანს: „ვსოქვენით ქებანი ვისნიმე არ ავად
გდმორჩევული.“ აქედან ცხადია, რომ უნდა იყოს შერისა და
არა ხშირისა. შეუგნებელ გადამწერს შერის მნიშვნელობა არა
სკოდნია და ამ სიტყვის მაგივრად უხმარია ხშირისა. ეს სიტ-
ყვა შეუსწორებლად დაუტოვებრა ვეფხვის ტყაოსნის საჯედაქ-
ციო კომისიას.

47 (37) ვაზირთა ჰკადრებს...

ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს რაზომცა ჯერობა,
მისივე მეტობს ყაველსა სული და ოურფა ფერობა.

ვარიანტი — ვაზირი ჰკადრებს...

ვარდი თუ დასჭინს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჯერობა,
მისივე მეტობს ყაველი, სული და ოურფა ფერობა.

48 (39) ჩუბინაშვილისა)

„თუცა ქალრა წელმწიფედ მართ ღვთისა დანაბადია.“

ვარიანტი-კი ვკითხულუბთ:

„რადგან ქალია სამეფო მართ ღვთისა დანაბადია“

თინათინი ჯერ ტახტზედ არ იყო აყვანილი და ამიტომ ვა-
რიანტის აზრი უფრო სწორედ მიგვაჩნია

56 (45) ჩუბინაშვილისა)

მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.

ვარიანტი:

მისცა სკიპტრა და პორფირი მეფეთა სამოსელითა.

57 (46) ჩუბინაშვილისა)

უკუ დგეს და თაყვანი-სცეს მეფეთა და მისთა სპათა.

ბუქა ჰერეს და წინწილანი დაატკბობდეს ტკბილია ხმათა.

ვარიანტი

უკუ დგეს და თაყვანი-სცეს მეფეთა და მისთა სპათა.

ქოსა ჰერეს და წინწილანი დაატკბობდა მათთა ხმათა.

ვარიანტი უფრო სწორე უნდა იყოს, მეფემან უნდა იყოს
და არა მეფეთა, რადგანაც მარტო ერთი როსტევან მეფე იყო,
როდესაც თინათინს დაადგეს მეფის გვირგვინი.

58 (47) ჩუბინაშვილისა)

„ამად სტირს, ბალი ვარდისა“...

„ამად სტირს ლაწვი ვარდისა.

ვარიანტი ყველგან იწერება სოგრატი, ჩუბინაშვილი
კი—სოკრატ და ზოგან სოგრატი.

68 (57 ჩუბინაშვილი)

სპათა სპასპერი ჩ-უქი, ვითა ვედხვი და ლოჭია.

ვარიანტში

სპათა სპასპერი ჩ-უქი, ვითა ვრფხ-ლომი მხტლას.

70 (59 ჩუბინაშვილი) თვითთა აიღეს...

ვარიანტში—თვითთა აიღეს... ეს კითხვა ჩვენ უფრო სწორედ მიგვაჩნია, რადგანაც სასახლეში ღვინის დამსხმელები მერი-ქიფები იყვნენ, რომელთა თანამდებობა იყო ღვინის დასხმა და არა სტუმრებისა.

71 (60 ჩუბინაშვილი) ჩუბინაშვილისაგან დაბეჭდილ ტექსტები ამ ტაეპში ონზედ ბოლოვდება ლექსი, ვარიანტში კი ანზედ, და, ჩვენის აზრით, ასეც უნდა იყოს, რადგანაც სოლგრატი პირად მიჰმართავს მეფესა და არა მეორე პირის საშუალებით.

72 (61 ჩუბინაშვილი)

„ჩემი ძრახვა სიძუნწისა ტყუის ვინცა დაუყდეჭა.“

ვარიანტში

ზრახვა ჩემის სიძუნწისა ტყუის ვინცა დაიყვედნა.
დიდი გარჩევაა აქ დაბეჭდილსა და ვარიანტში. დაბეჭდილიდან გან შემდეგი აზრი გამოდის: ჩემი თქმა სიძუნწეზედ..., უნდა კი იყოს ჩემზედ თქმა სიძუნწისა. ვარიანტის სიმართლეს ამ-ტკიცებს თვით აზრის მომდინარეობაც.

74 (63 ჩუბინაშ.) ცოტასა შემწებს ავთანდილ, ჩემგანვე განაზადობითა. ვარიანტში—ცოტასა შემგავს ავთანდილ ჩემისა გაძრდილ აბითა.

77 (66 ჩუბინაშვილი)

აკანდილ იტყვის—, დივიწყო კაზრება საუბარია.“

ვარიანტში:

ავთანდილ სიტყვა დაუწყო კადრება საუბარისა.

78 (67 ჩუბინაშვილი) მ-ასპარეზედ ვინ მგავსა...

ვარიანტი

ოთასპარეზედ ვანა მსჯობა... .

ვარიანტში ამ ტაქის მუხლები ისე არ არის დაწყობილი, როგორც დაბეჭდილში, მესამე მუხლი დაბეჭდილისა მეორე მუხლად არის ვარიანტში, ხოლო მეორე მესამედ.

82 (71 ჩუბინაშვილი)... მოღით და მოიჯარენით...

ვარიანტი—.... მოღით და მოიჯარენით...

ვარიანტში აზრიც მეტია და სიმართლეც. რა აზრით არის ნახმარი სიტყვა „მოიჯარენით“? თუ კარების მოხურვას ნიშნავს, როგორც ამ სიტყვას აქამდე ხმარობენ მთიულეთში,— უადგილოა, მინდორში რა უნდა მოეხურათ; ვარიანტის კითხვა კი „მოეჯარენით“ უჩვენებს, რომ სანადირო ადგილს გარშემო ჯარისავით შემოერტყოთ და სწორეთ ასეთი წესი იყო და არის მიღებული ნადირობის ღროს. ამასვე ამტკიცებს 73 ტაქი, სადაც მართლაც ასეა ნადირობა აწერილი.

85 (74 ჩუბინაშვილი) ...მშვილდსა ფიქელსა...

ვარიანტი ...მშვილდა ხელ-ფიცხლა...

დაბეჭდილში ამ ტაქის რითმა თავდება ანზედ, ვარიანტ-ში-კი ანზედ.

89 (78 ჩუბინაშვილი) დაბეჭდილი ტექსტის მესამე მუხლი ვარიანტში მეორედ სწერია, ხოლო მეორე მესამედ.

91 (80 ჩუბინაშვილი)

აწევა დაგვხოც, ვერა ჰყავ ვერაფ ვერ მოგცხარებით.

ვარიანტი:

აწევა დაგვხოც ვერას ვექთ, და ვერს მოგეხმარებით.

94 (82 ჩუბინაშვილი) აქვა მიჯნურობა.

ვარიანტი—აქვა სიყვარული...

95 (83 ჩუბინაშილი) ...პირსა ხევთასა.

ვარიანტი ...პირსა ტყეთასა...

ტყეთასა უფრო შეთანხმებულია რითმის მხრით.

101 (87) ვარიანტი:

მონა მიგა ბრძანებასა მეუი! ასა ეუბნების,
თავმან (၅) შისმან არ წამოხვალ, ჯარი სრულად მოგადგების,
ან მოგვალენ და ან დაკოდენ, მზისა შუქი წავიწლების,
და ხელ შეკრულსა წაგიყვანენ, ესე ყველა გადაგხდების.

103 (89) არცა გახლიჩნა ბაგათათ თავი გარდისა კონამან.

ვარიანტი—არცა გახლიჩნის ბაგენი თეთრმა ვარდისა კონამან.

მოყვანილ ტაეპის მუხლში აზრი გაუგებარია, ვარიანტში
კი აზროვანიც არის და გასაგებიც.

108 (94) მან გლას იგინი დახალნა...

ჰყრა ერთმანერთსა, დახოცნა, თავის ხელ აუპყრობელად,
და ზოგსა გადაჰკრის მათრახი...

ვარიანტი—მან იგინი გლას დახალცა.

ჰყრა ერთმანერთსა გასტყორცა, ვითა ხელ აუპყრობელად,
და ზოგთა მათრახი გადაჰკრის...

111 (95) მეუე გასწყრა, გაგულისდა, მონანიცა შეუზახნა,

ვარიანტი—მეუე გასწყრა, გაგულისდა, ლაშეარსაცა შეუზარა,

112 (96) რაიჭი მიუქს მერანსა...

ვარიანტი—რაიჭი მიჰქრის მერან...

113 (97) ჰევანდა ქვესკნელს ჩაძრიამილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა.

ვარიანტი—ჰევანდა ქვესკნელს ჩანაძერენსა, ანუ ზეცად განაფრენსა.

115 (99) ამად შიყო სიამისა სიმწარითა დანაღვლება.

ვარიანტი—ამად შიყო სიმწარება სიამისა დანაღვლება.

119 (103) თინათინ ბრძანა: „ააწ წავალ, შესვლა არს ჩემგან ყაშითა.

ვარიანტი—თინათინ ბრძანა: „წავალო შესვლა არა ჰეთ ყაშითა.

120 (104) მოლარე ჰყადრებს: „ააწალა ფერ ნამკთალიო,

და დაღრეჯით გრნა და მიბრუნდა წინაშე მომავალიო.

ვარიანტი—მოლარე ჰყადრა: „მოვიდა აწლა აქ ფერ ნამკთალიო,

და დაღრეჯით გრნა, მიბრუნდა თქვენს წინა მომავალიო.

122 (106) და ურძანა: „მოხვალ რად არა, მელი მე მოგვანებასა?

ვარიანტი—და ურძანებს: „მოხველ რად არა, რად მცლი მოყვანებასა?

123 (107) და კაცმა საქმე მოიგვაროს, ვეპვ ჰმუნვასა ესე სჯობდეს.

ვარიანტი—და კაცმა საქმე მოაგვაროს, ჰმუნვას ვეპვობ ესე სჯობდა.

ვარიანტის ამ ტაეპში ლექსი ყველა მუხლებში ბოლოვ-
დება „ობდა“-ზედ.

129 (112) . . . მე სიტყვასა დანაყბედსა.

ვარიანტი . . . მე სიტყვასა დია ყბედსა.

132 (113) თვარემ ეშმა....

. . . რად შექმნილხარ მოულხენლად.

ვარიანტი—თვარა ეშმა....

რად შექმნილხარ მოუცლელი.

ამ ტაეპის ყველა მუხლებში არის დაბოლოება „ლელი.“

136 (117) მონათა ჰკადრეს....

. . . მით ვერა გავიხარენით.

ვარიანტი—როსტევანს ჰკადრეს....

მით ვერა გაგაზარენით.

139 (120) ავთანდილ სჯდა . . . მართ პერანგი.

ვარიანტი —ავთანდილ წუა . . . მას პერანგი.

143 (124) მონამან სელი დაუდგნა, დასჯდა კრძალვით და რიდითა.

ვარიანტი—მონამა სელი დაუდგა, და სჯდა კრძალვითა, რიდითა.

145 (126) ქალმან უთხრა საუბარი, კეკლუც სიტყვა, არ დუხტირად.

იტყვის „თუმცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად,

მიკვირს მოგზვდა წამის ყოფად საქმე შენგან საეჭვირად.

ვარიანტი—ქალმა უთხრა. საუბარი კეკლუცი და არ დუხტირად,

ეტყვის „თუმცა აქანამდი ჩემგან შენ ხარ დანამჭირად,

მიკვირს მოგზვდა წამის ყოფათ საქმე შენგან სახე ჭირად.

146 (127) და შენ გენუკევ....

ვარიანტი—და შენ გენუკევი.. ..

დაბეჭდილში „გენუკევ არის ნამყო ღროში ხმარებული, მაშინ როდესაც ლაპარაკში ეხვეწება მონახვასა, მაშასადამე, უნდა იყოს აწმყო ღრო, როგორც ვარიანტშია სამართლიანად ხმარებული.

148 (129) . . . ამად ორად

პირველ ყმა ხარ ხორციელი....

ვარიანტი . . . ერთი ორად.

პირველ ყმა ხარ საყვარელი....

151 (132) . . . ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი.

ვარიანტი ვიქნა ქვესკნელს დანამთეპარი.

156 (236) და ცეცხლთა მანდით მოდებულთა გული ჩემი ასაღავს.

ვარიანტი—და ცეცხლმან მანდეთ მოდებულმან გული ჩემი დაცადავს.

158 (138) ბროლი და ლალი გაძსრულ ვარ....

შაშინ რაღა ვპჰმა, ვერ ჭირეტა, რა მომომხვდეს კვლავ
უგრძესადრე;

და ხამს მოყვარისათვის სიკედილი, ესე მე დაწიძს წესადრე;

ვარიანტი—ბროლი და ლალი შევქმნილვარ....

მაშინ რაღა ვპჰნა დღე კაულმა, მე მომეახლოს კვლა ადრე,

და ხამს მოყვრისათვის სიკედილი, დამიწერია მე ადრე.

159 (139) ცრემლი ძნელად ეხოცების,

რა მილულნის, სიახლოვე საყვარლისა ეოცების,

. . . . მით პატიჟი....

ვარიანტი ცხელი ცრემლი ექოცების,

შიელულვის საყვარლისა სიახლოვე ეგონების,

. . . . მით პატიჟი....

160 (140) ყრის ვარდისა....

ვარიანტი სწვიმს ვარდისა....

162 (142) მტერთა თქვენთა გულსა ვკმირო,

და ძლევნი გ კ ა დ რ ნ ე ზედა-ზედა....

ვარიანტი მტერთა მისთა გულსა ვგმირო,

და ძლევნი გ კ ა დ რ ო ზედი-ზედა....

დაბეჭდილში სიტყვა „გკადრნე“ დაყენებულია ნამყო დრო-
ში, და, როგორც აზრის მომდინარეობა თხოულობს, უნდა
იყოს მყობადი დრო—გკადრო, როგორც ვარიანტში არის
ნახმარი.

163 (143) ომთა გამდრეკელობა

ვარიანტი ომთა გარდუხდელობა.

165 (145) გონიერი, გული ლბილი.

ვარიანტი ლმობიერი, გული ტკბილი.

167 (147) ძლვენსა ჰსძლვნიდეს იეფოსა.

ვარიანტი ძლვენსა სძლვნიან უფასოსა.

172 (152) ქმარი არ მინდა უშენო, მამხვდების ჩისა არგულისა,

. . . . აქამდის დაკარგულისა.

ვარიანტი—მე ქმრად არ მინდა უშენოდ, რომ ხასი მომხვდეს გულისა.

. . . . აქამდი დადაგულისა.

ერთი კიდევ გადავიკითხოთ დაბეჭდილი ტექსტი: „მამხვდების ხისა (?) რგულისა, აბა მოღით და გამოიტანეთ ამ სიტყვებიდან რამ აზრი? დედანში კი ყოფილა: რომ ხისა მომხვდეს გულისა“, უვიც გადამწერს ხსირ*) შეცდომა ჰერნებია და ამის მაგიერად ხისა დაუწერია და ამის შემდეგ ამ უაზრო და დამახინჯებულ ფრაზას შეუსწორებლად ჰებეჭდენ ვეფხვის ტყაოსნის გამომცემელნი.

- | | |
|--|----------------------------------|
| 173 (153) | წასვლა მინდა |
| | ჭირს მიუხდეს მამაცურად. |
| გარიანტი. . . . | წასვლა მმართებს |
| | ჭირსა დახვდეს მამაცურად. |
| 174 (154) | შენ ამა ჩემთა ხმ-თასა, |
| | თავადად სხვათა სპათასა. |
| გარიანტი | შენ ამა ჩემთა თქმათასა, |
| | თავადად ჩემთა სპათასა. |
| 187 (165) | თვით ვიქმ ხელითა ჩემითა |
| | ვარჩივენ გაჭრა სმასა და მღერასა. |
| გარიანტი—თვითან ვიქ ჩემია ხელითა | |
| | ვარჩივ ჭირი სმასა და მღერასა. |

ვარიანტის აზრი მარტივიც არის და გასაგებიც.

- | |
|---|
| 197 (176) ვის ბალახში არა ჰევანდეს |
| ვარიანტი—პროლ ბალახში*) ვის არ ჰევანდეს |
| 203 (180) გული შენ დაგრჩა, გჰსოტქვა ვირად (?) |
| ვარიანტი გული შენ დაგრჩა დავისა. |
| 206 (183) არად სანდომი ხიდისა. |
| ვარიანტი არ დასანდობი ხიდისა. |
| 216 (195) ექვსნი რამე |
| ვარიანტი—საპირი რამე |

*) იხილე ამ სიტყვას მნიშვნელობა ლექსიკონში. ხასი არის ნახმარები 174 ტაქტი.

*) ბალახში უმჯობესი ლალია.

ექვსი ცხენოსანი დაბეჭდილში შეცდომით უნდა იყოს ნახმარი.

271 (245) უთხრა: „ვიცი აღარ ვარგზარ შენ აშ ჩემად დასანდობლად. ვარიანტი—უთხრა: „ვიცი აღარ ვარგვარ ჩემად შენგან დასანდობლად.

ეს ვარიანტი თავდება ისე, როგორც დამატება ვეფხვის ტყაოსნისა, რომელიც დაპირებული პ. კარბელაშვილმა,—ტარიელისა და ავთანდილისა სიკვდილით, რომელთა გამოსატირებლად მოდის მათი ერთგული მეგობარი, მეუჯ ფრიდონი.

საინტერესოა თვით რიგი, ვარიანტში როგორ მისდევენ ტაეპები ერთი მეორეს. აი თვით ცხრილი:

ვარიანტი: ჩუბინაშვილისა:

40 32

41 2 ხახანაშვილისა,

42— „იყო არაბეთს მეფობა მეფისა როსტევანისა,
მას ჰქონდა სპარსთა ქვეყანა, რართ ვითა ზანბე ანისი
უძრავის და მონებს ყოველნი, ყოვლგნით აქვს მას საბძანისი.
და თქვეს თუ ხაშს ხმელთა პატრონად ან ალექსანდრე ან ისი.“

ვარიანტი.	ჩუბინა- შვილისა.	ვარიანტი.	ჩუბინა- შვილისა.
43 —	33,	56 —	45,
44 —	34,	57 —	46,
45 —	35,	58 —	47,
46 —	36,	59 —	48,
47 —	37,	60 —	49,
48 —	39,	61 —	50,
49 —	38,	62 —	51,
50 —	19, ხახანაშვ.	63 —	52,
51 —	40,	64 —	53,
52 —	41,	65 —	54,
53 —	42,	66 —	55,
54 —	43,	67 —	56,
55 —	44,	68 —	57,

ვარიანტი.	ჩუბინა- შვილისა	ჩუბინა- შვილისა
69 —	58,	98 — 85,
70 —	59,	99**) — ”
71 —	60,	100 — 86,
72 —	61,	101 — 87,
73 —	62,	102 — 88,
74 —	63,	103 — 89,
75 —	64,	104 — 90,
76 —	65,	105 — 91,
77 —	66,	10 — 92,
78 —	67,	107 — 93,
79 —	31, სახანაშვ.	108 — 94,
80 —	68,	109 — 47, სახანაშვ.
81*) —	69,	110 — 49, სახანაშვ.
82 —	71,	111 — 95,
83 —	72,	112 — 96,
84 —	73,	113 — 97,
85 —	74,	114 — 98,
86 —	75,	115 — 99,
87 —	76,	116 — 100,
88 —	77,	117 — 101,
89 —	78,	118 — 102,
90 —	79,	119 — 103,
91 —	80,	120 — 104,
92 —	36, სახანაშვ.	121 — 105,
93 —	81,	122 — 106,
94 —	82,	123 — 107,
95 —	83,	124 — 108,
96 —	40, სახანაშვ.	125 — 109,
97 —	84,	126 — 110,

*) ამ ტაეპის შემდეგ არის დაბეჭდილში თორმეტ მონაზედ (ტ. 70), რომელიც უადგილო ინტერპოლიაცია არის.

**) შეფეხან ბრძანა: „ვინ არის უცხო პირად და ტანადა.“

უბრძანა ერთსა მონასა: წალი ფუტბლა და ჯანადა,

გაბრძანებს უოხარ: ვერ გიცნობ ჩემთა ლაშქართა თავადა,

და ვინც ხარ მოდი წინაშე შენ. ჩემგან მონაგვანადა.

ვარიანტი.	ჩუბინა- შვილისა.	ვარიანტი.	ჩუბინა- შვილისა.
127 — 55,	ხახნაშვ.	154 — 134,	
128 — 111,		155 — 65,	ხახნაშვ.
129 — 112,		156 — 135,	
130 — 157,	ხახნაშვ.	157 — 136,	
131 — 114,		158 — 137,	
132 — 113,		159 — 138,	
133 — 60,	ხახნაშვ.	160 — 139,	
134 — 115,		161 — 140,	
135 — 116,		162 — 441,	
136 — 117,		163 — 142,	
137 — 118,		164 — 143,	
138 — 119,		165 — 144,	
139 — 120,		166 — 145,	
140 — 121,		167 — 146,	
141 — 122,		168 — 147,	
142 — 123,		169 — 148,	
143 — 124,		170 — 149,	
144 — 62,	ხახნაშვ.	171 — 150,	
145 — 125,		172 — 151,	
146 — 126,		173 — 152,	
147 — 127,		174 — 153,	
148 — 128,		175 — 154,	
149 — 129,		176 — 155,	
150 — 130,		177 — 156,*)	
151 — 131,		178 — 157,	
152 — 132,		179 — 158,	
153 — 133,		180 — 159,	

განა გაქვს ლომსა იმედი დაგიდვეს რაცა ამართა,
 მეფისა ცამდი მალლისა, მზისაცა უფრო მზისაღა,
 უშენოდ მყოფი არ ჭარგვარ არცა თუ აქა ვზი საღა,
 და მარტოსა თავი რად დაგიც საგალად მაგა მზისაღა.

ვარიანტი.	ჩუბინა- შეიღისა.	ვარიანტი.	ჩუბინა- შეიღისა.
181 —	"	206 —	182,
182 —	160,	207 —	183,
183 —	161,	208 —	184,
184 —	"*)	209 —	185,
185 —	162,	210 —	186,
186 —	163,	211 —	187,
187 —	164,	212 —	188,
188 —	165;	213 —	189,
189 —	166,	214 —	191,
190 —	167,	215 —	193,
191 —	168,	216 —	194,
192 —	169,	217 —	195,
193 —	170,	218 —	"**) .
194 —	171,	219 —	196,
195 —	172,	220 —	197,
196 —	174,	221 —	198,
197 —	175,	222 —	199,
198 —	176,	223 —	200,
199 —	177.	224 —	201,
200 —	178,	225 —	202,
201 —	71, ხახანაშვ.	226 —	203,
202 —	179,	227 —	204,
203 —	73, ხახანაშვ.	228 —	205,
204 —	180,	229 —	206,
205 —	181,	230 —	207,

*) მისი ცეცხლი გულია ჩემსა დამწეველია დამდებია,

მას ერთსაცა ვერ გაუტეხ, რაცა მიიმედებია,

შენგან კიდე არვინ მივის, ძამეში არუა მდებია,

დ იმოქმედე დღეთა შენთა, რაცა გიმოქმედებია.

**) ჩვენ ასრე მყოფი არ ვარგვართ, თუ გვნახვენ ვეჯაბანებით,

შეირტყა წელთა ქარქაში, შეჯდა ტანითა ჯანებით,

მზათ აქვს მშვილდი და ისარი, ხმალი მოიკრა შანებით,

დ მისმა მებრძოლმან ყველამან გაყრამცა იაჯანებით.

ვარიანტი.	ჩუბინა- შვილისა.	ვარიანტი.	ჩუბინა- შვილისა.
231 —	" *)	252 —	227,
232 —	208,	253 —	79, ხახანაშვ.
233 —	209,	254 —	228,
234 —	210,	255 —	229,
დაბ. გამოტ.	173,	256 —	230,
235 —	211,	256 —	231,
236 —	212,	258 —	232,
237 —	213,	559 —	233,
238 —	214,	260 —	" ***)
239 —	215,	261 —	235,
240 —	" **)	262 —	236,
241 —	216,	263 —	234,
242 —	217,	264 —	237,
243 —	218,	265 —	238,
244 —	219,	266 —	239,
245 —	220,	267 —	240,
246 —	221,	268 —	241,
247 —	222,	269 —	242,
248 —	223,	270 —	243,
249 —	234,	271 —	244,
250 —	225,	272 —	245,
251 —	226,	273 —	246,

*) ჩვენი ძმა გლაბ დაკოდილი მასვე წამსა ჩამოვარდა,
მისმა ჟიშმა დაგვაწყალა, იგი ყოლე არ აჩქარდა,
მისმუა მიღმა, რაცა კვადრეო, გისგან ყოფა გაგვიმწარდა
და ვთქვით, თუ უწმლოთ მოგვერია ხმლით გაგვიგდეს ფარა ფარა.

**) მე ამა ყმასა საკრავად ხმალსამუა ვით მიესცე წები,
არ მოვკლავ არცა მოვკედები, არ ვავნებ არცა ვევნები,
ზორითა თვალსა მიუგებ, უკანა დავედევნები,
და იარეს განვლეს მრავალი მინდორი ზაბნარ-ხევნები.

***) ყმა ეტყვის— „ხედავ სისხლისა თვალთა მდის ურემლთა წყალები,
დრო გამიგძელდა, მიჭირდა, მაჩნია მათი წალები,
გიცი არ მომკლავ ღირიბსა, ღარიბი შეგებრალები,
და მაგა ამბოთა დამიცსე ცეცხლისა მევე ალები.

ვარიანტი.	ჩუბინა- შვილისა.	ვარიანტი.	ჩუბინა- შვილისა.
274 — 247,		302 — 272,	
275 — 248,		303 — 273,	
276 — 249,		304 — 274,	
277 — 250,		305 — 275,	
278 — 251,		306 — „ *)	
279 — 252,		307 — 276,	
280 — 253,		308 — 277,	
281 — 254,		309 — 278,	
282 — 255,		310 — 279,	
283 — 256,		311 — 280,	
284 — 257,		312 — 281,	
285 — 258,		313 — 282,	
286 — 16, ხახნაშვ.		314 — 283,	
287 — 259,		315 — 284,	
288 — 260,		316 — 285,	
289 — 261,		317 — 286,	
290 — 17, ხახნაშვ.		318 — 287,	
291 — 262,		319 — 288,	
292 — 263,		320 — 289,	
293 — 264,		321 — 290,	
294 — 265,		322 — 291,	
295 — 266,		323 — 292,	
296 — 267,		324 — 293,	
297 — 268,		325 — 294,	
298 — 269,		326 — 295,	
299 — 270,		327 — 296,	
300 — 271,		328 — „ **)	
301 — 18, ხახნაშვ.		329 — 297,	

*) მისი მძებნელი იყოსცა; ჭკუითა მეტის მეტითა,
ზენ კაცთა ნაცვლად ნადირთა ახლავ ცნობითა რეტითა,
სჯობს ერთი კაცი იახლო, ილხენდე მისი ჭვრეტითა,
და ვით იადანი არ მოკვდე, ბულბული თქსლთა კვნეტითა.

**) მოვსულებარ შენად შეყრამდი, ვიყავ ამბისა მძებნელი,
გნახე და შენმან სახმილმან ბნელსა მიმარა შე ბნელი,
ეგე მეც ვიცი, ვარ მაგა ლაპვართა გულსა მსობელი,
და ბოლოდ იცოდა სიკვდილი, ჩემი გულისა მლხენელი.

გარიანტი.	ჩუბინა- შვილისა.	გარიანტი.	ჩუბინა- შვილისა.
330	— 298,	336	— 302,
331	— 299,	337	— 303,
332	— „ *)	338	— 304,
333	— „ **))	339	— 305,
334	— 300,	340	— 306.
335	— 301,		

როგორც თვით მკითხველმა დაინახა, ვარიანტი მეტად შესანიშნავია, მისი შემწეობით ბევრი დამახინჯებული აღგილი ვეფხვის ტყაოსნისა. შესწორდება და ნამდვილი დედანი შეიძლება აღვადგინოთ. კარგი იქნება, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ შეიძინოს თვისს ბიბლიოთეკისთვის ეს ძვირფასი ვარიანტი.

პ. პ.

*) ასმათ უთხრა ცრემლით: „ლომო მაგა წყლულსა რა ერგების, მე ვითა ვთქვა წვევა თქმისა რადგან ეგე არ ეგების, გხედავ ესე მოყმე ვინმე ხელი შენთვის წაეგების, ჭ სცნას რა ღონე შეწო წყლულთა, რა მიზეზი აეგების.

**) ეშვეწებოდა, ლამოდა იმისგან რასმე სმენასა, ნუ ჰყოსა ღმერთმან გაძლება, მემცა ვით მივსცა ენასა, თუ ვერასა სცნობს თქვენგანა, ვეძვ რასმე იმის ლხენასა, ჭ არს უკეთესი, რაცალა სწალს განვებასა ზენასა.

ადამიანის გუნება

მეცნიერების ფინაშე

არა მგონია, რომ იყოს ისეთი განათლებული ადამიანი, რომ სახელგანთქმულ მეცნიერის მეჩნიკოვის სახელი არ გაეგონოს.

მეჩნიკოვი თანამედროვე მეცნიერთა შორის ერთი უპირველესთაგანია თავისი ნიჭით და გასაოცარი ცოდნით, ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ყოველი მისი ახალი აზრი და მეცნიერული გამოკვლევა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

დღეს ჩვენ განვიზრახეთ გავაცნოთ მკითხველი ამ მეცნიერის ზოგიერთ აზრებს, რომლებიც გამოთქმულია მის ახალ სამეცნიერო თხზულებაში; ამ ახალმა თხზულებამ მოკლე ხნის განმავლობაში მიიქცია მთელი ევროპის ყურადღება და უკვე გადათარგმნილი იქმნა სხვა და სხვა ევროპიულ ენებზე.

აი, ამ ახალ თხზულებაშიაც *) ეს მეცნიერი ეხება ისეთ კითხვებს, რომლებიც მუდამ აღელვებდა და აღელვებს ადამიანს; საზოგადოდ პირველ ცდად უნდა ჩაითვალოს ისეთი კითხვების გარჩევა, როგორიც არის სიბერე და სიკვდილი.

ამ ახალ თხზულებაში მეჩნიკოვი ცდილობს გამოარკვიოს, თუ საიდგან წარმოდგება ადამიანის ტანჯვანი, რომლებიც შეადგენენ მიზეზს, მის უბედურებისას, რა საშუალებით

*) „Etudes sur la nature humaine. Essai de philosophie optimiste“
par Elie Metchnikoff, professeur à l'Institut Pasteur.

შეიძლება მათი თავიდგან აცდენა, რომ ამით შესაძლო შეიქმნეს ადამიანის ბედნიერების გაფართოება.

თუმცა ადამიანი დღეს ითვლება უმაღლეს განვითარებულ არსებად დედა-მიწის ზურგზედ ყველა დანარჩენ ცხოველთა შორის, თუმცა იგი ამ განვითარებულ თვისებების წყალობით მფლობელია მთელი ქვეყნიერებისა, მაგრამ, მეჩნიკოვის აზრით, როცა დაუკვირდებით და შეისწავლით მის აგებულებას, მის ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ მხარეს, შენიშვნავთ, რომ ადამიანის ბუნება ისეთი სწორი და სრული არ არის, როგორც ჩვენ გვვინია, და სრულებით ვერ შეჰვერის ცხოვრების იმ გარემოებას, რომლებშიაც ადამიანი იმყოფება. ადამიანის ტვინი ისე გასაოცრად განვითარდა, რომ გონებრივ იგი სრულებით დაშორდა მის მონეთესავე მაიმუნებს. ამ გონებრივმა და სულიერმა განვითარებამ შექმნა სულ სხვა ცხოვრების გარემოებანი, რომლებს ფიზიოლოგიური და ფიზიკური თვისებანი სხეულისა კი ჯეროვანად ვერ უძლევებიან.

აი, ეს უთანასწორობაა მიზეზი ადამიანის მრავალ გვარ ტანჯვისა, რომელიც ფრიად ამცირებს მის ბედნიერებას ქვეყნად. მეჩნიკოვის სიტყვით, ადამიანის სხეულის ყველა ნაწილებში შეგიძლიანთ აღმოაჩინოთ ისეთი ნაკლი, რომელიც სრულებით არ შეჰვერის ცხოვრების მოთხოვნილებას.

ავილოთ საჭმლის მოსანელებელი ორგანოები სხეულისა და გავარჩიოთ: ამ ორგანოთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სქელი და ბრძან ნაწლევები. დიდი ხანია, რაც გამოირკვა, რომ საზოგადოდ სქელ ნაწლევებში საჭმლის მონელება ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე თხელ ნაწლევებში; ამიტომ სქელ ნაწლევებში საჭმელი ძლიერ დიდხანს აჩება და მიკრობების გავლენით, რომელთა რიცხვი აქ ძლიერ ბევრია, იხრწება და ლპება და ძლიერ ხშირად ისეთი მავნე, მომწამლავი ნივთიერებაც ჩნდება, რომელიც შესაძლოა ნაწლევიდგან სისხლში გადავიდეს და მოკლას ადამიანი.

ეს სქელი ნაწლევი გამოსადევი ორგანოა მხოლოდ იმ ცხოველისთვის, რომელიც განსაკუთრებით მცენარეულობით

იკვებება, ამ გვარი საზრდო უფრო ძნელი მოსანელებელია და ამიტომ საჭიროა, რომ უფრო დიდხანს დარჩეს ნაწლევებში. ადამიანი კი სულ სხვა გარემოებაშია: იგი იკვებება ისეთი საზრდოთი, რომელიც ადვილი მოსანელებელია, რისთვისაც თხელი ნაწლევები სრულებით საკმარისია.

ის ასეთი საბუთი აქვს მეჩნიკოვს იმ აზრის წარმოსათქმელად, რომ ადამიანი უფრო დიდანს იცოცხლებდა, რომ ეს სქელი ნაწლევი არ ჰქონდეს; რომ შესაძლო იყოს, — ამბობს ეს მეცნიერი, — ამოეჭრას ეს სქელი ნაწლევი და ამით სხეული განთავისუფლდეს იმ მავნე ნივთიერებისგან, რომელიც იქ ჩნდება გახრწნილ საჭმლისაგან, ადამიანი ასს წლამდინ მაინც იცოცხლებდა.

ეს წადილი რომ ყოვლად შესაძლებელია, ამის მაგალითი უკვე აღნიშნულია ქირურგიაში. საზოგადოდ უნდა ვსი ქვათ, რომ ადამიანს შეუძლია იცოცხლოს არამც თუ იმ შემთხვევაში, როდესაც სქელი ნაწლევი აქვს ამოჭრილი, არამედ მაშინაც, როდესაც მთელი კუჭიცაა ამოჭრილი.

ეხლა კი ამ სქელ ნაწლევის წყალობით სხეული მუდამ ნელ-ნელა იწამლება, უჯრედებს თან და თან აკლდება სიცოცხლის ძალა, სხეული უძლურდება და ბოლოს ისეთი გადაგვარება ეტყობა, რომელიც უდრო სიბერის ნიშანია.

ასეთივე მეტი ბარგია ჩვენთვის სიბრძნის კბილები; ერთ ღროს, რასაკვირველია, ამ კბილებსაც უსათუოდ მნიშვნელობა და სარგებლობა ექნებოდა; ეხლა კი ჩვენთვის სრულებით უსარგებლოა. მართლაც, ადამიანს ეს კბილები ამოსდის გვიან და ძლიერ ხშირად ამოსვლისთანავე უფუჭდება, საჭმლის დაღეჭვაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს. ეს კია რომ ამ გაფუჭებულ სიბრძნის კბილის გამო ადამიანს საოპერაციოთაც გაუხდება ხოლმე საქმე.

ადამიანის სქესური ორგანოთა ბერივაც დიდ ნაკლს ვამჩნევთ; ამ ორგანოთა მოქმედების არა ჩვეულებრივი, ბუნებრივი ბეჭედი აზის, უფრო პატოლოგიური ხასიათი აქვს და ესეც კიდევ უფრო ოორკეცებს ადამიანის ტანჯვას. და უკაყოფილებას და ამცირებს მის ბეღნიერებას.

ჩვენ დროში კიდევ უფრო დამძიმდა ცმოვრების ულელი, გამწვავდა ბრძოლა არსებობისათვის, ამიტომ მამა-კაცის და დედა-კაცის შეუღლება უფრო გვიან ხდება. უწინ ჩვენი წინაპრები გაცილებით უფრო იღრე შეუღლდებოდნენ ხოლმე, ეხლაც არიან ისეთნი ხალხნი, რომლებსაც ჩვეულებათ აქვთ, რომ 7—10 წლის ვაჟმა რვა წლის გოგო შეირთოს. ქალი მაშინ თხოვდებოდა, როდესაც თვიური დაწყებული ჯერ კიდევ არა ჰქონდა. გათხოვების შემდეგ დაორსულდებოდა, ორსულობას ბავშვის ძუძუთი გამოზრდა მოსდევდა, ამას კიდევ ორსულობა და ასე თითქმის განუწყვეტლივ, სანამ დედა-კაცი არ დაბერდებოდა. ასეთი ნაყოფიერება დედა-კაცისა შეიქმნა მიზეზი კაცობრიობის გასაოცარ გამრავლებისა ქვეყნად.

შემდეგ როდესაც მამა-კაცი იძულებული შეიქმნა, ცხოვრების გარემოებათა გამო, დაეგვიანებია ცოლის შერთვა, ქალსაც დაუგვიანდა გათხოვება, რის გამოც თვიურის დენა-მაც უმატა თან და თან.

ეხლა დედა-კაცს ყოველ თვე თითქმის ერთი გირვანქა სისხლი აკლდება. ტყვილ-უბრალოდ; ამდენ სისხლის დაკარგვას მოსდევს მრავალი სხვა და სხვა ავადმყოფობა, როგორც, მაგალითად, ნერვების სისუსტე, სისხლ-ნაკლებობა და სხვა.

ეხლა ვაჟის და ქალის სქესურ სიმწიფეს კი არა აქვა მნიშვნელობა შეუღლებისთვის, არამედ სხვა და სხვა მატერიალურ მოსაზრებას; ასე გასტანს 25—30 წლამდინ, მაშინ როდესაც უფროს ერთ შემთხვევაში ვაჟი მწიფდება 14—15 წლებში; ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ადამიანი, მოკლებული ბუნებრივ სქესურ ლტოლვილების დაკმაყოფილებას, მიმართავს არაჩვეულებრივ მავნე და უზნეო დაკმაყოფილებას, რომლის გავლენით დღეს კაცობრიობას გადაგვარების ნიშნები ეტყობა.

ცხოვრების ჭირ-გარამით დაღლილი და ხანში შესული ადამიანი, შეირთავს თუ არა ცოლს, მალე იგრძნობს სხეულის

ლის სისუსტეს, მას ვეღარ ძალუბს დაიკმაყოფილოს სქესური ლტოლვილება, აქედგან კი წარმოსდგება სულიერი ტანჯვა, ზეობრივი უკმაყოფილება, რომელიც თან და თან იზრდება და მატულობს.

განა ეხლანდელი ნააღრევი სიბერე ბუნებრივ მოვლენათ უნდა ჩავთვალოთ?

სიბერე ის ხანაა ცხოვრებისა, როდესაც სხეული უძლურდება, ჰქნება, უჯრედებს აკლდება ენერგია, ბერდება აღამიანი და მასთან სიცოცხლის სურვილი და სიკვდილის შიში უძლიერდება.

ჯერ კიდევ უა-უაკ რუსსომ სთქვა, რამდენად სიცოცხლეს ფასი აკლდება, იმდენად მას უფრო ვაფასებთო. მართლაც მოხუცი უფრო აფასებს და თრთის სიცოცხლისთვის, ვიდრე ახალგაზდა.

მეჩნიკოვის აზრით, სრულებით გასაკვირველი არ არის ის შიში, რომელსაც აღამიანი გრძნობს სიბერის მოახლოვების დროს, რადგან ეხლანდელი სიბერე არ არის ფიზიოლოგიური მოვლენა, იგი უფრო ავად-მყოფობის მსგავსია. ნააღრევ სიბერეს უდროო სიკვდილიც მოზდევს.

სიბერისა იმიტომ გვეშინიან, რომ მას სიკვდილი მოსდევს. მეჩნიკოვის სიტყვით, სიკვდილის შიში ინსტინქტიურია და სრულებით არ ემორჩილება გონებას, ამას შობენგაუერი და ბაირონიც მოწმობენ.

მეჩნიკოვი არ ეთანხმება ტოლსტოის აზრს, ვითომ სიკვდილის შიში ცხოვრების აზრის გაუგებრობის შედეგი იყოს. როდესაც, =ამბობს ტოლსტოი,— აღამიანი შეიგნებს ნამდვილ აზრს ცხოვრებისას, მას მაშინ ეკარგება სიკვდილის შიშით.

ეს ინსტინქტი—სიკვდილის შიში—მით განირჩევა სხვა ინსტინქტისაგან, რომ, იღვიძებს რა ჩვენში. თან და თან ძლიერდება, რამდენად აღამიანი ხანში შედის.

მეჩნიკოვმა დაათვალიერა მრავალ მოხუცთა თავშესაფარი, ჰქონდა ხანგრძლივი ბაასი მათთან და დარწმუნდა, რომ ყოველ მოხუცს დიდი შიში აქვს სიკვდილისა, თუმცა დავრ

დომილნი არიან და სახელმწიფო სამადლოდ ინახავს მათ, მა ინც ყოველი მათგანი მთელი თავისი არსებით ეჭიდება სიკურელეს, თრთის სიკვდილის აჩრდილის წინაშე.

ასე ყოველ ადამიანს სდევნის სიკვდილის აჩრდილი. ეს შიში და ტანჯვა ყოველთვის ისეთი ძლიერი იყო ადამიანში, რომ თვით სარწმუნოებამაც მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და ცდილობდა ძველადვე აღმოეჩინა რაიმე ნუგეში ტანჯულ ადამიანისთვის.

აი, საიდგან წარმოსდგა საიქიო ცხოვრების მოძღვრება. ყოველ მორწმუნე ადამიანს ანუგეშებდა ის აზრი, რომ სააქაო ცხოვრება მხოლოდ დროებითა, რომ იქ, საიქიოს მოელის ნეტარება და ცხოვრება დაუსრულებელი. არა ხალხი არ ყოფილა ისეთი, რომ საიქიო ცხოვრება არ ეწამოს, დღესაც არიან ისეთნი ხალხი, რომლებსაც ისე ჭეშმარიტად სწამთ საიქიო ცხოვრება, რომ სრულებით აღარ აქვთ შიში სიკვდილისა.

ჭიჯის კუნძულების მცხოვრებთ ისე სწამთ საიქიო ცხოვრება, რომ, როგორც კი იგრძნობენ სიბერის მოახლოვებას, თავებს იხოცავენ, ასე რომ იქ თურმე ადამიანი იშვიათად ნახავს 40 წლის უხნეს კაცს. მათი წარმოდგენით საიქიოს ყველანი 16 წლისა იქნებიან და ყოველგვარი სიამოვნება მოელის მათ.

იმ ხალხთა შორის, რომელსაც ისე მტკიცედ არ სწამო საიქიო ცხოვრება, სიკვდილის შიშიც უფრო ძლიერია.

რაც შეეხება სხვა-და- სხვა გვარ ფილოსოფიურ მოძღვრებათ, ყველა მათგანი არჩევს სიკვდილს და საიქიო ცხოვრებას. ჯერ კიდევ პლატონი და არისტოტელი ეხებიან ამ კითხვებს და ორივენი თითქოს ეჭვობენ საიქიო ცხოვრების შესახებ. სკეპტიციზმი თან და თან მატულობს და ბოლოს ფილოსოფოსნი სთვლიან სიკვდილს ისეთ მოვლენათ, რომელიც გამომდინარეობს ბუნების კანონებისგან.

ამ გვარად ფილოსოფია ართმევს საიქიო ცხოვრების ნუგეშს და სამაგიეროდ კი არას აძლევს; ეს კი ადამიანს უძლიერებს სულიერ ტანჯვას და უმატებს უკმაყოფილებას.

მაშ საიღგან მოელის ტანჯულ აღამიანს ნუგეში?

ამ ნუგეშს, მეჩნიკოვის სიტყვით, მისცემს აღამიანს მეცნიერება!

მართლაც, მეცნიერებამ დიდი შეღავათი და ნუგეში აღმოუჩინა აღამიანს: მეცნიერების წყალობით დღეს ჩვენ ზედმიშვნით შევისწავლეთ აღამიანის სხეულის აგებულება და თვისებები, შევისწავლეთ მიზეზი სხვა და სხვა გვარ სენისა, აღმოაჩინეს მავნე მოკრობების თვისებანი, გამოიგონეს ასაცრელი შრატი ზოგიერთ გადამდებ სენის წინაღმდეგ. მოიგონეთ, თუ რა საშინელი და თავზარდამცემი იყვნენ წინად ყვავილი, ხოლერა, უამი, ხუნაგი, ცოფით ავადმყოფობა; გაჩნდებოდა თუ არა რომელიმე გადამდები სენი, ხალხი გარბოდა ქალაქებიდგან, მაგრამ ხსნა არსაიდან არ იყო, ათასობით იულიტებოდა ხალხი; ეხლა კი ასაცრელი შრატის გამოგონით და სანიტარულ-ჰიგიენური ზომებით თითოეულის საშიშნიც კი აღა არიან ეს ავადმყოფობანი.

პირველი აცრა შემოიღო დიდებულმა ჯენერმა, ეს იყო ყვავილის აცრა, ამას მოჰყევა სხვა ასაცრელი შრატის გამო გონება. სანიტარულ-ჰიგიენური ზომები ზღუდავენ შხამიან ბაცილების გამრავლებას.

ქირურგია ხომ ისე გასაოცრად განვითარდა, რომ არ არის აღამიანის სხეულში არც ერთი აღვილი, საღაც ქირურგის დანა არ მისწვდებოდეს. ვინ მოსთვლის თუ რამდენი ათასი ათასათასი კაცი გადურჩენია ქირურგის დანას ტანჯვისაგან და სიკვდილისაგან.

თვით ჭლექსაც, ამ კაცობრიობის ტანჯვას და ვაებას, შეეკვეცა ფრთები მას აქეთ, რაც ბაქტერიოლოგიამ უფრო რიგიანად გამოიკლია ამ სენის თვისებანი, ჭლექის ბაცილების შხამი; მალე დადგება ის დროც, როდესაც ამ სენის ასაცრელი შრატიც იქნება გამოგონილი.

ერთი სიტყვით, რამდენად უფრო ძლიერდება მეცნიერება, იმდენად უფრო მსუბუქდება აღამიანის სხეულის ბრძოლა. არსებობისა-თვის:

სიკვდილს რაღა ეშველება, შესაძლოა სიკვდილისაგან თვის დახნა, თუ არა? მეცნიერება გვეუბნება, რომ არ არის ქვეყნად არც ერთი არსება, რომ არ კვდებოდეს, თვით თვალით უწილავი პატარეკინა არსებანიც კი ემორჩილებიან ამ საერთო კანონს. ავილოთ ერთ უჯრედოვანი არსება ინფუზორი, შევისწავლოთ მისი თვისებანი და ვნახოთ, როგორ მრავლდება იგი. ეს პატარეკინა არსება მრავლდება უბრალო გაყოფით. ერთი ინფუზორი იყოფა ორად ან რამდენადმე და თითვეული ნაწილი დამოუკიდებელ არსებად ხდება, თავისის მხრივ ეს ახალი ასრებანის იყოფებიან და ამ გვარად ცოტა ხნის განმავლობაში ერთი ინფუზორიდგან ჩნდება თავისუფალ ინფუზორთა მთელი ახალი ჯვუფი. მაგრამ ამ გვარი დაყოფივა და გამრავლება როდი პრის დაუბოლოვებელი; ინფუზორის ცხოვრებაში ისეთი ხანაც დგება, როდესაც იგი იმდენად უძლეურდება, რომ თუ არ შეუერთდა თავისსავე მზგავს მეორე არსებას — ვეღარა სძლებს გამრავლებას; მაშინ მას სრულებით ბოლო ელება, კვდება. ხოლო თუ შეუერთდა, ინფუზორს ეძლევა ახალი ძალა სიცოცხლისა, იგი ძველებურად იწყობს გამრავლებას. მაშასადამე, ინფუზორი ამ შეერთებაში ჰპოვებს გამაახლებელ ძალას.

მაღალი განვითარებული არსება მით განსხვავდება ისეთ დაბალ შარტივ არსებისაგან, როგორიც ინფუზორია, რომ პირველის სხეული მრავალ უჯრედებისგან შესდგება, ხოლო მეორისა მხოლოდ ერთი უჯრედისგან, პირველის თვითეული უჯრედი უდრის მთელ ინფუზორს. ყოველი არსება, რაც უნდა განვითარებული იყოს, თავის ცხოვრების დასაწყისში გამოივლის ხოლმე ისეთი ხანას განვითარებისას, როგორც ინფუზორი, იგი ამისავით ერთ უჯრედოვანია, მამრობითის სქესის სანაშენო უჯრედი, შეერთდება რა დედრობითის სქესის ამ გვარივე უჯრედს, წარმოსდგება ის მოკროსკოპიული არსება, რომელიც გაყოფით, როგორც ინფუზორი, ხდება მრავალ უჯრედოვანათ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ როდესაც ინფუზორი რამდენსამე ნაწილად აყოფება, ყოველი ნაწილი გან-

ცალკევებულ არსებას იწყებს, ხოლო მაღალ არსების განვითარების ღრმოს ჭხალი უჯრედები არ შორდებიან ძველებს, უერთდებიან მათ და ამ გვარად შეადგენენ ერთ მჭიდრო დაუშლელ სხეულს. თავდაპირველად უჯრედები თავისისავე გებულებითა და მოყვანილობით ერთ გვარნი არიან, მერე კი მათ ცვლილება ეტყობათ, იყოფებიან ჯგუფებათ და ყოველი ჯგუფი ასრულებს რაიმე ერთ დანიშნულებას, ხოლო უჯრედების ყველა ჯგუფთა მუშაობისგან წარმოსდგება მთელის სხეულის მუშაობა. ამგვარად ყოველი განვითარებული არსება შესდგება ნერვებისგან, მუსკულებისგან, ძველებისგან და სხვ. ყოველი მათგანი შესდგება განსაკუთრებულ უჯრედებისგან.

ამასთან ყოველ სულიერ არსების სხეულში უჯრედების აღნიშნულ გამრავლებასთან ერთად ხდება დაშლაც დაძველებულ ღონე მოკლებულ უჯრედებისა. ამ დაშლის მიუხედავად, არსება იზრდება, სცოცხლობს, რაღვან უჯრედების დაყოფა და გამრავლება ძლიერია. მაგრამ როდესაც არსება ხანში შედის, უჯრედების გამრავლების ძალა იმდენად სუსტდება, რომ არსება უძლურდება და ბოლოს კვდება.

მაშასადამე სიკვდილი აუცილებელი ბუნერივი მოვლენაა.

სიბერეს რაღა ეშველება? გვაქვს რაიმე ღონისძიება მის წინაღმდეგ, თუ არა?

როგორც ზემოთაც ვსთქვით, მეჩნიკოვი ეხლანდელ სიბერეს არ სთვლის ჩვეულებრივ ფიზიოლოგიურ მოვლენად, ეხლანდელი სიბერე ისე ნაადრევია, რომ იგი უფრო ავადმყოფობას ჰგავს, მეჩნიკოვის აზრით.

მაშასადამე, თუ, ამ მეცნიერის აზრით, სიბერე ავათმყოფობაა, იქნება წამალიც მოპოვებოდეს რაიმე?

როგორც ქვეყნად სულიერ არსებათა შორის შეუწყვეტელი ბრძოლაა არსებობისათვის, ისეთივე ბრძოლა არსებობს ყოველ სულიერ სხეულში იმის უჯრედთა შორის. ვიდრე ცხოველი ახალგაზრდაა, უჯრედთა შორის ბუნებრივი სისწორეა, ერთი

მეორეთ ვერა სჩაგრავენ, ხოლო როდესაც ცხოველი ბერდება, ეს თანასწორობა იძლვევა, ერთი ჯგუფი უჯრედებისა სძლევს მე-მეორე ჯგუფს; იძლევიან უმთავრესად ის უჯრედები, რომლებიც უფრო ნაზის აგებულებისანი არიან, უფრო მაღალ განვითარებულ დანიშნულებას ასრულებენ სხეულში, როგორც, მაგალი-თად, ის უჯრედები, რომლებისაგან ნერვები, ტვინი და სხვა ამ გვარი ორგანოები შესდგება. ამ გვარ ნაზ და „კეთილშობილის“ — როგორც მეჩნიავი ეძახის — უჯრედების განადგურებაში უმთავრესს მონაწილეობას იღებენ ლეიკოციტები; რომლებსაც ამ თავისის გამანადგურებელის თვისების წყალობით სახელათ „ფაგოციტები“ დაერქვათ. ლეიკოციტები ჰქვიან უფერო სისხლის ბურთულებს, რომლებიც წითელ ფერ ბურთულე-ბთან ერთად სისხლში დატრიალებენ.

როცა, სიბერის დროს, უჯრედები უძლურდებიან, ლეი-კოციტები — ფაგოციტები თავს ესხმიან და იწყობენ მათ განადგურებას. წინად, როცა მეტი ბუნებრივი ძალა ჰქონ-დათ, უჯრედებს შეეძლოთ მტრის მოგერება, ეხლა მათ ლეი-კოციტები — ფაგოციტები სძლევენ.

ამ „კეთილშობილ“ უჯრედების მაგიერ ჩნდება მდაბალი ხარისხის, გამოუსადეგარი უჯრედები; აი, მიტომაა, რომ ბე-ბერი ცხოველის ხორცი და შიგნეულობა მაგარია; მოხუცი ადამიანის ტვინი კი უფრო მძიმედ და სუსტად მუშაობს, რადგან მასში ნამდვილი ტვინის უჯრედების მაგიერ, რომ-ლებიც ფაგოციტებმა გაანადგურეს, მდაბალი ხარისხის უჯ-რედებს დაუჭერია აღილი.

მეჩნიავი შესაძლოთ სთვლის ისეთი სითხის მომზადე-ბას, რომლის საშუალებით ისე დავასუსტებთ ამ ფაგოცი-ტებს, რომ სხვა ნაზ უჯრედებს ველარა ავნონ. თუ მართლა მერმისში ასეთი სითხე გამოგონილ იქმნა, რასაცირველია, მაშინ აღამიანი უფრო ხანგრძლივი სიცოცხლისა იქნება და დაბერებითაც უფრო გვიან დაბერდება.

ძლიერ აღრე აბერებს აღამიანს სიფილისიც, რომელიც ჩვენ დროში ასე საშინლად მოდებულია, დედამიწის ზურგზედ.

ამ სენის შხამის გავლენით სხეულის უჯრედები ძლიერ აღრე ჰკარგვენ სიცოცხლის ენერგიას და მთელისხეული ჭინება. ამი ტომ გასაკვირველიც არ არის, რომ ძველი ებრაელები ძლიერ დიდ ხანს სცოცხლობდნენ, რადგან მათვის სრულებით უცნობი იყო ეს სენი.

დიდი გავლენა აქვს ხანგრძლივობაზე შესაფერ საზრდო საც. მეჩნიკოვის სიტყვით, უფრო მარგებელია ის საჭმელი, რომელიც უფრო ნაკლებად იხრწნება სქელ ნაწლევებში, მაშა სადამე სხეული ნაკლებათაც იწამლება. რძეს, მაწონს, კე ფირს და ზოგიერთ მცენარეულობას, მეჩნიკოვის აზრით, უპი რატესობა აქვთ ხორციან შედარებით.

ყველა ამ გვარი საშუალებით, რომლის წყალობით შე საძლო შეიქმნება ზოგიერთ მავნე გარემოებათა აცდენა, ადა მიანი ას წელიწადზედ მეტს თუ არა, ას წლამდინ მაინც იცოცხლებს. ისტორიაში აღნიშნულია, რომ მე-XVIII საუკუ ნეში ორმა ადამიანმა ორასს წლამდის იცოცხლა; აბრაამმა იოვა და ზოგიერთმა სხვრბმა. როგორც ბიბლია გაღმოგვცემს, 140—180 წლ. იცოცხლეს; ბიბლიაშივეა ნათქვამი, რომ ამათ სიცოცხლე უკვე მოჭარბებული ჰქონდათო.

დღეს ჩვენთვის თითქმის გაუგებარია, რომ ადამიანს მარ თლა სიცოცხლე მოსჭარბდეს. ასედაც უნდა იყოს! რა არის ეხლანდელი ადამიანის სიცოცხლე, თუ არა განუწყვეტელი ტანჯვა, სულიერი უკმაყოფილება. ხან-მოკლე ახალ-გაზრდობას უდროო სიბერე მოსდევს, რომლის დროს ადამიანი სრუ ლებით უძლურია. სულ სხვა იქნებოდა, რომ ადამიანის სი ცოცხლე ხან-გრძლივი და ჯან-მრთელი იყოს და მას მოსდევ დეს ხან-გრძლივათვე სიბერე, მაგრამ ისეთი კი, რომ მოხუცი სიცოცხლით სავსე იყოს, მაშინ ადამიანში სიკვდილის შიში სრულებით გაჰქრებოდა, გაიღვიძებდა სიკვდილის ინსტინქტიც.

როგორც მთელი დღის განმავლობაში მუშაობით დაქან ცული ადამიანი მოუთმენელად მოელის საღამოს უამს, რათა მიეცეს ძილს და მოსვენებას, ისე ღრმა მოხუცი, ხან-გრძლივის ცხოვრებით დაღლილი, უშიშრად დაუხვდება სიკვდილს.

მეჩნიკოვის სიტყვით, ადამიანის სიცოცხლის მიზანი ნორმალური სიკვდილია, რომლითაც უნდა დამთავრდეს ნორმალურადვე გავლილი სიცოცხლე.

ასე პფიქრობს ეს მეცნიერი, რომლის აზრები ვეცადეთ გაგვეზიარებინა მკითხველისთვის ჩვენივე განმარტებით.

ექიმი ბადრიძე.

ცხოვრება და ხელოვნება

ჩვენი თეატრის საქმეები: „ლალატი“ ტრაგედია თ. სუმბა-
თაშვილისა.

ამ შვიდი რვა წლის წინედ შემდეგსა კსწერდით ჩვენის
თეატრის საქმეების შესახებ:

„თუ გინდათ ქართველის საზოგადოების გადაგვარების მა-
გალითები ჰნახოთ, ქართველ არტისტთა კრებული გაიცანით.
ღმერთო ჩემო, არ მოეპოება არავითარი დისკიპლინა, არავითა-
რი პატივისცემა, არავითარი თავაზიანობა, არავითარი სიყვა-
რული საქმისა, არავითარი შეგნება თავისის მოვალეობისა, სია-
მაყისა, მედიდურებისა და უკმეხობის შეტი, და, რაც ყველა-
ზე უარესია,—არავითარი სიყვარული თავისის თავისა და თავი-
სის ნიჭისა... ჩვენს მსახიობთ ნიჭი დიდი აქვთ და თუ ამ ნიჭს
ქართველურ პატიურ ხასიათს ჩამოაკლებთ, მაშინ დიდი არტის-
ტებიც გვეყოლებოდნენ. ჩვენ სცენაზედ კი თავისს დღეში
როლსაც არა სწავლობდენ, ისეთი როლებიც კი არ იყიან,
რომელნიც ათი ათასჯერ უთამაშნიათ. ჩვენის სკენის დამარტვე-
ნებელნი არტისტნი ერთხელაც არა პფიქრობდენ, რომ ამ ნიჭს
მოუხარონ, ამ ნიჭს ფრთა გააშლევინონ, განავითარონ, ერთხე-
ლაც არ მოუვათ სურვილი რომელსამე ახალ პიესაში ახალი
როლი შეისწავლოს. შესწავლას ვინა სჩივის, უბრალო დაზე-
პირებაც ეძნელებათ... (იხ. „ივერია“ № 46—1897 წ.) სამწუ-
ხაროდ, ეს დღესაც სრული ქეშმარიტება არის. ტრაგედია „ლა-
ლატი“-ს პირველმა წარმოდგენამ ქართულს ენაზედ ამის უტყუა-

რი და უეჭველი საბუთი მოგვცა. მართალია ზოგიერთი ბეღნიერი „კრიტიკოსი“ იმ აზრის არის ამ წარმოდგენის შესახებ, რომ წარმოდგენა მშვენიერი იყო მაგრამ თუ არ მეგეწონა იმიტომ, რომ თვით დრამა არის სუსტიო. ბეღნიერებას გარდა ამ კრიტიკოსებს ორიგინალობითაც შეუძლიათ თავი მოიწონონ. ვითომ რატომაო? ჰეროსტრატები რატომ ჩვენშიაც არ უნდა იყვნენ. უბედურება ის არის მხოლოდ, ჰეროსტრატობა პირველად იყო ორიგინალობა, ხოლო შემდეგში მაიმუნურად გამეორებული იგიც ჩვეულებრივ შაბლონად ხდება.

იშვიათად მომხდარა ხოლმე ისეთი ერთაზროვნობა და თანხმობა ქართველ მწერლებისა და საზოგადოდ ქართველებისა, როგორც ამ დრამის შესახებ. პირველმა წარმოდგენამ რუსულს ენაზედ გამოიწვია აღტაცებული წერილები ყველა ჩვენს გაზეთებში. პირველმა წარმოდგენამ ქართულს ენაზედ ყველა ქართულ გაზეთს ზიზლი მოგვარა, გული აუმლვრია და სამართლიანი განკიცხვა წარმოათქმევინა ჩვენის არტისტებისა. „ნეტავი ფეხი მოგვტეხოდა და ამ წარმოდგენაზედ არ შოვსულიყვათ“—ესეთი იყო პირველი ამოკვნესა ყველა იმისი, ვინც გულის ფანცქალით. მოელოდა ამ სადღესასწაულო დღეს, რომელზედაც დასასწრებლად ჩვენის სამშობლოს უფრო მორეულ კუთხეებიდანაც კი მოდიოდნენ. ამ დრამის ნახვამ მართლაც „სიცოცხლე“ მოგვანიჭა, გაგვაცოცხლა, გამოგვაფხიზლა, მივიწყებული მოტივები მოგვაგონა, სული და გული არა ჩვეულებრივის ნეტარებით აღვივსო, სანეტარო ოხვრა-კვნესა და ცრემლები გამოიწვია. მართალი მოგახსენოთ, ვიზედაც ამ დრამას ღრმა შთაბეჭდილება ირ მოუხდენია, მათთან არა თუ კამათი არა ღირს, გულით შესაბრალისნი არიან. შესაბრალისნი არიან როგორც გრძნობით დაჩლუნგებული ადამიანები, რომელთათვისაც გაჩემლებას ისე მოუღუნებია ნერვები, ისე გაუცუდებია გრძნობიერება, რომ თვით უკიდურესი საშუალება ველარ მოქმედობს მათზედ; ველარა შველისთ რა, ერთხელ მაინც გამოფხიზლდნენ, სიცოცხლით აღზნებული თვალები გაანილონ. ამათთან ჩვენ საქმე არა გვაქვს, „დაეხსენ, მკვდარნი

დაფვლად მკვდარია“, ხოლო არ შეიძლება ყურადღება არ მია-ქციოს კაცმა ორ აზრს, ანუ, უკედ რომ ვსთქვათ, ორნაირად გამოთქმულ ერთსა და იმავე აზრს. ამ აზრის გამოთქმა ეკუ-თვნის ჩვენს სასიქადულო მგოსანს ბ. აკაკის და მეორე—ნიჭიერ მცოდნეს ქართულის ისტორიისა და მწერლობისას ბ. გ. შ—ძეს*) ბ. გ. შ—ძე უარსა ჰყოფს ზეინაბის ტიპის ისტორიულ სინამ-დვილეს და ფენომენალურ მახინჯად მიაჩნია, ზნეობრივ მახინ-ჯად, რომელიც თავისს ზნეობით დაცემას ამართლებს, ვითომ-და მისაღწევ საგნის სიღიადით. სულმოკლეობითა და სიმხდალით აღსავსე მოქმედება და ფარული დიადი განზრახვა როგორლაც ვერ ეწყობიან ერთადო, ბრძანებს ავტორი.

ეს აზრი გამოხატავს სავსებით ჩვენის საზოგადოების ერთის ნაწილის აღშფოთებას იმ ტიპის გამო, რომლის გამო საყვე-დურსაც კი უცხადებს თ. სუმბათაშვილს, ზეინაბის ტიპით ჩვენი ქალები დაამცირა, ისეთი საზიზღარი ტიპი შექმნა, რომლის მსგავსი ჩვენს ისტორიაში არა მოიპოვება-რაო.

ჩვენ გვვნია, რომ ეს აზრი შემცდარია, უსაფუძვლო და უსაბუთო. უადგილო და უნიადაგო და თანაც უსამართლო გარდამეტებულის ზნეობრივის რიგორიზმის გამოწვეულია, რომლის გასამართლებლად ერთ სიტყვასაც ვერ გვიჩვენებენ თვით პიესაში. ბ. აკაკის წერილი ნიჭიერსა და მშვენიერ სა-ბუთს აძლევს მას, ვინც ამ დრამით აღტაცებულია ყოველი მომქმედი პირი ამ ტრაგედიისა მდიდარის მხატვრულის მარგა-ლიტებით აქვს დასურათებული ჩვენს მგოსანს, რაიცა შედე-გია ავტორის აზრისა და მთლად მთელი ნაწარმოების სავსებით შეგნებისა. მხოლოდ ზეინაბის ტიპის ახსნა ბ. აკაკისა ჩვენ შემცდარად მიგვაჩნია.

ჩვენის დიდებულის მგოსნის აზრით, ქართველი ქალი ჩვენს ისტორიაში უმეტესად ნინო, ქეთევან, თამარის ტიპისა. იყო, და თუ აქა-იქა შეგხვდებოდათ გამორიცხვა, ეს იყო თამარ

*) ეს მეორე აზრი, სამწუხაოოდ, ქართულ ენაზე აზ ყოფილა გა-მოთქმელი, არ ვიცით კი, რატომ?

ცბიერი და თამარ ზეინაბი, რომლის ცბიერობაშიაც პოეტი ღრმად დარწმუნებულია.

ბ. აკაკიმ კარგად იცის ჩვენი ისტორია, დიდი შეგნება აქვს სინამდვილისა, რომ ზეინაბის ისტორიული სინამდვილე გადაჭრით უარ ჰყოს. სამაგიეროდ სხვა ხერხს ხმარობს, რომ ბ. გ. შ—ძის ონამოაზრების ზეინაბისადმი აღშფოთებული ზიზლი გაამართლოს და დაასაბუთოს. „ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ქართველი დედები,—ბრძანებს ბ. აკაკი,—თუ, რომ არ მოგვაგონდეს სარწმუნოება ნინოსი, მოწამეობა ქეთევანისა და სიბრძნე-სათნოება თამარისა... ეს ზეციური „სამიაც“ ისტორიულ ლიტანიაში ერთად მოფერხული პირად გადასაღები დედანი იყო ქართველ ქალებისათვის... მაშ ეს ვიღაც ზეინაბ-თამარი საიდანლა გამოტყვრა მისის ზნეობათი უშგერობით? (კურსივი ჩვენ გვეკუთვნის) როგორც მოციქულთა შორის იუდა, თამარ ცბიერისა არ იყოს და სხვ.“ ამნაირი შეხელულება ისტორიასა და ცხოვრებაზედ რომანტიულად უნდა ჩაითვალოს და მით უფრო გასაკვირველია, რომ თ. აკაკი, როგორც პოეტი და მწერალი, ჩვენში რეალიზმის მამამთავართა-განია. განა თუ ქვესკნელსა და ცას შუა აღარა არის-რა? რატომ არ გავიხსენოთ თვით მგოსნის სიტყვები, რომლებითაც ისე მშვენივრად ახასიათებს პოეტს: „არც მიწისა ვარ, არც ცისა“ და სხვ.

უეჭველია, ორ ხასიათს შორის („სამია“ და თამარ ცბიერი) უნდა ყოფილიყო სხვა ხასიათიც. ეს ორი ხასიათი სინამდვილის ორი უკიდურესი საზღვარია: კეთილი და იდეალი „სამიას“ სახით, უარყოფა იდეალისა, ბოროტი და ჯოჯოხეთური თამარ-ცბიერის პირადობაში. ამ ორ უკიდურეს საზღვართ შორის მთელი სინამდვილეა, რომელიც აგრე მარტივი როდია და რომელიც ათასნაირად და ათას ფერად იცვლება თავისს საზღვართა შორის. ათას გვარი კომბინაცია ამ ორ უკიდურეს წერტილთა შორის ჩაკერებულის ცხოვრებისა თვით ცხოვრებას ჰქმნის დაუსრულებელ წყაროდ პოეზიისა და მეცნიერები-

სათვის, სავსებით საუკუნოდ გამოუცნობელს, მაგრამ საუკუნოდვე მიმზიდველს კაცის ცნობისმოყვარეობისათვის.

მართალია ზეინაბი წმინდანი არ არის ჩვეულებრივის სახით, ნინოსა და ქეთევანივით, მაგრამ სამაგიეროდ იგი მრავალტანჯული ადამიანია ცოდვისა და სიკეთის შვილი; ხოლო ადამიანი არა ჩვეულებრივი, ადამიანი სულით ძლიერი, გონიერი და მამაცი, შორს მხედველი და ენდრგიით აღსავს; იგი გმირია, გმირი ადამიანი და არა გმირი—ღმერთი, ამიტომაც არის, რომ ზეინაბი მეტად მომზიბვლელი რამ არის; ამიტომაც არის, რომ ყოველი სიტყვა ზეინაბისა წაკითხული, თუ გაონილი^{*)} ელექტრონივით გივლის სხეულში, ერუანტელსა გვირის და თვალებს ცრემლებით გივსებს.

ქეთევანი სცენაზედ ღვთაებრივ ალტაცებას იწვევს არა ამა ქვეყნიურს, რაღაც აბსტრაქტიულსა და იდეალურს, უფრო გონებას აკვირვებს, ვიღრე გრძნობას ხიბლავს: ჩვენ შევჰყურებთ მას, როგორც მიუწლომელ იდეალს, რაღაც ციურსა და ჰაეროვანს. ზეინაბი კი ხორც შესხმული ადამიანია, ჩვენი ღვიძლი შვილია, ჩვენი ღვიძლი და და მახლობელი. ჩვენ გვესმის ზეინაბის მოქმედება, მის ფიქრს, მის აზრს, მის გრძნობას ერ-

^{*)} სამწუხაროდ, არა ქართულ ენაზედ და, საუკედუროდ, არა ქართულ წარმოდგენის დროს. წარმოდგენას ვინდა სჩივის, ჩვენდა სამარტვებინოდ, თარგმნითაც ვერ ვთარგმნეთ ეს ნაწარმოები ზეირიანად. მართალია ერთმა მეფელეტონებ ბ. ყიფშიძის თარგმანი ბევრად მაღლა დააყენა თვით ორგინალზედაც, (თუმცა ეს ორგინალი, როგორც აღიარებს, არ წაუკითხავს) რადგან ვერ წარმრუდგენია, რაღა შეიძლება იმაზედ უფრო პოეტური, როგორიც ბ. ყიფშიძის თარგმანია. მართალია ბ. ყიფშიძე დიად ჩინებული მთარგმნელია, მაგრამ ეს დრამა მაინც მეტად სუსტად აქცის გადათარგმნილი და ვვებრალება ზემოხსენებული მეფელეტონე, რომ ორგინალი არ წაუკითხავს, მაშინ დარწმუნდებოდა, რომ ბ. ყიფშიძის თარგმანზედ უფრო პოეტური კიდევ შეიძლება იყოს რამ და იმასაც ნახავდა, რომ თ. სუმბათაშვილის ტრაგედია ისეთის პოეტურის სიძლიერით არის დაწერილი, რომ ორცა პკითხულობ თარგინალს, ქართულიდან ნათ. რგმნი გვთავის, ხოლო როცა ქართულ თარგმანს პკითხულობ, ეს ილლიუზია აღარ არის და პხედავ, რომ იგი თარგმანია და სუსტი თარგმანიც.

თის ზიტყვით მივხვდებით ხოლმე, ჩვენთვის საჭირო არ არის, რომ პრტყელად და გრძლად გამოსთქვას ხოლმე თავისი გულის ნადები. ზეინაბი მომშემდი ადამიანია, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე. ამგვარის ბუნებისათვის მოწამეობა რაღაც მიუწდომელიც არის და თუ გნებავთ პასსივური მორჩილებაც. ამგვარის ბუნებისათვის არა კმარა იმ სოფლიური გვირგვინი და ნეტარება; მასა სწადიან თავისი შემრცხვენელი აქვე, ამ ქვეყნად დასაჯოს; შური იძიოს გაბახებისათვის და ამგვარად პირადი გრძნობებიც დაიკმაყოფილოს და საერო საქმეც გააკეთოს. პასსივური მორჩილება, პასსივურად ტანჯვა-წამების მიღება, რომ თავისებურად მოსვენებულად და უბრძოლველად მოიპოვოს „საუკუნო სანეტარო განსასვენებელი“ ამგვარის ბუნებისათვის გაუგებარია. თუ ღირსებაა ტანჯვა-წამების მიღება და გადატანა თავისის ღმერთისა და იდეალისათვის, მაში ის უფრო ღირსეულიც უნდა იყოს, ვინც მეტს ითმენს ამ ტანჯვა-წამებას. ერთგვარი ეგოისტობაა, თუ გნებავთ, ერთგვარი სისუსტეა წუთიერის ტანჯვით მორჩე რამდენიმე თვისა და წლის ვაებასა და წამებას. ზეინაბის ცხოვრება გვიმტკიცებს, რა მწორეა, რა საშინლად დამასახიჩრებელია და დამღუპველი სიცოცხლისა ესოდენ ხანგრძლივი ტანჯვა და რამდენად სანატრელია და სანუკვარი ერთ წუთში მოსპობა ამგვარის გაწამებულის სიცოცხლისა.

ამგვარ ტანჯვაში გამოვლილ ადამიანს, დაბოლოს, თავისის აზრის განხორციელებას კიდევაც რომ მიაღწიოს, ძალა უსუსტდება, ნერვები ეშლება, გული უმანკდება და სიცოცხლე ნელ-ნელა ესპობა. ასე დაემართა ზეინაბსაც. მართალია იდეალს მიაღწია, თავისი ერი მტარვალისაგან განთავისუფლებული ნახა, მაგრამ საკმაო იყო მის ოცის წლის ტანჯვა-ვაებით გატარებულ სიცოცხლეს ზედ დამატებოდა მისი შვილის, მისი სასოება ტახტის მემკვიდრის ღალატი, (თუ გინდ წუთიერიც) რომ სრულიად მოშლილიყო, დაეკარგა სასიცოცხლო ძალა. ვეღარ შესძლო ადამიანის ბუნებამ ამდენი ვაების. ატანა, ეს

ლვთის ძალასაც აღემატებოდა, და აკი ზეინაბის ძალიც შეფერხდა და და სიცოცხლე თვითვე მოისპო.

ზეინაბი ძლიერი ადამიანია, სიცოცხლით და ენერგიით აღსავს მეტქა, ვიმეორებ. ზეინაბი უეცრად როდი დამორჩილებია სულეიმანს. ღრმებით ცბიერობა მხოლოდ მაშინ იყისრა, როცა გაიგო, რომ მისი გიორგი, საქართველოს ტახტის მემკვიდრე ცოცხალია. „ერთის წლის შემდეგ,—ამბობს ზეინაბი,—ერთგულმა მსახურმა მაცნობა, რომ გიორგი ცოცხალია. დადგა ჩემთვის დრო შერცხვენისა, ცოდვისა და თავ-ლაფდასხმისა*)”(?!)) მივიღე იმათი დაწყევლილი სარწმუნოება. სულეიმანის ნდობის მოსაპოებლიდ მეც იმისთანა გაეხდი, როგორიც ის არის, მეც ჩაგერასა და სისხლის ღვრასა ვთხოულობდი; ჩემი ახალი სახელი უფრო საშინელი შეიქმნა ჩემს სამშობლოში, ვიდრე სახელი მისის ჯალათისა!... ჩემი სახელი, პატიოსნება, სიყვარული, მეფური დიდება—ყოველივე ტალახში ამოვსვარე არაბისტანიდან გადმოვარდნილის საამებლად! მივეჩვიე, ვისწავლე ტყუილის თქმა და ესტყუოდი პირისახით, ხმით, გულის თქმით, მთლად ჩემის არსებით. გადიოდა დრო და იღუპებოდნენ ნათესავნი, მეგობარნი, ერთგულნი ყმანი და მსახურნი. გავიქვავე გული. ამოვიგლიჯე გულიდამ გრძნობა ვისიმე შებრალებისა. შებრალებაც, სიყვარულიც და სჭინილისის ქენჯნაც, ყოველივე დიოთგუნა, ჩაკვდა ჩემს გულში. ალარავინ მიყვარს უკვე—ალარც ნათესავი, ალარც მეგობარი... ალარც ღვიძლი შვილი... ისიც კი ამოგირეცხე გულიდან... მიყვარს მხოლოდ ერი, ჩემი ტანჯული და წასებული, ლარიბი და ლატაკი ერი. იმას შევსწირე მსხვერპლიდ სახელი, პატიოსნება დედოფლისა და დედა-კაცისა, ალალ-მართლობა ჩემის გულისა, ხსნა ჩემის უკვდავის სულისა! ამაზედ მეტი რაღა შემეტო გამეწირა?“ და მართლაც აბა რომელი წუთერი ტანჯვა შეელრება ამ საოცარ ხანგრძლივ

*) თავ-ლაფ დასხმა დედოფლის სტილს არ წევფერება. ეს თარგმანის სისუსტეა. რუსული „პოზორი“ არ ნიშნავს თავ-ლაფ დასხმას.

დაუსრულებელ წამებას ანა და განა თუ ეგრე ადვილი იყო ყოველივე ამის ასრულება? არა მგონია ამას ვინმე იფიქრებს.

ამას ყოველივეს თავისი აზრი ჰქონდა, ზეინაბი გამჭრიახე და გონიერი ადამიანია, თავისი გრძნობები და ვნებები და-მორჩილებული ჰყავს, მისი უფალი მარტო გონებაა. ყოველივე მისი მოქმედება შეწონილია მომავალ აზრთან და იდეალთან, ფეხის გადადგმაც კი გამოანგრიშებული აქვს და მთელ ამ ნა-ანგარიშებსა და ნაფიქრალ მოქმედებას აცისკროვნებს დიადი სურვილი საერთო მტრის თავიდან მოშორებისა. პირადი გრძნო-ბა შურისძიებისა, პირადი ანგარიშები მისტვის არ არსებობს: როცა ოთარი ჰყითხავს: „ნუ თუ ვერ ჩაიგდე ხელში დრო, რომ გაგეგმირა გული მტარვალისაო?“ — ზეინაბი უპასუხებს: „ოთარ, განა ღირდა შურისძიებისათვის გამეწირა ყოველივეა რაც გავწირე? მეც პირველში სულ ეგ შურის ძიება მედგა თვალ წინ. რამდენჯერ მისცემია ძილს ჩემს მკერდზედ უია-რალოდ ჩემი ეშით და ალერსით მოხიბლული, დათრობილი! ხელი კი გამეწოდნა მხოლოდ და წყეულის სულთ-ბრძოლა, სასიკვდილო მანჭვა-გრეხვა მომიკლავდა შურის ძიების წყურ-ეილს! მაგრამ განა შური უნდა მეძია და მხოლოდ შური უნდა მეძია მე, საქართველოს დედოფალს, საქართველოს კანონიერ მემკვიდრის დედას, ტანჯულის, წამებულის სამშობლოს ასულს? რას შევძენდა მისი სიცდილი? განა დაგვიხსნიდა მონობისაგან? განა ცოტა ჰყავს შაჰს მაგისთანა ქმნილებანი, კიდევ უფრო მოსისხარნი, კიდევ უფრო გაუმაძლარნი სისხლის მსმელნი? არა, შურისძიების მოლოდინში არ ვიყავ მხოლოდ! მე ველოდი იმ-დღეს, როცა რისხვა ერისა ზღვასავით დაგუბდებოდა, როცა ეგ რისხვა მოსკდებოდა მთის ადიდებელ წყალივით, როცა თითეული მონა იგრძნობდა, რომ იგიც ადამიანია და თავისუფა-ლი უნდა იყოს, იგრძნობდა და ალსდგებოდა მტარვალთა დასამხო-ბად!“ ან კი როგორ უნდა მოქცეულიყო ზეინაბი, ან რა გზა უნდა ერჩია, როცა „ჩვენმა მოლალატე თავადიშვილებმა მო-რთეს დედოფლად, მისცეს ხელში ოქროს სინი და ზედ და-სდვეს გასაღები უკვე ალებულის ციხისა. ჩაკიდეს ხელი, გაი-

ყვანეს გარედ და იქ დააჩიქეს მტვერში. შეპბოჭეს საცოდავი ბავშვი და დააგდეს მცს ფეხის წინა.“ დიალ, დამარცხებულმა, გალაჩრებულმა და დაბეჩავებულმა მოწინავე საზოგადოებამ დედოფალი და ტახტის მემკვიდრე გამარჯვებულ სულეიმანს, ჩაუგდეს ფეხ-ქვეშ, იმ დროს როდესაც ხალხმა თაჭისი შვილი, თავისი წმინდა სისხლი მისცა დედოფალს ძისა და ტახტის მემკვიდრის დასაცველად. ნუ თუ ამ უზადო დიდებულ მსხვერპლს არ უნდა გარდაექმნა და გარდაებადებია ყრმა-დედოფალი? ნუ თუ არ უნდა ეგრძნო, როგორც ძლევა მოსილს და ბუნება მედ-გარს ადამიანს, რომ ამ წუთში მისთვის იბადებოდა მოვალეობა დიადი და საშინელი, რომლის აღსრულებაც მისთვის აუ-ცილებელია. იგი ვალდებული იყო წმინდად დალვრილის სი-სხლის ნაცვლად ხალხისთვის მეთაურობა გაეწია, თავისუფლება დაებრუნებია და ამ გვარად ვალი გადაეხადა. ასეთის დი-ადის მოვალეობის წინაშე ზეინაბის მძლავრ ბუნებას სწორედ ის გზა უნდა ამოერჩია, რომელმაც კიდევაც მიაღწევინა აზრს და სხვებთან ერთად აღასრულებია დიადი საჭმე. აი, ამ დიადს საგანს ერის განთავისუფლებისას ელცვოდა ზეინაბი და თა-ნაც ამზადებდა „იმ დღეს, როცა ხალხი აღსდგებოდა მტარ-ვალთა დასამხობად.“

დიალ ამზადებდა მეთქი ამ დიდებულ დღეს, ამის საბუთს თვით ტრაგეტია გვაძლევს. ზეინაბი სულეიმანის ორ განკარ-გულებას ესწრება. ამ განკარგულების დროს ვხედავთ ზეინა-ბის „ცბიერობის“. ხასიათს, ვხედავთ რაში გამოიხატებოდა მისი საშინელი ქცევა, რომელსაც თვითვე გვისურათებს. „კარგად ვიცნობდი ჩემს ცბიერს ხალხს,—ეუბნება სულეიმანს, ვითომდა წასაქეზებლად ამ ხალხის კიდევ მეტად დასათრგუნავად,—ოჰ, ტყუილად კი არ გემუდარებოდი ამდენ ხანს—ნუ ზოგავ იძათ სისხლსა მეთქი. ზედ შესდეგ და სთელე მეთქი! მხოლოდ შიშს შეუძლიან გაასწოროს მათი მჩუდე და მატყუარა გული.“ ჯერ ერთი, ასეთის უცნაურის გულახდილობით, რასაკვირველია, გა-ზიადებულია ზეინაბის სამსახური სულეიმანის წინაშე, რათა დააყველროს ერთგულება და მით მისი ნდობა მოიპოვოს. მერმე,

ვნახოთ, როგორ იქცევა სულეიმანის ზემოხსენებულის განკარგულების დროს. ერთი შეეხება ტფილისში ზარების რეკის ნებას. სულეიმანი კათალიკოზს უთვლის, აღარ გაძლევ ნებას ზარები რეკოთ სიონსა და ანჩისხატში და მთელს ტფილისში, „დეე, ზარების დაურეკავად ილლოცონ; ეგეც საკმაო იქმნება მაითვისო“. ამის შესახებ ზეინაბს უნდა დასტური დაედვა და უნდა კიდევაც წაექეზებინა სულეიმანი, თუ მართლაც ისეთი ცბიერი იყოს, როგორადაც მიაჩნიათ ბ. აკაკის და გ. შ—ძეს და თუ მის ვითომ და ერთგულ მოქმედებას არა ჰქონდეს განსაზღვრული აზრი და პლანი. ეგრე რომ იყოს, სწორედ აქ უნდა გამოეჩინა ზეინაბს თავისი უსაზღვრო მორჩილება სულეიმანისა და მისის დესპოტიურის კაპრიზისათვის კვერი დაეკრა: „ნუ ზოგავ იმათ სისხლს, ზედ შესდევ და სთელეო“.

თუ ზეინაბი მართლაც უანგარიშო ცბიერი იყოს და სულეიმანის სიამოვნებასა სცდილობდეს, განა ისე არ მოიქცეოდა, როგორც ნამდვილი მოლალატე ოთარ-ბეგი, რომელიც წინ წაუსწრებს სულეიმანის მხეცურ სურვილს და მოახსენებს: „რაღად გინდა გადასდო, დიდებულო მეფეო? ნება მიბოძე დაუყონებლივ შევაგროვო, ჩემის ჩაფრებით, რაც ტფილისში ზარებია და სულ აქ მოვატანინო ციხეში!“ ამის ნაცვლად რასა ვჰქედავთ? სწორედ ამ ურცხვის სიტყვების გამო ზეინაბი გააფთორებული ეცემა მოლალატე თავადს გულ-ნატკენი და საყვედურებს მიაყრის: „ტფილისის ზარებისთვის ნუ სწუხარ, ოთარ-ბეგ! ჩვენც მოუვლით მაგ საქმეს უშენოდ ან იქნება ზარები კიდევ აწუხებს შენს სმენას და აღვიძებს შენს გულში იმას, რაც გინდა დაივიწყო?“ *) განა ეს ადგილი ცხადს არ ჰყოფს იმას, რომ ზეინაბი სულაც არ არის იმით გატაცებული, რომ „სთელოს და სისხლი სწორეოს თავისს ხალხს.“ წინააღმდეგ,

*) ზეინაბს იმდენზედ ატკინა გული ამ სიტყვებმა, რომ ისახარსაც კი შესჩივის, ზეპს ამ საქართველოს ლომაც მიჩნეულს, „თვითონვე ჰყისრულობს ჩამოკხსნას ზარები ძველ ტაძრებიდან, სადაც მოუნათლავთ, დაუქორწინებიათო“, — არ ამტკიცებს ეს იმას, რომ ზეინაბი წამდა-უწუმ ჩასჩიჩინებდეს სულეიმანს „სთელე და სწორე სისხლი ჩემ ცბიერ ხალხსაო,“

ამგვარი მოღალატეების მოქმედება მოთმინებიდან იყვანს და თავს ავიწყებს. ზემოხსენებულ სიტყვებით ოთარის გაწკეპვლას ადვილად შეეძლო მიექცია სულეიმანის ეჭვიანი ყურადღება და ზეინაბის ოცის წლის საქმე ჩაიღუპებოდა. მაგრამ ვამბობ ამ საზიზლარმა საქვიელმა ოთარისამ საზღვარიც კი დაავიწყა ოცი წლის ტანჯვა-წამებით გამოცდილ დედოფალს. ხოლო კათოლიკოსის უძრალო სისხლის დაღვრა იმდენზედ იმოქმედებს ზეინაბზედ, რომ გადააწყვეტინებს თავისის პლანის სისრულეში მოყვანას და ისახარს მხნე და იმდით აღსავსე სიტყვებს ეუბნება: „უკანასკნელია ასეთი აღდგომაო“.

დამერწმუნებით, თუ ზეინაბი „ბუნება ჭრელი, უძალ მოსილო არსება“ იყოს, კათალიკოსის სიკვდილიც არ აღაშფოთებდა, წინააღმდეგ კიდევაც ჩვეულებრივ ლათაიებს მოუყვებოდა სულეიმანს. ეხლა უყურეთ მეორე განკარგულებას სულეიმანისას. ეს ოთარბეგს შეეხება. ოთარბეგი მშვენივრად ასრულებს სულეიმანის ყურ-მოქრილის ყმის როლს, სცდილობს ერთი ასაღ ასიამოვნოს მეფეს, მის ერთგულებასა და მლიქვნეულობას საზღვარი აღარ უდევს. ზეინაბი ამის უხილავი მოწამეა. მას ესმის ამგვარი უქვეშევრდომილესი გრძნობები ოთარისა: „სცადე ჩემი ერთგულება, დიდებულო მეფეო, ავამხედრებ მოღად ქართლსა, გარე შემოვაღები ქუთაისსა და ახალციხეს, იმერეთის მეფესა და ახალციხის. ფაშას ერთის თოკით შევკრავ, ერთმანერთზედ გადავაბამ და როგორც ხურჯინს, ისე გადავკიდებ სახედრის კეხზედ, მოგვირი აქა და შენის კარის წინ დირეზედ დავჰყრი.“ აქ კი ზეინაბი სხვა გვარიდ იქცევა. აი სწორედ აქ ეუბნება სულეიმანს „კარგად ვიცნობდი ჩემს ცბიერს ხალხს, ოჯ, ტყუილად კი არ გემუდარებოდი ამდენს ხანს, — ნუ ზოგავ იმათ სისხლისა მეთქი. ზედ შესდეგ და დასთელე-მეთქი!“ და ოთარბეგსაც, ამ ერთგულს და ნამდვილ ყურ-მოქრილ მონას სულეიმანისას, რომელსაც როგორც ეგრეთს, ზეინაბი რომ „ბუნება ჭრელი“ იყოს, განსაკუთრებულ პატივს უნდა სცემდეს და ალერსით ეპყრობდეს, ოთარბეგს ისე ეპყრობა, როგორც შეპფერის მოღალატეს... მოღალატეს ზეი-

ნაბისაგან ვითომდა დავიწყებულის სამშობლოისას. უყურეთ რა ქება-დიდებით იხსენიებს მისი მზის სულეიმანის მარჯვენა ხელს ზეინაბი: „მრისხანების ღირსია ლომი და არა მელა!“ „გაფი-თრდი, გაფითრდი საძაგელო მელავ! ამ მაგას რომ ქალის მშ-ვენიერება არ უყვარდეს, აგრე ადვილად არ გაჰქილავდა ფეხ-ქვეშ ყოველსავე, რაც სწამდა. „შენ—ეუბნება იგი ოთარს,— რომელმაც ჰარამხანისათვის გაჰყიდე სუინიდისი, მხოლოდ იმას ივედრებოდი, რომ ნება მოეცათ ღვინის სმისა. არ იცოდი, რისთვის რა გემჯობინებინა, ჰარამხანა ღვინისათვის, თუ ღვი-ნო ჰარამხანისათვის და როგორც თვალ-ხაჩმა ძალმა, ისიც დაგვტყუე და ისიცა. რილათი მოგაქვს თავი? იმითი, რომ, ლოთი და გარეუნილი, ჰარამხავ უძლეველის ფეხის წინაშე, ოლონდ-კი ჰატივი და სიცოცხლე არ მომაკლდესო? კარგი სანახავი კია დარაჯი ისლამისა, ღვინით გამომოვრალი?“ დამერტმუნებით, ეს არ არის სულეიმანის ერთგულის ცოლის ენა? აქედან ნათლადა სჩანს, რომ ზეინაბი გულ აღრენილია ოთარბეგზედ, ვერ მოუნელებია, რომ „უშიშარი ოთარი, მარჯვე-ნა ხელი მეფე თეიმურაზისა, ლომი საქართველოისა“ გადაქ-ცეული სულეიმანის ფეხის მტვერად. წინ და წინვე რაკი პლა-ნი აქვს მოქმედების შედგენილი—„ხალხის აღდგენა მტარვალ-თა დასამხმბათ“, რასაკეირველია, სისრულეში მოსაყვანი ხერ-ხიცა აქვს შემუშავებული. როცა ზეინაბი ოთარისთანა წინედ გმირს და დღეს „თვალხარბ ძალლად“ ქცეულ მოლალატეს ჭხედავს ხოლმე, ასეთის კილოთი ელაპარაკება და სწორედ ამათ შესახებ ეუბნება სულეიმანს, „ცბიერია ჩემი ხალხი, ნუ ზოგავ მაგათ სისხლსაო“. იქნებ ამან გონებაში ჩააგდოს მო-ლალატე და სამშობლოს მტარვალის წინააღმდეგობა განიძრა-ხოსო. და თუ ამგვარი ფსიხოლოგიური ზედ-გავლენა ვერას გამოაღება ხოლმე, ისეთ საშუალებასაც კი მიჰყოფს ხელს, რომელიც მსხვერპლს თხოულობს. ამ შემთხვევაში ამ მსხვერ-პლად ოთარბეგის ქალი უმანკო და მშვენიერი გაიანდ ხდება. ზეინაბი სცდის ოთარის გრძნობას გაიანესადმი, და უკანასკ-ნელს საშუალებას მიმართავს—იქნებ ამან მაინც გამოაფხიზლოს

და ჰეშმარიტ გზაზედ დააყენოსო: „ოთარბეგ, გაიანეს უამო-
გზავნაც არ დაგავიწყდეს“ მეხივით დასცემს თავზედ ამ სიტ-
ყვებს, „დაიტოვე სხვა ყველა შენი ასულნი, მეფეს კი მხო-
ლოდ გაიანე მოჰვეარე,“ დაცინვით ეუბნება ოთარბეგს და
როცა ეს „ლომი საქართველოისა“ აქაც სულმდაბლობას იჩენს
და ლაპრობას, ზეინაბი კიდევ, მოთმინებიდან გამოსული და აღშ-
ფოთებული, „შეურეოლდება, გაოცებული უნებლიერ“ წამოიძა-
ხებს „როგორ? შენ!“ და მერე ისევ გონს მოვა. ამ უკანასკნელ-
მა ხერხმაც არ უშველა, ოთარი შეუდრეკელია, ყმაა სწორედ,
ნამდვილად ერთგული ყმა, ეს სწორედ თავზარს დასცემს. „ეს
ლომი საქართველოისაო,— შესჩივის ისახარს ამის შემდეგ ზეინა-
ბი—თვითონვე იძლევა ქალს უდრტვინველად, უბრძოლველად,“
„თვითონვე ჰკისრულობს ჩამოხსნას ზარები ძველ ტაძრებიდგან,
საკა მოუნათლავთ, დაუქორწინებიათ. შეურაცხვუოფდი, თავზედ
ლაფს ვასხამდი და ის კი დედამიწას ლოკავდა ჩემ ფეხ ქვეშ...
თითქო ფინია ძალლიაო ისე წკმუტუნებდა, კუდს იქნევდა,
იკლაკნებოდა. ეგ ოთარია?.. უგანა ცხადი არ არის, რომ დე-
დოფალს ყოველივე ამგვარი ხერხი წინად განზრახული აქვს.
თავისის აზრის სისრულეში მოსაყვანად. როცა ზარის რეკა
აღკრძალვენ, მისი სული და გული აღმფოთებულია, გული უკვ-
დება და ვერაგ ოთარბეგზედ ჯავრს იყრის, როცა ოთარისთანა
სვინიდრისის გამყიდველს ჰქედავს, შეურაცხყოფას აყენებს, უსა-
ფუძვლო საყვედურებით ავსებს, იქნებ, რამენაირად უკმაყოფი-
ლება ჩავუნერგო, გულშიო და თუ ამასაც უნაყოფოდ დაინახავს,
მაშინ მიჰყოფს ხელს მძიმე და მტანჯავს საშუალებას. მაშინ აქე-
ზებს სულეიმანს „ზედ შესდეგ და სთელე ეგ ცბიერი ხალხი,
ნუ ზოგავ მაგათ სისხლსაო“ და ამგვარ ხალხად ყოველთვის
ოთარბეგები უნდა ყოფილიყვნენ. ამ შემთხვევაში ოთარის
სისხლის არ დაზოგვა მისის ერთად ერთის პირმშო ქალის ჰარა-
მხანისთვის მოთხოვა იყო, იქნებ ამ უკიდურესს საშუალებას მაინც
ეშველა რამე და როცა ეგრეთი საშუალებაც არას შველიდა,
რასაკვირველია, უბრძოლა (იმ თავითვე მაინც) მსხვერპლი შეი-
წირებოდა ხოლმე. გაიანე უმანკო და უცოდველი ყოვლის

მხრით არსება, აბა რა შეუში იყო, მაგრამ მისი სისხლი საჭირო იყო ოთარის მოსარჯულებლად. ეს დიდი რისკია და ამგვარის რისკის მოხდენა ისეთ ბუნება ძლიერს, ძლევა მოსილ აღამიანს შეჰვერის და შეუძლია, როგორიც ზეინაბი იყო.

სწორედ ამ გვარ შემთხვევას ეხება ზეინაბი, როცა მისი ხერხის წყალობით მორჯულებულს ოთარს ეუბნება: „გავი-ქვავე გული, ამოვიგლიჯე გულიდგან გრძნობა ვისიმე შებრა-ლებისა. შებრალებაც, სიყვარულიც და სვინიდისის ქენჯნაც ყოველივე დაითრგუნა, ჩაკვდა ჩემს გულში. იღუპებოდნენ ნათესავნი, მეგობარნი, ერთგულნი, ყმანი და მსახურნი.“ დიალ, სწორედ ამ გვარ შემთხვევებზე ამბობს ზეინაბი და დრამის ფაქტები შეურყეველ საფუძველს გვაძლევს, უცილობელ ჭეშ-მარიტებად აღვიაროთ, რომ ზეინაბის გული ყოველთვის სტი-როდა და შფოთავდა ცხადადაც კი, როცა კათალიკოსებისთანა ერთგულებს აწიოკებდნენ და სტანჯავდნენ და მხოლოდ და მარტო ოთარბეგისთანა მოღალატეებისათვის იყო მისი გული გაქვავებული და შეუბრალებელი. დრამა უეჭველ საბუთს გვა-ძლევს იმისას, რომ თუ ზეინაბის წყალობით იღუპებოდნენ „ნათესავნი, მეგობარნი, ერთგულნი, ყმანი და მსახურნი“, ყველანი ესენი ოთარ ბეგისთანა ვერავნი იყვნენ ანა და ოთარ-ბეგისთანა ძლიერის გავლენიანის პირის მოსარჯულებლად იყვნენ მსხვერპლად შეწირულნი, როგორც გაიანე. უსაგნოდ, უაზროდ, დარწმუნებული ვართ, ზეინაბს ერთი კაციც არ და-უღუპავს. ხოლო უმართლოს დალუპვა, კათალიკოსისა, მაგალი-თად, იმ აღშფოთებამდი მიიყვანს დედოფალს, რომ აჯანყების დაწყებას გადასწყვეტს და თვით შეიქმნება დამწყებად აჯა-ნყებისა დასათრგუნად მტარვალისა. გასაოცარია, საიდან გამოი-ტანა დასკვნა ბ. აკაკიმ, რომ „ზეინაბის გულში მაშინ იფე-თქა ქართველობაშ, როცა საბა სალისების და ანანიების წყა-ლობით „აღდგომა“ მოახლოვდაო“, მაშინ როდესაც ზეინაბმა არაფერიც არ იცოდა ამ აღდგომის შესახებ და ისახარს ეუბ-ნება იმ დროს, როცა დრამით არც კი ვიცით არაფერი საბა-სალოსებით „აღდგომის“ შესახებ: „დროა, დრო, ისახარ! შეუ-

თვალე ანანიას, წაიყვანოს ჩვენი შვილები ოთართან. მე იქვიქ-
ნები და, თუ ახოვან ოთარის გულში არ გამჭრალა ყოველი-
ვე აღამიანობა, დაეცემა მის ფეხ-ქვეშ, მკვდრეთით აღსდგება
სული შებრძოლისა ღვთისათვის, სამშობლოსათვის, ახალ-
გაზრდა მეფისათვის!“ ან კი საიდან უნდა სკოდნოდა ზეინაბს
„აღდგომის“ ამბვები თუ არ კილოკავად, როცა მას ოთარ-
ბეგის მეტის ნახვა არც კი შეეძლო, და ამიტომაც არის, რომ
გულ მოწყლული და სასოება წარკვეთილი ესაუბრება ოთარ-
ბეგს: „არ არის თავისუფალი ადამიანი, არ არის ხელის გუ-
ლის ტოლა თავისუფალი ადგილი კასპის ზღვიდან შავ-ზღვამ-
დე. ყველგან მხოლოდ სისხლის ღვრაა და ძალ-მომრეობა.
ყველგან ისლამს უდგია ფეხი ძირს გართხმულთა მკერდზედ,
ყველგან მდუღარებას აბნევენ, ყველგან ცრემლი და მონობას,
ყველგან სიკელილი, სისაწყლე, ტყვეობა, ტანჯვა, წამება... და
მონობა, მონობა, მონობა, მარტო ოდენ მონობა, ვით შავ-ბნე-
ლი ღამე!“ და ან საბა სალოსიც მხოლოდ მაშინ არ ახარებს
„აღდგომას“ ზეინაბსა და ოთარს, როცა ყურს მოჰკრავს მათ
ლაპარაკს და გულ წარმტაც სიტყვებს გაიგონებს ოთარისას: გამი-
ძელ, მიწინამძღვრე, ჰოი, დედოფალო! წყეულიმც-იყოს ჩემი
უკულმართი გული! სირცხვილი ჩემს ჭაღარა თავს, სამშობლოსა-
და ღმერთის გამყიდველის პატივისა და ფუფუნებისათვის... შეუ-
ძლებელია შენდობა განდგომილისა, მოღალატისა, მაგრამ ვაზ-
ლვევინებ კი, ამოვიყრი კი იმათ ჯავრს, ვინც ჩამაგდო ამ ყო-
ფაში, გელი შენს ბრძანებას, დედოფალო!“ აი მაშინ ახარებს
მათ საბა „მთლად საქართველოც თქვენთან იქნება, ქრისტე
აღსდგაო!“. განა საბამ უწინ არ იცოდა, რომ ხალხი „აღდგო
მისთვის“ ემზადებოდა, მაგრამ ხალხს მეთაურები ეჭროვებოდა,
ამ მეთაურებს ზეინაბი ამზადებდა ცრემლითა და გლოვით,
ტანჯვითა და ვაებით, სულის წამებითა და დამამხობელის და
გამანადგურებელის სინიდისის ქენჯნით. ფსიხოლოგიურად დი-
დის სინამდვილის დაუვაა ისიც, რომ ზეინაბი „თამრობას ვე
ლარ ახერხებს“, როგორც მხატვრულად ბრძანებს აკაკი, და დე-
დოფალი თავს იკლავს. ჯერ ერთი ისეთი თავზარიც რომ არ

დასცემოდა და შვილს არ ეღალატებინა; შესაძლოა ზეინაბის გატანჯულსა და გაწამუბულს არსებას ისეც ვეღარ შესაძლებოდა ფსიხიურად აეტანა იჩისთანა დიდი ბეღნიერება, როგორიც იყო ისეთის დიადის აზრის მიღწევა. განა ხშირად არა ხდება, რომ დედა, რომელიც თვეობით უვლის ავადმყოფ შვილს, ძამეები არ სძინავს, ცრემლით ასველებს სარეცელს და ყოველ სუნთქვას ითვლის სნეულის შვილისას, განა ხშირი შოვლენა არ არის, რომ ამგვარი დედა, რაკი შვილი შედის მორჩენაში, თვითონ ქვეშაგებში ვარდება და კიდევაც კვდება. ვერ იტანს მისი ტანჯული არსება ვეღარც დიდ სიხარულს, აღარ შესწევს ძალი და ღონე და სხეულიც თითქმის აღარ ებრძვის მეღგრად სიკვდილს, თითქმ ხედვიდეს, რომ მისი სიცოცხლე საჭირო აღარაა. რამდენად უფრო ნამდვილია მაშ ზენაბის, ქართველის დედოფლისაგან თავის მოკვლა, როცა ხედავს, რომ მისი იდეალი, სიმბოლო მისი იდეალისა — მისის ერის თავისუფლებისა, თავისუფალის სამშობლოისა — მისი ტახტის მემკვიდრე სიკვდილით მხოლოდ ისყიდის სამარცხინო ღალატს. რაღა ეს ექივრებოდა ამ ტანჯულს დედოფალს, ამ წამებით დასუსტებულ გმირს და ვეღარ გასძლო, ვეღარ შესძლო მეტი ბრძოლა, მისთვის ეხლა თვით უბრალო ძალზედ გადამეტებული სიხარულიც ძნელი ასატანი იყო. აქ კი უდიდესი ბეღნიერებაა მისი ოცის წლის ფიქრის ასრულება ერთის მხრით და მეორეს მხრით კი ამავე ფიქრის ერთის ნაწილის სამარცხინოდ დალუპვა; ისეთი რამ ეღმტაცებელი იყო ერთი და ისეთი რამ მტანჯავი მეორე, რომ აქ სიცოცხლე ყოვლად შეუძლებელი იყო, აქ ზეინაბს, თუ გულმოწყალე სიკვდილი არ შეიბრალებდა, თვით, როგორც სულია ძლიერ ადამიანს, რომელიც აჩქარებს მოვლენას და ჰემნის ისტორიას, უნდა დაეჩქარებია ბოლო ტანჯულის სიცოცხლისა და კიდევაც გმირულად გასწყვიტა ძაფი თავისი სიცოცხლისა კარგად შემგნები მისა, რომ იგი ეხლა მეტილა იყო ამ განახლებულ, მკვდრეობით აღდგომილ ცხოვრებაში. მას აღარა ჰყავდა ის, „ვის განსჯადაც უნდოდა მიეტანა თავისი ცოდო, თავისი შერცხვენა.

საშინელი და მრისხანე იქმნებოდა მისთვის, მის დედისათვის, სიტყვა მისის რისხეისა, მისის განსჯისა. მაგრამ იგივე რისხეა დაამხობდა ძლიერს ისლამს წმიდა ჯვარის წინაშე!“ ის კი არა თუ „გარეუნილმა ჰარამხანამ... ისლამმა... დამმონებელმა და ულმობელმა... წართვა მისი უკანასკნელი თვალის ჩინი... ჩაქრო მისი ვარსკვლავი.“ ამის მერე ზეინაბის სიცოცხლე შეუძლებელიდა იყო, ტანჯულმა ღმერთმაც კი, როგორც მოგვითხოვენ, წყალი მოითხოვა... და ეს ხომ არა ჩვეულებრივი, მაგრამ მაინცა და მაინც ადამიანი იყო. სწორედ ეს მისი ადამიანობა გვხიბლავს ჩვენ, სწორედ ეს მისი ძალა ადამიანური თუმცა გმირული და უჩვეულო, ეს მისი შეუდრეველი ნება, ფხიზელი გონება, განცისკროვნებული აზრი და გული გვიმორჩილებს და გვხიბლავს ჩვენ. ასეთი ადამიანების განსჯა ჩვეულებრივის მასშტაბით არ შეიძლება, მათ ვერ ავსწონით ჩვეულებრივ სასწორზედ და ჩვეულებრივის საწყაულით ვერ მიუწყობთ, ვერ განვიკითხავთ ჩვეულებრივად, მათი მოქმედება ცალკ-ცალკე ვერ აიწონ-დაიწონება, მთელი მათი ცხოვრება განუწყვეტელი კავშირია, განუწყვეტელი ძაფია დიადის მოვლენისა, დიადის არსების მჭიდროდ შეერთებული ნაწილია. სათითაოდ რომ აიღოთ მისი მოქმედება, თუ გინდ გაიანეს მოთხოვა ოთარებეგისათვის—ბოროტმოქმედებაა, მაგრამ აბა თავიდამ ბოლომდის განარჩიეთ მისი მოქმედება, თუ ყოველივეს სიმართლისა და სიკეთის შუქი არ ეფინება იმ დიადის საგნის წყალობით, რომლის აღსრულება შესძლო ამ საშუალებით. მაგათანა დიდ-ბუნებოვან ადამიანებს, თუმცა გრძნობაც დიდი აქვთ, არ შეუძლიათ უბრალო გრძნობას დაემორჩილონ, უბრალო საშუალო კაცის წრიპინა მორალით იხელმძღვანელონ, მათვის ყოველივე ნება დართულია. თუ კი დაბოლოს. მიზანს მიაღწევენ. ვერც ერთი თავზედ ხელ აღებული მორალისტი ვერ გაბედავს იეზუიტურის პრინციპის ზნეობის ქვაკუთხედად განცხადებას, არც ერთი მათგანი არ აღიარებს, რომ მიზანი ამართლებს საშუალებასა და ხერხს ამ მიზნის განსახორციელებლად ნახმარებსაო, მაგრამ სამაგიეროდ

ვერც ერთი მლაშე და დახავსებული ფანატიკოსი მორალის-ტიც ვერ იტყვის, რომ გენიოსსა და გმირს, ძლიერ ადამიანს, რომლის მაგალითი არა ერთი ვიცით, არ შეენდოს ბევრი, თუ კი მან დიდი აზრი განახორციელა და დიდ საგანს მიაღწია—ეს კი მიუცილებელი პირობაა. ზეინაბიც ამ საზომით უნდა გაიზომოს და თუ ასე შევხედავთ მას, ძნელია თაყვანი არა სც ამ ჭეშმარიტად ტანჯულსა და წამებულს ადამიანს. შეუძლებელია მას იგივე ადგილი არ მიუჩინო, რაც სათნო მოწამე ქეთევანს და, ვინ იცის, საარჩევნოდ რომ ჩავარდეს, უმეტესმა ადამიანობამ იქნებ ზეინაბი ირჩიოს, რადგან, ვიმეორებ, ის უფრო ახლოა, უფრო ენათესავება მისს აზრსა და გრძნობას. თ. სუმბათაშვილმა ამ მსოფლიო ლიტერატურის ერთი საუკეთესო ხასიათი დაგვიხატა. ეს ხასიათი რაღაც იბსენურს მოგავონებს, რაღაც ნიკუშესებურს მხნე, მედგრისა და მამაცის ქალისას, რომლის თავებანწირულება და გულის ლმობიერება არ ჩამოუვარდება საუკეთესო ტიპის ქალთა გულ-ლმობიერებასა და თავ-განწირულებას. თუ ოფელია და დეზლემონა იდეალი იყო ერთ დროის რომანტიკულად მოწყობილის კაცობრიობისა, დღევანდელ დღეს უფრო მოგვეწონება ნორა და პელა გაბლერი და უფრო კიდევ ზეინაბი—ადამიანი ყოველის მხრივ, მაგრამ უფრო ზე-კაცი, ვიდრე უბრალო კაცუნა.

კიდევ ზედ მეტი ღირსება ამ ტიპისა მაშინ გამოჩნდება, თუ მის სიმბოლიურ მხარეს აიღებთ. ეგ ტანჯული და გაწამებული საქართველოა, რომლის ისტორია დღევანდლამდე იმით არის დამთავრებული, რომ მისი პოლიტიკური თვით არსებობა მოისპო. საქართველო ძალა-უნებურად ითმენდა მრავალგვარის დესპოტისაგან გაქელვასა და შეურაუხყოფას, მაგრამ მისი აზრი და მისწრაფება არასოდეს არ შომკვდარა, მისი სიცოცხლის ძაფის შეწყვეტამდის: იბრძოდა საშინლად, ყოვლის ლონით, ყოველის საშუალებით, რადგან სიცოცხლე სწადდა და მოქმედება. მშრალ-მშრალ მორალურის თეორიებისთვის რომ ედია იმას, დრო არა პქონდა, იცავდა თავისუფლებასა და საშშობლოს ჯვარის სახით და ამას სწირავდა ყოველივე გარეგან კმაყოფი-

ლებასა და „სულის ცხონების“ დიპლომებს. განაღა შესაძლებელია ზეინაბები არა ჰყოლოდეს იმ ხალხს, რომელმაც სრულიად სამართლიანად და კანონიერად ისტორიული პირადობა დიდ მოურავისა ლეგენდარულად გაჰქისადა?

მე უფრო მეტად მაკვირვებს ჩვენი ცბიერობა, ჩვენი გულახახვეულობა, ჩვენი ზნეობრივი ურცხობა და კადნიერება! ზიზღით ვუცქერით ზეინაბებს, და გვაქვს უფლება ასე სასტიკად მოვექცეთ მას მაშინ, როდესაც ყოველივე ჩვენი მოქმედება ცარიელი ცბიერობაა და უაზრო, უმნიშვნელო და უსაფუძვლო მარტო-და ოდენ ჩვენის ზნეობრივის კოტრობის გამომსახველი. განა თუ ცბიერობა მარტო სულეიმან ხანის ჰარამხანაში ყოფნით შეიძლება გამოიხატოს. დრო იცვლება და დროის მოთხოვნილებაც. ამ დროის შესაფერად კი რამდენად ბევრად უფრო ზნეობრივად დასაგმობ მოქმედებით არის აღსავსე მთელი ჩვენი ცხოვრება, ვიმეორებ, სრულიად უსაგნოდ და უსაფუძვლოდ, ყოველივე წუთი ჩვენის ცხოვრებისა და ამავე დროს ჩვენ ვითომ და „ფაქიზ ზნებას“ შეურაცხოფას აყენებს ზეინაბის გმირული თავგანწირულება და ტანჯვა-წამება დიადის საქმის აღსასრულებლად.*)

კიტა აბაშაძე.

*) ჩვენ უმთავრესად ზეინაბის ტიპის განჩენებას მივაქციეთ ყურადღება, რადგანად ეგ გამხდარა საკამათო საგნად ჩვენ მწერალთა შორის. საზოგადოდ ამ ტრაგედიის სხვა ლირსებებს ყველანი ერთხმად აღიარებენ გარდა იმათსა, რომელთაც ორიგინალი არც კი წაუკითხავთ, ხოლო თარგმანების პოეზიაზედ სჯიან. საზოგადოდ ამ ტრაგედიის შესახებ ჩვენ წერილი გვქონდა დასტამბული შარშან აივერიაში*.

დ ე მ ა ს

ა 6 ც

დიმიტრი ბაზონიშვილის თავმადასაქალი.

(მ. ბროსსე: დამატებანი და განმარტებანი ქართლის ცხავრებისა)。

სიკვდილის უამი რომ მოუახლოვდა, ამბობს სტეფანოს ორბელიანი, დავით III დაიბარა კათალიკოზი, პირველნი დიდებულნი და მათთან ერთად ძმა თავისი გიორგი და შვილი თავისი დემნა. წინ სალოცავი თავისი ხატი დაისვენა, ჯვარი წამებულისა და წმინდა სახარება და უთხრა: „საქართველოს დიდებულნო, კარგად მოგეხსენებათ, რაოდენი ღვაწლი დაგდოთ მამაჩემმან; მან აღადგინა სამეფო და სიკვდილის წინ მე დამილოცა იგი წმინდა, დანაწერი ანდერძით. მე უკვე ვგრძნობ აღსასრულსა ჩემსა; ჩემს ძმას გიორგის, თითონაც აქა ბრძანდება, არავითარი უფლება არა მაქვს სამეფო ტახტზედ და როგორც მე მერგო სამეფო გვირგვინი მამაჩემისგან, ისე მე გარდავცემ გვირგვინს ჩემს შვილს დემნას თქვენ, დიდებულთა, თანადასწრებით. შენ, ძმაო გიორგი, ჩემი ალაგი დაიჭირე, მხედართ მთავრობა გაუწიე ქვეყნის ჯარებს, მამიჩვენის ანდერძით შენთვის ბოძებულ მამულით ისარგებლე, ვიღრე ჩემი შვილი დავაუკაცებება.“ ივანეს დაუძახა, სემბათ ორბელიანის შვილს დააფიცა, რომ წმინდად აასრულებს მის უკანასკნელ ბრძანებას; მერმე იკუვანა თავისი შვილი და ივანეს ჩააბარა. შემდეგ სხვა დიდებულნი დააფიცა, ბატონიშვილს არ ვულალატებთ და

რა დაუკაცდება, მეფედ ვაკურთხებო; მიიცვალა და*) წინაპართა სასაფლავოში გვლათში იქმნა დაკრძალული. მას შემდეგ ბავშვი ივანეს სახლში იზრდებოდა და იწრთვნებოდა.

გიორგიმ უწარჩინებულებს დიდებულთა და კათალიკოზის გული მოიგო, მეფობა განიძრახა, მაგრამ ვერ გაებედნა და ვერ გაემხილებინა თავისი. წადილი სემბათ ორბელიანის და მის შვილებ ივანე და ლიპარიტისთვის. ერთის თვის შემდეგ გიორგისთან შეკრბენ ყველა დიდებულნი და აზნაურნი და ივანეც მივიღა თავისიანებით. გიორგიმ გააგებინა თავისი განძრახვა და ბევრის ხვეწნით და ვედრებით დაარწმუნა — მე არაფერს წამართმევ ჩემს ძმისწულს და როდესაც გაიზრდება და დავაუკაცდება, სამეფო ტახტზედ დავსვამ თანახმად ჩემის ძმის ანდერძისაო. გიორგი ბედნიერი კაცი იყო ყოველ თავის საქმეში, ძალით აღსავს და მეტად სამართლიანი. გიორგის დროს მეტად გაფართოვდა სამეფო; პირად თითონაც ბევრს ომში დაესწრო თავის მხედრობით და მამაც მხედართ მთავარ ივანეს წინამძღვრობით სრულიად შეარყია სპარსთა და თურქთა ძალა. ამ გიორგიმ აიღო ქალაქი ანი 610—1161 წ. მერმე მთელი შირაქი, რომელიც ივანეს უბოძა, პირველს მხედარი-მთავარს საქართველოისას, შვილს სემბატ ორბელიანისას, ისე რომ მას შემდეგ მის საკუთრებად დაიდვა. ერთხელ ანის კარებთან ამ ივანემ დაამარცხა შაჰი-არმენი, რომელიც ქალაქის ასაკლებად წამოსულიყო 40000 კაცით; მეფეს არ დაუცადა, რომელიც საშველად მოდიოდა, და ისე შეება მტერს. მეორედ მძლავრი ათაბეგი ილდიგუზი დაამარცხა, გაგის მინდორში, როდესაც 100000 კაცით მოდიოდა მეფის გიორგის წინააღმდეგ საქართველოს ასაოხრებლად და მეფის წარსატყვევნად. ივანე ისე მოხერხებულად მოიქცა და თავის გმირულ ვაუკაცობით იმისთანა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა მტერი, რომ მან მიუტოვა კარვები, იარაღი, მრავალი სურსათი და საკლავ-საბამი საქონელი და გაიქცა დამე. მაგრამ მიუხედავად ამოდენა

*) 1154 წელს. რედ.

სამსახურისა და ბრწყინვალე საქციელისა, მეფე მხოლოდ გარეგნად უმადლობდა ივანეს, პატივსა სცემდა და დიდებას ანიჭებდა. გულის სიღრმეში კი უნდობლობა ედვა მის ნორჩ მოწაფისა გამო და შემთხვევას ეძებდა, მაგრამ ამაռდ, რომ ჩუმად მოეწამლა ბატონიშვილი; მაგრამ ივანემ იცოდა მისი განძრახვა. მამა მისი სემბათი დიდს სიბერეში მოკვდა და დასაფლავებულ იქმნა თავის წინაპართა შორის, საერისთავოს მემკვიდრეობა გარდასცა თავის შვილებს ივანეს და ლიპარიტს.

წელსა 626—1177 არეულობა მოხდა საქართველოში და ორბელიანთა გვარი მთლად ამოწყვეტილ იქმნა. მეფე გორგი 21 წელიწადი მეფობდა და ყმაწვილი დემნა დავაუკაცილდა. როდესაც ივანე, იმისი ძმები და შვილები სოფ. დარბაზში, აგარაკში იმყოფებოდნენ რა განცხრომას ეძლეოდნენ, დაინახეს უმთავრესნი დიდებულნი და მათთან ერთად დემნა მათკენ მიმავალი. ივანე,—უთხრეს დიდებულთა, —მოიგონე რას შეჰქირდი და რა შეჰქიცე მეფე დავითს; გაფრთხილდი, ფიციარ გატეხო. ღრმა არის სამეფო ტახტზედ აბრძანდეს ბატონიშვილი; გიორგი სახატეში ბრძანდება რამდენიმე მხლებელით; ჩვენ ყველანი მზადა ვართ ჩვენი მოვალეობა ავასრულოთ. —ლმერთმა დაგვიფაროს, —უპასუხა ივანემ, —ფიქრადაც არ უნდა მოგვივიდეს მირონცხებულის მოკვლა. მაგრამ შეფიცულის ასასრულებლად, დემნა ტახტზედ ჯავსვათ, გიორგი დავიჭიროთ, წმინდა ფიცი დავადებინოთ და ხელიც მოვაწერინოთ, რომ დაემორჩილება თავის ძმისწულს; წმინდა გავანთავისუფლოთ და ნება მივცეთ თავის მამულში იცხოვროს. ყველანი დაეთანხმნენ ამ აზრს და საჩქაროდ ჯარების კრებას შეუდგნენ. მაგრამ ერთი მცირე წლოვანი ყმაწვილი, რომელსაც გაეგოეს გარდაწყვეტილება, ლამე წავიდა და მეფეს შეატყობინა. მეფე მაშინადვე ცხენს მოახტა, თბილისს გაიქცა და იქ გამაგრდა. ივანემ ამისი არა იცოდა რა და მხედართ აგროვებდა და ჯარს ამზადებდა. ყველა დიდებული და პატიოსანი ქართველი თანაუგრძნობდა და მის დასახმარებლად მრავლად შიდოვნენ დარბაზს, აგარაკში. აქ იყვნენ ერისთავი ქართლი-

სა*), ყვარცვარე; ერისთავნი ჯავახეთისა, კახაი და ამისი შვილი, დიდი გამრეკელი, მებნაი ჯაყელი, ერისთავნი ტაშირისა, ჰასან კაიენელი, გრიგოლ, შვილი ამპირატისა, ანელი, რომელთა შეერთებულნი ძალნი 30 თას კაცზედ მეტს შეადგენდნენ. მარტოდ, უჯაროდ დარჩენილმა მეფემ დაიბარა ვინზე ყიპჩაყი, ყუბასარად წოდებული და რაკი სხვა მოსარჩქლე არა ჰყავდა, მოახერხა და 5000 კაცამდე შეერიბა. რა გაიგეს შეთქმულთ ქალაქში მისვლა მეფისა და იქ გამაგრება, ტფილისისაკენ არ გაემართნენ შესაბრძოლებლად და ელოდნენ, მეფე თითონ ამხედრდება ჩევენს წინააღმდეგო. რაკი ძალიან გაგრძელდა საქმე, გამრეკელი დაემორჩილა აღამიანის გონების ბუნებრივს დაუდგრომლობას, მოსწყდა შეთქმულობას და გიორგისთან მივიღა დამე. ეს რომ ნახა, გრიგოლ მაჟისტროსიანიც ასევე მოიქცა, სხვებმაც ამათ წაბაძეს და ერთი ერთმანერთის საიდუმლოდ მიდიოდნენ და თავს უკრავდნენ მეფეს, ისე რომ მისი ძალა მით უფრო მძლავრდებოდა, რამდენადაც დემნა სუსტდებდა. მარტლაც ვინც კი გიორგის მხარეს გადავიდა, დიდი პატივისცემით მიიღო მეფემ, საჩუქრებით აავსო, მხიარულად დროს ატარებინებდა და დიდს წყალობას ჰპირდებოდა, — ყველაფერს წავართმევ თრბელიანთ და თქვენ მოგანიჭებთო. რაკი ასე მომაგრდა და გაძლიერდა გიორგი და ამასთან თავის ძმისწულის და ივანეს სისუსტეც იცოდა, დიდი ლაშქრით ამხედრდა მეფე. ეს რომ გაიგო, ივანემ სამშვილდეს ციხეში მოაგროვა რაც კი ებადა თავის საგვარეულოს სალარო ძველის-ძველ დროიდგან შეძენილი და სარჩო საბადებელი; იქ უწარჩინებულესი მხედართ-მთავარნი დატოვა, თითონ კი თავის ჯარით და თავის და დემნას დიდებულ მომხრეებით ლორში შევიდა და მეტად გამაგრდა. თავისი ძმა ლიპარიტ და ორი თავისი შვილი ათაბეგს ილდილუზთან გაგზავნა ჯარებით შველის სათხოვნელად. აგარაკს რომ მივიღა, მეფე გიორგიმ აქ ვერავინ ჰპოვა, სამშვილდეს ალყა შემოარტყა, 25

*) ავტორი უცვლელად ხმარობს სიტყვებს „ქართლის ერთავნი“ და ეს ამტკიცებს, რომ ქართულით უნდა იყოს თარგმანი ეს ცნობა,

დღეს იქ იდგა, აიღო და ციხის მცველნი გამუსრა. იმავ დროს ხელთ იგდო ორბელიანთა ძვირფასი საუნჯენი და ყოველი ქონება და ლორის ასალებად გაემართა. და რადგან ივანე გამაგრდა ციხეში 13 როტიტის თვისას და რადგან შიგ იმყოფებოდა მეპეკის 5-ამდე*), ციხეში მყოფნი სასოჭარკვეთილებას მიეცნენ და დიდებულნი თითო-თითოდ დამით ჩამოდიოდნენ თკებით ციხის კედლებზედ და თავს უკრავდნენ მეფეს. ცოტა ხანს უკან წარწინებულ დიდებულთაგან, თავის გულის სანდო მეგობართაგან წერილი მოუვიდა ივანეს; წერილი ისარს შემოაყოლეს და ურჩევდნენ—დამორჩილდი მეფეს, შეურიგდიო,—რადგან ეშინოდათ ათაბეგი ილდილუზის ჯარებისა. წერილის შინაარსი ასეთი იყო:

„დიდებულო ივანე გმირო მამაცო და უძლეველო, შთა-მომავლობით ჩინელო, მძლავრის ხელმწიფისა შტოლ, ივერიას შემოხიზულო, სადაც დაუფასებელი დიდება შეიძინე; სასახლის უმაღლესო გამგეო და მეფის გიორგის მხედართ მთავარო, თუ შენი მშვიდობა გინდა, გიყვარს შენი სიცოცხლე და შურის ამძრელი შენი დიდება, თუ გინდა შეირჩინო შენი მამული, რომელიც საქართველოს მეფის მამულის ნახევარზედ მეტია, დაივიწყე პირველი შენი ფიცი, შენი დაპირება და დავითის ანდერძი; დაემორჩილე გიორგის, მძლავრს ხელმწიფეს საქართველოსას; აიღე და მოართვი ძვირფასი ძლვენი ჭაბუკი დემნა, შვილი დავითისა, მიზეზი ურიცხ უბედურებისა, რომელიც თავს დაგაწვა შენს ციხეში.“

ეს წერილი რომ მიიღო, ივანემ პასუხი მისწერა, რომელიც ისარს მოაბა და ციხიდგან გარეთ გადისროლა:

„საყვარელო ჩემო დიდებულნო, მძლავრნო და შემძლებელნო თავადნო, მე ივანე ორბელიანმა წავიკითხე რჩევა თქვენს უსტარში მოწერილი, მაგრამ ვერ დავეთანხმე შიგ გამოთქმულს აზრებს. ადამიანი, რომელიც სიცოცხლის სიყვარულით გატაცებული, ულალატებს ლვოურს კანონს და ფიცი

*.) როტო—დეკემბერი, მეპეკი—ივლისი.

გასტეხს, იუდას ჯილდოს მიიღებს: ცეცხლში ეგდება უკუნითი უკუნისამდე ეშმაკთა შორის. მე არ შემიძლიან სუსტს და წარმავალს არსებას ერთის დღის სიცოცხლისა გამო ფეხით გავთელო იღთქმა მეფისადმი დადებული და წმინდა ფიცი გავტეხო; დევ, მოვკვდე ჩემის სიტყვის ერთგული ჩემს კეთილ მეფესთან; იქ მივიღებ დაუფასებელ ჯილდოს, რომელსაც ვეღარავინ წამართმევს.“

თუმცა ყოველივე ქარიულად იყო დაწერილი, ჩვენ ვთარგმნეთ და სომხურად გავაწყეთ.

რა კი ნახეს, რომ უდრეცელი იყო მისი ნება, მედგრად შეუდგნენ ბრძოლას. მაგრამ დემნა, რომელიც მეტად ადვილად შეშინებულიყო, ლამით თოკით ჩამოძვრა ციხის კედელზედ, ბიძასთან მივიდა, დაუჩიქა და დააფიცა, სიცოცხლეს ნუ გამომწირავო. ეს რომ ნახა, გალადებულმა მეფემ კაცი გაგზავნა ივანესთან: „რა გქონდა სამტრო,— შეუთვალა გიორგიმ,— რად გწუუროდა ჩემთან შურის ძიება? ახლა რაღა საფუძველი გაქვს, რომ აჯანყებული იმყოფები? მართალსა ბრძანებს მეფე, უპასუხა ივანემ, დაიფიცოს, რომ არას მავნებს, მამულს არ ჩამომართმევს, და ვეახლები. გიორგიმ ფიცი დასლო და ივანემაც გაბედა და მეფესთან მივიდა. მეფემ სიხარულით აღსავსემ თავდაპირველად უსამძღვრო სიკეთით მიიღო, მრავალი წყალობა უბოძა, ვიდრე ყველა მის შვილებს. და გვარეულობას ხელთ იგდებდა. მერმე კი ფიციც დაივიწყა, აღთქმაც, დააჭირინა ივანე და თვალები დაათხრევინა; რაც შეეხება დემნას, რომელსაც ივანეს ქალი ჰყავდა, ის არ აკმარა რომ დააჭირინა და თვალები ამოსთხარა, კიდევაც დაასახირა, რომ მემკვიდრე აღარ მისცემოდა. ქავთარ, უნცროსი ძმა ივანესი, სემბატი მისი შვილი და ზინაი, მისი ძმისწული დახოცილ— იქმნენ მეფის ბრძანებით; ყველა იმისი ნათესავნი, საზოგადოდ, კაცი და ქალნი დაიღუპნენ ან დახოცეს, ზოგნი სასმელით მოწამლულნი, ზოგნი წყალში დაახრჩეს, ზოგნი მაღლალ კლდიდგან გადაჩეხეს, ისე რომ იმათი სახელის სხენებაც კი განქრა. მეფემ ბრძანება გასცა— აღმოეფხვრათ ყოველი

კვალი ორბელიანთა გვარისა. და დაეწერათ ისტორია ამ აჯანყებისა არა ჭეშმარიტ მიზეზების დაკვალად, არამედ თანახმად თავის სურვილისა და მრავალ სიცრუით და სამარცხვინო ცილისწამებით გაავსებინა. გარდა მაგისა გამოაცხადებინა, დაწყევლილ იქმნება ყველა, ვინც საქართველოში იმათს სახელს ახსენებს, დაწყევლილ იქმნება, ვინც ორბელიანის გვარისა საქართველოში შემოსვლას გაბედავსო. და ეს საშინელი დადგენილება დაცულ იქმნა საშვილიშვილოდ. ეს მოხდა 626—1177 წ.

როგორც ანგარიშობენ, ათას წელიწადზედ მეტი არის მას შემდეგ, რაც ორბელიანები ჩინეთიდგან მოვიდნენ და ასე აწამა, ამოულიტა და განდევნა მემკვიდრეობით მამულებიდგან გიორგიმ ეს თავადიშვილნი. ზოგნი უგონებენ, გატაცებულნი იყვნენ სამეფო ტახტის სურვილითაო, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუვეა და ძალლის ყეფა, რადგან იმათ თავიანთი სიცოცხლე გასწირეს მეფე დავითისადმი დადებულ აღთქმის ასასრულებლად, იმის შეილისა გამო, როგორც შეეფერება პატიოსანს კაცს, თავის ხელმწიფის ერთგულს. თავის წმინდა სამსჯავროში ღმერთი კარგად გაარჩევს, ვინ იყო მწამებელი და ვინ იყო წამებული.

ამასობაში ლიპარიტმა, ივანეს ძმამ, რომელიც ათაბაგილდილუზთან იყო წასული თავისი არი შვილით—ელიკუმ და ივანეთი—სპარსეთი შესძრა, თავის ძმის საშველად დიდი რაზმი წამოიყვანა, რომელსაც თითქმის 60 ათასი ცხენოსანი შეადგენდა. მაგრამ რაკი გაიგო შემაძრწუნებელი ამბავი, სთქვა: რა დამიშავეს უცოდველმა ქრისტიანებმა, იმათ ხომ ბრალი არა მიუძლვით რა დანთხეულ სისხლში, რომ ისინი დავსაჯო! უკან გაბრუნდა და ათაბაგილდილუზთან დარჩა. საშინელმა სევდამ მოიცავს, დარდი მოერია და უცხოეთში მოკვდა. ერთი იმის შვილთაგანი, ელიკუმი, იქვე დარჩა; ელიკუმის ძმა ივანე განჯის ემირთან მივიდა და იქ ცხოვრებდა დიდებით და წარჩინებით აღვსილი. შემდეგ თამარ მეფის დროს დაიყოლიეს და მრავალი ხვეწნის და ფიცის შემდეგ შინ მივიდა. თავის

მამულებიდგან მხოლოდ ორბეთი-ლა დაუბრუნეს. დღევანდელი ორბელიანნი იყანეს შვილები არიან.

ორბელიანთა განდევნის შემდეგ გიორგიმ იმათი მამულები იმათ მტრებს და მოლალატეთ დაურიგა და დანარჩენი ყიფჩაყს ყუბასარს, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. უკანასკნელი ისე აამაღლა მეფემ, რომ ორბელიანთა კუთვნილი ჯარის უფროსობა უბოძა და საქართველოს ყველა ჯართა სარდლად გახდა. მაგრამ გიორგის სამეფო გვირგვინის მემკვიდრე ერთი ქალის, თამარის, მეტი არავინა ჰყავდა და მოკვდა 633—1184 წ.

იგ. მაჭაგარანი

პიბლიოგრაფიული შენიშვნები

III

1. მერცხალი, საყმაწვილო ნახატებიანი კრებული.
2. ათას ერთი ლამე.
3. მეჩადური და ოქროს თევზი.
4. მკურნალი ქათმების მოღლა-მოშენება.
5. ქუთათელაძე—სესხის გაცემა.
6. ზ. ჭიჭინაძე—ზუბალაშვილის გვარის ისტორია.
7. ზ. ჭიჭინაძე, გიორგი ქართველიშვილი.
8. არსენას ლექსი.
9. უბის წიგნი „დეკადენტი“.
10. „დეკადენტი“.
11. ქრისტე აღსდგა ქამუკოვისა.
12. თათრული შიქასტები.
13. სია დრამატიულ თხზულებათა.
14. ვანერველდე, ქალაქის აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

მარტის განმავლობაში დაიბეჭდა და გამოვიდა შემდეგი წიგნები:

1. მერცხალი საყმაწვილო ნახატებიანი კრებული. ტფილის in 1/8 გვ. 96 ფასი 40 კ. დაიბეჭდა 800 ც.

2. ზარარაზადას თქმული აშპავი და მოთხრობა ათას ერთი ლამე. პირველი სწული ქართული თარგმანი სურათებით. თარგმანი ა. ნიკიტინისა. ვ. ბექანეიშვილის გამოცემა. წიგნი I ქუთასი in 1/16 გვ. 79 ფაიბ. 2000 ც.

3. მებალური და ოქროს ხევზი ალექსანდრე პუშკინისა ქ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა ტფილის in 1/32 83-28. ფასი არ არის აღნიშნული. დ. 1000 ც.

„მერცხალი“ სუფთათ გამოცემული კრებულია და შინაარსით ძალიან წააგავს საყმაწვილო უურნალის „ჯეჯილის“ ჩვეულებრივ ნომერს. ორიგინალურ მოთხრობებში ყურადღებას იქცევენ თ. რაზიკაშვილის ამბავი „ხავსი“ და ე. გაბა-

შვილის მოთხრობა „დარო რამ დაჲკვიანა“. პირველი — უფრო დიდებისათვის არის დაწერილი და ყმაწვილებში ვერავითარ ინტერესს ვერ გამოიწვევს, მეორე კი სასიამოვნო და სასარგებლო დარჩება, როგორც დიდებისთვის, ისე ყმაწვილებისთვისაც.

პატარა დარიკო ძლიერ ცელქობდა და თავის ეშმაკობით არავის მოსვენებას არ აძლევდა. შემთხვევით ჩაუვარდა მას ხელში ფინის ლეკვი, რომელზედაც ზრუნვამ ისე გაიტაცა დარიკო, რომ დაავიწყებინა ავზნეობა და ეშმაკობაც.

დარიკოს გაუჩნდა საქმე, რომელმაც ის გაიტაცა და ამ გატაცებამ კი მის მმოძრავ არსებას დროებით სხვა მიმართულება მისცა. მოაშორეთ დარიკოს ლეკვი, ის ისევ ავზნე დარიკო გახდება, სანამ ისეთ საქმეს არ იშოვნის, რომელმაც ის ხელ-ახლად გაიტაცოს. უნდა ახსოვდეს ჩვენს დედებს, რომ არა სასჯელი და დატუქსვა აჭივიანებს მათ ცელქ ბავშებს, არამედ საქმიანობა, ხალისიანი შრომა და მჩქეფარე ძალთა გონიერათ მიმართვა რომელიმე კეთილ მხრისაკენ. ჩაუკვირდით თქვენი შვილების ინდივიდუალურ მხარეს, მოუპოვეთ შესაფერი გასართობი და თქვენც, დარიკოს გამდელსავით, გაკვირვებით იტყვით. — „როგორ დაჲკვიანდა ჩვენი დარიკელა, ამ ერთი კვირის განმავლებაში არც ერთხელ აღარ შემხტარა მაგიდაზედო“.

დანარჩენ წერილებში საინტერესოა ბ. კარიჭაშვილის „დავით აღმაშენებელი“, სადაც პატივცემული ავტორი ნათლად გვიხატავს თვალწინ საქართველოს აღორძინების დიდებულ ხანას შეთერთმეტე საუკუნის დასასრულს და მეთორმეტეს დასაწყისში.

კრებული საზოგადოთ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, მხოლოდ ტექსტთან შედარებით ნახატები ძლიერ ცოტაა და რაც არის, ისიც უფერულია. ეს კი ყოველივე საყმაწვილო გამოცემის თვალსაჩინო ნაკლს შეადგენს.

2. იგივე ნაკლი აქვს ბ. ბეჭანეიშვილის გამოცემასაც. შაჰარაზადას ცნობილი ზღაპრები ყველა ევროპიულ გამოცე-

მებში შესანიშნავათ არის დასურათებული. და ქართულ გამოცემაში კი მოთავსებულია მხოლოდ ორი სურათი, რომელთაგან პირველი წარმოადგენს—სულ გატიტვლებულ „ტურთა“ ქალს, რომელიც უბრძანებს ორს წვეროსანს: „მომეალერსეთ, როგორც რიგიაო“.

წინასიტყვაობაში მოხსენებულია: „მრავალი მოთხრობა სწორეთ რომ საუცხოვოა ბავშებისათვის და ამ წიგნის დასტამბევის შემდეგ რომ გამოიკრიბოს და ცალკე დაიბეჭდოს, მშვენიერს წიგნი იქნება ყმაწვილებისათვისო“. სავალალოცეს არის, რომ კიდევ „გამოკრება“ და ხელახლად გამოცემაა საჭირო, რომ ამ წიგნში გასწიოს ის დანიშნულება, რისთვისაც უნდა იყოს გამოცემული. სწორეთ უბედურებაა, რომ ვერაფერი ვერ გაგვიკეთებია ისე, რომ მეორე დღესვე გადაკეთება არ სჭიროდეს. ნუ თუ ძნელი იყო, ჯერ გამოეკრიბათ ის „მრავალი მოთხრობა“, რომელნიც „საუცხოვო“ იქნებოდა ბავშებისათვის, და ისე გამოეცათ ზღაპრების კრებული, რომელიც ამ შემთხვევაში არ აწყენდა არც ბავშებს და ხალხისთვისაც სასიამოვნო საკითხავი იქნებოდა. ამ უამათ კი ამ გამოცემას მხოლოდ კომერციული ხასიათი აქვს.

აქ მოთავსებული ზღაპრების I ნაწილი მხოლოდ „ცხრა ლამეა“ და სანამ მთელი „ათას ერთი ლამის“ ბეჭდვა დასრულდებოდეს, უმჯობესი იქნება მოახდინონ ის გადაკეთება, რომელიც ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ წიგნში შესაფერი სარგებლობა მოიტანოს. და ეს პირველი ნაწილიც გადაკეთების შემდეგ დანარჩენ ნაწილებთაან ერთად ხელახლათ დაბეჭდონ.

თვით თარგმანი მხატვრულია და საზოგადოთ ძალიან კარგი. სამწუხაროთ, ეგერ-აგერ მოყვანილი ლექსები ისეთი ულაზათოა, რომ უმჯობესი იქნებოდა მათ ადგილზე ისევ პროზა დარჩენილიყო. ლირიკა ჩვენს მწერლობაში შესანიშნავათ არის განვითარებული და ჩვენს მკითხველსაც ამ მხრივ იმდენზედ აქვს გემოვნება გახსნილი, რომ ისეთი არა პოეტური ლექსები, როგორც აქ მოთავსებულია, სწორეთ ყველას უსიამოვ-

ნებას მოგვრის. წიგნი კოხტად და კარგს ქაღალდზედ არის გამოცემული.

3. პუშკინის მებადური და ოქროს თევზი—სახალხო გამოცემა. წიგნს დართული აქვს პუშკინის მოკლე ბიოგრაფია ავტორის სურათით და თვით წიგნიც საკმაოთ არის დასურათებული. მთარგმნელის ვინაობა მოხსენებული არ არის, რაც უსათუოდ საჭირო იყო.

4. 5. თ. მკურნალი. მოკლე დარიგება ქათმებთა (?). მოვლა მოშენებაზედ (?). ქათმების ავათმყოფობა და მათთან (?) ბრძოლა. გამოცემა რუსეთის სამეცნიერო ფრინველებთა (?) მომშენებელ საზოგადოების განყოფილებისა, ქუთაისი ინ 1/16 გვ. 23. სტამბა კარნაუხოვისა ფასი 10 კ. დაიბ. 1500 ც.

შინაურ ფრინველების მოსაშენებლად ჩვენი ქვეყანა საუკეთესო კუთხედ უნდა ჩაითვალოს. ჰავა, მდებარეობა, ნიადაგი, სასმელისა და საჭმელის სიუხვე უკელაფერი ხელს უწყობს მეურნეობის ამ დარგის გავრცელებას. მართლაც ჩვენი ხალხი დასაბამიდან მისდევდა ფრინველების მოშენებას და ამრთ საკმაოდ იკმაყოფილებდა ოჯახის მოთხოვნილებას. საფრანგეთის ერთის მეფის ნატვრა: ნეტავი ჩვენს ქვეყანაში გლეხს ორჯერ მაინც კვირაში ექნებოდეს სადილად ქათამიო, ქართველი გლეხისათვის სრულებით არ. წარმოადგენდა მიუწვდომელ ნატვრის საგანს:

სანამ ჩვენში მეურნეობას ნატურალური ხასიათი ჰქონდა, ფრინველებიც ჰყავდათ მხოლოდ ოჯახის საჭიროების დაგვარად, მაგრამ როდესაც ამ მეურნეობას თან და თან ფერი ეცვალა, ქათამიც და კვერცხიც ბაზარზედ იქნა გამოტანილი. ამ ეამათ, მართალია, ამ მეურნეობას აღარა აქვს უმეტეს ნაწილათ ძველებური ნატურალური ხასიათი, მაგრამ ვიწრო ოჯახური (კუსტარიშა) ხასიათი მაინც შერჩა და ფრინველთა მომშენებელი ქარხნუბი ჩვენში თითოების არ არსებობს.

როგორც მცოდნე პირები აშტკიცებენ, მეურნეობის არც ერთს მხარეს არ შეუძლია იძდენი მოგება მისუეს პატრონს,

როგორსაც იძლევა ფრინველთა მოშენების საქმე, დახარჯული კაპიტალიც მოტრიალდება ხალიან მალე, თვით საქმეც 50—200% მოიტანს თუ მცოდნე კაცის ხელში და კარგი ბუნებრივ პირობებში იქნა ჩაყენებული.

თუმცა ჯერ ჯერობით ამ მხრივ ჩვენს მცოდნე მეურნეებს არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ მაინც ეკონომიურმა აუცილებლობამ იმდენათ იმუშავა, რომ თურმე მარტო სამტრედიიდან (რკინის გზის სადგურია ქუთაისის გუბ.) „ყოველ წლობით გააქვთ, — როგორც ამბობს მკურნალი, — რამოდენიმე მილიონი ქათმის კვერცხი და რამოდენიმე ათას მანეთის ქათმები, ბატები, ინდოურები და იხვები“... „ეჭვი არ არის, — სამართლიანათ ამტკიცებს ბ. მკურნალი, — თუ ჩვენში გააუმჯობესეს ჩვენი ფრინველები, კვერცხებს სიღიღე მოუმატეს, მაშინ იმათ მეტად დიდი უასი ექნებათ და ამით შემოსავალიც დიდათ მეტი ცქნება თითოულ ოჯახებს.“

მაშ საჭიროა გაუმჯობესდეს ფრინველების ჯიში, გავრცელდეს ხალხში. ცნობები ფრინველების რაციონალურ მოვლა-მოშენების შესახებ და გაწესრიგდეს ბაზარი, რომ ამ საქმემ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი დაკიროს.

ჩვენი სოფლების მანდილოსნებმა ისე ადვილათ შეითვისეს აბრეშუმის მოყვანა, რომ ნათლათ დაგვიმტკიცეს რამდენად ადვილათ შეუძლიანთ შეისწავლონ მეურნეობის ახალი წესები. ფრინველების მოშენებაშიაც უმეტესად ჩვენ ჯერ-ჯერობით მხოლოდ მათი იმედი უნდა გვქონდეს. აბრეშუმის ჭიახობის სათუთი გასაზარდია, ვინემ შინაური ფრინველი, მაგრამ როგორ კარგათ მიჰყავთ ჩვენს მანდილოსნებს ეს საქმე? აბრეშუმის შემწეობით უკანასკნელ წლებში ქუთაისის გუბერნიის მარტო დასავლეთ ნაწილში რამდენიმე ათ მილიონ მანეთამდეს დატრიალდა. (წლიურათ იყიდება 1,300,000—1,800,000 მან. პარკი) ფრინველების მოშენებას კი უფრო მეტი შემოსავალი შეუძლია მოვეცეს, და ამ საქმეში უფრო მეტი მუშა-ხელიც მიიღებს მონაწილეობას.

დ. სამტრედიაში, როგორც ბ. მკურნალი მოგვითხრობს, დაარსებულა სამოქალაქო სასწავლებელთან: — „სამეურნეო ფრინველთ მოშენებელ რუსეთის საზოგადოების განყოფილება“, რომელსაც გაუხდია მიზნათ სხვა-და-სხვა საშუალებით გააუმჯობესოს სამეურნეო ფრინველები. საწევრო ფულია — 3 მან. განყოფილება გაიჩენს საკუთარს ქარხანას; გამოიწერს კარგის ჯიშის ფრინველებს, გააფართოვებს ბაზარს და საზოგადოთ ეცდება ხელმძღვანელობა გაუშიოს ხალხს ამ ფრიად სასარგებლო საქმეში. საზოგადოების განყოფილებას უკვე მიუყვით ხელი თავისი მიზნის პრაქტიკულათ განხორციელებისათვის და გამოუყია ზემოთ მოხსენებული წიგნაკი.

ამ წიგნში ბ. მკურნალი მოგვითხრობს რა პირობებია საჭირო, რომ წიწილები გამრავლდნენ და ჯანმრთელადაც იყვნენ. როგორ უნდა მოვლა ქათამს, რა ავადმყოფობა ეჩვევა საზოგადოთ შინაურ ფრინველებს და როგორი წამლობა ესაჭიროება. წიგნს დართული აქვს სხვა და სხვა ჯიშის ფრინველების ნახატები.

ასეთი წიგნების გამოცემა სწორეთ მოსწრებაა ჩვენი საზოგადოებისათვის. საჭიროა მხოლოდ, რომ წიგნი სოფლელ ლარიბ მეურნეებს უფასოთ დაურიგდეს.

დასასრულ არ შეგვიძლია არ უურჩიოთ ბ. მკურნალს, რომ როდესაც ასეთ სასარგებლო სახალხო წიგნების ბეჭდვას შეუდგება, ცოტა ქართულ ენასაც მიაქციოს ყურადღება. რამდენადაც წიგნში დაცულია ქართული მართლ-წერა, ამას მკითხველი წიგნის სათაურიდანაც დაინახავს:

5. ი. გ. ქუთათელაძე. სესხის გაცემა სამეურნეო ნაწარმოების გირაოს ქვეშ. ტფილისი ის 1/16 გვ! 16. ფასი არ არის აღნიშნული. დაიბეჭდა 300. ც.

ეს წერილი პირველათ გაზ. „ცნ. ფურ.“ ფელეტონებად დაიბეჭდა და გამოწვეულია უფრო პიბლიცისტიურის მოსაზრებით, ვინებ საგნის მეცნიერულად შესწავლით და გამოკველევის. მკითხველებს მოხსენებათ, რომ ტფილისში არსებობს

სურთიერობა სამეურნეო კრედიტის ბანკი, რომელიც ქართველ საზოგადოებისაგან არის დაარსებული და რომლის გამგეობაც ქართველების ხელშია.

ავტორი იხება ამ ბანკის მოქმედებას და აღნიშნავს, რომ ბანკი არ ასრულებს თავის უმთავრესს დანიშნულებას — არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას სამეურნეო ნაწარმოების გირაოს ქვეშ სესხის გაცემას. დაარსების დღიდან ბანკს დაუტრიალებია 32, 892,000 გ. 90 კ. და ამ ფულიდან სამეურნეო ნაწარმოების გირაოს ქვეშ გაუცია მხოლოდ 46,996 გ. 73 კ. მაშინ როდე-
საც ზოგიერთ ბანკებს, მაგ. ბათუმის და ქუთაისის საურთიერო კრედიტის საზოგადოებებს, სამხრეთ რუსეთის ბანკის ბათუმის განყოფილებას და სხ., როგორც ბ. ქუთათელაძე ამტკიცებს, საკმაოთ განუვითარებიათ ამ გვარი ოპერაციები. და თითოეუ-
ლი მათგანი წლიურათ მეტ სესხს იძლევა სოფლის ნაწარმოე-
ბის გირაოს ქვეშ, უიდრე სამეურნეო ბანკს გაუცია დაარსები-
დან დღევანდლამდე, თუმცა ხსენებულ საკრედიტო დაწესებუ-
ლებათა პროგრამმაში სრულიად არ შედის ამგვარი ოპერაციე-
ბი.“ დასასრულ პატივცემული ავტორი ურჩევს ბანკის აღმინი-
სტრაციას, მიიღოს სხვა და სხვა საჭირო ლონისძიებანი, რომ
ამგვარი სესხი განავითაროს.

სამწუხაოოთ, წერილში არ არის მოხსენებული რა მიზე-
ზების ბრალია, რომ ეს სესხი არ განვითარებულა, სამეურნეო ბანკს მიუღია საზოგადო საკრედიტო საზოგადოების ელფერი. არც ის არის ნათლათ გამორკვეული, როგორ შეიძლება გააფარ-
თოეოს ბანკმა ამ ნაირი ოპერაციები, რომ ეს ჯერ კიდევ ნორ-
ჩი დაწესებულება სახიფათო მდგომარეობაში არ ჩავარდეს. (კო-
მერციულ სფეროებში ასეთი სესხი საზოგადოთ სახიფათოთ მიაჩ-
ნიათ). ავტორს არ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება იმის გა-
მორკვევისათვის, არის თუ არა ასეთ ოპერაციებისთვის მომზა-
დებული ნიადაგი ბანკის მოქმედების ახლო-მახლო რაიონებში, იქნება ამ ნიადაგის ბრალია, რომ ბათუმის და ქუთაისის ბანკები
აფართოვებენ ხსენებულ მოქმედებას და ტფილისის სამეურნეო ბანკი კი იძულებულია უცადოს თავის დროს, არის თუ არა საკმა-

ოთ ისეთი მოსაშუალე დაწესებულებები, რომელთაც შეეძლოსთ დაუახლოვონ ბანკი სოფლის მეურნეო? ქუთაისისა და ბათუმის რაიონებში, როგორც აქ მოყვანილ ცტრილიდანა სჩანს, ასეთი დაწესებულებები გვარიანათ ყოფილა, ეს გახლავთ გამსესხებელი ამხანაგობები და სხვა ასეთი ორგანიზაციები, რომელთა რიცხვი ჯნ-ამდე ადის.

ტფილისის გუბერნიაში ყოფილა მხოლოდ ცდა დაეარსებანათ ასეთი ორგანიზაციები. მაგრამ ისინი ცოცხალ-მკვდარი გამომდგარან და ცდას ამაოთ ჩაუვლია. სჩანს, თესლი უხიაკო წიადაგზე ჩავარდნილა და ამიტომ აღარც კი აღმოცენებულა. ავტორი ამ საქმის მოწყობას ბანკის აღმინისტრაციას ავალებს. და, საზოგადოთ, ფიქრობს, რომ თვით საქმეც შეიძლება გაიჩარეოს „ზევიდან“ (ცენტრალური ორგანოდან — ბანკიდან) შთავონებით და შემწეობით.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ყოველივე საქმე, რომელიც „ზევიდან“ დაიწყება, დღე ნაკლული და უბედური გამოდგება, რის მაგალითებიც აუარებელია.

სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციაც „ქვევიდან“ უნდა განვითარდეს, ჯერ შეურნებმა უნდა შეიგნონ კრედიტის ფასი, შისი სარგებლიანათ მოხმარება, თვითონ თავის წევრთა მეოხე ბით შექმნან საჭირო კავშირები, რომელთაც შეძლება ექნებათ გაუწიონ შუამავლობა სოფელს, უფრო დიდ ორგანიზაციასთან — სამეურნეო ბანკთან, ისე როგორც სამეურნეო ბანკი შუამავლობას უწევს თავის წევრებს კრედიტის სხვა და სხვა დაწესებულებებთან. საჭიროა გაიჭედოს შემაერთებელ ჯაჭვის რამდენიმე როგორი, რომელიც დღეს არ არსებობს და რისგამოც შეერთების საქმეც შეფერხებულია.

მაშინ თვითონ ბანკი ეცდება დაიჭიროს მათთან საქმე და ხალისით გასცემს სამეურნეო კრედიტს, რადგანაც ეს ოპერაცია მისთვის, როგორც კომერციულ დაწესებულებისათვის, ზელ-საყრელი იქნება. მანამდის კი სამეურნეო ბანკი იძულებული იქნება, იმოქმედოს ისე ფრთხილათ, როგორც მოქმედებს დღეს — რომლის მეოხებით ის მაინცა და მაინც წინ-წინ ვერ გაიქცე-

ვა, მაგრამ სამაგიეროთ არც წაიქცევა. რა თქმა უნდა, ბანკის ადმინისტრაციამ და წევრებმა, როგორც მეურნეობის წარმომადგენლებმა თავის წვლილი უნდა შეიტანონ საჭირო ორგანიზაციის შექმნაში და მით სასურველი რგოლების გაჭედვის დროც შეძლებისამებრ დაიახლოვონ.

ასეთ წიგნაკებსაც, როგორიც ბ. ქუთათელაძის წერილია, სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, რადგანაც ხელს შეუწყობს საგნის თეორეტიულად ახსნას და ჩვენს მეურნეებში თვით შემეცნების განვითარებას.

6. მრეწველობის წარმომადგენელნი და ზუბალაშვილის გვარის ისტორია. აღწერილი და დაბეჭდილი ზ. ჭიჭინაძისაგან ტფილისი in 1/8 გვ. 224 ფ. ერთი მ. დაიბეჭდა 800 ც.

7. ქართველთ მრეწველი. გიორგი თავითის ძე ქართველი-შვილი ზ. ჭიჭინაძისა, ტფილისი in 1/16 გვ. 40. ფ. 10 კ. დაიბ. 1000. ც.

აი წიგნები, რომელთა სათაურები უფრო ბევრს გვეუბნება. და უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ თვით წიგნების შინაარსი.

ვინ არ იკის, რომ მრეწველობის აღწერა საქართველოში ჩვენი ისტორიის ხელუხლებელ საგანს შეადენს.

ავტორი სამართლიანათ აღნიშნავს: „დღემდე ჩვენი მეისტორიენი სწერდნ მეფეების ძეტორიას, მთავართა, მღვდელმთავართა, ციხე-კოშკების და ომების. მთელი ჩვენი მატიანე მხოლოდ ამაების აღწერით შედგება“, დანარჩენი მხარე კი თითქმის მივიწყებულია. „ბევრი რამ ნაკლი გვაქვს, — განაგრძობს ავტორი, — ბევრი რამ მასალები არ გვაქვს შეკრებილ-ანუსხვილი. ერთი ამ მრავალთაგანია ქართველთ მოქალაქეთ და გლეხთ ცხოვრების და მოქმედების ცნობები. ამიტომ ჩვენ ხელი მოვკიდეთ, შეკრიბეთ და შევადგინეთ დიდ ძალი მასალები ქართველ მრეწველობის შესახებ, ვაკრობისა, მოქალაქის, გლეხების. და ხელოსან მუშების. ერთ ასეთ კითხვათ კეშმარიტ ისტორიულ

მასალას წარმოადგენს ქართველთა უძველესს წარჩინებულ ძველ მოქალაქე ზუბალაშვილები და მათი გვარის ისტორია, რომელსაც ვნუსხავთ აქ.“ აი რა სიმპატიური მიზანი ჰქონია ავტორს და ამ მიზნის ღირსეულად შესრულება დიდ და საინტერესო შრომათ ჩაითვლებოდა, მით უფრო რომ, როგორც თვით ავტორია დარწმუნებული, „რაც აქ ზუბალაშვილებზე ითქმის, იგივე ითქმის მთელ საქართველოს წასულ დროთა ქართველებზე. ზუბალანთ გვარი მხოლოდ საკრებულო სარკეა და შაში ნათლად სჩანს ჩვენი წარსულის დიდება.“

მართლაც ამ ცნობილის ქართველ გვარის ისტორიულად შესწავლა მოგვცემდა შეძლებას გაგვეთვალისწინებინა ჩვენი ისტორიის რამდენიმე ეპოქა და შეგვედგინა აზრი ბევრ საინტერესო კითხვებზე, რომელნიც ჯერ-ჯერობით ხელუხლებელნიარიან.

ეს გვარი საქართველოს უუძველესს გვართაგანია და დიდის ხნიდან მისდევდა აღებ-მიცემობას და საზოგადოთ მრეწველობას. სხვა და სხვა დროს ამ გვარის წარჩინებული წარმომადგენელნი ცხოვრობდნენ ცხინვალში, ახალციხეში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ტფილისში, ერთის სიტყვით ბევრს ჩვენ დაბა-ქალაქებში, სადაც მათი ცხოვრება აღებ-მიცემობის განვითარებასთან თუ დაცემასთან იყო შეკავშირებული.

ღროთა ბრუნვის გამო ამ გვარის ზოგმა წარმომადგენელმა დიდის ხნიდან მიიღო კათოლიკის სარწმუნოება, ზოგი სომხის ტიბიკონზეც გადავიდა და ზოგი კიდეც გამაპმაღანდა.

თუ კი მრეწველობის რაიმე ღირსშესანიშნავი დარგი რჩებოდა და ვითარდებოდა საქართველოში, ამ გვარის წარმომადგენლებს ან მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ, ან თვით ყოფილან დამაარსებელნი და საქმის გამძლოლნი.. ვაჭრობა შინაური და გარეგანი ინდოეთიდგან დაწყებული საფრანგეთამდე, ახალი აღმოჩენების შემოტანა და გავრცელება თავის სამშობლოში, ახალი ქარხნების დაარსება—ყველაფერი ეს იზიდავდა ამ გვარის წარმომადგენლებს. მაგალითად, ისეთ საქმეებში, როგორიცაა თოფის წამლის შემოტანა, სტამბის და-

არსება, შაქრის, არაყის და სხ. ქარხნების გახსნა, ზუბალა-შვილები ან თვით იყვნენ პიონერები და ან მონაწილეობას მაინც იღებდნენ. აი რამდენ საგანს და კითხვას უნდა შეხებოდა ამ გვარის მონოურაშვილის, ლამწერი, რა აუარებელი მასალა იყო შესაკრები და რამდენი გამოურკვეველი ქითხვები უნდა განეხილა და წარმოედგინა მკითხველისათვის. რა თქმა უნდა, ასეთი მონოგრაფიის დაწერა ძალიან რთული და ძნელი საჭმეა, საჭიროა, რომ ისტორიული მასალა საკმაოთ მოიპოვებოდეს და თვით დამწერიც ისტორიულ მეცნიერებაში დახელოვნებული და დიდის ერუდიციის მქონე უნდა იყოს.

ამ საზომით მოხსენებული წიგნის გარჩევა შეუძლებელია. მას არავითარი მეცნიერული ხასიათი და მნიშვნელობა არა აქვს. ამისთვის არც რამე საიმედო ისტორიული მასალა მოიპოვებოდა და არც ავტორს შესწევდა ძალ-ლონე. არც ვფიქრობთ, რომ ავტორს ჰქონოდეს განზრახვა წარმოედგინოს მეცნიერული გამოკვლევა. აღბათ, ის აპირებდა, დაეტეჭდა მშრალი ისტორიული მასალა, რომ სხვებისთვის მიეცა წამოყენებულ კითხვების შესწავლის საშუალება. მაგრამ, სამწუხაროთ, ამ მხრივათაც წიგნს ბევრი ნაკლი აქვს, და ეს შრომა (ნამეტურ პირველი ნახევარი) ძალიან საეჭვო ისტორიულ მასალის წარმოადგენს.

უმთავრესი წყარო, რომელზედაც აგებულია მოთხრობა, არის ლეგენდები, ზეპირგადმოცემები, ნალაპარაკევი ამბები და სხ. მხოლოდ მეცნიერებულ საუკუნის მეორე ნახევრის ამბები, რომელნიც ბიოგრაფიულ ცნობებს წარმოადგენენ და უფრო საიმედო მასალაზედ არიან დამყარებული, შედარებით უკეთესად და უფრო ისტორიულათაც არის დაწერილი. წიგნის საუკეთესო ნაწილია: დამატება, საღაც პირდაპირი და ნამდვილი საბუთებია მოყვანილი. მაგ.: „ზუბალაშვილების გვარის წევრთა საფლავის ქვათა წარწერანი“, „ლრამატა“, რაპორტი და სხ.

ჩვენ არ მოგვწონს ავტორის წერის მანერაც. უსისტე-მობა, ერთი საგნიდან მეორეზედ უმიზნოთ გადასვლა, უმი-

შენელო ლექსების, ეპიზოდების და დარიგებების მოყვანა, კითხვების ტენდენციურად განათება და სხ. სამაგიეროდ მოგვწონს და ვაფასებთ მის დაუშრეტელ შრომის მოყვარეობას, ენერგიას, საქმის სიყვარულს და იმ თბილ გრძნობებს, რომლითაც ის გატაცებულია. ავტორს აქვს ბუნებრივი უნარი გამონახოს საინტერესო კითხვები და შესაფერი ყურადღება მიაქცევინოს მათზე ჩვენს საზოგადოებას და ისტორიკოსებს. მიუხედავათ მოხსენებულ ნაკლისა, რომელიც შედეგია იმის, რომ ნატვირთი შრომა აღემატებოდა ავტორის ძალებს, წიგნი მაინც ინტერესით იკითხება და მოთხრობილი ამბები ძალა-უნებურათ იზიდავს თქვენს ყურადღებას, ათას საგანზე დაგაფიქრებსთ და აღძრავს თქვენში სურვილს ეს საგნები შეისწავლოთ. ამ მხრივ ამ შრომასაც მნიშვნელობა ეძლევა და ავტორიც, როგორც პირველი დამწყები ასეთ კითხვების შემუშავებისა, ქების ლირსია. მხოლოდ ჩვენ ვურჩევთ ბ. ჭიჭინაძეს, როდესაც ასეთ რთულს საგანს ჰქილებს ხელს, წიგნი გამოსცეს უსათუოდ მცოდნე და მეცნიურულათ მომზადებულ პირის რედაქტიოთ და შემწეობით, მაშინ წიგნსაც უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება და მისი შრომაც უფრო ნაყოფიერი გახდება.

თითქმის იგივე ნაკლი აქვს ბ. ჭიჭინაძის მეორე ზემოთ მოხსენებულ გამოცემასაც, მხოლოდ აქ სუსტი მხარეები უფრო ნაკლებია, რადგანაც საგანიც არ არის ისეთი რთული და თემაც ხელისაწვდომია.

ბ. ქართველიშვილი მეცნიერებულების მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე იყო. მან დიდი ქონება შეიძინა აღებ-მიცემობით, მაგრამ ეს ქონება და საზოგადოო ფული არას-დროს არ გამხდარა მის ბატონათ და ქართველიშვილი უყურებდა მას, როგორც ერთ იარაღთაგანს, გამოსაღევ საზოგადო მოღვაწეობისათვის.

ლმობიერი და გულკეთილი, ის დიდ შემწეობას აძლევ-და ყველა გაჭირვებულს და როგორც ავტორი მოგვითხრობს მისი „მარჯვენა ხელის განაღები მარცხენამ არ იცოდა“.

მამული შვილური გრძნობით გატაცებული, ის სიამოცნებით იღებდა მონაწილეობას და ხელს უწყობდა ყოველივე ქართველურ კეთილ საქმეს. მხურვალე შემწეობას აძლევდა ახალ აღორძინებულ თეატრს, იყო გაზ. „დროების“ გამოშეცემელი, ბეჭდავდა თავის ხარჯით ქართულ წიგნებს (ისტორია ბაქრაძისა, ვახუშტის ნაწერები და სხ.). და მანვე გამოსცა მხატვარის ზიჩის მიერ დასურათებული ვეფხის-ტყაოსანი, რომელიც აქამდე საუკეთესო და ყველაზედ უფრო მდიდარ გამოცემად ითვლება ქართულს ენაზედ. (ეს წიგნები მან „წ. კ. საზოგადოებას“ შესწირა). სამწუხაროთ, თურმე ბ. ქართველი-შვილმა ბოლო ხანებში ერთ იჯარაში დიდი ზარალი ნახა. ამ გარემოებამ თურმე მის საზოგადო მოღვაწეობაზედაც გავლენა იქონია და ბევრ კეთილ განზრახვის შესრულებაზედ ხელი ააღებინა. ასეთი პირების ბიოგრაფიებს, ჩვეულებრივ ინტერესს გარდა, აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვთ და ამიტომ ბ. ჭიჭინაძე მაღლობის ლირსია. რომ ასეთ პირებს არ ივიწყებს.

მხოლოდ აქაც ვურჩევთ პატივცემულ ავტორს, ეცადოს ასეთ ბიოგრაფიებში უფრო მეტი მოიყვანოს თვით აღებული პირის სიტყვები, წერილები, შენიშვნები, ეპიზოდები მის ცხოვრებიდან და საზოგადოო დამახასიათებელი ფაქტები და უფრო ნაკლებათ კი მოიყვანოს თავისი პირადი შეხედულება, აზრი და ბჭობა ამა თუ იმ საგანზე და შემთხვევაზე. ესე იგი წარმოადგინოს ნამდვილი უტყუარი საბუთები და მასალები და თუ ეს მასალები ჯეროვანათ არ იქნება დამუშავებული, ამას არავინ უსაყველურებს. ეს ცვლილება კი ბ. ჭიჭინაძის შრომებს უსათუოდ მეტ ლირსებას შესძენ და.

7. არსენას ლექსი. ხალხური თქმულება შეკრებილი პ. უშიკაშვილის მიერ. ტფილისი. გამოცემა კ. თავართქილაძისა in 1/18 16 ფ. 5 კ. დაიბ. 5,000 ც.

წიგნაკი გვარიანათ არის. გამოცემული, მხოლოდ სასურველია, რომ სურათები გამოიცვალოს. საზოგადოთ ამ ლექსის ყველა გამოცემებში ქალიან ძველი და უშნო ნახატებია. ეს

ლექსი ღირსია იმის, რომ მის დასურათებას უფრო მეტი ყურადღება მიექცეს, ვინემ დღემანდელი გამომცემლები აქცევენ.

9. „ქრისტე აღსდგა“ ახალი ლექსები გეურჯ ხამუკოვისა, იყიდება ავტორთან თელავში. ტფილისი 1/32 გ. 32 ფ. 10 კ. დაიბ. 1200 ც.

ავტორს არავითარი პოეტური ნიჭი არ ეტყობა. ლექსები უშინაარსო და უმნიშვნელოა. ლექსთ წყობა ნაძალადევრა. მაგ. პირველი ლექსი იწყება ასე:

„ქრისტე აღსდგა, მთრწმუნება!
მოგილოცავთ დდესსწაულს,
მრავალს დაგასწროს აღდგომას
მადლით და დგაწლით შეენებულს“.

ასეთი ლექსების ავტორი მხოლოდ თავის ხელნაწერებს უნდა შეტრანდეს, ბეჭდვას არც უნდა ჰქილებდეს ხელს და შეუფერებელის სათაურით არ შეჰყავდეს ხალხი შეცდომაში. ფასიც შინაარსის მიხედვით შეუფერებლათ დიდია. თუმცა კი დაფასების შესახებ ბ. ძამუკოვს საკუთარი აზრი აქვს. ის ამბობს (გვ. 23).

„მუშტრება, გენაცვალეთ რათ ხართ უნდო გულისა,
ნუ გერხნიათ ზოგივით, ვიურ მტერი ფულისა,
ნუ ხართ უცხო გულისა, მენდეთ დაფასებაში,
მენდეთ ისე, როგორაც მღვდელსა აღსარებაში“.
ეს ნიმუშები ჩვენ საკმაოთ მიგვაჩნია.

10. უბის წიგნი. „დეკადენტი“ და სხვა-და-სხვა ლექსები ა. განჯისკარელისა. ტფილისი in 1/32 გვ. 80 ფ. 20 კ. დაიბ. 1200 ც.

11. „დეკადენტი“, აპონური სახელები და სხვა საოხუნჯო. ლექსები. ტფილისი in 1/32 გვ. 8 ფ. 3 კ. დ. 2,000 ც.

ბ. განჯისკარელს ბაზრის ლიტერატურაში კარგი სახელი აქვს განთქმული. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სახელი მან სა-

მართლიანათ დაიმსახურა. მარჯვე და ცოცხალი ლექსი, გა-
მოქნილი ენა, საარშიყო და მგზნებარე სიტყვების საკმაოთ
მღიღდარი ლექსიკონი, ბუნებრივი იუმორი, ეგერ-აგერ პატ-
რიოტიული ჰანგები, დემოკრატიულ ტენდენციებთან შეზავფ-
ბული — ყველაფერი ეს დიდ უპირატესობას აძლევეს ბ. განჯის-
კარელს სხვა ამ კატეგორიის მოლექსეებზედ.

რამდენიმე მისი ლექსი ჩვენს გაზეთებშიც იყო დაბეჭდი-
ლი და კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა. მაგ., „დეკადენტი“,
კმაყოფილი ცოლი, კმაყოფილი ქმარი და სხ. თუ ბ. განჯის-
კარელი არ შეჩერდება ერთ წერტილზე და თვით განვითარე-
ბას უფრო მეტს დროს მოანდომებს, შესაძლებელია მისგან
სასარგებლო მწერალი გამოვიდეს.

სამწუხაროთ ბ. განჯისკარელს, როგორც საზოგადოთ
ბევრს ჩვენ ახალგაზდა, თუ ძველ მწერლებს, აკლია იმის უნა-
რი და მოხერხება, რომ თავისსავე ნაწარმოებს კრიტიკულის
თვალით შეხედოს და არ მიაჩნდეს დაბეჭდვის ღირსად ყველა-
ფერი სს, რაც კი მის კალმისაგან გამოეა. ვინ არ იცის, რომ
ერთი უშნო ტაეპი მთელს ლექსს აფუჭებს და რამდენიმე უშ-
ნო ლექსი მთელის კრებულის შთაბეჭდილებას აქარწყლებს.

ბ. განჯისკარელს კი ულაზათო ლექსი და ტაეპი კარგა
ბლომათ შეპარვია.

მაგ. „შენს მშენებით ცისკარი დავიწუნე,
შენც მის ნაცვლად შავენესე, მაწრუწუნე,
თავსავეთი სლამასის ცეცი ხარ,
გინდ რომ მომკლა, ჩემი საუფარეცი ხარ“.

იმედია, ბ. განჯისკარელი დაგვეთანხმება, რომ „მაწრუ-
წუნეს“ პოეზიობა ქართულს მწერლობაში ახლა აღარ გა-
მოდგება.

მეორე კრებულში მოყვანილია ამავე განჯისკარელის ერ-
თი საუკეთესო ლექსთაგანი „დეკადენტი“, და სხვების იაპო-
ნური სახელები რითმით ჩაწყობილი და სხვა უმნიშვნელო
ლექსები, რომელთა შესახებ ლაპარაკიც არ ღირს.

12. ახალი თაორული შიქასტები და ქართული სიმღერები სხვა-
და-სხვა, დროების გასატარებელი. შედგნილი და გამოცემული ვა-
ნო ესალოვისაგან, დამატებით მეორე გამოცემა ტფილის იმ 1/32
ვ. 32 დაბ. 1200 ც.

როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, ეს წიგნიც უმ-
ნიშვნელოა. მხოლოდ ყურადღების ღირსია აქ ერთი გარე-
მოება.

8. ესალოვს შეუგროვებია და თვითონაც შეუთხზავს ში-
ქასტები და ლექსები თათრულს ენაზედ და ქართულ ლექსებ-
თან ერთად დაუბეჭდია. თათრული შიქასტები, ქართული
ლექსტწყობით არის გალექსილი და ქართული ასოებით დაწე-
რილი.

ამ წიგნის მეორე გამოცემა ამტკიცებს, რომ ასეთ ლექ-
სებს გასავალი ჰქონია და ამ გარემოებას კი ყურადღება უნ-
და მიექცეს.

რაკი შესაძლებელი ყოფილა, რომ თათრებმა იხელმძღვა-
ნელონ. ჩვენის ანბანით და ლექსებით ბარებ მივაწოდოთ მათ
უფრო სასარგებლო ცოდნა, რომ ჩვენი კულტურული გავ-
ლენა, რომელსაც ჩვენ, ჩვენდა შეუმჩნევლათ, თურმე ვახ-
დენთ თათრებზე უფრო თვალსაჩინო და მათვის სასარგებ-
ლო იყოს. 8. ესალოვს, რა თქმა უნდა, ასეთი აზრები და
განხრახვა არა აქვს, ის ამ წიგნს უფრო კომერციულის თვა-
ლით უყურებს, რასაც შედარებით დიდი ფასიც მოწმობს.

წიგნაკი თავდება შემდეგი ტაეპით:

„გაამოთ გასური დგინდ
და სიხარული,
გვქონდეს ერთობა მრავალეაშ
და სიუგარული.

„ერთობა და სიყვარული“ ქართველებსა და თათრებს
შორის რა თანამედროვე და სასურველი თემაა ჩვენის ლი-
ტერატორებისათვის, რომ ყურადღებას მიაქცევდნენ!

ესაღოვებისათვის ისიც საკმარისია, თუ იმათ ასეთი მნიშვნელოვანი სიტყვები უცაბედათ, ან შემთხვევით წამოცდებიან.

13. ქალაქის აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ემილ ვანდერველდესი. გამოცემა მ. გ.—ძისა ყვირილა მ 1/64 გვ. 16 ფასი 3 კაზ. დაიბ. 1200 ც.

ემილ ვანდერველდე ცნობილი ბელგიელი ეკონომისტია. მისმა შრომამ „სოფლებიდან გაქცევა-გადასახლება და უკანვე დაბრუნება“-მ საზოგადო ყურადღება მიიპყრო. ამ ავტორის ნაწერების ქართულად გამოცემა სასიამოვნო მოვლენათ ჩაითვლებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც, როგორც საზოგადოთ მთელს ეკონომიურს ლიტერატურაშია ქართულს ენაზედ, ჩვეულებრივმა სენმა იჩინა თავი. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება ეკონომიური მეცნიერებიდან არც ერთი კაპიტალური შრომა, ორიგინალური თუ თარგმანი, სამაგიეროდ ბლომადა გვაქვს სხვა-და-სხვა ულაზათო კომპილიაციები გერმანელი ეკონომისტების ნაწერებიდან, ისიც თარგმნილი რუსულ კომპილიატორების ზედგავლენით და შემწეობით, სხვა-და-სხვა კონსპექტები, ისიც უსისტემოდ შედგენილი, და ნაირ-ნაირი წერილები ვითომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ვითარების შესახებ, საღაც ავტორები უფრო კომპილიატურ ნიჭის იჩენენ, ვინემ ჩვენი ქვეყნის და მისი ნამდვილი ცხოვრების ცოდნას. გამოიღეთ ქართულ ენიდან ქორდანიას ორიოდე წერილი და მთელის ჩვენი ეკონომიური ლიტერატურიდან შეგრჩებათ ერთი უთავბოლო ლრიანცელი, რომელშიაც მხოლოდ ორ ტერმინს თუ გაარჩევთ:— „ეკონომიური ფაქტორი“ და „კლასთა ბრძოლა“.

ზემოთ მოხსენებული წიგნაკი ამ მხრივ ჩვენი ეკონომისტების ტიპიურ ნაწარმოებს წარმოადგენს: სათაური სრულებით არ შეეფერება წიგნაკის შინაარსს. არ არის აღნიშნული საიდან არის ნათარგმნი, ან გაღმოკეთებული, ცალკე წერილია, თუ მოყვანილია დიდი თხზულების მოკლე კონსპექტი, რომე-

ლი ენიდან არის ნათარგმნი და სხ. ცნობები მოყვანილია უსწორ-მასწოროდ და ბუნდოვნად. აზრებს ერთმანერთთან მჭიდრო კავშირი არა აქვთ. აქ-იქ წიგნში გაბნეული მაღალი ფრაზები, მკითხველზე ვერ იმოქმედებს ჯეროვანად, რადგანაც საგანი ვერ არის დალაგებით გარკვეული. თუ არ ვცდები, ჯავტორს მოუნდომებია, წარმოედგინა ვანდერველდეს მოხსენებული თხზულების მოკლე კონსპექტი, რაც უსათუოდ ბევრ ღრის და შესაფერ მომზადებას მოითხოვდა და რაც არ იყო აღვილი შესასრულებელი.

რომ ქართული წიგნაკი ვანდერველდეს მოხსენებული თხზულებისა კონსპექტს წარმოადგენს, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ამ თხზულების*) მოკლე შინაარსს:

სოფელში მუშა ხალხი სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ის იძულებულია დაიძრას სოფელიდან ქალაქისაკენ. „ათიდან ცხრა შემთხვევაში სოფელი მუშა იმიტომ შორდება მიწას, რომ ყველა მიწები სხვებმა დაიტაცეს, ამასთან მას ზამთრობით სამუშაო სრულებით არა აქვს, შრომის ხელფასს სოფელში ძალიან მცირეს ღებულობს და ეს საგანი მოწესრიგებულიც არ არის და ყველა ეს პირობები იძულებულ ჰყოფენ მას, ან სოფლიდან გადასხვლდეს და ან სიღარაკეში იცხოვროს. რა თქმა უნდა, ამ მთავარ პირობებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, ემატება სხვა ფაქტორების მოქმედებაც, მაგ. პოლიტიკურის, ეკონომიკურის, მორალურის, რომელთა მნიშვნელობის არ ცნობა აბსურდათ ჩაითვლებოდა.“ (გვ. 121,122).

ქალაქებში გაღასვლის შემდეგ, სოფელი მუშები უერთდებიან ქალაქელ მუშებს და ქალაქის პირობებს უთვისდებიან ისინიც, როგორც საზოგადოდ ქალაქელი მუშები, „თან-და-თან იმსკვალებიან ერთობის, ძმობის, და ურთიერთ შველა დამზრების სულით და ეს მარტო საკმარისათ აჯილდოვებს მუშებს იმ ნაკლულევანებათა და უბედურებათათვის, რომელსაც ახვედ-

*) იხ. რუსულ ენაზედ. Ванпервельде. „Бѣгство изъ деревни и возвращеніе къ полямъ“ пер. Горшкова.

ჩებს მათ თანამედროვე ქალაქი“ (იხ. ქართულ გამოცემაში გ. 13, 14 და რუსულ გამოცემაში გვ. 244).

ქალაქებში ბევრი ხალხის ერთად შეჯგუფება, მთავრობისა და კაპიტალის ცენტრალიზაცია, სივიწროვე და ბევრი სხვა-და. სხვა მოვლენები საშინლად აძნელებენ ქალაქში ცხოვრებას და ძალას დატანებენ მუშებს ისევ გამოიქცენ ქალაქებისაგან. მხოლოდ რადგანაც ამ მუშებმა განვლეს ქალაქის ცხოვრების სკოლა, ისინი წამოიღებენ თან ყველა კულტურულ და სო-ციალურ უპირატესობათ, რაც კალაქებში შეითვისეს. ჯერ სახლდებიან ისინი ქალაქების გარშემო და აარსებენ პატარ-პატარა ორგანიზაციებს და შემდეგ ამას ავტოცელებენ მთელს ქვეყანაში. ამნაირად „მომავლის სოფელი“ არ ემსგავსება „ძველი დროის“ სოფელს. ქალაქის ცხოვრება გადატანილი იქნება სოფლებში და ისინი დაემსგავსებიან პატარა ქალაქებს თავისი კულტურული დაწესებულებებით და ცხოვრების მოწ-ყობილობით და თან დიდ ცენტრებთანაც კავშირს არ შე-წყვეტენ. ამნაირად მოისპობა ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს დღეს სოფელსა და ქალაქს შორის კულტურულ და ეკონომიკურ მდგრადების მხრივ. „ახალი სოფელი“ გაჩაღ-დება მაშინ, როდესაც მთელი ქვეყანა გაივლის აქ მოხსენე-ბულ პროცესს და ერთიანად გაქალაქდება.

არ შევეხები, რამდენათ სამართლიანია ბ. ვანდერველ-დეს თეორია. ამ წიგნზედ ამდენი გავრჩერდი, მხოლოდ იმი-ტომ, რომ მიმექუია საზოგადოების ყურადღება, რა ფასი აქვთ ქართველი ეკონომისტების წერილებს, და როგორ მოურიდებ-ლად ეყრდნობიან ისინი სერიოზულ მეცნიერთა ნაწერებს.

წაიკითხეთ ქართული წიგნაკი შეადარეთ აქ მოყვანილ შინაარსთან და თვითონ დარწმუნდებით, რამდენად დაუმახინ-ჯებია ჩვენს ეკონომისტს ბ. ვანდერველდეს მოხსენებული თხზუ-ლება.

გეყოფა, ბატონო ეკონომისტებო, ამდენი კომპილიაციე-ბი, ერთი კაპიტალური შრომა მაინც მოგვაწოდეთ.

სია დრამატიულ თხზულებათა, რაც კართულ ენაზედ დღემდე (1879—1904) ნება დართულია კავკასიის სცენებზე წარმოსადგენად. გამოცემა ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, ტფილისი in $\frac{1}{16}$ გ. 31. ფასი 15 კაპ. დაიბ. 300 ც.

ამ წიგნს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. წარმოდგენის ნებართვის ასალებად საჭირო იყო, როგორც აქ, ისე პროვინციებში წარედგინათ პიესის ის ცალი, რომელზედაც უმაღლესი მთავრობის ნებართვა იქნებოდა აღნიშნული. რადგანაც ეს სია შედგენილია ოფიციალურ ცნობების თანახმად, საკმაოა ნებართვის ასალებათ, მხოლოდ ამ წიგნაյის წარდგენა. აქ მოყვანილია პიესების სათაურები რუსულად და ქართულადაც. მოგვყავს ცხრილი, რომელიც ამ წიგნის თანახმად არის შედგენილი.

ჩვენ გვქონია დღემდე (1879---1904 წ.) ნებადართული პიესები.

	წელი	რაოდი	გენერაცია	სულ
I. დრამა	37	80	15	132
II. კომედია	41	62	13	116
III. ვოლევ. და I მოქ. პიეს.	103	62	15	102
ს უ ლ	103	204	43	350

ამნაირად სულ გვქონია 350 ნებადართული პიესა, რომელთაგან—204 ყოფილა ნათარგმნი, 43 გადმოკეთებული და დანარჩენი 103 კი ორიგინალური პიესები. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზედ მეტი გვქონია დრამა—132, მერმე მოღის კომედიები—116 და შემდეგ კი ვოლევილები და ურთმოქმედებიან პიესები—102. ამ პიესების ორი მესამედი ჯერ

არ არის დაბეჭდილი და ხელნაწერებათ ინახება დრამატიულ
კაზოგადოების არხივში და მათი სარკებლობა ამ მიზეზის გამო
უმთავრესად მხოლოდ ტფილისს შეუძლია. პროვინცია იძულე-
ბულია დაჯერდეს მხოლოდ დაბეჭდილ პიესებს და უნუგეშოთ
მოელის, სანამ ყველა საჭირო პიესები დაიბეჭდებოდეს ან ცალ-
კე კრებულებში და ან სპეციალურ დრამატიულ შურნალში,
რომლის საჭიროების შესხებ არა ერთხელ ყოფილა ბაასი
ჩვენს მწერლობაში. ყველამ ვიცით, რა ბედი ერგო ჩვენს დედა
ენას სკოლებში და ეკკლესიებში. შეგვრჩა ჯერ მხოლოდ
სცენა, რომელიც ჩვენი ენისა და ხალხის განვითარებისათვის
შედარებით უფრო თავისუფალს და თითქმის ერთად ერთს
კათედრას წარმოადგენს, რასაც ჩვენ ჯეროვანათ არ ვაფასებთ.
აღმართ დავაფასებთ მაშინ, თუ ეს კათედრაც ჩვენის დაუდევ-
რობისა და საზოგადოებრივი მოუმზადებლობის გამო ხელიდან
გამოგვეცალა.

X.

ნ ა რ ე ვ ი

1. მიხეილ სტარიცკი. 2. სამუელ ქმაილისი. 3 სენ-ლუის გამოზენა. 4. კეთროვანთა განკუზნება. 5. იაპონიის აღწერა. 6. იაპონური ჟურნალი ტაიოში. 7. ბამბის თესლის ფქვილი. 8. მუშა შინისტრები. 9. რუსულ მართლ-წერის გაადვილება. 10. ბელგიური უნივერსიტეტები. 11. ჭინჭველის სიმუავე. 12. თბილის წყლის დარივება. 13. საპიბლიოთევე სკალა. 14. წმ. ანგონის სასწაული. 15. გი დე მოპასსანი. 16. ომის ხარჯი. 17. იაპონური თოფის წამალი. 18. ამერიკული ქველ-მოქმედება. 19. საჭმელ-სასმელის სიწმინდე.

მიხეილ სტარიცკი. აპრილის 14 კიევში გარდაიცვალა ცნობილი მალორუსელი მწერალი მ. სტარიცკი. სტარიცკი ეკუთვნის წარსული საუკუნის მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს, რომელსაც მიზნად ჰქონდა თავისი ქვეყნის ავტონომიის აღდგენა და ამ მიზნის მისაღწევად უმთავრეს საშუალებად ეროვნულ მწერლობის განვითარებას სახავდა. ეს იყო მიზეზი, რომ მთელი თავისი სიცოცხლე-სტარიცკიმ მწერლობას შეაღია, მიუხედავად იმისა, რომ ჯილდოდ უბედურობის და მატერიალური ზარალის მეტი არა ჰლირსებია-რა. მალოროსულ ლირიკულ პოეზიაში ტარას შევჩენკოს შემდეგ დარი არავინა ჰყავს განსვენებულს და გარდა ამისა იყი ითვლება ეროვნულ თეატრის დამფუძნებელად. პირველს ხანს მალოროსულ თეატრის რეპერტუარში სტარიცკის, კოტლიარევსკის და კვიტკოს პიესების. მეტი არა იყო-რა. სტარიცკი არა თუ სწერდა, თითონვე ცდილობდა თეატრის განვითარებას და 1885 წლიდგან მოთავედ იყო საუკეთესო ტრუპისა, რომელიც არა თუ სამშობლო ქვეყანაში, მთელს რუსეთში მართავდა მალოროსულ წარ-

მოდგენებს. სტარიცკი დაულალავი შშრომელი იყო, ბევრსა სწერდა, ბევრსა სთარგმნიდა და ყოველ თავის ნაწერში იმას ცდილობდა, რომ ხალხური ენით და კილოთი გამოეთქვა თავის სათქმელი; ამიტომ არის, რომ მის ნაწერებს დიდი გასავალი ჰქონდათ და ბევრი მისი მოსწრებული სიტყვა ანდაზად გამხდარა ხალხში.

სამუელ სმაილსი. ამას წინად გარდაიცვალა გამოჩენილი გენერალი ს. სმაილსი, რომლის თხზულებანი — ხასიათის სიმაგრე, ვალდებულება, გაფრთხილება და სხვანი ცნობილი არიან მთელს განათლებულს ქვეყანაში. სმაილსი დაიბადა ამ. 90 წლის წინად შოტლანდის ერთს პატარა ქალაქში და ექიმობა შეისწავლა; სამშობლო ქალაქში რომ დაბრუნდა, ლუკმა პური ვერ იშოვნა, რადგან სულ 3000 სული სცხოვრობდა ქალაქში და ექიმები კი რვანი იყვნენ. რაკი ვერას გახდა, რკინის გზის სამსახურში შევიდა და იმავე დროს წერა დაიწყო სხვა-და-სხვა გაზეთებში. 1857 წელს დაბეჭდა „ცხოვრება სტეფენსონისა“ და ამით მოიხვევა სახელი. მას მერმედ დასწერა თავისი სახელმისამართი თხზულებანი და ყველგან იმას ქადაგებდა: შრომით, სიცხიზღვით და მონაგარის გაფრთხილებით ყველაფერს მიაღწევს ადამიანით. დასამტკიცებლად თავის აზრებისა სმაილს მოჰყავს ბიოგრაფია შოტლანდელ ხარაზისა, რომელმაც ბუნებისმეტყველებაში გაითქვა სახელი (თომა ედვარდი); ხაბაზ-გეოლოგის, რობერტიკისა, დალაქ-პოეტის უასმინისა და სხ. შრომას ურჩევდა ყველას სმაილსი და თითონაც დაულალავად შრომობდა, — თუმცა უკანასკნელ 34 წლის განშავლობაში ავად იყო და წერა აკრძალული ჰქონდა. იშრომე; გრწამდეს, რომ თუ მოინდომებ, შესძლებ კიდეც, ამტკიცებს სმაილსი; შენი ბედი და მოკიდებულია მარტო შენზედ და შენს გარეითად არავითარ შველას არ უნდა მოელოდეო.

სენ-ლუის გამოფენა. 1803 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იყიდეს საფრანგეთისაგან 30 მილიონ მანეთად ლუიზიანა, რომელიც დღეს 14 შტატს შეადგენს. წელს, ასის წლის თავზედ, შტატებმა გამართეს სენ-ლუიში მსოფლიო

გამოფენა, და ისე მოაწყეს იგი, რომ ჩიკაგოს გამოფენაც უკან ჩამორჩია და პარიზისაც. გამოფენას უჭირავს 900 დღიური მიწა, ერთი ორად მეტი, ვიდრე პარიზისას ეჭირა. აქამდე იცოდნენ, ცალცალკე იყო გამოფენილი ყოველი ერის ნაწარმოები; სენ-ლუიში სხვა რიგი შემოიღეს და ერთად მოაგროვეს ერთი და იგივე ნაწარმოები ყველა ერებისა. გამოფენას 16 განყოფილება შეადგენს; პირველი გამოფენა ეკუთვნის ხალხის სწავლა-განათლებას, მეორე—ხელოვნებას, მესამე—გამოსაყენებელ ცოდნას; მერმე არის განყოფილებანი ხენათესვისა, ხე-ტყისა, ბაღოსნობისა, მთა-მაღნისა და სხვა და სხვა. პარიზის გამოფენას თუ ეიფელის კიხე ჰქონდა, სენ-ლუისა—უზარმაზარი ორგანი აქვს, რომელს შეუძლიან 17 მილიონი სხვა და სხვა ხმა გამოიღოს.

გეთროდგანთა განვურნება. ამერიკაში ორლეანის კეთროვანთა სააგადმყოფოს ექიმს დ-რ დაიერს აღმოუჩენია კეთროვანთა განმკურნავი წამალი და უკვე სრულიად მოურჩენია 12 ავადმყოფი. წამლობა მეტად ხანგრძლივია, არა ნაკლებ ერთის წლისა, და უებარიც არის; არაფერს შველის მარტო იმისთანას, რომელიც უკახასკნელ დღეშია ჩავარდნილი. რაში მგდომარეობს ეს წამლობა, დ-რი დაიერი ჯერ-ჯერობით არ აკადებს.

დაშონიას აღწერა, ლონდონში იბეჭდება და ამ მაისში გამოვა საინტერესო აღწერა იაპონიისა; შედგენილი იაპონელთაგან. ბარონ სანნომიას—მინისტრს სასახლისას, ეკუთვნის სტატია სამეფო საგვარეულოზედ; მარკიზ იტოს—კონსტიტუციაზედ; ბარონ კენტაროს—პარლამენტზედ; მარკიზ ოაიმას—მხედრობაზედ; ადმირალ სანტოს—ფლოტზედ; გრაფ ოკუმას—ხალხის განათლებაზედ; ფინანსთა მინისტრის ამხანაგს საკატანს—სახელმწიფო ხაზინაზედ; სახელმწიფო ბანკის გამგეს იამამატოს—ბანკზედ; ბარონ შიბუსავას—ვაჭრობა და მრეწველობაზედ. გარდა ამისა აწერილია მთა-მაღნის საქმე, მუშათა ყოფა-ცხოვრება, რკინის გზები, ურნალ-გაზეთები და სხ.

ბაშბიას თესლის ფერიდა, მურგაბის სახელმწიფო მამულში ბამბის თესლისას ზეთს ხდიან და ნაშთს ფერილად აქცევენ

საქონლის საჭმელად. ამ ფქვილს ასზედ 56 ნაწილი ნოუიერი ნივთიერებანი შეადგენენ და ამერიკაში მეტად დიდი გასავალი აქვს. უკანასკნელ დროს ევროპაშიც დაიწყეს ხმარება და ჰამბურგში ფუთი 93 კაბეიკად იყიდება. საქონელს ასუქებს, რძეს უმატებს და კარგი მით არის, რომ დღეში 4 გირგანქა თავსა. სდის ერთ ძროხას. საძოვრის სიძვირეში, და ერთობ უბალახო მწირ ქვეყანაში მეტად სასარგებლო უნდა იყოს ეს ფქვილი, მაგრამ ჩვენში ჯერ ხალხმა არ იცის მისი ხმარება და თუმცა ექვს-შვიდ შაურად იყიდება ფუთი, თვით ხრიოკ ბაქოშიც კი არა აქვს ჯერ გასავალი.

შუშა-მინისტრები. ავსტრიალიის პარლამენტმა სამინისტრო პორტფელები მუშებს ჩააბარა და მათ დაავალა იმ რეფორმების განხორციელება, რომლის წინ შედრკა წინანდელი პირველი მინისტრი დიკინი. მუშებს სულ 23 წარმომადგენელი ჰყავთ პარლამენტში და მით უფრო საინტერესოა პარლამენტის ასეთი გადაწყვეტილება და უმცირესობისადმი უსამძღვრო ნდობის გამოცხადება. ამ სამინისტრომ ისეთი ფინანსისური საშუალება უნდა გამოძებნოს რამე, რომ ათის წლის განმავლობაში გადიხადოს 2,290 მილიონი მანეთი ვალი; უნდა დააწესოს ამორჩეულ კაცთა მიერ განხილვა დამოლოებითი და განსჯა ყოველ უთანხმოებისა, რომელიც პატრიონისა და მუშის შორის ატყდება, ან სახელმწიფოსა და მის მოხელეთა შორის. მუშათა წარმომადგენელნი ავსტრიალიის პარლამენტში სოციალიზმის მოძღვრებას ემსახურებიან და ეს პირველი მაგალითია, რომ სოციალისტებს ხელთ ეგდოთ მართებლობა.

რუსული მართლ-წერის გაადგილება. სამეცნიერო სახელმწიფო აკადემიის ორთოგრაფიულმა კომისამ ხმის უმრავლესობით დაადგინი ასოები Θ, V, Ζ, და Κ, სრულიად მეტნი და უსარგებლონი არიანო, რადგან აკადემიამ თითქმის ერთხმივ გამოსთქვა ამ ასოთა გაუქმება (^{17/18} მთვლი კრებისა), კომისია ამორჩიეს და იმას მიანდეს დაწვრილებითი მოხსენების შემუშავება. კომისიაში არიან: აკადემიის წევრნი ტორტუნა-ტოვი, კორში, სობოლევსკი, შახმატოვი, პროფესიონელი ბო-

დუენდე-კურტენე და ბრანდტი და მოსკოვის პედაგოგიურ საზოგადოების წარმომადგენელი საკულინი. რა მადლს დასდებს ეს კომისია მოსწავლეთ, რომ გააუქმოს ეს ასოები და მეტა-დრე დაწყევლილი ჭ, რომლის მართლ-წერა არავითარ კანონს არ ემორჩილება და მარტო გაზეპირებით შეიძინება; რამდენ დროს შესძენს ამ ასოთა განდევნა მოსწავლეთ, რამდენ დარღს და ტანჯვას ააცდენს. რამდენს შესძენს აგრეთვე სტამბას და წიგნების გამომცემელთ. ზოგი გაზეთი კომისიის დადგენილებას აღარ ელის და ეხლავე იწყებს ახალ მართლ-წერას: გაზეთი რუსი ბ-ნ დემჩინსკის ფელეტონებს ბეჭდავს, რომელშიც ჭ აღარსად არის ხმარებული. პეტერბურგში საზოგადოება შესდგა სახელად „ანბანი“, რომლის მიზანი ახალი მართლწერის გავრცელებაა და უსარგებლო და, მაშასადამე, მავნე ასოთა ანბანიდგან განდევნა.

ბეჭდიური უნივერსიტეტები. ბელგიაში ოთხი უნივერსიტეტი არის: სახელმწიფო—განდისა და ლიეჟისა და თავისუფალნი—ლუვენისა კათოლიკებისა და ბრიუსსელისა—ლიბერალურ პარტიისა. ოთხივეს ერთი და იგივე უფლებანი აქვთ მინიჭებული და ერთნაირ დიპლომებს. ურიგებენ თავიანთ მოწაფეთ. 1902—1903 წელს ბრიუსსელში 1049 სტუდენტი იყო, განდში 826, ლიეჟში 1768, ლუვენში 2070.

ჭიანჭველის სიმჟავე. პარიზის აკადემიას მოხსენება წარუდგინა კლემანტი, რომელშიც ამტკიცებს ადამიანს ძალის და ენერგიას უმატებს ჭიანჭველის სიმჟავევო (aeide formique) მაგალითიც მოჰყავს: ოცდა ორის წლის ყმაწვილ კაცს თორმეტ გირვანჭიანი რკინა მივეცით და სულ 132 ჯერ ასწია, (თითო წუთს ისვენებდა, როცა დაიღლებოდა); მერმე სამის დღის განმავლობაში ჭიანჭველის სიმჟავე შევაპარეთ (40 წვეთი დღეში) და იმავ თითო წუთის დასვენებით, 479 ჯერ ასწია იგივე რკინა. აქამომდე არც ერთს წამალს არ ჰქონებია ამგვარი ძალა, დასძენს კლემანტი. ამ მოხსენებამ გამოიწვია გარრიგის შენიშვნა, ჭიანჭველის სიმჟავის გავლენა ჩემს თავზედ ვცალე და დავრწმუნდი, რომ მაღას მიმატებდა და გონებრივ და ფიზიკურ

ძალის, გარდა ამისა, ყოველთვის კარგ, მხიარულ გუნებაზედ მაყენებდა და ძილიც უშფოთვარი მქონდაო.

თბილის წელის დარიგება. ცივი წყლის და საწვავ გაზის გარდა ახლა თბილის წყლის დარიგება დაიწყეს ამერიკაში. მილები გაიყვანეს მსურველთა სახლში და როცა ნებავს კაცს, მზადა აქვს ცხელი წყალი. აღარც ცეცხლის გაჩენა და ნახშირის ან შეშის ყიდვა, აღარც კომლი, აღარც ჭუჭყი! ქ. ინდიანოპოლიში. სამი ამხანაგობა შესდგა თბილის წყლის სავაჭროდ და არამც თუ დიდრონი სასტუმროები და სახლები, სულ უბრალო ღარიბ მოსახლის სახლშიც გაიყვანეს მილები თბილი წყლის მისაწოდებლად.

საბაბლითოთეკო სკოლა. ბერლინში ახალი სკოლა დააარსეს ქალებისთვის, რომელსაც აზრიდა აქვს მოამზადოს ბიბლიოთეკის საქმეში დახელოვნებული ქალები. სკოლა პროფესორმა ვოლფშტაგმა დააარსა და პირველად თორმეტი ქალი მიიღო, რომელთაც გათავებული ქონდათ საშუალო სასწავლებელი.

წმ. ანტონის სასწაული. მონნა-ვანნას ავტორს მეტტერლინქს ახალი დრამა დაუწერია „წმ. ანტონის სასწაული“, რომელიც სამზღვარ გარეთელ უურნალების სიტყვით უკვდავად დარჩება კაცობრიობის მწერლობაშიო.

გრ დე მობასსენი. ერთს ფრანგულ უურნალში აბელ-პერმანის სტატია არის გი დე მოპასსანის შესახებ, რომელიც ლ. ტოლსტოის რომ არ შეექო, თავისიღებული ვერ მოიხვეჭდა სახელს რუსეთის მოწინავე პრესსაში. ფიზიკურათ მეტად ლონია ერი კაცი იყოვო, —ამბობს პერმანი — და მეტის-მეტად უყვარდა ყოველ გვარი სპორტი — (ფიზიკური ვარჯიშობა). საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვებისა არა იცოდა რა და უფრო ნაკლებ იცოდა ადამიანის სიყვარული. ის კითხვები, რომელნიც აღელვებენ მოწინავე საზოგადოებას, მოპასსანისთვის არ არსებობდნენ და პარიზის მ. უშ ცხოვრებას არ გასცილებია მისი მწერლობა.

ომას სარჯი. ბურებთან ბრძოლა ინგლისელებს 1865 მილიონი მანეთი დაუჯდათ და თუ აჯობეს, მხოლოდ იმიტომ,

რომ ბურებს სულ 20 ათასი კაცი ჰყავდათ ორივე რესპუბლიკაში. რამდენად დაჯდება რუსეთ-იაპონიის ომი და როგორ უკან დააყენებს იგი ხალხის სწავლა-განათლებას, ამას არავინ კითხულობს. ჯერ ეხლავ ხალხის განათლებით იაპონია წინა სდგას რუსეთზედ და თუმცა ერთი-სამად ნაკლებია მცხოვრებთა რიცხვით, სახალხო სკოლებში მეტს ბავშვს ატარებს (3,878 პთასს), ვიდრე რუსეთი (3,780 ათასს). ყირიმის ომი რუსეთს დაუჯდა 1254 მილ. მანეთი, საფრანგეთს თითქმის ამდენივე, ინგლისს 28 მილ. მანეთი. 1870 წელს პრუსიას დაეხარჯა 474 მილიონი, საფრანგეთს 5180 მილიონის, 1877—78 წელს რუსეთმა დახარჯა 590 მილიონი მანეთი. ეს ცნობები მოჰყავს ფრანგულ რევიუში სამხედრო მწერალს X-ს; შემდეგ იმის განხილვას იწყებს: რამდენი კაცი მოკვდება რუს-იაპონელთა ოშიონ და ნაპოლეონის სიტყვა მოჰყავს: რუსის სალდათის მოკვლა არ კმარა, კიდეც უნდა წააქციოთო. ოთხას—ოთხასი ათასი კაცი რომ გამოიყვანონ ორივე მხარემ საომრად, 90 ათასი კაცი დააკლდება თითოს: 20—25 ათასი კაცი ბრძოლის ველზედ წახდება და დანარჩენს სხვა და სხვა ავად-მყოფობა ინაცვლებს.

იაშანთური თოფის-წამალი—გამოიგონა იაპონელმა მე-ცნიერმა შემოზემ და სახელიც თავისი უწოდა. შემოზე კარგი იმით არის, რომ არც ცეცხლისაგან იფეთქებს, არც ტყვიისა-გან, არც რამე მძიმე საგნის დაცემისაგან. ცეცხლი რომ მოხვდეს, წაეკიდება, ნელნელა იწვის და ძალიან ადვილი გასა-ქრობია. თავის საშინელ ძალას ეს თოფის-წამალი მაშინ იძენს, როდესაც ერთგვარ წამალს მიუმატებენ; რა არის ეს წამალი, ჯერ არ არის გამოქვეყნებული. შემოზეთი გასროლილს ყუმბარის ვერავითარი ჯავშანი ვერ უძლებს და ამისთანა საშინელ ძალასთან კარგი კიდევ იმით არის, რომ ერთი ორად იაფად ჯდება, ვიდრე ევროპიული საუკეთესო თოფის-წამალი.

ამერიკული ქველმოქმედება. ამერიკულმა მილლიარდერმა (ათასი მილიონის პატრონშა) ჯონ როკფელლერმა, რომელ მაც საწვავ ნავთის ვაჭრობით შეიძინა ამოდენი სიმდიდრე.

280 მილ. მანეთი შესწირა ამ უკანასკნელ ხანს ამერიკულ უნივერსიტეტებს, მაგრამ ესეც არ იკმარა, უნდოდა იმისთანა რამ მოეგონა, რომ ჯერ სხვას არავის მოსვლოდეს აზრად და საქვეყნო საქველმოქმედო ბიურო დაარსა ნიუ-იორკში. საქ- მის გამგედ ახალ გაზრდა ვექილი მორტი დააყენა. ამ ბიურომ უნდა შეისწალოს მიზანი და მოღვაწეობა ქვეყნის კველა სა- ქველმოქმედო დაწესებულებათა და დაეხმაროს იმათ, რომ- ლის მიზანი უფრო საყურადღებო და მოსაწონი იქნება ამე- რიკელ მილიარდერისათვის.

საჭმელ-სასმელის სიწმინდე. შერთებულ შტატების მარ- თებლობა პირებს კანონი გამოსცეს საჭმელ-სასმელის საწმინდის შესახებ. ამ კანონის ძალით ყოველ გვარ წამალს, საჭმელს, სას- მელს მოწმობა უნდა ქონდეს ზედ დაკრული, რომელშიც აღნიშ- ნული უნდა იყოს სრული სისუფთავე. კანონს აზრადა აქვს დაიფაროს აღამიანი იმ ყალბის მქნელთაგან, რომელნიც საჭირო და ნოკიერ საჭმლის მაგივრად ხელოვნურად შემზადებულს, მაგრამ მავნებელს და ხშირად საწამლავიან, საჭონელსაც ასაღე- ბენ. სამკარისია აღვნიშნოთ, რომ ყალბის ქმნა იმდენად გა- ვარჯიშდა, რომ ყაფას ამზადებს, რომელშიც ყავისა იოტის ოდენაც არა მოიპოვება-რა, კვერცხს და სხ.

შირვანი მიმოხილვა

შირვანი და კავკასიის სხვა ხალხები

წევლა-განათლების მჩრით

II

საქართველო

პირველ წერილში ჩვენ ავნუსხეთ ის ციფრები, რომელიც საერთოდ ყავკასიის ყველა სასწავლებლებს შეეხებიან, და აღვნიშნეთ ის დასკვნანი, რომელიც ამ ციფრებიდან გამომდინარეობენ. მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არაა, რომ მკითხველმა ჩვენი — ქართველების — მდგომარეობა სწავლა-განათლების საქმეში სავსებით გაიცნოს და ნათლად წარმოიდგინოს. ამ გაცნობის შესავსებად საჭიროა და აგრეთვე თავის თავადაც საინტერესოა. გავიგოთ ჩვენი მდგომარეობა იმ სასწავლებლებში, რომლებიც მარტო ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ასებობენ. საქართველო, კულტურისა და საადმინისტრაციო მართვა-გამგეობის მხრით, გულია მთელის კავკასიისა. სხვა და სხვა ერთა საარსებო ბრძოლა და მეტოქობა კავკასიის არც ერთ გუბერნიაში ისე ძლიერი და ცხოველი არ არის, როგორც აქ. და ეს მეტოქობა სწავლა-განათლებისადმი მისწრაფებაშიაც გამოიხატება და თითოეულ ერის კულტურულ წინმსვლელობაში გამოისახება. რამდენად მაგარია ჩვენი პოზიცია აქ, საქართველოში? თან და თან ვკარგავთ, თუ, პირიქით, ვიფართოვებთ ნიდაგს? იქნება, ქართველ

მოსწავლეთა რიცხვი მრავლდება შედარებით კავკასიის სხვა გუბერნიებში, ხოლო მცირდება ისევე შედარებით თვით საქართველოში? სხვა ერთა ძალა მეტია აქ, თუ ნაკლები? რომელია მათში უფრო ძლიერი, რომელი — უფრო სუსტი? გარდა ამისა, საქართველოს ყველა ნაწილები ერთნაირს სურათს არ წარმოადგენენ სწავლა-განათლების მხრით, — ერთი მხარე უფრო წინ წაწეულია, მეორე — უფრო ჩამორჩენილი. სად არის უფრო სკოლა და სწავლა გავრცელებული, — იმერეთში თუ ამერეთში? ყველა ამ და მსგავს კითხვებზე პასუხს არ გვაძლევს ის სტატისტიკური მასალა, რომელიც საერთოდ კავკასიას შეეხება და ჩვენ წინა წერილში აღვნიშნეთ. ამის გასაგებად უნდა გავსინჯოთ ცალკე ის ციფრები, რომელნიც საქართველოში არსებულ სასწავლებლების ვითარებას ჰქატავენ და სხვა და სხვა ეროვნების მოსწავლეთა რაოდენობის თანადათანს ზრდასა თუ დაკლებას გვიჩვენებენ.

ამ სასწავლებელთა შესახები ცნობები, უეჭველია, ქართველ მკითხველისთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე ის ციფრები, რომელნიც საერთოდ კავკასიის ყველა სასწავლებლებს შეეხებიან. ამიტომ ჩვენ აქ უფრო მეტ ციფრებს მოვიყვანთ და სტატისტიკას ციფრების ენით უფრო მეტს ვალაპარაკებთ, ვიდრე ეს წინა წერილში გვქონდა.

დავიწყოთ ვაჟთა საშუალო სასწავლებლებიდან. ტფლისისა და ქუთაისის გუბერნიაში ამ უამაღ არსებობს ხუთი საგაფო გიმნაზია: სამი ტფლისში, ერთი ქუთაისში და ერთიც ბათუმში. ბათუმის გიმნაზია არსებობს 1897 წლიდან, ტფლისის სესამე — 1892 წლიდან, ხოლო დანარჩენები 1887 წლის წინედ არიან დაარსებულნი. როგორც თითოეულ ამ გიმნაზიებში, ისე საერთოდ ყველაში იყო საშუალო რიცხვით ყოველ წლიურად მოსწავლე:

სასტაციო ბლები	რიცხვი				პროცენტი			
	რიცხვი	კუთხები	სლენ	სხვანი	რიცხვი	კუთხები	სლენ	სხვანი
ტფილისის ვაჟთა 1-ლი გიმნაზია	303	130	201	114	40,4	17,4	26,9	15,3
" " მე-2	247	133	164	97	38,5	20,7	25,6	15,2
" " მე-3	98	57	352	33	18,1	10,6	65,2	6,1
ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია	136	356	33	47	23,8	62,2	5,8	8,2
ბათუმის	72	136	42	71	22,4	42,4	13,1	22,1
სულ ტფილისის გუბერნიის ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში	622	299	642	254	34,2	16,4	35,3	14,1
სულ ქუთაისის გუბერნიის ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში	175	501	56	78	21,6	62,0	6,9	9,5
სულ ორივე გუბერნიისაში	797	800	698	332	30,3	30,4	26,5	12,8

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ტფილისის ყველა გიმნაზიებში ქართველები უმცირესობას შეადგენენ და რუსებისა და სომხების უკან არიან. პირველსა და მეორე გიმნაზიაში პირველი ადგილი აქვთ რუსებს, მეორე—სომხებს და მესამე—ქართველებს. მესამე გიმნაზიაში უმრავლესობას შეადგენენ და პირველ ადგილას არიან სომხები, ამათ მოსდევენ რუსები და შემდეგ ქართველები. ამ გიმნაზიაში მოსწავლეთა ორი მესამედი სომხებისაგან შესდგება, ე. ი. თითქმის მთელი სასწავლებელი სომებს მოსწავლეებით არის გავსებული.

თუ საერთოდ ტფილისის ყველა გიმნაზიებსა და (წინაღ არსებულ) პროგიმნაზიებს ავილებთ და მოსწავლეთა წლიურ საშუალო რიცხვს გამოვითვლით, მაშინ კი ცოტა სხვა სურათი წარმოგვიდგება ჯვალწინ. მაშინ ენახავთ, რომ ყველაზე წინ არიან სომხები ($35,3\%$), მეორე ადგილას—რუსები ($34,2\%$) და მესამეზე—ქართველები ($16,4\%$); სომხების რიცხვი ერთი ორად მეტია ქართველებისაზე.

გამოვინანგარიშოთ ეხლა შესაფერი ციფრები ქართველ და სომხის ხალხის რაოდენობის მიხედვით. ქართველების საერთო წლიცხვს ჩვენ $1^{1/2}$ მილიონად ვვარაუდობთ, აქედან 900 ათასს ქუთაისის გუბერნიაში, 550 ათასს ტფილისისაში და 50 ათასს კავკასიის სხვა გუბერნიებში. ეს ანგარიში დაა-

ხლოვებით უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ტფილისის გუბერნიაში მცხოვრებ სომხების რიცხვია 220 ათასი. ამ კით-რების მიხედვით, თუ ტფილისის გიმნაზიებში მოსწავლე ქართველებსა და სომხებს ამავე გუბერნიას მცხოვრებლებად ვიგულისხმებთ, სომებ მოსწავლეთა რიცხვი უნდა შეაღენდეს 269-ს ანუ 28,6%-ს და ქართველებისა — 672-ს ანუ 71,4%-ს, — მაშინ იქნებოდა მოსწავლეთა რიცხვი ქართველებსა და სომხებს შორის თანაბრად, ე. ი. ხალხის რაოდენობის კვალობაზე, განაწილებული. ნამდვილად კი სომხებს ჰყავთ 642 მოსწავლე ანუ 68,3% და ქართველებს — 299 ანუ 31,7%. ამნაირად, ქართველებს აკლიათ ნორმამდის 39,7% და სომხებს სწორედ 39,7%-ით ჰყავთ ნორმაზე მეტი. 550 ათას ქართველს ჰყავს 299 მოსწავლე გიმნაზიებში, მაშასადამე, 220 ათასს (ე. ი. იმდენს, რამდენიც სომხები არიან) უწევს 167. ამდენივე სომხის ხალხის მოსწავლეთა რიცხვი კი შეაღენს 642-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველ მოსწავლეთა რიცხვი ეთანასწორება 20,6%-ს და სომხებისა — 79,4%-ს და რომ ეს უკანასკნელი 58,8%-ით მეტნი არიან ქართველებზე.

მართალია, აქაურს გიმნაზიაში მოსწავლე სომხის ახალგაზდობა ყველა ტფილისის გუბერნიის მცხოვრები არაა, არამედ ზოგნი მოსულნი არიან სხვა კუთხეებიდან, მაგრამ ეს შესამჩნევად არ შესვლის ჩვენგან გამოთვლილ ციფრების სახეს და აღნიშნულ მოვლენის ვითარებას. როგოც სხვა გუბერნიების სომეხთა შვილები სწავლობენ ტფილისის გიმნაზიებში, ისევე ქუთაისის გუბენიდან მოსული ქართველებიც არიან ამავე სასწავლებლებში. ჩვენ ორნივე ტფილისის გუბერნიის მცხოვრებლებად ჩავთვალეთ და, მაშასადამე, გამოთვლის დროს ორივე მხრით ერთნაირი და დახლოვებით ერთი მეორის გამასწორებელი შეცდომა ვიხმარება.

ასე მცირეა სომხებთან შედარებით ქართველების რიცხვი ტფილისის სავაჭრ გიმნაზიებში და ასე დაწინაურებულნი არიან აქ სომხები ვაჟთა საშუალო განათლების საქმეში. ქუთაისის გუბერნია რომ არ ეხმარებოდეს, ქართველების რიც-

ხვი სრულიად მცირე და უმნიშვნელო იქნებოდა ამ კატეგორიის სასწავლებლებში; მაგრამ აქ ქართველობა შედარებით ძლიერია და ეს ძალა გამოიხატება მოსწავლეთა რაოდენობის აღმნიშვნელ ციფრებშიც. აქაურს გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში ქართველების რიცხვი ყოველთვის სხვებზე მეტია და ბევრით აღემატება როგორც რუსებისას, ისე სომხებისასაც. როგორც ზემოდ აღნიშნულ ცხრილიდან სჩანს, რუსების რიცხვი შეადგენს 21,6% -ს, სომხებისა — 6,9% -ს, ხოლო ქართველებისა — 62,0% -ს.

ქუთაისის გუბერნიის წყალობით არის ეს, რომ საერთო ჯამში ქართველების რიცხვს პირველი ალაგი აქვს და სხვებისას აღემატება. ორივე გუბერნიის გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში ყოფილა სულ საშუალო რიცხვით ყოველ წლიურად: 30,4% ქართველი, 30,3% რუსი და 26,5% სომეხი. მაშასადამე, აბსოლუტურის სიმრავლით ქართველი მოსწავლენი მეტნი ყოფილან თითოეულ სხვა ეროვნებაზე.

თუ ხალხის საერთო რიცხვის კვალობაზე (დაახლოვებით) გამოვითვლით და ქართველ, რუს და სომეხ მოსწავლეთა რიცხვს ერთმანერთს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ქართველები ძალიან უკან არიან. სამივე ამ ეროვნებათა მოსწავლეების წლიური რიცხვი არის 2295. აქედან: ქართველი 800 (ანუ 34,9%), რუსი 797 (ანუ 34,7%) და სომეხი 698 (ანუ 30,4%). ხალხის რაოდენობის კვალობაზე ქართველებს უნდა ჰქონდეთ 81,1% (მაშასადამე, აკლიათ 46,20%), რუსებს — 5,7% (მეტი აქვთ 29,1%) და სომხებს — 13,6% (მეტი აქვთ 17,0%). ამ გვარად, შედარებითის საზომით თუ გაეჯით, გიმნაზიური სწავლა-განათლება უფრო გავრცელებულია საქართველოში მცხოვრებ რუსებში, შემდეგ სომხებში და ყველაზე უფრო ნაკლებ — ქართველებში.

ამ მოვლენის სისხლ-სიდიდის გამოხატულება, რომელიც ჩვენ აქ აღნიშნეთ, ცოტა სიტრთხილითა და შეკვეცით არის მისაღები. ჩვენ ვივარაუდეთ აქ მხოლოდ იმ სომხებისა და რუსების რიცხვი, რომლებიც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრობენ და გიმნაზიებში მოსწავლე რუსი და სომეხი აქაურ მკვიდრად ჩავითვალეთ. ნამდვილად კი, რა თქმა უნდა, ამ სასწავლებლებში არიან ამ ეროვნებათა ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც სხვა კუთხეებიდან მოსულან. ქართველი მოსწავლენი კი მარტო ამ ორ გუბერნიის მცხოვრე-

ბნი არიან. და ეს გარემოება მხედველობაში მისაღებია,— უამისოდ რუსებისა და სომხების დაწინაურება, გამოხატული ციფრებით, უფრო დიდად ჩანს, ვიდრე არის იგი ნამდვილად. ყოველ შემთხვევაში, ეს დასკვნა, გამოთქმული ზოგადად, სწორი უნდა იყოს: რომ გიმნაზიურ სწავლის გავრცელების მხრით პირველი ადგილი უჭირავთ რუსებს, მეორე—სომხებს და უკანასკნელი ჩვენ, ქართველებს.

ის ციფრები, რომლებიც ჩვენ აქამდის მოვიხსენიეთ, აღნიშნავს სხვა-და-სხვა ეროვნების მოწაფეთა ყოველ წლიურს საშუალო რაოდენობას. მაგრამ ამ ციფრებში არ ჩანს თითოეულ ეროვნების თან-და-თან ზრდა და მატება ან შემცირება და დაკლება. და ამის გაგება კი საინტერესოა. მხოლოდ მაშინ შევსძლებთ ჩვენ გავითვალისწინოთ, ვინ როგორის სისწრაფით მიღის წინ და ვინ უკან აჩება. ამის მაჩვენებელია შემდეგი სამი ცხრილი, რომლებშიაც წლების მიყოლებით დაწყობილია მოსწავლეთა რაოდენობის აღმნიშვნელი ციფრები და, შედარების გულისთვის, ერთმანეთისაგან განცალკევებულია ორი გუბერნიის სასწავლებლები.

ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში იყო სულ მოსწავლე:

ა) ტფილისის გუბენიაში:

წლები	რ ი ც ხ ვ ი				პ რ ი ც ხ ვ ი			
	რუსი	ქართველი	სომები	სხვანი	რუსი	ქართველი	სომები	სხვანი
1887	502	201	358	176	40,5	16,5	28,9	14,1
1888	471	208	358	189	38,8	16,9	29,2	15,6
1889	495	214	369	192	39,0	16,8	29,0	15,2
1890	520	224	478	191	36,8	15,8	33,0	14,4
1891	532	249	508	226	35,1	16,4	33,5	13,0
1892	559	250	560	228	34,9	15,7	35,1	14,3
1893	592	262	574	240	35,5	15,6	34,4	14,5
1894	605	254	643	241	34,7	14,5	36,9	13,9
1895	635	292	666	252	34,4	15,8	36,1	13,7
1896	699	311	723	278	34,2	15,4	35,9	14,5
1897	711	332	776	288	34,2	15,7	36,8	13,3
1898	740	355	814	287	33,7	16,2	37,1	13,0
1899	726	365	815	288	33,9	16,6	37,1	12,4
1900	710	387	857	309	31,4	17,1	37,9	13,6
1901	737	426	877	301	31,5	18,2	37,5	12,8
1902	723	449	899	363	27,7	18,4	36,9	17,0

ბ) ქუთაბსის გუბერნიაში:

წლები	ნ ი ვ ხ ვ ი ნ				ზ რ ი ვ ე ნ ტ ი ნ			
	ა ს ტ	კ ა მ ი ს	ს ა მ ი ს	ს ა მ ი ს	ა ს ტ	კ ა მ ი ს	ს ა მ ი ს	ს ა მ ი ს
1887	155	374	64	44	24,3	58,7	10,0	7,0
1888	147	357	60	47	24,1	58,4	9,8	7,7
1889	145	375	56	43	23,4	60,6	9,0	7,0
1890	155	407	53	43	23,6	61,8	8,1	6,5
1891	157	458	32	54	22,4	65,3	4,6	7,7
1892	171	455	35	46	24,2	64,3	4,9	6,6
1893	171	469	40	52	23,4	64,1	5,5	7,0
1894	177	502	41	59	22,7	64,4	5,3	7,6
1895	179	484	43	61	23,3	63,1	5,7	7,9
1896	176	526	39	68	21,7	65,0	4,8	8,5
1897	179	416	42	95	24,5	56,9	5,7	12,9
1898	185	503	50	118	21,7	59,0	5,9	13,4
1899	197	606	76	107	20,0	61,4	7,7	10,9
1900	199	666	86	131	18,4	61,5	7,9	12,2
1901	210	708	96	139	18,2	61,4	8,3	12,1
1902	203	705	104	135	17,7	61,5	9,1	11,7

გ) თესავე გუბერნიაში:

წლები	ნ ი ვ ხ ვ ი ნ				ზ რ ი ვ ე ნ ტ ი ნ			
	ა ს ტ	კ ა მ ი ს	ს ა მ ი ს	ს ა მ ი ს	ა ს ტ	კ ა მ ი ს	ს ა მ ი ს	ს ა მ ი ს
1887	657	575	422	230	35,1	30,7	22,5	11,7
1888	618	565	418	236	33,1	30,7	22,8	13,4
1889	640	589	435	235	33,8	31,1	23,0	12,1
1890	675	631	531	234	32,6	30,4	25,5	11,5
1891	689	707	541	280	31,1	31,8	24,4	12,7
1892	730	706	595	274	31,2	30,6	25,8	12,4
1893	763	731	614	292	31,8	30,4	25,6	12,2
1894	782	756	684	300	32,6	30,0	23,1	14,3
1895	814	776	709	313	31,1	29,6	26,7	12,6
1896	875	837	762	346	31,0	28,9	27,0	13,1
1897	890	848	818	383	31,3	26,3	28,8	13,6
1898	925	858	864	405	30,6	28,3	28,5	12,6
1899	923	971	891	395	28,9	30,4	27,9	12,8
1900	909	1051	943	440	27,2	31,9	28,1	12,8
1901	947	1134	973	441	27,1	32,4	27,8	12,7
1902	926	1154	1003	498	25,8	32,2	28,0	14,0

მკითხველი ჰედავს, რომ 1902 წელს ტფილისისა და ქუთაისის სავაუო გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში ქართველები შეაღენდნენ 32,2%-ს, სომხები—28,0%-ს და რუსები—25,8%-ს. მაშასალამე, აბსოლუტურის სიმრავლით პირველი ადგილი უჭირავთ ქართველებს, მეორე—სომხებს და მესამე—რუსებს. მართალია, საშუალო რიცხვით, როგორც ზევით ვნახეთ, რუსებს უფრო დიდი პროცენტი უწევთ, მაგრამ ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ თექვსმეტი წლის განმავლობაში, რომელსაც ჩვენი ანგარიში სწვდება, რუსების რიცხვი თან-და-თან კლებულობს შედარებით,—წინა წლებში უფრო დიდი იყო, ხოლო უკანასკნელ წლებში იკლო. 1887 წლიდან 1902 წლამდის რუსების რიცხვს მოაკლდა შედარებით 9,3%, ქართველებისას მოემატა 1,5% და სომხებისას—5,5%. ამ სახით სომხების მატება შედარებით მეტია, ვიდრე ქართველებისა. სომხების ზრდა უფრო დიდი და სწრაფია აბსოლუტურადაც. სომხებს მოუმატნიათ 138%, ქართველებს 101% და რუსებს 41%.

ვიმეორებთ, ქართველები მხოლოდ აბსოლუტურის სიმრავლით არიან პირველ ადგილს. თუ მცხოვრებთა საერთო რიცხვს მივიღებთ მხედველობაში,—და შესაძარებლად ეს არის ერთად ერთი სწორი საზომი,—ქართველები ყველაზე უფრო ჩამორჩენილნი გამოჩენდებიან და არა დაწინაურებულნი. რუსების რიცხვი საქართველოში არ აღემატება 100 ათასს, სომხებისა—240 ათასს, ხოლო ქართველების რიცხვი $1\frac{1}{2}$ მილიონამდის აღწევს. და, რა თქმა უნდა, 32% უფრო მცირე რიცხვია $1\frac{1}{2}$ ქართველებისათვის, ვიდრე 25% 100 ათასიან რუსებისა ან 28% 240 ათასიან სომხებისათვის. რამდენადაც მრავლდება ჩვენში რუს ჩინოვნიკთა რიცხვი და ძლიერდება სომხის ბურჯუაზია, იმდენადვე მრავლდება ამ ეროვნებათა მოსწავლეების რიცხვი გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში.

საინტერესოა შევაღაროთ სხვა-და-სხვა ეროვნების მოსწავლეთა რიცხვის ზრდა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნია-

ში ცალ-ცალკე. 16 წლის განმავლობაში ქართველების რიცხვს მოჰმატებია შედარებით 2% ტფილისის გიმნაზიებში და 3% ქუთაისისაში. სომხებს მოუმატნიათ ტფილისში 1,6% და დაუკლიათ 0,9% ქუთაისის გუბერნიაში, ხოლო რუსებს დაპყლებიათ პირველში 6,5% და მეორეში 6,6%. აბსოლუტის ზრდის სისწრაფით ტფილისში სომხები უსწრებენ ქართველებს (სომხების მატებაა 151%, ქართველებისა 123% და რუსებისა 44%), ქუთაისის გუბერნიაში-კი ქართველები უსწრებენ ყველა სხვა ეროვნებათ (ქართველები 88%, სომხები 62%, რუსები 31%). აბსოლუტურის სიმრამლით და ზრდის სისწრაფით ქართველობა უფრო დაწინაურებულია ქუთაისის გუბერნიაში, ვიდრე ტფილისისაში.

შევადაროთ ერთმანეთს იმერეთი და ამერეთი. ორივე გუბერნიის გიმნაზიებში ქართველი იყო სულ (1902 წ.) 1154, აქედან 449 ანუ 39% ტფილისში და 705 ანუ 61% ქუთაისის გუბერნიაში. მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით კი ამერეთს უშევს 62,0% და იმერეთს—38,0%. მაშასალამე, თუ ამ ციფრებს დავუჯერეთ, გამოდის, რომ ვაჟთა გიმნაზიური სწავლა უფრო გავრცელებულია ამერეთში ვიდრე იმერეთში. მაგრამ ეს ციფრები არ ჰქანავს ნამდვილ ვითარებას. ტფილისის გიმნაზიებში მოსწავლე ქართველებს შორის ბლობად მოიპოვებიან იმერლები, ასე რომ ქართველ გიმნაზიელებში, უეჭველია, იმერლობა მეტია როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებითაც.

რაც გიმნაზიების შესახებ აღვნიშნეთ, ისეთივე ტენდენცია ჩანს რე: დურ სასწავლებლებშიაც: ტფილისში ქართველები სომხებსა და რუსებს უკან არიან, ხოლო ქუთაისში უმრავლეს სობას შეადგენენ და ყველა სხვა ეროვნებათ სჭარბობენ. ქუთაისის რეალურ სასწავლებელში იმდენად მრავალია ქართველობა, რომ როცა ორივე—ქუთაის-ტფილისის—რეალურ სასწავლებლის საერთო ჯამს ვადგენთ, ქართველები სიმრავლით პირველ ადგილს იჭერენ და ყველა სხვა ეროვნებათ აღერთებიან. ამას მკითხველი შემდეგი ცხრილიდან დაინახავს.

ტფილისისა და ქუთაისის რეალურ სასწავლებელში იყო
სულ მოსწავლე:

წლები	ჩიტები				პროცენტი			
	ფა	ქართველი	სამხ	სხვ	ფა	ქართველი	სამხ	სხვ
1887	123	34	120	60	36,5	10,1	35,6	17,8
1888	139	28	141	50	38,8	8,6	39,4	13,2
1889	132	26	125	56	38,9	7,7	36,9	16,5
1890	148	27	112	59	42,8	7,8	32,3	17,1
1891	164	36	106	56	45,3	9,9	29,3	15,5
1892	173	45	122	66	42,6	11,1	30,1	16,2
1893	174	47	123	67	42,3	11,4	29,9	16,4
1894	194	50	125	63	44,9	11,6	28,9	14,6
1895	222	56	132	67	46,6	11,6	27,7	14,1
1896	221	62	152	69	43,8	12,3	30,2	13,7
1897	262	171	173	90	38,8	25,3	25,6	10,3
1898	318	254	186	115	36,4	29,0	20,6	14,0
1899	306	334	271	115	30,7	32,2	26,4	10,7
1900	321	380	260	137	29,2	34,6	24,7	11,5
1901	347	448	272	140	28,7	37,1	22,5	11,7
1902	370	489	239	148	29,0	38,3	21,1	11,6

ნათლად ჩანს, რომ როგორც გიმნაზიებში, ისე აქაც
აბსოლუტურის სიმრავლით ქართველები აღემატებიან სათი-
ოაოდ სხვა ეროვნებათ: რუსია $29,0\%$, —სომები— $21,1\%$,
ხოლო ქართველი— $38,3\%$. მაგრამ აქ საყურადღებოა შემდეგი:
გარემოება, რომელიც გრძნაზიებსა და პროგიმნაზიებს არ
ემჩნევა. პირველი ის, რომ აქ რუსები სომხებზე წინ არიან და-
მათ 80% -ით აღემატებიან. გიმნაზიებში კი რუსების რიცხვი
ნაკლებია სომხებისაზე. მეორეც ის, რომ სომებ მოსწავლეთა
რიცხვს უკლია შედარებით რეალურ სასწავლებლებში, მაშინ
როდესაც გიმნაზიებში ჩვენ მათი მატება აღვნება. აშ სა-
ხით აქაც იგივე მოვლენა ჩანს, რაც საერთოდ კავკასიის
ყველა რეალურ სასწავლებლებში: რომ სომხები ნაკლებ
ელტვიან რეალურ სკოლას, ვიდრე გიმნაზიასა და კლასიკურ
განათლებას (იხ. წინა წერილი). სომხებს მოჰკლებია შედა-
რებით $14,5\%$, რუსებს— $7,5\%$, ხოლო ქართველებს მოჰ-
კლებია $28,3\%$. 1887 წელს იყო ტფილისის რეალურ
სასწავლებლებში (მაშინ მარტი ეს სასწავლებელი არსებობ-

და) 34 ქართველი, 1902 წელს—კი 94 ამავე სკოლაში და 395 ქუთაისისაში. აბსოლუტურადაც ყველაზე სწრაფად წასულან წინ ქართველები, ყველაზე უფრო ნელა—სომხები. ქართველებმა მოიმატეს 1338% , რუსებმა— 201% და სომხებმა— 124% .

განსაკუთრებით თვალისაჩინოა ქართველების სიმრავლე ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რასაც მკითხველი შემდეგი ციფრებიდან დაინახავს. აქ ერთი მეორის ქვეშ მოქცეულია ტფილის—ქუთაისის რეალური სასწავლებელი. და, შედარების გასააღვილებლად, ცნობები აღებულია მხოლოდ იმ წლის შემდეგ, როცა ქუთაისში გაიხსნა რეალური სკოლა.

ტფილისის რეალური სასწავლებელი:

წლები	რიცხვი				პროცენტი			
	ჯ	ქართველი	სომხი	სახვი	ჯ	ქართველი	სომხი	სახვი
1897	241	62	164	79	44,1	11,4	30,2	14,3
1898	296	71	176	94	46,0	11,2	27,9	14,9
1899	260	80	252	87	39,1	11,6	36,7	12,6
1900	269	77	233	99	39,7	11,3	34,3	14,7
1901	283	101	245	101	38,8	13,8	33,6	13,8
1902	288	94	243	106	39,4	12,9	33,2	14,5

ქუთაისის რეალური სასწავლებელი:

წლები	ჯ	ქართველი	სომხი	სახვი	ჯ	ქართველი	სომხი	სახვი
1897	21	109	9	11	14,0	72,6	6,0	7,4
1898	27	183	10	21	11,2	75,9	4,2	8,7
1899	46	254	19	28	13,3	73,1	5,5	8,1
1900	52	303	27	38	12,4	72,0	6,4	9,2
1901	64	347	27	39	13,4	72,7	5,7	8,2
1902	82	395	26	42	15,0	72,6	4,7	7,7

ტფილისის სასწავლებელში ქართველების რიცხვს უმატნია (1887 წლიდან 1902 წლამდის) $2,8\%$ -ით, ქუთაისისაში ერთ ღონებზე გაჩერებული ($72,6\%$), რუსებს მოჰკლებია $3,1\%$ პირველში და მოჰკმატებია $1,0\%$ მეორეში; სომხებს მოჰკლებია $2,4\%$ ტფილისში და $1,3\%$ ქუთაისში. აბსოლუტურად ქართველების ზრდაა 176% ტფილისის სკოლაში და 262%

ქუთაისისაში, რუსებისა 118% — მეორეში, პირველშიდა 290%
ხოლო სომხებისა 102% ტფილისში და 188% ქუთაისში.

როგორც ზემოდ აღნიშნულ ცხრილიდანჩაეს, სულ რეა-
ლურ სასწავლებლებში იყო 1902 წ.: 370 რუსი, 489 ქართველი
და 269 სომები. აქედან: 288 ანუ 78% რუსი ტფილისისა-
ში და 82 ანუ 22% ქუთაისისაში; 243 ანუ 90% სომები-
პირველში და 26 ანუ 10% მეორეში, ხოლო ქართველი 94
ანუ 19% ტფილისში და 395 ანუ 81% ქუთაისში. ცხადია,
რუს და სომებ რეალისტთა დიდალი უმრავლესობა სწა-
ვლობს ტფილისის რეალურ სასწავლებლებში, ხოლო ქარ-
თველები ქუთაისში არიან გამაგრებულნი.

აქამდის ჩვენ ვაჟთა საშუალო სასწავლებლების კატეგო-
რიის სკოლებიდან მოვიხსენიეთ მხოლოდ: გიმნაზიები და რეა-
ლური სასწავლებლები. ამავე კატეგორიას ეკუთვნიან სამსა-
წავლებლო სასწავლებლებიც. ამგვარი სასწავლებელი სულ
სამია საქართველოში: ერთი სამასწავლებლო ინსტიტუტი
(ტფილისში) და ორი სამასწავლებლო სემინარია (გორსა და
ხონში)

ამ სასწავლებელთა შესახებ აქაც იგივე უნდა გავიმეო-
როთ, რაც წინა წერილში გვაქვს მოხსენებული, — რომ ქარ-
თველ და საზოგადოდ კავკასიის მკვიდრ მოსწავლეთა რიცხვი
ამ სკოლებში თან და თან კლებულობს, ხოლო რუსებისა,
მთავრობის სურვილისა და განზრახვის თანახმად, თან და თან
იზრდება და მატულობს. ეს ის სასწავლებლებია, საიდანაც
გამოდიან დაბალ და პირველ დაწყებით სკოლების მასწავლე-
ბლები. მთავრობის სურვილია, რომ ადგილობრივ სკოლებში
მასწავლებლებად იყვნენ რუსები და არა ქართველები ან სომ-
ხები... ამიტომაც აქ ადგილობრივ მოსწავლეთა რიცხვი მცირ-
დება, ხოლო რუსებისა მრავლდება. ეს ტენდენცია განსაკუ-
თრებით შესამჩნევია ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში
და გორის სემინარიაში. აი ამის გამომხატველი ციფრებიც.

სამასწავლებლო ინსტიტუტი:

წლები	პიცნი				პროცენტი			
	რუსი	ქართველი	სომები	სხვანი	რუსი	ქართველი	სომები	სხვანი
1887	41	30	11	7	46,1	33,8	12,2	7,9
1890	50	31	5	11	51,5	31,9	5,2	11,4
1893	47	26	10	8	51,6	28,6	11,0	8,8
1896	61	13	11	6	67,0	14,3	12,1	6,4
1899	75	19	7	3	72,1	18,3	6,7	2,9
1902	58	23	1	6	65,9	26,2	1,1	6,8

გორის სამასწავლებლო სემინარია:

1887	13	18	16	49	13,4	18,7	16,4	51,5
1890	11	18	14	43	12,8	20,9	16,3	50,0
1893	12	19	9	53	12,9	20,4	9,7	57,0
1896	16	15	8	56	16,9	15,8	8,4	58,9
1899	24	14	2	62	23,5	17,7	2,0	56,8
1902	20	17	3	64	19,2	16,4	2,9	61,5

ხონის სამასწავლებლო სემინარია:

1887	10	36	—	2	20,9	75,0	—	4,1
1890	5	42	—	4	9,8	82,3	—	7,9
1893	—	29	—	22	—	56,9	—	43,1
1896	6	33	—	14	11,3	62,3	—	26,4
1899	11	40	—	9	18,3	66,7	—	15,0
1902	10	29	—	10	20,4	59,2	—	20,4

საშუალო რიცხვით 16 წლის განმავლობაში სამასწავლებლო ინსტიტუტში ყოფილი ყოველ წლიურად: რუსი 56 (60,9%), ქართველი 23 (25,0%), სომები 8. (8,7%) და სხვანი 5 (4,4%). გორის სემინარიაში: რუსი 15 (16,4%), ქართველი 16 (17,4%), სომები 8. (8,7%) და სხვანი 53 (57,5%); ხონისაში: რუსი 6 (12,0%), ქართველი 35 (68,6%), სომები სულ არა; ხოლო სხვა ეროვნებისა 10 (19,4%)

ამ სახით, თუ საშუალო რიცხვს მივიღებთ მხედველობაში, რუსების რიცხვი მარტო ინსტიტუტში სჭარბობს ქართველებისას, ხოლო ორივე სემინარიაში ქართველები რუსებზე

მეტნი არიან. მაგრამ ეს არის მხოლოდ საშუალო რიცხვი რომელიც გამოთვლილია 16 წლის საერთო ჯამიდან. იგი არ გვიჩვენებს სხვა და სხვა ეროვნებათა ეხლანდელ რაოდენობას და არც მათს ზრდასა და გამრავლებას. 1902 წელს რუსი იყო: ინსტიტუტში 65,9% (ქართველი 26,2%, სომები 1,1%), გორის სემინარიაში 19,2% (ქართველი 16,4% და სომები 2,9%), ხონისაში 20,4% (ქართველი 59,2% და სომები 0,0%). ასე ნაკლებია საშუალო წლიურ რიცხვთან შედარებით ქართველებისა და სომხების რიცხვი. ეს დაკლებული ციფრები იქიდან წარმოსდგება, რომ ქართველ და სომები მოსწავლეთა რიცხვი თან და თან კლებაშია.

1887 წლიდან 1902 წლამდის რუსების რიცხვს მოუმარტნია აბსოლუტურად და შედარებით: ინსტიტუტში 42% და 19,8% (ქართველებისას დაუკლია 23% და 7,6%, სომხებისას — 91% და 11,1%), გორის სემინარიაში 54% და 5,8% (ქართველებისას დაუკლია 60% და 2,3%, სომხებისას — 79% და 13,5%), ხონის სემინარიაში ერთ დონეზე გაჩერებულია აბსოლუტურად და შედარებითაც (ქართველებისას დაუკლია 20% და 15,8%). ცხადია, სამასწავლებლო სასწავლებლებში რუსები მრავლდებიან და წინ მიდიან, ხოლო ქართველები და კიდევ უფრო სომხები მცირდებიან და უკან რჩებიან.

ვნახოთ ეხლა, თუ რა სურათს წარმოგვიდგენენ საერთოდ გაჟოა ყველა საშუალო სასწავლებლები, განურჩევლად ტიპისა და სახელწოდებისა. ეს სურათი მოქცეულია შემდეგს სამს ცხრილში. იქ პირველ ორში აღნიშნულია ცალ-ცალკე ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის ვაჟთა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა რაოდენობის გამომხატველი ციფრები და შემდეგ მესამე ცხრილში შეერთებულია ერთად ეს ორი ვე გუბერნიის შესახები ცნობები.

ა) ტფილისის გუბერნიაში:

წელი	ნოვემბერი				დეკემბერი			
	რენტი	ქართველი	სომხი	საქართველო	რენტი	ქართველი	სომხი	საქართველო
1887	679	283	505	292	38,6	16,1	28,7	16,6
1888	666	281	523	291	37,8	15,9	29,7	16,6
1889	693	283	517	299	38,7	15,8	28,8	16,7
1890	729	300	609	304	37,5	15,5	31,3	15,7
1891	761	328	634	337	36,9	15,9	30,7	16,5
1892	796	337	699	355	36,4	15,6	31,6	16,4
1893	825	354	716	368	36,4	14,6	33,5	15,5
1894	860	343	792	369	36,4	15,4	32,5	15,3
1895	925	388	817	384	36,8	14,8	33,1	15,2
1896	997	401	894	409	36,9	15,0	33,6	15,0
1897	1035	427	958	426	36,4	15,1	33,1	14,7
1898	1120	457	1002	444	37,1	15,5	34,9	14,4
1899	1085	478	1076	440	35,2	16,1	34,9	15,1
1900	1063	503	1096	470	33,9	17,0	34,6	14,8
1901	1100	564	1126	469	33,6	17,7	34,1	15,8
1902	1089	583	1146	539	32,4			

ბ) ქუთაისის გუბერნიაში:

წელი	ნოვემბერი				დეკემბერი			
	რენტი	ქართველი	სომხი	საქართველო	რენტი	ქართველი	სომხი	საქართველო
1887	165	410	64	46	24,1	59,9	9,4	6,6
1888	156	394	60	49	23,6	59,7	9,1	7,9
1889	156	410	56	47	23,3	61,2	8,4	7,1
1890	160	449	53	47	22,6	63,3	7,4	6,7
1891	161	500	32	57	21,5	66,6	4,2	7,7
1892	174	498	35	49	23,0	65,9	4,6	6,5
1893	171	498	40	73	21,9	63,7	5,1	9,8
1894	179	532	41	85	21,4	63,5	4,9	10,2
1895	182	516	43	78	22,2	63,0	5,3	9,5
1896	182	559	39	77	21,2	65,2	4,5	9,1
1897	210	558	51	114	22,5	59,9	5,4	12,2
1898	223	723	60	146	19,4	62,8	5,2	12,6
1899	254	900	95	136	18,4	64,9	6,9	9,8
1900	258	1007	113	164	17,0	65,3	7,3	10,4
1901	283	1088	123	172	17,0	65,3	7,3	10,4
1902	295	1129	130	175	17,1	65,3	7,5	10,1

გ) ორიგე გუბერნიაში:

წლები	როცხვი				ზომის ფონი			
	რ	ლ	ტ	ნ	რ	ლ	ტ	ნ
1887	844	693	569	338	34,5	28,4	23,2	13,9
1888	822	675	583	340	33,9	27,9	24,1	14,1
1889	849	693	573	346	34,5	28,0	23,2	14,3
1890	889	749	662	351	33,6	28,3	24,9	13,2
1891	922	828	666	394	32,8	29,5	23,7	14,0
1892	970	835	734	404	32,9	28,3	24,9	13,9
1893	996	852	756	441	32,7	28,0	24,8	14,5
1894	1039	875	833	454	32,4	27,3	26,0	14,3
1895	1107	904	860	462	33,2	27,1	25,9	13,8
1896	1179	960	933	486	33,1	27,0	26,2	13,7
1897	1245	975	1009	540	33,0	25,8	26,8	14,4
1898	1343	1180	1062	590	32,2	28,2	25,4	14,2
1899	1339	1378	1171	576	30,0	30,9	26,2	12,9
1900	1321	1510	1209	634	28,3	32,3	25,9	13,5
1901	1383	1652	1249	641	28,1	33,5	25,4	13,0
1902	1384	1712	1276	714	27,2	33,7	25,1	14,0

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ შედარებით რუსებს მოპკლებია $4,2\%$ ტფილისის გუბერნიაში და $7,0\%$ ქუთაისისაში, ქართველებს მოპმატებია $1,6\%$ პირველში და $5,4\%$ მეორეში, სომხებს მოპმატებია $5,4\%$ ტფილისის გუბერნიაში და დაპკლებია $1,9\%$ ქუთაისისაში. სამივე ამ ეროვნებათა აბსოლუტური ზრდა ასე გამოიხატება: ტფილისის გუბერნიაში რუსებს მოუმატნიათ $60\%-ით$, ქართველებს $106\%-ით$ და სომხებს $127\%-ით$, ხოლო ქუთაისისაში რუსებს $80\%-ით$, ქართველებს $171\%-ით$ და სომხებს $116\%-ით$. თუ ორივე გუბერნიის საერთო ციფრებს ავიღებთ, რუსეთის შედარებითი დაკლება გამოიხატება $7,3\%-ით$, ქართველების მატება — $5,3\%-ით$ და სომხებისა — $1,9\%-ით$. აბსოლუტურადაც უველავე მეტი ქართველებს მოპმატებია (147%), შემდეგ სომხებსა (124%) და რუსებს (64%). ამ სახით, ზრდის როგორც აბსოლუტურის, ისე შედარებითის სისწრაფით ქართველები წინ უსწრებენ სომხებსაც და რუსებსაც.

მაგრამ ეს წინ გასწრება იმას არ მოასწავებს, რომ ვი-
თომ ვაჟთა საშუალო სწავლა-განათლება უფრო გავრცელე-
ბული იყოს ქართველებში, ვიდრე ჩვენში მცხოვრებ სომხებსა
ან რუსებში. ის ფაქტი, რომ ქართველები უმრავლესობას შეა-
დგენენ ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში ($33,7\%$, რუსი
 $27,2\%$, სომები $25,1\%$, — 1902 წელს), არ ნიშნავს კიდევ,
რომ ჩვენ სხვებზე უფრო დაწინაურებულნი ვიყოთ საშუალო
სწავლა-განათლების გავრცელებულობის მხრით. თუ ხსენებულ
სკოლებში ქართველ მოსწავლეთა რიცხვი თითოეულ სხვა
ეროვნების მოსწავლეთა რიცხვზე მეტია, სამაგიეროდ საქარ-
თველოში მცხოვრებ ქართველ ხალხის რიცხვიც მეტია სხვა
ხალხებთან შედარებით. აქ ნამდვილ და სწორე წარმოდგენის
შესაღენად საჭიროა, რომ მოსწავლეთა რაოდენობა ხალხის-
საერთო რიცხვის მიხედვით შევადაროთ ერთმანეთს. 1902
წელს ვაჟთა ყველა საშუალო სასწავლებლებში იყო სულ:
რუსი 1384 ანუ $31,7\%$, ქართველი 1712 ანუ $39,1\%$ და
სომები 1276 ანუ $29,2\%$. ხალხის რიცხვის მიხედვით რუ-
სებს უწევს $5,5\%$ (მაშასაღამე, მეტი ჰყავთ $26,2\%$ -ით), სომ-
ხებს — $13,4\%$ (მეტი ჰყავთ $15,8\%$ -ით), ხოლო — ქართველებს
 $81,1\%$ (აკლია 42%).

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ საშუალო სწავლა-განა-
თლების გავრცელებულობის მხრით პირველი ადგილი უჭი-
რავთ რუსებს, მეორე — სომხებს და მესამე — ჩვენ, ქართვე-
ლებს. მართალია, — ეს ზევითაც ვთქვით და აქაც ვიმეო-
რებთ, — საშუალო სასწავლებლებში მყოფი რუსი და სო-
მები მოსწავლეები ყველა აქაური მცხოვრებნი არ არიან,
არამედ ზოგი მათგანი სხვა გუბერნიებიდანაა სასწავლად მო-
სული, ჩვენ კი ყველა ისინი ანგარიშის დროს ადგილობრივ
მცხოვრებლებად ვიგულისხმეთ; ასეთი გულისხმობა უფრო
დიდად აჩენს სწავლა-განათლების გავრცელებას რუსებსა. და
სომხებში, ვიდრე ეს ნამდვილიდ არის. ამიტომ ზემოდ აღნი-
შული. საშუალო სწავლის გავრცელებულობის მაჩვენებელი
ციფრები ცოტა შეკვეცით არის მისაღები. მაგრამ რამდენა-

დაც შესასწორებელი უნდა იყოს ის ციფრები, ყოველ შემთხვევაში, ჩვენის აზრით ეჭვს გარეშეა, რომ ვაჟების-საშუალო განათლება შედარებით ქართველებში ნაკლებაა გავრცელებული, ვიდრე აქაურ რუსებსა და სომხებში.

ეს არც გასაკვირია. ყველა სახელმწიფო თუ კერძო და წესებულებაში რუსები უმრავლესობას შეადგენენ, — ჩინოვნიკების დიდალი ნაწილი ჩვენში რუსებისაგან შესდგება. მეორე-მხრით ვაჭრობა-მრეწველობაში სომხები არიან გაბატონებული. და, რასაკვირველია, ამათ ქართველებზე უფრო აღვილად შეუძლიანთ შვილების გამოზრდა საშუალო სასწავლებლებში და, მაშასადამე, საშუალო სწავლის გავრცელება თავის წრეში.

თუ მარტო ქართველებსა და სომხებს შევადარებთ ერთმანეთს, შემდეგ ციფრებს მივიღებთ. საშუალო სასწავლებლებში მყოფ ქართველ და სომებ მოსწავლეთაგან (1902 წ.) ქართველები შეადგენდენ 57,3%-ს და სომხები დანარჩენ 42,7%-ს. მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით სომხებს უწევს 14,2% (მაშასადამე, მეტი ჰყავთ 28,5%-ით) და ქართველებს — 85,8% (აკლიათ 28,5%).

საინტერესოა აგრეთვე ვაჟთა საშუალო სწავლა-განათლების გავრცელების მხრით შევადაროთ ერთმანეთს იმერეთი და ამერეთი. 1902 წელს 1712 ქართველ მოსწავლეთაგან 583 ანუ 34,1% იყო ტფილისის გუბერნიაში და 1129 ანუ 65,9% ქუთაისისაში. ქართველ ხალხის საერთო რიცხვის მიხედვით ამერეთს უწევს 37,9% და იმერეთს — 62,1%,— მაშინ იქნება მათ შორის მოსწავლეთა რაოდენობა თანაბრად განაწილებული. ნამდვილად კი ამ ნორმამდის ამერეთს აკლია 3,8% და იმერეთს მეტი ჰყავს ამ 3,8%-ით. მაშასადამე, ვაჟთა საშუალო სწავლა-განათლება შედარებით უფრო გავრცელებულია ქუთაისის გუბერნიის ქართველობაში, ვიდრე ტფილისისაში. ამასთან თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ტფილისის გუბერნიის საშუალო სასწავლებლებში ბლომად არიან იმერითიდან მოსული ქართველი მოსწავლეებიც, იმ შემ-

თხვევაში იმერეთის დაწინაურება კიდევ უფრო დიდად და თვალსაჩინოდ გქნება წარმოსადგენი.

გადავიდეთ ეხლა ქალთა სასწავლებლებზე და განვმარტოთ ამათი შესახები ციფრები. ამ უამად ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში შემდეგი სასწავლებლები არსებობს ქალებისათვის: სამი გიმნაზია და ერთი წმ. ნინოს სასწავლებელი ტფილისში (ქალთა ინსტიტუტი ამ ანგარიშში არ შედის), ერთი ასეთივე სასწავლებელი ქუთაისში და ერთი გიმნაზია ბათუმში. პროგიმნაზიები: გორში, თელავში, ფოთში და სოხუმში.

ქალთა სასწავლებლებში იყო საშუალო რიცხვით მოსწავლე ყოველ წლიურად:

ქალთა სასწავლებლები	რიცხვები				პროცენტები			
	რიცხვი	ჭრის დრო	სამართლებრივი სამსახური	სამართლებრივი სამსახური	რიცხვი	ჭრის დრო	სამართლებრივი სამსახური	სამართლებრივი სამსახური
ტფილისის ქალთა 1-ლ გიმნაზიაში	391	120	248	102	45,4	13,9	28,8	11,9
” ” მე-2 ”	329	87	140	107	49,6	13,1	21,1	16,2
” ” მე-3 ”	86	42	256	32	20,7	10,1	61,1	8,1
” წმ. ნინოს სასწავლებელში	223	125	74	16	50,9	28,7	16,9	3,5
ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში ”	146	273	45	30	29,6	55,3	11,6	3,5
ბათუმის ქალთა გიმნაზიაში ”	70	63	32	46	33,1	29,9	15,2	21,8
გორის ქალთა პროგიმნაზიაში	25	100	30	2	15,9	63,8	19,1	1,2
თელავის ” ”	11	98	74	—	6,0	53,6	40,4	—
ფოთის ” ”	12	42	3	49	19,7	68,8	4,9	6,6
სოხუმის ” ”	29	11	4	56	29,0	11,0	4,0	14,0
სულ ტფილისის გუბერნიის ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში	962	466	692	258	40,5	19,6	29,1	10,8
სულ ქუთაისის გუბერნიის ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში	189	299	55	94	29,7	46,9	8,7	14,7
სულ ორივე გუბერნიისაში	1151	765	747	352	39,3	26,2	23,4	11,1

ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენ ქალთა სასწავლა-განათლების საქმეში სხვა ერებთან შედარებით ძალიან უკან ჩამორჩენილი ვართ. ტფილისის გუბერნიის ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში აბსოლუტურის სიმრავლით პირველი

ადგილი უჭირავთ რუსებს, მეორე სომხებს და მესამე ქართველებს; ქუთაისისაში პროველი—ქართველებს, მეორე—რუსებს და მესამე—სომხებს. თუ საერთოდ ორივე გუბერნიის სასწავლებლებს ავიღებთ, პირველ ადგილას არიან რუსები, მეორე ადგილი უჭირავთ ქართველებს და მესამე—სომხებს. რიცხვით მცირე რუსებს ქართველებზე მეტი მოსწავლე ქალით ჰყავ სასწავლებლებში და ასევე რიცხვით მცირე სომხობა თითქმის გათანასწორებულია აბსოლუტურად ქართველობასთან.

თითოეულ ეროვნების მოსწავლეთა რიცხვის თანდათანს ზრდასა თუ დაკლებას მკითხველი შემდეგი ცხრილიდან დაინახავს.

ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში მოსწავლენი ეროვნების მიხედვით ასე განაწილდებოდნენ ყოველ წლიურად:

ა) ტფილისის გუბენიაში:

წლები	რიცხვები				პროცენტები			
	რეს	ქართველი	სომ	საქანი	რეს	ქართველი	სომ	საქანი
1887	698	272	321	154	48,3	18,8	22,2	10,7
1888	692	275	321	148	48,2	19,2	22,4	10,2
1889	730	284	328	137	49,4	19,2	22,1	9,3
1890	740	280	358	154	48,3	18,3	23,3	10,1
1891	756	299	365	153	48,0	19,0	23,2	9,8
1892	788	306	368	167	48,4	18,8	22,6	10,2
1893	885	344	390	185	49,1	19,1	21,6	10,2
1894	961	376	525	234	45,8	17,9	25,1	11,2
1895	1028	420	547	231	46,2	18,9	24,6	10,3
1896	1030	487	685	248	42,1	19,9	27,9	10,1
1897	1103	521	805	266	40,9	19,3	29,9	9,9
1898	1127	648	920	276	37,9	21,8	30,9	9,4
1899	1173	660	943	307	38,0	21,4	30,6	10,0
1900	1219	707	1026	320	37,2	21,6	31,4	9,8
1901	1210	768	1049	312	36,2	23,0	31,4	9,4
1902	1249	817	1129	357	35,2	23,0	31,8	10,0

ծ) յշտաւուս զշօնեամա:

Քլյօն	Հ Օ Ծ Ե Ց Ս				Յ Ն Դ Ծ Ե Ց Գ			
	Հրաբուխ	Հարտպղու	Տռթիքն	Տէցան	Հրաբուխ	Հարտպղու	Տռթիքն	Տէցան
1887	126	192	52	24	31,9	48,7	13,2	6,2
1888	121	171	45	49	31,4	44,3	11,6	12,7
1889	136	192	46	41	32,7	46,3	11,1	9,9
1890	147	172	50	62	34,1	39,9	11,6	14,4
1891	150	168	49	76	34,0	38,0	11,1	16,9
1892	142	196	40	73	31,5	43,5	8,8	16,2
1893	142	214	36	80	30,1	45,3	7,6	17,0
1894	170	233	35	89	32,3	44,2	6,6	16,9
1895	173	259	43	103	30,0	44,8	7,4	17,8
1896	191	304	40	99	30,1	47,9	6,4	15,6
1897	213	303	45	116	31,4	44,8	6,7	17,7
1898	227	372	52	109	29,8	48,9	6,8	14,5
1899	217	410	46	105	27,9	52,7	5,9	18,5
1900	266	474	88	143	27,4	48,8	9,0	14,8
1901	284	539	101	166	26,0	49,4	9,3	15,3
1902	322	584	111	180	26,8	48,8	9,2	15,2

ծ) առևացա զշօնեամա:

Քլյօն	Հ Օ Ծ Ե Ց Ս				Յ Ն Դ Ծ Ե Ց Գ			
	Հրաբուխ	Հարտպղու	Տռթիքն	Տէցան	Հրաբուխ	Հարտպղու	Տռթիքն	Տէցան
1887	824	464	373	178	44,8	25,2	20,3	9,7
1888	813	446	366	197	44,6	24,4	20,1	10,9
1889	866	476	374	178	45,7	25,1	19,7	9,5
1890	887	452	408	216	45,2	23,0	20,8	11,0
1891	906	467	414	229	44,9	23,1	20,5	11,5
1892	930	502	408	240	44,7	24,1	19,6	11,6
1893	1027	558	426	265	45,1	24,5	18,7	11,7
1894	1131	609	560	323	43,1	23,2	21,4	12,3
1895	1201	679	590	334	42,8	24,2	21,1	11,9
1896	1221	791	725	347	39,6	25,6	23,5	11,3
1897	1316	824	850	382	39,0	24,4	25,2	11,4
1898	1354	1020	972	385	36,3	27,3	26,1	10,3
1899	1390	1070	989	412	36,0	27,7	25,6	10,7
1900	1485	1181	1114	463	34,9	27,8	26,2	11,1
1901	1494	1307	1150	478	33,7	29,9	25,9	10,5
1902	1571	1401	1238	537	33,1	29,5	26,1	11,3

ამ ციფრებიდან ორი მთავარი დასკვნა გამოდის. პირველი ის, რომ ჩვენ, ქართველები, რუსებსა და სომხებზე ნაკლებ ვეტანებით ქალთა განათლებას. 1902 წელს საშუალო სასწავლებლებში ორივე სქესის მოსწავლეთა რიცხვი იყო: ქართველების — 3113 (აქედან 55,0% ვაჟი და 45,0% ქალი), რუსების — 2955 (46,8% ვაჟი და 53,2% ქალი) და სომხების — 2514 (50,8% ვაჟი და 49,2% ქალი). ამგვარად ქართველ მოსწავლეებში ქალები შეადგენენ 45,0%-ს, ხოლო რუსებში 53,2%-ს და სომხებში 49,2%-ს. ცხადია, რომ ჩვენ ქალების სწავლა-განათლებას ნაკლებ ყურადღებას ვაჭრევთ, ვიდრე რუსები და სომხები. იმათში მოსწავლე ქალებს მეტი პროცენტი უკავიათ, ვიდრე ქართველებში.

მეორე დასკვნა შეეხება ქალთა სწავლა-განათლების გავრცელებას იმერეთსა და ამერეთში. ზემოდ მოყვანილ ციფრებით ჩვენ დავრწმუნდით, რომ ვაჟების საშუალო განათლების გავრცელებულობის მხრით ქუთაისის გუბერნია, როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებითაც, წინ უსწრებს ტფილისისას. ქალთა განათლების საქმეში-კი სულ წინააღმდეგს ვხედავთ. აქ აბსოლუტურად და შედარებითაც ტფილისის გუბერნია წინ დგას და იმერეთი ძალიან ჩამორჩენილია. 1902 წელს საშუალო სასწავლებლებში ორივე სქესის ქართველ მოსწავლეთა რიცხვი იყო: ტფილისის გუბერნიაში 1400 (აქედან 41,6% ვაჟი და 58,4% ქალი) და ქუთაისისაში 1713 (აქედან 65,9% ვაჟი და 34,1% ქალი). როგორც ხედავთ, ქართველ მოსწავლეებში ქალები შეადგენენ 58,4%-ს ამერეთში და მხოლოდ 34,1%-ს იმერეთში.

თუ ხალხის საერთო რიცხვს მივიღებთ მხედველობაში და ამის მიხედვით მოსწავლე ქალებს სამივე ეროვნების შორის თანაბრად გავანაწილებთ, რუსებს უწევს, 5,5%, სომხებს — 13,4% და ქართველებს — 81,1%. ნამდვილად-კი რუსები შეადგენენ 37,3%-ს, სომხები 29,4%-ს, ხოლო ქართველები დანარჩენ 33,3%-ს. ამგვარად, რუსებს ამ ნორმაზე მეტი ჰყავთ 31,8%-ით, სომხებს — 16,0%-ით და ქართველებს — ნაკლები 47,8%-ით.

თუ ყოველწლიურ აბსოლუტურ და შედარებით ზრდის მაჩვენებელ ციფრებს მივაჭრევთ ყურადღებას, შევამჩნევთ,

რომ რუს მოსწავლეების რიცხვი ისე სწრაფად ვერ იზრდება, როგორც სომხების და ქართველებისა. 1887 წლიდან 1902 წლამდის ქართველების რიცხვს მოპმატებია აბსოლუტურად 202%, სომხებისას — 232%, ხოლო რუსებისას — 91%. შედარებით რუსებს დაუკლიათ 11,7%-ით, ქართველებს მოუმატნიათ 4,3%-ით და სომხებს — 5,8%-ით. ქართველების შედარებითი მატება უფრო დიდია ტფილისის გუბერნიაში, ვიდრე ქუთაისისაში. აქ ისინი იმავე პროცენტს შეაღენდნენ 1902 წელს, რასაც 1887 წელს (48,8%), ხოლო ტფილისის გუბერნიაში მათი რიცხვი 18,8%-დან ავიდა 23,0%-ზე და ამ სახით მოიმატა 4,2%.

აფილოთ ეხლა საერთოდ ყველა საშუალო სასწავლებლები (ორივე სქესისა) და გავსინჯოთ, თუ რას ამბობენ ერთად შეერთებული ციფრები.

ორივე სქესის ყველა საშუალო სასწავლებლებში, რომლებიც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში არსებობენ, იყო სულ მოსწავლე:

ა) ტფილისის გუბერნიაში:

წლები	რიცხვი				პროცენტი			
	რუსი	ქართველი	სომხი	სახანი	რუსი	ქართველი	სომხი	სახანი
1887	1377	555	826	446	42,9	17,3	25,8	14,0
1888	1358	556	844	439	42,6	17,4	26,4	13,6
1889	1423	567	845	436	43,5	17,3	25,8	13,4
1890	1469	580	967	458	42,3	16,7	27,8	13,2
1891	1517	627	999	490	41,8	17,3	27,5	13,4
1892	1584	643	1067	522	41,5	16,8	27,9	13,8
1893	1710	698	1106	553	42,0	17,2	27,2	13,6
1894	1821	719	1317	603	40,2	15,9	29,1	14,8
1895	1953	808	1364	615	41,2	17,1	28,8	12,9
1896	2027	888	1579	657	39,3	17,2	30,6	12,9
1897	2138	948	1763	692	38,6	17,1	31,8	12,5
1898	2247	1105	1922	720	37,5	18,4	32,1	12,0
1899	2258	1138	2019	747	36,6	18,4	32,8	12,2
1900	2282	1210	2122	790	35,3	18,9	34,3	11,5
1901	2310	1332	2175	781	35,0	20,2	32,9	11,9
1902	2338	1400	2273	896	33,8	20,3	32,9	13,0

ბ) ქუთაისის გუბერნიაში:

წლები	რიცხვი				ზოგადი			
	რიცხვი	ქართველი	სომები	სახანი	რიცხვი	ქართველი	სომები	სახანი
1887	291	602	116	70	26,9	55,8	10,7	16,6
1888	277	565	105	98	26,5	54,1	10,1	9,3
1889	292	602	102	88	26,9	55,5	9,4	8,2
1890	307	621	103	109	26,9	54,4	9,0	9,7
1891	311	668	81	133	26,1	56,0	6,8	11,1
1892	316	694	75	122	26,2	57,5	6,2	10,1
1893	313	712	76	153	25,0	56,8	6,1	12,1
1894	349	762	76	174	25,6	55,9	5,6	12,9
1895	355	775	86	181	25,4	55,5	6,2	12,9
1896	373	863	79	176	25,0	57,9	5,3	11,8
1897	423	861	96	230	26,3	53,4	5,9	14,4
1898	450	1095	114	255	23,4	57,2	5,9	13,5
1899	471	1310	141	241	21,8	60,6	6,5	11,1
1900	524	1481	201	307	20,9	58,9	7,9	12,3
1901	567	1627	224	338	20,6	59,0	8,1	12,3
1902	617	1713	241	355	21,1	58,5	8,3	12,1

გ) თრიალის გუბერნიაში:

წლები	რიცხვი				ზოგადი			
	რიცხვი	ქართველი	სომები	სახანი	რიცხვი	ქართველი	სომები	სახანი
1887	1668	1157	942	516	38,9	27,0	21,9	12,2
1888	1635	1121	949	537	38,5	26,4	22,3	12,8
1889	1715	1169	957	524	39,3	26,8	21,9	12,0
1890	1776	1211	1070	567	38,4	26,2	21,8	13,6
1891	1828	1295	1081	623	37,8	26,8	22,4	13,0
1892	1900	1338	1142	644	37,8	26,6	22,7	12,9
1893	2023	1410	1182	700	38,0	26,5	22,7	12,8
1894	2170	1484	1393	779	37,2	25,4	23,9	13,5
1895	2308	1583	1450	800	37,5	25,7	23,6	13,2
1896	2400	1751	1658	838	36,1	26,3	24,9	12,7
1897	2561	1809	1859	925	35,8	25,3	25,9	13,0
1898	2697	2200	2084	979	34,1	27,8	25,7	12,4
1899	2729	2448	2160	996	32,7	29,3	25,9	12,1
1900	2806	2689	2323	1108	31,4	30,1	26,0	12,5
1901	2877	2959	2399	1134	30,7	31,6	25,6	12,1
1902	2955	3113	2514	1263	30,0	31,6	25,5	12,9

ეს ცხრილები შეიცავს ყველა იმ ციფრებს, რომლებიც ჩვენ აქამდის თითოეულ ტიპის სასწავლებლების აღნიშვნის დროს ცალ-ცალკე მოვიხსენიეთ. იგი აერთებს სხვა და სხვა საშუალო სასწავლებელთა შესახებ ცნობებს და ამით მკითხველს უადვილებს მოვლენის მიმდინარეობის გათვალისწინებას. აქ აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ (1902 წ.), თითოეულ სხვა ეროვნებასთან შედარებით, ქართველები (31,6%). ამათ მოსდევენ რუსები (30%) და შემდეგ სომხები (25,5%). აბსოლუტურის ზრდის სისწრაფითაც ქართველები წინ არიან სხვებთან შედარებით: 1887 წლიდან 1902 წლამდის იმათ რიცხვს უმატნია 16,9%-ით, სომხებისას — 12,7%-ით, ხოლო რუსებისას 7,7% ით. შედარებით რუსებს დააკლდა 8,9%, ქართველებს მოემატა 4,6% და სომხებს — 3,6%.

თუმცა აბსოლუტურის სიმრავლით ქართველები სათითა-ოდ რუსებსაც და სომხებსაც აღემატებიან, საშუალო სწავლა-განათლების გავრცელებულობის მხრით იმათ მაინც პირველი ადგილი არ უჭირავთ, არამედ უკანასკნელი, — მცირე რიცხვოვან რუსობას და სომხობას შედარებით მეტი მოსწავლეები ჰყავს საშუალო სასწავლებლებში, ვიდრე ქართველობას, რომელიც დიდძალ უმრავლესობას შეადგენს საქართველოში. რუსებს 28,9%-ით იმაზე მეტი მოსწავლე ჰყავთ საშუალო სასწავლებლებში, რაც მათ უწევთ ჩვენში მცხოვრებ რუსთა რიცხვის მდებარეობით, და სომხებს — მეტი 15,9%-ით, ხოლო ჩვენ, ქართველებს, გვაკლია ნორმამდის 44,8%.-

რა თქმა უნდა, ქართველ მოსწავლეების უმრავლესობა არის ქუთაისის გუბერნიაში (55,1%) და უმცირესობა — ტფილისისაში (44,9%). იმერეთს მაინც იმოდენა პროცენტი არა აქვს (62,1%), რაც უწევს მას იქ მცხოვრებ ქართველობის რიცხვის მიხედვით, — მას აკლია 7,%. მაგრამ ეს იმას არ მოასწავებს, რომ ვითომ, საშუალო სწავლა-განათლება იმერეთში ნაკლებ გავრცელებული იყოს, ვიდრე ამერეთში. სასწავლებლების უმრავლესობა დარსებულია ტფილისის გუბერნიაში და აქ მყოფ ქართველ მოსწავლეთა შორის მოი-

პოვებიან ბევრნი, რომელნიც ქუთაისის გუბერნიიდან არიან სასწავლად წამოსულნი, ასე რომ საშუალო სწავლა-განათლების გარცელებულობის მხრით, უეჭველია, იმერეთი უფრო წინ წასულია, ვიდრე ამერეთი.

სასწავლებელთა მეორე კატეგორიას შეადგენენ დაბალი სასწავლებლები. ესენია: სამოქალაქო და სამრეწველო სასწავლებლები, „მთიელთა“ და მარიაშის სახელობის ქალთა სკოლები. ჩვენ სათითაოდ აღარ მოგვყავ ყოველ წლიური ცნობები თითოეულ ამ სასწავლებლების შესახებ და ვკმაყოფილდებით მხოლოდ საშუალო რიცხვის გამომხატველ ციფრებით.

ამ სასწავლებლებში იყო საშუალო რიცხვით მოსწავლე ყოველ წლიურად:

სასწავლებლები.	რიცხვი				პროცენტი			
	რეს	ერთეული	საშუალო	საშუალო	რეს	ერთეული	საშუალო	საშუალო
სამოქალაქო სასწავლებლებისა და მუთაისის რიცხვები	459	763	863	130	20,7	34,4	39,0	5,9
" " მუთაისის რიცხვები	118	1365	54	84	7,3	84,2	3,3	5,2
სამრეწველო სასწავლებლებისა და მუთაისის რიცხვები	577	2128	917	214	15,0	55,4	23,9	5,7
" " მუთაისის რიცხვები	61	91	81	44	22,0	32,8	29,3	15,9
" " მუთაისის რიცხვები	22	33	5	9	31,9	47,8	7,2	13,1
„მთიელთა“ სკოლაში სოცხემისა და მარიაშის სახელობის ქალთა სასწავლებლებში რიცხვები	83	124	86	53	24,0	35,8	24,8	15,4
„მთიელთა“ სკოლაში სოცხემისა და მარიაშის სახელობის ქალთა სასწავლებლებში რიცხვები	19	29	11	86	13,1	20,0	7,5	59,4
მარიაშის სახელობის ქალთა სასწავლებლებში რიცხვები	7	67	77	—	4,7	44,4	50,9	—
მარიაშის სახელობის ქალთა სასწავლებლებში კუთაისის გუბერნიისა და მარიაშის სახელობის ქალთა სასწავლებლებში რიცხვები	60	86	20	33	30,2	43,2	10,0	16,6
სულ დაბალ სასწავლებლებში რიცხვები გუბერნიისა და მილიონობის განათლებას	61	100	36	46	25,1	41,1	15,1	18,7
სულ დაბალ სასწავლებლებში რიცხვები გუბერნიისა და მილიონობის განათლებას	521	868	958	173	20,7	34,4	38,0	6,9
" " კუთაისის გუბერნიისა და მილიონობის განათლებას	214	1489	86	211	10,7	74,4	4,3	10,6
" " მუთაისის გუბერნიისა და მილიონობის განათლებას	735	2357	1044	384	16,2	52,4	23,1	8,6

დაბალ სასწავლებელთა უმრავლესობა, როგორც ყველამ იცის, არსებობს ქალაქებში. ცხადია, აქ ქალაქებლთა შვილები უფრო ადვილად შევლენ და მიღებენ განათლებას, ვიდრე სოფლებებისა. ამას ცხადად გვიჩვენებს ის ციფრი, რომელიც ტფილისის გუბერნიის დაბალ სასწავლებლებში

მოსწავლე ქართველებისა და სომხების რიცხვს აღნიშნავს. საშუალო რიცხვით სომხები შეადგენენ აქ 38,0%-ს, ქართვები—34,4%-ს და რუსები—20,7%-ს. სომხები ისე გაძლიერებული არიან ტფილისის გუბერნიის ქალაქებში, რომ მათი მოსწავლეთა რიცხვი აბსოლუტურადაც მეტია ქართველებისაზე. მართალია, ორივე გუბერნიის საერთო ჯამში ქართველებს პირველი ადგილი უჭირავთ, მაგრამ ეს ხდება იმერეთის წყალობით, სადაც ქართველი მოსწავლენი მოწაფეთა საერთო რიცხვის 74,4%-ს შეადგენენ. ორივე გუბერნიის დაბალ სასწავლებლებში ქართველების რიცხვია 52,1%, რუსების—16,2% და სომხებისა—23,1%.

სხვა-და-სხვა ეროვნების მოსწავლეთა რიცხვის ყოველწლიურს ზრდას გვიჩვენებს შემდეგი სამი ცხრილი, რომლებშიაც თითოეულ გუბერნიის ციფრები ცალ-ცალკეა დაწყობილი.

დაბალ სასწავლებლების მოსწავლენი ასე განაწილდებოდნენ ეროვნების მიხედვით ყოველ-წლიურად:

ა) ტფიაღისის გუბერნიაში:

წელი	რიცხვი				პროცენტი			
	რუსი	ქართველი	სომხი	სხვანი	რუსი	ქართველი	სომხი	სხვანი
1887	260.	676	603	109	15,8	41,0	36,6	6,6
1888	291	644	625	115	17,3	38,4	37,5	6,8
1889	328	692	778	140	17,0	35,7	40,2	7,1
1890	345	734	845	171	16,4	35,0	40,3	8,3
1891	389	777	912	182	17,4	34,3	40,3	8,0
1892	447	787	887	179	19,1	34,2	38,7	8,
1893	466	791	874	179	20,1	34,3	37,8	7,8
1894	493	796	844	155	21,6	34,8	36,9	6,7
1895	519	767	769	172	23,3	34,4	34,9	7,4
1896	577	851	929	160	23,9	35,2	34,3	6,6
1897	650	920	1072	166	23,1	32,8	38,1	6,0
1898	650	960	1045	180	22,9	34,0	36,9	6,2
1899	669	1016	1032	178	23,1	35,4	35,7	5,8
1900	763	1127	1355	218	22,0	32,5	39,3	6,2
1901	728	1131	1416	229	20,8	32,2	40,4	6,6
1902	766	1209	1341	234	21,6	34,1	37,7	6,6

ბ) ქუთაისის გუბერნიაში:

წლები	ნ ი ც ხ ვ ი				ზ რ ი ც ე ნ ი			
	რ უ ს ი	ქართ-ველი	სომხი	სხვანი	რ უ ს ი	ქართ-ველი	სომხი	სხვანი
1887	95	900	42	107	7,4	78,7	3,9	10,0
1888	129	917	25	130	10,7	76,4	2,1	10,8
1889	139	849	27	138	12,0	73,7	2,3	12,0
1890	192	864	54	154	15,2	68,9	4,3	11,6
1891	226	856	77	162	17,1	64,8	5,8	12,3
1892	264	987	76	183	17,5	65,3	5,0	12,2
1893	218	1160	71	264	12,7	67,7	4,2	15,4
1894	220	1168	91	254	12,7	67,4	5,2	14,7
1895	222	1268	82	182	12,7	72,3	4,7	10,3
1896	238	1225	120	272	12,8	66,0	6,4	14,8
1897	257	1305	117	265	13,2	67,2	6,0	13,6
1898	237	1531	117	264	11,0	71,2	5,4	12,4
1899	235	2278	122	264	8,0	72,6	4,1	15,3
1900	236	2684	113	252	7,2	81,7	3,4	7,7
1901	238	2683	127	295	7,1	80,2	3,8	8,9
1902	274	3054	113	284	7,4	81,9	3,1	7,6

ბ) თრთიანების გუბერნიაში:

წლები	ნ ი ც ხ ვ ი				ზ რ ი ც ე ნ ი			
	რ უ ს ი	ქართ-ველი	სომხი	სხვანი	რ უ ს ი	ქართ-ველი	სომხი	სხვანი
1887	355	1576	645	216	12,7	56,5	23,1	7,7
1888	420	1561	650	245	14,6	54,3	22,7	8,4
1889	467	1541	805	278	15,1	49,1	26,1	9,7
1890	537	1598	899	335	15,9	47,3	26,6	10,2
1891	615	1633	989	344	17,2	45,6	27,6	9,6
1892	711	1774	968	362	18,9	46,5	25,3	9,3
1893	684	1957	945	443	16,9	48,5	23,4	11,2
1894	713	1964	935	409	17,7	48,8	21,4	12,1
1895	741	2035	861	354	18,1	49,7	21,9	10,3
1896	815	2076	1049	432	18,7	47,5	23,9	9,9
1897	907	2225	1189	431	19,1	46,8	25,0	9,1
1898	887	2491	1162	444	17,8	49,9	23,3	9,0
1899	904	3394	1154	442	17,0	57,6	19,6	5,8
1900	999	3811	1468	470	14,8	56,5	21,7	7,0
1901	966	3814	1543	524	14,1	55,7	22,5	7,7
1902	1040	4263	1454	518	14,3	58,6	19,9	7,2

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ საერთოდ ორივე გუბერნიის დაბალ სასწავლებლებში აბსოლუტურის სიმრავლით პირველი ადგილი უჭირავთ ქართველებს, მეორე—სომხებს და მესამე—რუსებს. ზრდის აბსოლუტური სისწრაფითაც ქართველები წინ არიან სომხებთან შედარებით: იმათ რიცხვს მოჰკიცებია 171%, რუსებისას—193%, ხოლო სომხებისას—125%. შედარებით უკლია სომხების რიცხვს და უმატნია ქართველებისა და რუსებისას; ე. ი. სომხებს დღეს შედარებით ისე მაგარი პოზიცია არ უჭირავთ დაბალ სასწავლებლებში, როგორც 1887 წელს, —თან და თან მრავლდებიან ამ სკოლებში ქართველები და უწევენ მათ კონკურენციას. 1887 წელს სომხების რიცხვი იყო 23,1%, 1902 წელს—კი—19,9%, მაშასადამე, მოაკლდა 2,2% ხოლო ქართველებს მიემატა 2,1% და რუსებს—1,6%. რუსებისა და სომხების რიცხვი შედარებით უფრო ტფილისის გუბერნიაში მრავლდება, ვიდრე ქუთაისისაში. ქართველ მოსწავლეთა უმრავლესობა სწავლობს ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლებში,—აქ ისინი შეადგენენ 81,9%-ს, ხოლო ტფილისისაში—34,1%-ს. იმერეთი აქაც წინ უსწრებს ამერეთს,— ქართველობის საერთო რიცხვის მიხედვით, იმერეთს 9,6%-ით მეტი მოსწავლე ჰყავს დაბალ სკოლებში, ხოლო ამერეთს ამდენივე პროცენტით ნაკლები.

დაბალ სკოლებს შემდეგ მოსახსენებელია კერძო სასწავლებლები. ამ კატეგორიის სკოლებში ქართველი ელემენტი უფრო ძლიერია, მაგარი პოზიცია უჭირავს, ვიდრე ყველა სხვა აქამდის ნახსენებ სასწავლებლებში. სხვა და სხვა ეროვნების მოსწავლეთა ყოველ წლიურ სიმრავლეს, მათს ზრდასა თუ შედარებითს შემცირებას გვიჩვენებს შემდეგი სამი ცხრილი, რომლებშიაც ციფრები სხვა ცხრილების მსგავსად არის დაწყობილი.

კერძო სასწავლებლებში იყო სულ მოსწავლე:

ა) ტფილისის გუბერნიაში:

წლები	რ ი ც ხ ვ ი				ვ რ ი ც ხ ვ ი			
	რ უ სი	ქართველი	სომხი	ს ხ ვ ა ნ ი	რ უ სი	ქართველი	სომხი	ს ხ ვ ა ნ ი
1887	398	385	409	152	29,7	28,6	30,4	11,3
1888	421	406	385	146	31,0	29,9	28,3	10,8
1889	331	359	398	181	26,1	28,3	31,4	14,2
1890	345	401	361	116	28,2	32,8	29,5	9,5
1891	303	420	383	78	25,6	35,5	32,3	6,6
1892	224	599	403	74	17,2	46,1	31,0	5,7
1893	375	492	463	82	26,6	34,8	32,8	5,8
1894	525	572	446	103	31,9	34,8	27,1	6,2
1895	514	616	552	120	28,5	34,2	30,6	6,7
1896	685	799	756	122	29,0	33,8	32,0	5,2
1897	538	827	884	104	22,8	35,1	37,5	4,6
1898	510	843	784	105	22,8	37,6	35,0	4,6
1899	386	1144	988	98	15,0	44,9	36,6	3,5
1900	454	1066	845	151	18,0	42,4	33,6	6,0
1901	412	1217	799	177	15,8	46,7	30,6	6,9
1902	636	1296	1041	144	20,4	41,6	33,4	4,6

ბ) ქუთაისის გუბერნიაში:

წლები	რ ი ც ხ ვ ი				ვ რ ი ც ხ ვ ი			
	რ უ სი	ქართველი	სომხი	ს ხ ვ ა ნ ი	რ უ სი	ქართველი	სომხი	ს ხ ვ ა ნ ი
1887	5	631	4	10	0,8	97,1	0,6	1,5
1888	3	602	7	12	0,5	96,4	1,1	2,0
1889	15	599	10	29	2,3	91,7	1,5	4,5
1890	3	465	6	39	0,6	90,7	1,1	7,6
1891	11	498	5	37	1,9	90,6	0,9	6,6
1892	28	497	3	49	4,9	86,1	0,5	8,5
1893	22	636	11	23	3,2	91,9	1,6	3,3
1894	19	565	8	56	2,8	87,2	1,3	8,7
1895	34	683	14	51	4,4	87,3	1,8	6,5
1896	41	822	23	29	4,5	89,8	2,5	3,2
1897	25	998	35	53	2,3	89,7	3,2	4,8
1898	50	1010	41	36	4,4	88,8	3,6	3,2
1899	71	1177	44	35	5,3	88,7	3,3	2,7
1900	83	1526	48	39	4,9	89,4	2,8	2,9
1901	81	1656	74	62	4,3	88,4	4,0	3,3
1902	125	1931	46	64	5,7	89,1	2,1	3,1

გ) ორიგე ტუბერკულიზაცია:

წლები	ს ი ტ ხ ვ ი				ს ი ტ ხ ვ ი ნ ტ ხ ვ ი			
	რ ც ს	ქ რ თ ვ ე ლ ე ბ ი	ს ი ტ ხ ვ ი	ს ი ტ ხ ვ ი ნ ტ ხ ვ ი	რ ც ს	ქ რ თ ვ ე ლ ე ბ ი	ს ი ტ ხ ვ ი	ს ი ტ ხ ვ ი ნ ტ ხ ვ ი
1887	403	1015	413	163	20,2	50,9	20,7	8,2
1888	424	1008	392	158	21,4	50,9	19,9	7,8
1889	346	958	408	210	18,0	49,8	20,7	11,3
1890	348	866	367	155	21,2	49,2	21,1	8,5
1891	314	918	388	115	18,6	52,9	22,3	6,2
1892	352	1096	406	123	18,7	55,4	20,5	5,4
1893	397	1128	474	105	18,8	53,6	22,5	5,1
1894	544	1137	454	159	23,7	49,5	20,8	6,0
1895	548	1299	566	171	21,2	50,0	21,9	6,9
1896	726	1621	779	151	23,0	51,0	21,4	4,6
1897	563	1825	919	157	16,2	52,1	26,5	5,2
1898	560	1858	825	141	16,5	54,8	24,4	4,3
1899	457	2321	982	133	11,7	59,6	25,2	3,5
1900	537	2592	893	200	12,7	62,1	21,9	3,3
1901	493	2873	873	239	11,0	64,1	19,5	5,4
1902	761	3227	1087	208	14,3	61,1	20,5	4,1

აქ, როგორც ხედავთ, ქართველების რიცხვი დიდად აღემატება რუსებისას და სომხებისასაც. ქართველები შეადგენენ (1902 წ.) 61,10%-ს, ხოლო სომხები 20,50%-ს და რუსები—14,30%-ს. აბსოლუტურად ქართველების რიცხვს მოჰმატებია 218%, სომხებისას—164% და რუსებისას—89%. შედარებით კი რუსებს დაჲკლებია 5,90%, სომხებს—0,20%, ხოლო ქართველებს მოჰმატებია 10,20%. განსაკუთრებით დიდია ქართველების მატება ტფილისის გუბერნიაში. აქ მათ მოჰმატებიათ 237% აბსოლუტურად და 13,0% შედარებით. ქუთაისის გუბერნიაში შედარებით უკლია კიდეც ქართველების რიცხვს. ეს იმით აიხსნება, რომ კერძო სასწავლებელთა უმსვლეობა ტფილისშია დაარსებული, სადაც სწავლობს არა მარტო ქართლ-კახელი ქართველობა, არამედ ძალიან ბევრი იმერლობაც.

მეთხველი, რომელიც ჩაუკვირდებოდა ამ ჩვენს ციფრებით აჭრელებულ წერილს, უეჭველია, შეამჩნევდა. შემდეგ

გარემოებას,—რომ ქართველების რიცხვი შედარებით მეტია დაბალ ტიპის სასწავლებლებში და ნაკლები—უფრო მაღალი ტიპისაში. თუ მარტო სამი ეროვნების მოსწავლეთა რიცხვს ავიღებთ, ქართველები შეადგენენ: ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში (1902 წ.) 39,1%-ს (რუსები 31,7%-ს და სომხები 29,2%-ს), ქალთა გიმნაზიებში 33,3%-ს (რუსები 37,3%-ს, სომხები 29,4%-ს), დაბალ სასწავლებლებში 63,1%-ს (რუსები 15,4%-ს და სომხები 21,5%-ს), ხოლო კერძო სასასწავლებლებში ქართველების რიცხვია 63,6%, რუსებისა— 15,0% და სომხებისა—დანარჩენი 21,4%. ერთის სიტყვით, რამდენადაც საშუალო სასწავლებლებიდან დაბალი საფეხურის სასწავლებლებს ვუახლოვდებით, იმდენადვე ქართველების რიცხვი დიდდება და მათი პოზიცია თვალსაჩინოდ მაგარი ჰქონდება.

ეს აზრი სავსებით მტკიცდება იმ ციფრებით, რომლებიც პირველდაწყებით სკოლებს შეეხება და ამ სკოლების მოსწავლეთა რაოდენობას აღნიშნავს. აქ ქართველ-მოსწავლეთა რიცხვი უფრო მაღლა აღის და სხვებისას დიდად აღემატება.

შემდეგ დაწყებით სკოლების მოსწავლეთა ყოველწლიური დანაწილება ეროვნების მიხედვით შემდეგნაირად გამოიხატება:

ა) ციფრისის გუბერნიაში:

წლები	რიცხვი				პროცენტი			
	რუსი	ქართველი	სომები	სხვანი	რუსი	ქართველი	სომები	სხვანი
1887	999	3459	1894	1786	12,3	42,5	23,5	21,7
1888.	987	3420	2086	1871	11,8	40,9	24,9	22,4
1889	873	3630	2007	1762	10,5	43,9	24,3	21,3
1890	943	3792	2103	1642	11,1	44,7	24,8	19,4
1891	997	3715	1984	1619	11,9	44,7	23,9	19,5
1892	1175	3199	1995	1743	14,5	39,4	24,6	21,5
1893	1121	3743	1903	1899	12,9	43,2	21,9	22,0
1894	1100	3711	1569	1846	13,4	45,1	19,1	22,4
1895	1142	3788	1522	1813	13,8	45,8	18,4	22,0
1896	1259	4197	1933	1967	13,4	45,0	20,6	21,0
1897	1493	4484	2328	2171	14,2	42,9	22,2	20,7
1898	1813	4999	4270	2125	13,7	37,9	32,3	16,1
1899	2198	4937	4966	1748	15,9	35,6	35,8	12,7
1900	2180	5027	4832	2542	14,9	34,4	33,2	17,5
1901	2249	5077	4912	2645	15,1	34,2	33,0	17,7
1902	2402	5277	5312	2797	15,2	33,4	33,6	17,8

ბ) ქუთაისის გუბერნიაში:

წლები	ჩ ი ბ რ ი ვ ი				ზ რ ი ც ი ნ ი ს ი			
	რ ც ხ ი	ქ ა რ თ ვ ე ლ ი	ს ი მ ხ ი	ს ხ ვ ა ნ ი	რ ც ხ ი	ქ ა რ თ ვ ე ლ ი	ს ი მ ხ ი	ს ხ ვ ა ნ ი
1887	66	4541	567	2639	0,8	58,1	7,1	34,0
1888	77	7183	568	148	0,9	90,1	7,1	1,9
1889	76	7231	603	169	0,9	89,5	7,5	2,1
1890	42	7684	521	247	0,4	90,8	6,1	2,9
1891	41	8121	553	369	0,5	89,8	6,1	4,1
1892	42	8358	602	360	0,4	89,4	6,4	3,8
1893	41	8499	621	384	0,4	89,0	6,5	4,1
1894	48	9440	601	517	0,5	89,0	5,7	4,8
1895	127	9998	591	613	1,1	88,2	5,3	5,4
1896	126	10594	608	578	1,1	89,0	5,1	4,8
1897	167	12254	519	690	1,2	89,9	3,9	5,9
1898	234	14010	543	924	1,5	89,1	3,5	5,9
1899	236	15562	672	1117	1,4	88,4	3,8	6,4
1900	258	17501	573	1213	1,3	89,6	2,9	6,2
1901	320	18872	691	1319	1,5	89,0	3,3	6,2
1902	297	20165	690	1440	1,3	89,2	3,1	6,4

ბ) აჭარა გუბერნიაში:

წლები	ჩ ი ბ რ ი ვ ი				ზ რ ი ც ი ნ ი ს ი			
	რ ც ხ ი	ქ ა რ თ ვ ე ლ ი	ს ი მ ხ ი	ს ხ ვ ა ნ ი	რ ც ხ ი	ქ ა რ თ ვ ე ლ ი	ს ი მ ხ ი	ს ხ ვ ა ნ ი
1887	1065	8000	2461	4425	6,6	50,2	15,4	28,9
1888	1064	10603	2654	2019	6,5	64,9	16,2	12,4
1889	949	10861	2575	1931	5,9	66,4	15,8	11,9
1890	965	11476	2624	1889	5,8	68,2	15,4	10,6
1891	1038	11836	2537	1988	5,9	68,0	14,5	11,6
1892	1217	11557	2597	2103	6,9	66,1	14,9	12,1
1893	1162	12242	2524	2263	6,4	67,2	13,9	12,5
1894	1148	13151	2170	2363	6,1	69,8	11,5	12,6
1895	1269	13786	2113	2424	6,4	70,3	10,8	12,5
1896	1385	14791	2541	2545	6,5	69,6	11,9	12,0
1897	1660	16738	2847	2861	6,9	69,5	11,8	11,8
1898	2047	19009	4813	3049	7,1	65,8	16,6	10,5
1899	2434	20499	5638	2865	7,8	65,2	17,9	9,1
1900	2438	22528	5405	3755	7,5	66,0	15,9	10,6
1901	2569	23949	5603	3964	7,1	66,6	15,5	10,8
1902	2699	25442	6002	4287	7,0	66,3	15,6	11,1

ქართველების რიცხვი შეადგენს აქ (1902 წ.) 66,3%-ს, რუსებისა—7,0%-ს და სომხებისა—15,6%-ს. ქართველების აბსოლუტური მატება გამოიხატება 218%-ით, რუსებისა—153%-ით და სომხებისა—144%-ით. შედარებით ქართველების რიცხვს მოკმატებია 16,1%; რუსებისას—0,4% და სომხებისას 0,2%. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსების და სომხების პოზიცია თითქმის არ შეცვლილა, ხოლო ქართველები შესამჩნევად წინ წასულან. ქართველების როგორც აბსოლუტური, ისე შედარებითი ზრდა უფრო მეტია ქუთაისის გუბერნიაში, ვიდრე ტფილისისაში. იქ მათ მოკმატებიათ 31,1%, აქ კი დაკარგებიათ 9,1%. ზრდის სისწრაფით ქართველების რუსები და სომხები უსწრებენ წინ ტფილისის გუბერნიაში. ქუთაისისაში-კი სომხები უკან რჩებიან და რუსების ემატება მცირე პროცენტი. აქაც, როგორც სხვაგან, ამერეთი ჩამორჩენილია და უკან არის იმერეთთან შედარებით. 1902 წელს სულ იყო პირველდაწყებით სკოლებში ქართველი 25442-ს, აქედან 5277 ანუ 20,7% ტფილისის გუბერნიაში და 20165 ანუ 79,3% ქუთაისისაში. მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით იმერეთს უწევს 62,1% და ამერეთს—37,9%. მაშასალამე, პირველდაწყებითი სწავლა ქუთაისის გუბერნიის ქართველობაში 17,2%-ით მეტად არის გავრცელებული, ვიდრე ტფილისისაში.

შევაღინოთ ეხლა საერთო ჯამი და დავხედოთ, თუ რა სურათი მოსჩანს საერთოდ ყველა სასწავლებლებში. აქამდის ჩვენ სათითაოდ მოვიხსენიეთ სხვა-და-სხვა ტიპის სასწავლებლები და ცალ-ცალკე განვმარტეთ მათი შესახები ციფრები. შევაერთოთ ეხლა ყველა ეს ცნობები და გავიგოთ, თუ რა პოზიციას იჭერენ საზოგადოდ სწავლა-განათლების საქმეში სხვა-და-სხვა ერები.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის უწყების უგელა სასწავლებლებში, რომელნიც საქართველოში არსებობენ, იყო სულ მოსწავლე:

ა) ტფილისის გუბერნიაში:

წლები	3 0 0 3 0				3 0 0 3 0			
	რუსი	ქართველი	სომხეთი	საქართველო	რუსი	ქართველი	სომხეთი	საქართველო
1887	3034	5074	3735	2493	21,2	35,4	26,1	17,3
1888	3057	5026	3940	2574	20,9	34,4	29,9	14,8
1889	2935	5248	4003	2536	19,9	35,6	27,2	17,3
1890	3101	5717	4276	2397	20,0	36,9	27,6	15,5
1891	3206	5539	4279	2371	20,8	35,9	27,8	15,5
1892	3520	5229	4352	2519	22,6	33,5	27,9	16,0
1893	3672	5730	4346	2707	22,3	34,8	26,4	16,5
1894	3939	5801	4176	2709	23,7	34,9	25,1	16,3
1895	4128	6662	4217	2724	23,3	37,5	23,8	15,4
1896	4548	6735	5187	2910	23,5	34,7	26,7	15,1
1897	4819	7179	6047	3135	22,8	33,9	28,5	14,5
1898	5220	7907	8020	3134	21,5	32,6	33,0	12,9
1899	5511	8235	8955	2769	21,6	32,3	35,1	11,0
1900	5679	8428	9154	3712	21,1	31,2	34,0	13,7
1901	5699	8757	9306	3847	20,6	31,7	33,7	13,7
1902	6142	9182	9947	4083	20,9	31,3	33,8	14,0

ბ) ქუთაისის გუბერნიაში:

წლები	3 0 0 3 0				3 0 0 3 0			
	რუსი	ქართველი	სომხეთი	საქართველო	რუსი	ქართველი	სომხეთი	საქართველო
1887	457	6674	729	2835	4,3	62,5	6,8	26,4
1888	486	9267	705	388	4,4	85,4	6,5	3,7
1889	522	9281	742	406	4,8	84,8	6,8	3,6
1890	544	9634	684	549	4,7	84,1	6,1	5,1
1891	589	10143	716	699	4,8	83,5	5,9	5,8
1892	650	10536	756	714	5,2	83,2	5,9	5,7
1893	594	11007	779	824	4,5	83,4	5,9	6,2
1894	696	11935	776	1001	4,4	83,2	5,4	7,0
1895	738	12041	773	1027	5,1	82,6	5,3	7,0
1896	778	13504	830	1056	4,8	83,5	5,1	6,6
1897	872	15418	767	1238	4,8	84,3	4,2	6,7
1898	971	17646	815	1479	4,6	84,4	3,7	7,3
1899	1013	20427	979	1657	4,2	84,8	4,1	6,9
1900	1101	23192	935	1821	4,7	85,4	3,5	6,4
1901	1206	24838	1116	2014	4,1	85,1	3,8	7,0
1902	1313	26863	1090	2143	4,2	85,5	3,6	6,7

გ) ორსაფე გუბერნიაში:

წლები	რიცხვები				ზორცებულები			
	რეს.	ქართ.	სომხ.	სხვან.	რეს.	ქართ.	სომხ.	სხვან.
1887	3491	11748	4464	5319	13,9	46,9	17,8	21,6
1888	3543	14293	4645	2959	13,9	56,2	18,2	11,7
1889	3477	14529	4745	2943	13,5	56,6	18,6	11,3
1890	3646	15351	4960	2946	13,7	56,7	18,6	11,0
1891	3795	15682	4995	3070	13,8	56,9	18,2	11,1
1892	4180	15765	5108	3233	14,8	55,8	18,1	11,3
1893	4266	16737	5125	3531	14,4	56,4	17,3	11,9
1894	4575	17736	4952	3710	14,7	57,3	16,0	12,0
1895	4866	18703	4990	2751	15,1	57,8	15,4	11,7
1896	5326	20239	6027	3966	14,9	56,9	16,9	11,3
1897	5691	22597	6814	4373	14,4	57,3	17,3	11,0
1898	6191	25553	8834	4613	13,7	56,7	19,7	9,9
1899	6524	28662	9934	4426	13,2	57,9	20,0	8,9
1900	6780	31620	10089	5533	12,5	58,5	18,7	10,3
1901	6905	33595	10422	5861	12,2	59,2	18,4	10,2
1902	7455	36045	11057	6226	12,5	59,3	18,2	10,0

ამ საერთო ჯამში უმრავლესობა აქვთ და პირველი დღილი უჭირავთ ქართველებს, მეორე—სომხებს და მესამე—რუსებს. როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებით ყველაზე მეტი მოჰმატებიათ ქართველებს: 207% აბსოლუტურად (რუსებს 113%, სომხებს 147%) და 12,4% შედარებით (0,4% სომხებს, ხოლო რუსებს დაკლებიათ 1,4%). ამგვარად, აბსოლუტურის სიმრავლით ქართველები სჭარბობენ. სომხებსაც და რუსებსაც.

მაგრამ ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ ვითომ საზოგადოდ სწავლა-განათლება უფრო გავრცელებული იყოს ქართველებში, ვიდრე რუსებსა და სომხებში. ამ მხრით ქართველების მეტი პროცენტი გარკვეულად არაფერს ამბობს. ქართველი ხალხი უმრავლესობას შეადგენს საქართველოში და, რა თქმა უნდა, მას სხვებთან შედარებით მეტი მოსწავლეები უნდა ჰყავდეს სასწავლებლებში. საქმე სს არის, თუ რამდენად შეეთანხმება მის სიმრავლეს ქართველ მოსწავლეთა სიმრავლე

სკოლებში. თუ ამ საზომით შევხედავთ საგანს, ვნახავთ, რომ ქართველებს 15,1%-ით მათს შესაფერს ნორმაზე ნაკლები მოსწავლენი ჰყავთ სასწავლებლებში, ხოლო რუსებს 8,2%-ით და სომხებს 6,9%-ით მეტი.

ზევით ვთქვით და აქაც კიდევ ვიმეორებთ, რომ ამ დასკვნის კიფრებით გამოხატულება ცოტა შეკვეცით არის მისალები. საქართველოში არსებულ სკოლებში სწავლობენ არა მარტო საქართველოშივე მცხოვრებ რუსებისა და სომხების შვილები; არამედ ბევრნი ისეთნიც, რომელნიც სხვა გუბერნიებიდან არიან მოსულნი. ჩვენს ანგარიშში კი ყველა რუსი და სომხები მოსწავლეები ადგილობრივ მცხოვრებლებად არიან ჩათვლილნი. ამის მიზეზით სომხებსა და რუსებში სწავლა განათლების გავრცელებულობა ცოტა უფრო დიდი პროცენტით იხატება, ვიდრე არის იგი ნამდვილად. გარდა ამისა აქ ჩათვლილი არ არის სამრევლო სკოლები და, მაშინადამე, ამ სკოლებში მოსწავლე ქართველები და რუსები. ეს რომ ჩარიცხული იყოს, უეჭველია, ქართველ მოსწავლეთა რიცხვი, ხალხის რაოდენობის მიხედვით გამოთვლილი, გადააჭარბებდა სომხებისას და ამ უკანასკნელთ ნორმაზე ნაკლები პროცენტი გამოუვიდოდათ. ჩვენ გვერნია, რომ, მიუხედავად ზემოდ ალნიშნულ კიფრებისა, წერა-კითხვის ცოდნა საერთოდ ქართველებში უფრო გავრცელებული უნდა იყოს, ვიდრე საქართველოში მცხოვრებ სომხებში.

ამგვარად ჩვენ ავნუსხეთ საქართველოში არსებული სასწავლებლები როგორც ცალ-ცალკე, ისე ყველა ერთად და განემარტეთ თავ-თავის ადგილას ცხრილებში მოქცეული ციფრები. ამ წერილის დასასრულ ჩვენ ვაღენოთ ორ ცხრილს რომელშიაც ერთად თავმოყრილია ყველა ის განმარტებანი, რომელნიც ჩვენ წერილის სხვა და სხვა ადგილას მოვიხსენიეთ.

პირველი ცხრილი გვიჩვენებს თითოეულ ეროვნების მოსწავლეთა რიცხვის აბსოლუტურს და შედარებითს ზრდას სხვა-და-სხვა სასწავლებლებში.

ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ი	რ უ ს ი		ქართველი		ს ო შ ე ბ ი	
	1887 წლიდან	1902 წლამდის მომზარე	(+) ან დაიკლო	(-) 0/0	1887 წლიდან	1902 წლამდის მომზარე
კალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში	+35	-9,3	+103	+1,5	+233	+5,5
რეალურ სასწავლებლებში.	+201	-7,5	+1338	+28,2	+124	-14,5
კალთა საშუალო სასწავლ. ტფ. გუბ.	+60	-4,2	+106	+1,3	+127	+5,4
" " " ქუთაისის "	+80	-7,0	+171	+5,4	+116	-1,9
" " ორივე კალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებ-	+64	-7,3	+147	+5,3	+124	+1,9
ში ტფილისის გუბერნიისა	+79	-13,1	+200	+4,2	+251	+9,6
" გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებ-	+155	-5,1	+204	+0,1	+113	-4,0
ში ქუთაისის გუბერნიისა	+91	-15,7	+202	+4,3	+232	+5,8
" გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებ-	+72	-9,1	+152	+3,0	+176	+7,1
ში ორივე გუბერნიისა საერთოდ ორივე სქესის საშუალო სა- სწავლებ. ტფ. გუბერნიისა	+112	-5,8	+185	+4,7	+108	-1,8
" ორივე სქესის საშუალო სა- სწავლებ. ქუთაისის გუბ.	+77	-8,9	+169	+4,6	+129	+3,6
" ორივე სქესის საშუალო სა- სწავლებ. ტფ. გუბერნიისა	+195	+5,8	+79	-6,9	+122	+1,1
დაბალ სასწავლებ. ტფ. გუბერნიისა	+188	+0,0	+239	+3,2	+169	-0,7
" " ქუთაისის "	+193	+1,6	+171	+2,1	+125	-3,2
კერძო სასწავლებ. ტფ. გუბერნიისა	+60	-9,3	+237	+13,0	+154	+3,0
" ქუთაისის "	+2400	+4,9	+206	-8,0	+1050	+1,5
" ორივე კიბრივი სკოლ ტფ. გუბ.	+89	-5,9	+218	+10,2	+164	-0,2
პირველჯაწყებით სკოლ ტფ. გუბ.	+140	+2,9	+53	-9,1	+180	+10,1
" " ქუთაისის "	+350	+0,5	+344	+31,1	+22	-4,0
" ორივე სულ კველი სასწავლ. ტფ. გუბერნიისა	+153	+0,4	+218	+16,1	+144	+0,2
" " ქუთაისის "	+102	-0,3	+81	-4,1	+166	+7,7
" " ორივე "	+187	--0,1	+302	+23,0	+49	-3,2
" " 113	-1,4	+207	+12,4	+148	+0,4	

ეს ცხრილი ისე მარტივად არის შედგენილი, რომ ყველა, ვინც ცოტას დაუკვირდება, ადვილად შეიგნებს და მიხვდება. აქ ნაჩვენებია, თუ რომელ სასწავლებელში რომელი ეროვნება მიღის წინ უფრო სწრაფად და რომელი უკან რჩება.

მეორე ცხრილი, რომელსაც აქვე ვურთავთ, გვიჩვენებს რას, ქართველ და სომეხ მოსწავლეთა სიმრავლეს (პროცე-

ტობით) სხვა-და-სხვა სასწავლებლებში და თან შეიცავს თი-თოვეულ ერში სწავლა განათლების გავრცელებულობის მა-ჩვენებელ ციფრებს, რომლებიც გამოთვლილია ხალხის საერ-თო რიცხვის მიხედვით.

სასწავლებლები	მოსწავლეთა რა- ოდენობა (1902 წ.) პროცენტო- ბით.				ხალხის საერთო რი- ცხვთან შედარებით მოსწავლეთა რიც. მეტია (+) ან ნა- კლები (-) %		
	რაოდენობა	ქანთაღები	სალექანო	სულ მოსწავლეთა	რაოდენობა	ქანთაღები	სალექანო
ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში რეალურ სასწავლებლებში	30,0	37,4	32,6	100,0	+24,5	-43,7	+19,2
ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში	32,8	43,3	23,9	100,0	+27,3	-37,8	+10,5
ტოლიასის გუბერნიისა სასწავლებლებში	38,6	20,7	40,7	100,0	+29,5	-45,3	+15,8
" " ქუთაისის გუბერნიისა	18,9	72,7	8,4	100,0	+16,4	-22,8	+ 6,4
" " სასწავლებლებში	31,7	39,1	29,5	100,0	+26,2	-42,0	+15,8
ორივე გუბერნიისა ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში	39,2	25,7	35,1	100,0	+30,1	-40,3	+10,2
ტფილისის გუბერნიისა და პროგიმნაზიებში	31,6	57,4	11,0	100,0	+29,1	-38,1	+ 9,0
" " ქუთაისის გუბერნიისა და პროგიმნაზიებში	37,3	33,8	29,4	100,0	+31,8	-47,8	+16,0
საერთოდ ორივე სქესის საშუალო სასწავლებ. ტფილისის გუბერნიისა	38,9	23,3	37,8	100,0	+29,8	-42,7	+12,9
საერთოდ ორივე სქესის საშუალო სასწავლებ. ქუთაისის გუბერნიისა	23,9	66,6	9,5	100,0	+21,4	-28,9	+ 7,5
საერთოდ ორივე სქესის საშუალო სასწავლებ. ორივე გუბერნიისა	34,4	36,3	29,3	100,0	+28,9	-44,8	+15,9
დაბალ სასწავლებლებში ტფილ. გუბ.	23,1	36,5	40,4	100,0	+14,0	-29,5	+15,5
" " ქუთაისის "	7,9	38,8	3,3	100,0	+ 5,4	-56,7	+ 1,3
" " ორივე "	15,4	63,1	21,5	100,0	+ 9,9	-18,0	+ 8,1
კერძო სასწავლებლებში ტფილ. გუბ.	21,4	43,6	35,0	100,0	+12,3	-22,4	+10,1
" " ქუთაისის "	5,9	92,0	2,1	100,0	+ 3,4	-3,5	+ 0,1
" " ორივე "	15,0	63,6	21,4	100,0	+ 9,5	-17,5	+ 8,0
პირველდაწყებით სკოლებ. ტფილ. გუბ.	19,0	40,7	40,3	100,0	+ 9,9	-25,3	+15,4
" " ქუთაისის "	1,4	95,8	3,3	100,0	- 1,1	- 0,2	+ 1,3
" " ორივე "	7,9	75,0	17,1	100,0	+ 2,4	- 6,1	+ 3,7
სულ ყველა სასწავლებლებ. ტფილ. გუბ.	24,3	36,3	39,4	100,0	+15,2	-29,7	+14,5
" " ქუთაისის "	4,8	91,5	3,7	100,0	+ 2,3	- 4,0	+ 1,7
" " ორივე "	13,7	66,0	20,3	100,0	+ 8,2	-15,1	+ 6,9

ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ:

1) ქართველები, ორთოეულ სხვა ეროვნებასთან შედარებით, უმრავლესობას შეადგენერ და პირველი ადგილი უჭირავთ საერთოდ ორივე გუბერნიის ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში, რეალურ სასწავლებლებში, ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში, დაბალ, კერძო და პირველდაწყებით სკოლებში. მეორე ადგილი უჭირავთ მათ მხოლოდ ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში:

2) ქართველებსვე უმრავლესობა აქვთ ქუთაისის გუბერნიის ყველა სასწავლებლებში, ხოლო

3) ტფილისის გუბერნიაში შედარებითი უმრავლესობის შემცველნი არიან მარტო კერძო და პირველდაწყებით სკოლებში; ამავე გუბერნიის ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში, ქალთა გიმნაზიებში და საერთოდ საშუალო სასწავლებლებში უმცირესობას შეადგენერ და ყველას უკან არიან;

4) რუსებს პირველი ადგილი უჭირავთ როგორც საერთოდ ორივე გუბერნიის, ისე კერძოდ ტფილისის ქალთა გიმნაზიებში, ხოლო მეორე ადგილი — ორივე გუბერნიის ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში და კერძოდ ტფილისის გუბერნიის ხსენებულსავე სკოლებში, ქუთაისის გუბერნიის: ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში, ქალთა გიმნაზია-პროგიმნაზიებში, დაბალ და კერძო სასწავლებლებში. მესამე ადგილას არიან ისინი ყველა დანარჩენ სკოლებში;

5) სომხები შედარებითს უმრავლესობას შეადგენერ ტფილისის ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში, დადაბალ სკოლებში; მეორე ადგილი აქვთ საერთოდ ორივე გუბერნიის ვაჟთა გიმნაზიებში, დაბალ და პირველდაწყებით სკოლებში, კერძო სას-

წავლებლებში და ქუთაისის გუბერნიის პირველდაწყებით სკოლებში, ხოლო მესამე ადგილი — სხვა ყველა დანარჩენებში;

6) საზოგადოდ ტფილისის გუბერნიის სასწავლებლებში სუსტია ქართველობა და ძლიერი — უცხო ელემენტი, — რუსი და სომხობა.

თუ ზემოდ აღნიშნულ ციფრებს ხალხის საერთო რიცხვის დავუპირდაპირებთ და მოსწავლეთა სიმრავლეს მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით გავსჯით, ვნახავთ, რომ:

1) ქართველებს არც ერთ სასწავლებელში არ ჰყავთ იმდენი მოსწავლე, რამდენიც შეეფერება ქართველ ხალხის სიმრავლეს, რომ იგი ამ მხრით სხვა ეროვნებასთან იყოს გათანაბრებული. ქართველ მოსწავლეთა რიცხვი ხალხის საერთო რაოდენობის მიხედვით გამოთვლილ ნორმაზე ნაკლებია ყველა ტიპის სკოლებში;

2) სამაგიეროდ სომებ და რუს მოსწავლეთა რიცხვი ამგვარს ნორმას იღება ყველა სასწავლებლებში. მხოლოდ რუსებს ჰყავთ ნორმაზე ნაკლები მოსწავლენი ქუთაისის გუბერნიის პირველდაწყებით სკოლებში.

და ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ მარტო წერა-კითხვის ცოდნას არ მივიღებთ მხედველობაში, საზოგადოდ სწავლა-განათლება უფრო გავრცელებულია რუსებსა და სომხებში, ვიღრე ქართველებში.

ზემოდ მოყვანილ ციფრებით მტკიცდება, რომ ქართველ ხალხს ღიღი მისწრაფება აქვს სწავლისადმი. ბევრ სასწავლებლებში ქართველ მოსწავლეთა რიცხვი უსწრებს წინ ზრდის სისწრაფით სხვა ეროვნებათ. თუ ეს სისწრაფე არ განელდა, შეიძლება, ქართველობამ მალე დაიჭიროს სკოლებში ისეთი პოზიცია, რომელიც მის შედარების სიმრავლეს შეეფერდება.

ვისურეოთ, რომ ეს მართლა მალე მომხდარიყოს და ჩვენ
მოკლე ხანში ხელ-ახლა ამის დამამტკიცებელი სტატისტიკა
შეგვემუშავებიოს...

ფ. გოგიაჩიშვილი.



† იოსებ ზოსიანეს ძე ბაშრახვა

14 მაისს, მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა იოსებ ბაქრაძე. განსვენებული იყო დიდი მოტრფიალე ჩვენის მწერლობისა და ერთგული მუშაკი ქართული უურნალგაზეთებისა. ჯერ კიდევ ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა იოსებ, როდესაც დაიწყო წვრილ-წვრილ ლექსების ბეჭდვა უურნალ „მნათობში“. დაასრულა თუ არა 1874 წ. სემინარია, იოსებ შევიდა სამსახურში, სასამართლო უწყებაში, და თან თანამშრომლობდა გაზეთ „დროება“-ში, რომლის მოსპობის შემდეგ თანამშრომლობდა ჯერ „ივერია“-ში და მერე „მოამბეში“. აქ მან დაბეჭდა ვალტერ-სკოტის „აივენჰოს“ თარგმანი, რომელიც ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა. იოსებ ბაქრაძე უფრო ცნობილი იყო ჩვენს მწერლობაში როგორც ბაირონის და ჰეინრიხ ლექსების მთარგმნელი. ბაირონის სხვა-დასხვა წვრილ ლექსებს გარდა მან მთლა სთარგმნა „ჩაილდ-ჰაროლდი“. სამწუხაროდ, იოსებმა არ იკოდა უცხო ენები და მოხსენებულ ავტორებს სთარგმნიდან რუსულიდან. თუ განსვენებულმა მეტი კვალი ვერ დასტოვა ჩვენს მწერლობაში, ეს იმით აღხსნება, რომ ხელმოკლეობის გამო მეტს დროს ანდომებდა იმ სამსახურს, რომელიც მას სარჩის აძლევდა და იძულებული იყო, როგორც უმეტესი ნაწილი ჩვენის მწერლებისა, მხოლოდ თავისუფალი დრო შეეწირნა მწერლობისათვის. იოსებ მეტად წყნარი და თავმდაბალი მუშაკი იყო და

უურნალ-გაზეთებში შავ მუშაობასაც არ ერიდებოდა, როგორც, მაგალითად, ჩვენს უურნალში: განსვენებული ქართული ენის კარგი მცოდნე იყო და „მოამბეში“, პირველ წლებში დღიდან დაარსებისა, ხელნაწერებს ასწორებდა ენის მხრით. საუკუნო იყოს შენი ხსენება, უანგარო მუშაკო!

უცხოეთის მიმოხილვა

1. „ყვითელი საფრთხე“. ომიანობის აღამიანური მხარე.
2. იტალია, საფრანგეთი და პაპი.

„ყვითელ საფრთხე“-ზე ლაპარაკი ახალი ამბავი არ არის. წინადაც გაიგონებდით ან წაიკითხავდით აქა-იქ, თუ რა მო- ელის ევროპას ყვითელ კანიან აზიელების გალვიძებითა და გათვითცნობიერებით. მაგრამ გავარდა თუ არა ზარბაზანი შო- რე აღმოსავლეთში, ევროპისა და რუსეთის პრესა, განსაკუთ- რებით უკანასკნელი, დაუინებით და გაცხარებით ამტკიცებდა და ამტკიცებს, რომ ევროპა თვითონვე ითხრის თავის საფ- ლავს; რადგან ნებას აძლევს წევროპის შეურიგებელ მტერს გაძლიერდესო. გალალებული და გათამამებული იაპონელი გა- მოაღვიძებს მთელ აზიას, წინამძღვრობას გაუწევს მას და არა თუ განდევნის აზიიდან ყველა ევროპიელებს, თვით ევროპა- საც შემოესევა და ქვა ქვაზედაც აღარ დარჩებაო. ევროპას საშინელი კატასტროფა მოელის, თუ დროზე გონს არ მო- ვიდა და ეხლავე არ შეაჩერა შორე აღმოსავლეთში. ამოძრა- ვებული ტალღაო. რუსეთი ეხლა ევროპის არსებით ინტე- რესებისათვის, ევროპის კულტურისათვის იბრძვისო.

მაგრამ „ყვითელ საფრთხი“-ს გამო სხვა აზრიც გამოთქმუ- ლა. სხვათა შორის, ამ საგანს ეხება რუსის ცნობილი პუბლი- ცისტი სლონიმსკიც. მოგვყავს მის წერილიდან ერთი ადგილი:

„დიდათ ნიჭიერი ჩინეთის ერი, შემწელი მაღალ თავისებურ კულტურისა, შესაბრალის უმწეო მდგომარეობაშია. იაპონიის ხალხი მცირე რიცხვოვანი და ნაკლებ ნიჭიერია; ჩინელსავით

იაპონელსაც გაუვლია მრავალ საუკუნოეანი მძიმე ისტორია; მიუხედავათ ამისა, იაპონია წელში გაიმართა და განსაცვიფრებელად განვითარდა და გაძლიერდა პოლიტიკურად. რითი აიხსნება ამ ორ მონათესავე ხალხის ბედის ასეთი სხვა და სხვაობა? მხოლოდ და მხოლოდ იმითი, რომ სულ სხვა და სხვა თვისებისაა ჩინეთისა და იაპონიის სამთავრობო წესწყობილება და სისტემა. ჩინეთმა სავსებით განახორციელა იდეალი ადმინისტრაციის სრულის ბატონობისა, ხალხის უუფლებობისა და სიჩუმისა, ოფიციალურ კმაყოფილებისა და ყალბ ეროვნულ ტრადიციების ერთ წერტილზე გაყინვისა, ერთის სიტყვით ის იდეალი, რომელსაც ასეთის დაუინებით გვიქადაგებს ჩვენი ცრუ პატრიოტული პრესა „გრაჟდანინისა“ და „მოსკოვსკია ვედომოსტი“-ს მეთაურობით. იაპონია გასულ საუკუნის მესამოცე წლებიდან სულ სხვა გზას გაჰყვა და უცბად გახდა მაღალ ხარისხოვანი სახელმწიფო შორე აღმოსავლეთისა; ხალხის ყველა სასარგებლო თვისებებსა და ნიჭე მიეცა ფართო გზა თავისუფალ განვითარებისა; სახელმწიფოს ინტერესი და გამორჩენა დაყენებულია მთავრობის მოღვაწეთა ინტერესების წინ, აღმინისტრაცია ექვემდებარება საზოგადოების კანტროლსა და კრიტიკას; ხალხის გონებრივ მოძრაობას დამოუკიდებლობა აქვს მინიჭებული; ერთის სიტყვით იაპონიაში შეიტანა ვიწრო ნაციონალურ ცხოვრების ერთ დროს დამყაყებულ ატმოსფერაში ახალი სული მხნეობისა და ენერგიისა იაპონელებმა უარყვეს ჩინური პოლიტური შეხედულებანი და ჩვეულებანი; ისინი აღარ ზრუნავენ თავიანთ გუბერნატორების უფლებათა გაძლიერებაზე; აღარ თხზავენ პროექტებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაუბრუნდეს ხალხი ფეოდალურ ბატონყმურ წესწყობილებას; არ სცდილობენ ხალხისა და საზოგადოების განვითარების შეფერხებას, ხალხის უვიცობას მფარველობას არ უწევენ, არ აცნებობენ სახალხო სკოლების, სამკითხველოების და წიგნების რიცხვის შემცირებაზე, არ სთვლიან სახელმწიფოსათვის საშიშად თავისუფლად გამოთქმულ აპოზიციონურ აზრს და

ერთი და იგივე არ არის მათთვის დიდ მოხელეთა თვითნებობა და ხელშეუხებელი ავტორიტეტი უმაღლეს მთავრობისა. შედეგს ასეთ წესისას ეხლა ჩინელებიც კი ხედავენ.

„ყვითელი საფრთხე“ არ არის საშიში ევროპისათვის, სანამ ჩინეთში ეხლანდელი დამყაყებული ცხოვრება და უმოძრაობა იქნება გამეფებული; არც მაშინ იქნება საშიში, როცა ჩინეთი აღორძინდება ახალ ეროვნულსა თუ უცხოელ რეჟიმის გავლენის ქვეშ, თუ, რასაკირველია, ევროპიელები არ მოისურვებენ ქვეყნების დაპყრობას და პატივისცემით მოეპყრობიან მეზობელ აზიელ ხალხების უფლებას, ინტერესებსა და ზნე-ჩევეულებას, შეუდარებლად უფრო საშიშია მეორე საფრთხე—ევროპის საკუთარი ცოდვები და ავათმყოფობა...“

ყოველი შეგნებული მკითხველი დაეთანხმება ავტორს, რომ ის ხალხი, რომელიც თავისუფალ აღორძინების და განათლების გზას დაადგა, თავის დღეში არ იქნება საშიში სხვა ხალხების აღორძინებისა და განათლებისათვის — საშიში მხოლოდ უვიცი და დამონებული ხალხია; გონებრივ-სიბრძელეში და მუდამ სხვის ბრმა მორჩილებაში ჩაფლული მზად არის აღასრულოს ყოველი ბრძანება გალაღებულ ბატონისა თუ ბატონებისა...

„პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსია“ -ო, უთქვამს პოეტს და კარგადაც უთქვამს. ვინც პატიოსანია, ვისაც ნამუსი აქვს, მტრის დამცირებას, მის სახელის ტალახში გასვრას არ სცდილობს; ვინც მტერს ლანძღავს და ათრევს მხოლოდ ამიტომ, რომ მტერზე ლაპარაკობს, იგი მოკლებულია პატიოსნებასაცა და ნამუსსაც; მასთან მორჩილება, მშვიდობიან ცხოვრების ჩამოგდება შეუძლებელია. პატიოსანი მტრები კი, დღეს რომ ერთმანერთს ებრძინან, ხვალ, შეიძლება, საუკეთესო მეგობრები გახდნენ; სულ ერთია, კერძო პირები არიან ეს მტრები, თუ მთელი სახელმწიფონი.

უურნალ „ვესტნიკ ზნანია“ -ში მოყვანილია უკვე ბევრ გაზეთებში დაბეჭდილი შემდეგი ამბავი: „როცა აღმირალი

მაკაროვი დაიღუპა, იაპონელებმა არა თუ დიდი სიხარული არ გამოაცხადეს, არამედ იქამდე ამაღლდნენ, რომ საჯაროდ იგლოვეს ჩვენზე მოვლენილი უბედურება. „დეილი-მაილ“-ისწერს: გამართული იყო დიდი ფაკელცუგი; ხალხს ათასი თეთრი ფარანი მიჰქონდა დაღუპულ რუსების პატივსაცემლად; ორკესტრები სამგლოვიარო მარშებს უკრავდნენ და ხალხის წინ მიჰქონდათ ბაირალები შემდეგის წარწერით— ჩვენ ღრმად მწუხარენი ვართ მამაც რუს აღმირალის სიკვდილის გამო“.

მოპყავს ეს ფაქტი რუსულ უურნალს ტა შემდეგანაირად მსჯელობს: „ჩვენ არ ვეხებით იმას, თუ რამდენად მართალია ეს ფაქტი, მაგრამ არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ სურვილი, რომ იგი არ იქნეს უარყოფილი, რადგან მტრების ამგვარი ურთიერთი დამოკიდებულება არის ის სასიკეთო ნიშანი, რომელიც მოწმობს, რომ ხალხთა შორის თან და თან ფეხს იკიდებს ძმობის გრძნობა და ამით მზადდება ნიადაგი ომის მოსპობისა მომავალში... მიუხედავათ ამისა ერთ ჩვენ დიდათ გავრცელებულ გაზეთში („ნოვოე ვრემია“) შემდეგი ტირადა იყო დაბეჭდილი ამ ფაქტის გამო: „ჩვენზე ამ ამბავმა და-მამცირებელ ბუფონნადის შთაბეჭდილება მოახდინა; რომელი-მე მარკიზმა ან გრანდმა გამართა ეს წარმოდგენა მხოლოდ იმისთვის, რომ ეთქვა ევროპიელებისათვის — თქვენ ზიზღით ლაპარაკობთ ყვითელ კანიან ხალხზე, მაგრამ აბა შემოგვხე-დეთ, რამდენად დიდებული ვართ ბედნიერებაში და რამდე-ნად უკეთესი და უმაღლესი ვართ თქვენზე“.

როცა ხსენებული გაზეთი ამას სწერდა, ალბად, არ გრ-ძნობდა, თუ რა შინაგანი წინააღმდეგობაა მის ნათქვამ სი-ტყვებში. მართლაც რა დამცირება და დაცინვაა, თუ გადმო-ცემული ფაქტი მართალია? ასეთი წინადვე მომზადებული და-ცინვა-დამცირება, გაზეთს რომ ჰერი, შეიძლება იგულისხ-მოს კაცმა ერთ, ორ, ვთქვათ, ათ პირის შესახებ; მაგრამ იქ, სადაც ათასობით არის ხალხი, თუ ეს ხალხი მტრულად არის განწყობილი, შეუძლებელია მოყვანილ დემონსტრაციას ჰქო-ნებოდის შესაფერი მშვიდი და წყნარი ხასიათი; მტრული გრ-ძნობა უთუოდ გამომჟღავნდებოდა და იფეოქებდა....

ვიმეორებთ, ჩვენ გვსურს ვირწმუნოთ, რომ დროებით ჩვენმა მტერმა იმდენი კეთილშობილება გამოიჩინა, იმ ხარისხამდე ამაღლდა იგი, რომ ათასობით ხალხი მონაწილეობას იღებს მტრის მწუხარებაში, რომელიც გლოვობს თავის საუკეთესო შვილების დაღუპვას. თუ ამ გვარი ფაქტები იშვიათი მოვლენა არ იქნება, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლოს უნდა მოისპოს ომი, ეს ბარბაროსობის დროის ნაშთი, უსაშინელესი უბედურება, მატერიალურისა და სულიერ სიღარაკის გამომწვევი...

ჩვენ მით უფრო გვჯერა მოყვანილ ფაქტის სინამდვილე, რომ გაზეთ „რუს“-ში მოყვანილია ორის იაპონელის, სასატორისა და ტაკაკის, ნაუბარი. „ჩვენ სრულებით არ გვიკვირს მაკაროვის გლოვის ამბავიო, უთქვამთ ხსენებულ იაპონელებს. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც საკუთრის თვალით ვნახეთ ამ გვარივე დემონსტრაცია. ეს მოხდა ჩინეთ-იაპონიის ომის დროს. იაპონელებმა რომ ვეი-ხაი-ვეი აიღეს, ჩინეთის აღმირალმა ტინგმა თავი მოიკლა. იაპონელებს სიხარულის ბევრი მიზეზი ჰქონდათ: მაშინ ჩვენ ხელში ვიგდეთ ჩინეთის თერთმეტი სამხედრო გემი... მაგრამ იაპონელმა აღმირალმა იტომ ბრძანა, დაებრუნებიათ ჩინელებისათვის კრეისერი „კონსაი“ და ნება მისცა გადარჩენილ მეზღვაურებს აშ გემით სახლში დაბრუნებულიყვნენ. და როცა კრეისერი დაიძრა წასასვლელად, იაპონიის მთელმა ფლოტმა სამგლოვიარო სალამი მის-განსვენებულ აღმირალის პატივსაცემლად. ამავე დროს მთელ იაპონიაში გამოფენილი იყო სამგლოვიარო ბაირალები და ფარნები. ხალხი გულწრფელად გლოვობდა იმ მტრის დაღუპვას, რომელსაც იაპონიის ხალხი პატივს სცემდა და რომლისაც ეშინოდა კიდეც. იაპონელ ფეოდალების დაუსაჩულებელ შინაურ ომიანობის ისტორია აღსავსეა ევროპიელისათვის გაუგებარ ზნეობრივ შეხედულებითა. სამურაი პატივს უნდა სცემდეს მტერს, და კეთილშობილ მტრის უსულო გვამს დღესაც დასტირის რაინდი სახალხო თეატრის სცენაზე. იაპონელ ბავშვები იმ თვითვე ესმის მშობლებისაგან კონფუციის სწავლა: ზრ-

დილობიანი იყავ მოპირდაპირესთან; მახვილი იარაღი ზნეობას ვერ დასჭრის; გძულდეს დანაშაული და არა კაცი. მტრის იარაღს იარაღით გაეცი პასუხი და არა კაცით კაცს; დასურგნე მტრის ავი ნება, თვითონ მასთან კი ომი ნუ გაქვს...

ჩინეთ-იაპონიის გათავების შემდეგ, რამდენიმე დაწინაურებულ იაპონელს აზრად მოუვიდა ძეგლის აგება გამარჯვების აღსანიშნავად. და რა მოხდა? აზრი განუხორციელებელი დარჩა. ხალხმა ენერგიული პროტესტი განაცხადა: ჩინეთს რომ ვეომებოდით, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მუდამ მტრობა გვექნება ჩინელებთან, ამბობდნენ ერთნი. არ უნდა დავდგათ ისეთი ძეგლი, რომელიც შეურაცხმყოფელი იქნება დამარცხებულისათვის, გაიძახოდნენ მეორენი. და ძეგლი ვერ დაიდგა ისეთ მიზეზების გამო, რომელიც თქვენთვის, ევროპიულებისათვის, გაუგებარია...“

როცა იტალია თავგანწირული ებრძოდა შინაურსა და გარეშე მტარვალებს, როცა დაბექავებული და სულით-ხორცამდე ტყავგამძრალი ერი იტალიისა წელში გაიმართა გაერთიანებისა და განთავისუფლებესათვის, პეტრე მოციქულის მოადგილე და მბრძანებელი სრულიად კათოლიკეთა იტალიის მტრებს მიემხრო და მისი ჯარი ავსტრიელებთან ერთად ებრძოდა სამშობლოს აღორძინებისათვის თავდადებულ მამულის შვილებს; პაპი გახდა შეურიგებელი მტერი იტალიის გაერთიანებისა და განთავისუფლებისა. ეს მტრობა გაათკეცდა და გაასკეცდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რომი გახდა ახალ იტალიის სატახტო ქალაქად (1870, სექტემბერი).

როგორც ვიცით, რომის პაპი სულიერ სამეფოს არ სჯერდებოდა და არ სჯერდება: სულიერ მეფობის აღსასრულებლად აუცილებლად საჭიროა ამ ქვეყნიური ნამდვილი სამეფოცო, გაიძახიან მართლმორწმუნე კათოლიკენი. იტალიის სამეფომ საბოლოოდ მოსპო 1870-ში რომის სამთავრო და პაპს მხოლოდ ვატიკანის სასახლე დაუტოვა. პაპი სულიერი მთავარია, იგი არ საჭიროებს ამ ქვეყნიურ სამთავროს, სამფლობელოს, იტალიის სამეფო კი ურომოდ შეუძლებელი.

არისო, ამტკიცებდნენ უზომიერესი მოღვაწენი განახლებულ იტალიისა და ეგრედ წოდებულ „გარანტის კანონით“ დაადგინეს — პაპი ოჩება კათოლიკეთა უაღრეს მთავრად ვატიკანში, წლიურად ეძლევა მას იტალიის მთავრობისაგან სამ მილიონ ნახევარი, იგი სრულიად დამოუკიდებელია ორგორც თავი კათოლიკე ეკკლესიისა და დამოუკიდებელი დიპლომატიური დამოკიდებულება აქვს უცხოელ სახელმწიფოებთან. პაპი პიუს მეცხრე, ორმელიც ერთ დროს გაღმერავებული ჰყავდა იტალიის ხალხს ლიბერალობისათვის, შეურიგებელ, ნამდვილ პაპისმის პოლიტიკას დაადგა: იტალიის მთავრობის პოლიტიკას „ყაჩაღობა“ უწოდა, არ მოისურვა არავითარი მოლაპარაკება მთავრობასთან და თავის თავი „ვატიკანის პატიმრად“ გამოაცხადა.

პაპს მხარი მისცეს სხვა სახელმწიფოების მართლ მორწმუნე კათოლიკებმა: ესენი თხოულობდნენ თავიანთ მთავრობათაგან იტალიის საქმეებში ჩარევას და პაპის უფლების აღდგენას. საფრანგეთში იმდენად ძლიერი იყო პაპის სასარგებლოდ გამოწვეული მოძრაობა, რომ იტალიის მთავრობამ საჭიროდ დაინახა საზღვარზე ჯარები მოემატებია: ფრანგი კათოლიკენი იმდენად აშკარად და გაძედულად მოქმედებდნენ, რომ მოსალოდნელი იყო სერიოზული კონფლიკტი. იტალიის და საფრანგეთის საბედნიეროდ, შეტაკება არ მოხდა, პაპი „ვატიკანის პატიმრად“ დარჩა, მაგრამ თვითონ მოძრაობამ დიდათ შეუწყო ხელი იტალიისა და საფრანგეთის დაშორებას და გადამტერებას, რამაც დიდათ საგრძნობელი ზარალი მიაყენა ორივე მხარეს.

მოკვდა პიუს მეცხრე. პაპის ტახტზე ავიდა ლეონ მეცამეტე. ყველას იმედი ჰქონდა, რომ ახალი პაპი ცოტათი მაინც დაუახლოვდებოდა იტალიის სამეფოს, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა: რამდენად ლეონ მეცამეტე რბილად და დიპლომატიურად იქცეოდა სხვა სახელმწიფოების შესახებ, იმდენად იგი მტკიცედ ადგა პიუს მეცხრეს შეურიგებელ პოლიტიკას იტალიის შესახებ: ყოველ წელს, ტახტზე ას-

ვლის დღეს, ლეონ მეცამეტე იმეორებდა პროტესტს რომის დაპყრობის წინააღმდეგ, პიუს მეცხრესავით ვატიკანის პატიმრად სთვლიდა თავს და ერთხელაც არ გამოსულა იქიდან, არაეითარი დამოკიდებულება არ იქონია იტალიის მთავრობასთან და გამოაცხადა, რომ კათოლიკე ხელმწიფეს, რომელიც კი რომში ჩამოვა იტალიის მეფის სანახვად, იგი არ მიიღებს ვატიკანში. ავსტრიის იმპერატორი მოკავშირეა იტალიის მეფისა; წესად არის შემოლებული, რომ მოკავშირენი წელიწადში ერთხელ ინახულებენ ერთმანერთს. გერმანიის იმპერატორი მიღის ვენაში და რომში, იტალიის მეფე ბერლინში, აგრეთვე ავსტრიის იმპერატორიც ბერლინში, მაგრამ ავსტრიის იმპერატორი არ მიღის რომში პაპის აკრძალვის მორიდებით. ამიტომაც ვერც იტალიის მეფე მიღის ვენაში. შეიძლება, ბევრმა ითვირთოს, რომ ასეთ მოვლენას როგორც ფორმალურს, მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ასეთი შეხედულება შემცდარია. მართლაც, ავსტრიის იმპერატორის მოუსვლელობა რომში იმის ნიშანია, რომ მას კანონიერად და სამართლიანად მიუჩნევია რომის პაპის მოთხოვნანი და ეს გარემოება კი შეუზრაცხოფაა როგორც იტალიის მეფისა, ისე მთელი ხალხისაც. სხვათა შორის, ესეც არის მიზეზი, რომ იტალიისა და ავტრიის შორის, მიუხედავათ კავშირისა, არ ირის მეგობრული განწყობილება.

ლეონ მეცამეტე მოკვდა. ჰეტრე მოციქულის ახალი მოადგილეც, ლეონ მეცამეტესავით, უფრო რბილი კაცი ეგონათ და ბევრს სრული იმედი ჰქონდა, რომ ვატიკანსა და იტალიის მთავრობას შორის უკეთესი დამოკიდებულება დამყარდებოდა. მაგრამ მოხდა ისეთი რამ, რასაც სკეპტიკებიც არ მოელოდნენ.

საფრანგეთისა და იტალიის დაახლოებაზე არა ერთხელ გვერნია ლაპარაკი. ამ დაახლოების დასაგვირგვინებლად საფრანგეთის პრეზიდენტი წავიდა რომში იტალიის მეფის სანახვად. საფრანგეთი კათოლიკე სახელმწიფოდ ითვლება, პრეზიდენტი მისი წარმომადგენელია, მაშასადამე, თანახმად

ლეონ მეცამეტეს გამოცხადებისა, იგი ვერ უნდა მისულიყო რომს მეფის სანახავად. და რაკი მოვიღა, პაპი მას არ ინახულებდა. ლეონ მეცამეტეს დროს საქმე ამით გათავდებოდა. ახალი პაპი კი უფრო შორს წავიდა: საფრანგეთის მთავრობას ჩააბარა ნოტა, სადაც იგი პროტესტს აცხადებდა რესპუბლიკის პრეზინდეტის რომში მოგზაურობის წინააღმდეგ. საფრანგეთის მთავრობამ ნოტა არ მიიღო. პაპი კიდევ უფრო შორს წავიდა: კათოლიკე სახელმწიფოთა მთავრობებს გაუგზავნა ნოტა, სადაც საფრანგეთის მთავრობის ქცევა სასტიკად იყო გაკიცხული. ეს ნოტა საფრანგეთის მთავრობამ არ იცოდა. მაგრამ იგი იშოვა საფრანგეთის ცნობილმა დეპუტატმა ჟორეშმა და გამოაქვეყნა თავის გაზეთში. საფრანგეთის მთავრობა შეეკითხა ვატიკანს — ნამდვილია თუ არა გაზეთში გამოქვეყნებული ტექსტი ნოტისაო, და რაკი დამაქმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, თავისი ელჩი გაიწვია ვატიკანიდან. რესპუბლიკის მთავრობის ენერგიულმა ქცევამ დიდი უზრ-ზაური და მითქმა-მრთქმა გამოიწვია როგორც საფრანგეთში, ისე ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც და არც საკვირველია: საფრანგეთის ელჩის გაწვევას შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვეს, სახელდობრ კონკორდატის მოსპობა და ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევება საფრანგეთში, რასაც დიდი ხანია თხოულობს საფრანგეთის დაწინაურებული დემოკრატია.

საფრანგეთის კლერიკალები და მათი მოკავშირე პარტიები (ნაციონალისტები და მეტად გაზომიერებული რესპუბლიკელები) დიდ მწუხარებას მიეკნენ საქმეთა ასეთ მიმღინარეობის გამო, რაღაც ნაჩვენებ შედეგის ეშინიათ, და სკლილობენ მთელი ბრალი ეხლანდელ სამინისტროს მოახვიონ თავზე. სამინისტროს მდგომარეობა ვერ იყო მაინცა და მაინც უზრუნველ-ყოფილი. მართლაც, თუ რეაქციონერები ელჩის გამწვევისათვის ჰკიცხავდნენ მთავრობას, სოციალისტები რადიკალურ ღონისძიების მიღებას (ვატიკანთან დიპლომატიურ დამკიდებულების საბოლოოდ მოსპობას) თხოულობდნენ.

ბოლოს მაინც სამინისტროს პოლიტიკამ გაიმარჯვა. პარლა-
მენტის ის სხდომა, რომელზედაც ლაპარაკი იყო ამ დიდ
მნიშვნელოვან ინციდენტზე, იმდენად საინტერესოდ მიგვაჩნია,
რომ მოვცეავს სხდომის ანგარიშიდან რამდენიმე უფრო საყუ-
რადლებო ადგილი, მით უმეტეს, რომ დღეს გაზეთებში გარდა
ომის ამბებისა ვერა იბეჭდება-რა, რასაკვირველია, ყოვლად
საპატიო მიზეზის გამო.

დეპუტატების პალატის ტრიბუნები და ლოუები გაკედი-
ლი იყო. დიპლომატების ლოუაში ავსტრია-პუნგრეთის და იტა-
ლიის ელჩები და პაპის ნუნციუსის კერძო სეკრეტარი იყვნენ.
სხდომის დაწყებისათანავე ნაციონალისტი ლაზი თხოულობს,
რომ ვატიკანის საქმის განხილვა გადადებულ იყოს, მაგრამ
ეს წინადადება არ მიიღო პალატამ. რადიკალ-სოციალისტმა
მენიემ სთქვა, სხვათა შორის—მე იმას კი არ ვსწუხვარ, რომ
პაპი თავის ტრადიციულ პოლიტიკას დაუბრუნდა; პირიქით;
შერიგების პოლიტიკა ბევრად უფრო საშიში იყო (ტაშის ცე-
მა მარცხნივ. პროტესტი ცენტრში). იმედი მაქვს, რომ ელ-
ჩის გაწვევა საბოლოო იქნება. (მოწონება მარცხნივ). სოცია-
ლისტი ალარი ამტკიცებს, რომ მთავრობის მიერ მიღებული
ღონისძიება საკმარისი არ არის, და დელკასეს კლერიკალ
ეძახის.

დელკასე: ოქვენ ერთი გავიწყდებათ: ის მე ყიყავ, რე-
პუბლიკის პრეზიდენტს კვირინალში რომ (იტალიის მეფის
სასახლეა) ვახლდი.

ალარი: გილოცავთ, რომ ხელი შეუწყვეთ საფრანგეთისა
და იტალიის დაახლოებას, მაგრამ არ შემიძლია მოვიწონო
თქვენი პოლიტიკა ვატიკანის მიმართ. თუ მთავრობა უფრო
ენერგიულად არ წინააღმდეგა რომის პაპს, ეს იქნება გაკო-
ტრება მთელ ანტიკლურიკალურ პოლიტიკისა (ტაში რამდე-
ნიმე მემარცხნეთა).

აბატი გეირო ამტკიცებს, რომ პაპს უფლება ჰქონდა
ასეთ ნოტის დაწერისა და ელჩიც უსაბუთოდ გამოიწვია მთა-
ვრობამათ; საფრანგეთის ინტერესებისათვის ჩვენ არ გვსურს

ეკლესიის გაშორება სახელმწიფოსაგან, მაგრამ თქვენ (მთავრობას) თუ ეს მიზანი გაქვთ, ბარემ პირდაპირ გამოაცხადეთო. გეიროს შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა გარეშე საქმეთა მინისტრი დელკაც.

„გასულ წელს, ერთ დიპლომატიურ მიღების დროს, წმინდა ტახტის (პაპის) წარმომადგენელი შემეკითხა, განზრახვა ხომ არ არის, რომ იტალიის მეფე პარიზში მოვიდეს და რესპუბლიკის პრეზინდეტი რომში წავიდესო. მე ვუპასუხე, რომ მეფის პარიზში მოსვლაზე არა გამიგია რა და ამიტომ პრეზიდენტის რომში წასვლაზედაც არ მიფიქრიათქო. ის ცნობილია, თუ მეფე როგორ გვეწვია და პრეზიდენტი როგორ წავიდა რომში. ოთხ მაისს მივიღე პაპის მდივნის მერი დელ ვალის ნოტა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ პრეზიდენტის რომში მისვლა შეურაცხყოფა იყო ეკლესიის უმაღლეს მთავრისა. მთელი სამინისტრო იმ აზრის იყო, რომ ნოტას კილო და ენა შეუწყნარებელი იყო. ამიტომ მე მივანდე ჩვენს ელჩს გამოეცხადებია, რომ ასეთი ნოტა შეიძლება მხოლოდ მიუღებელად ჩაითვალოს, და ინკიდენტი ამითი უნდა გათავებულიყო (ტაში მარცხნივ და ცენტრში). გაზეთ „ოსერვატორე რომანო“-მ გამოაცხადა, რომ უცხოელ სახელმწიფოებს მიუვიდათ რესპუბლიკის პრეზიდენტის მოგზაურობის შესახები ნოტა, და 17 მაისს ერთმა ფრანგულ გაზეთმა გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც გადასხვაფერებული ჩვენგან ცნობილი ნოტა იყო. შეუწყნარებელი გამკიცხველი კილო ამ უცხო სახელმწიფოებისან გაგზავნილ ნოტისა ჩვენი შეურაცხყოფა იყო და ამაღლ ეცდება ვინმე შეასუსტოს იმ წინადადების აზრი, სადაც ვიტიკანი ბოდიშს იხდის, რომ მაშინვე არ გაიწვია პარიზიდან ნუნციუსი (ტაში მარცხნივ). მთავრობამ მაშინვე მოსთხოვა თავის ელჩს ნიზარს შეეტყო, ნამდვილია თუ არა გამოქვეყნებული ნოტა; ნიზარიც წავიდა მერი დელვალთან, მარამ ამან არ ინდომა სიტყვიერად პასუხის მოცემა. ამასობაში მე სხვა გზით დავრწმუნდი, რომ ნოტას ტექსტი ნამდვილი იყო (მარჯვნივ

ლაპარაკს აწყვეტინებენ) და დეპეშით ვაცნობე ელჩს, რომ
მერი დ. ვალის პასუხი სიტყვის ბანზე აგდებაა (ჩმაურობა
მარჯვნივ, ტაშის ცემა მარცხნივ) და ამიტომ ელჩი დაუყოვ-
ნებლივ უნდა წამოვიდეს რომიდან. 24 საათში ნიზარი წა-
მოვიდა რომიდან. ელჩის გამოწვევით მთავრობამ იმოქმედა
ისე, როგორც ამას ქვეყნის ღირსება მოითხოვდა. მთავრობის
მხარეზეა სამართალიცა და მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი
აზრი და პალატაც მოწადინებული უნდა იყოს, რომ ერთი-
ცა და მეორეც შევირჩინოთ. (დიდი ტაშის ცემა უმრავლე-
სობის მხრივ).

დელკასეს შემდეგ კიდევ რამდენიმე ორატორმა ილაპა-
რაკა და ამათ შემდეგ წამოდგა პირველი მანისტრი კომბი.
მთელი დარბაზი ყურადღებად გადაიქცა.

„საფრანგეთის შეურაცხმულფერ დოკუმენტში, რომელიც
რამდენსამე სახელმწიფოს გაეცნავნა, წმინდა პაპი უჩვენებს
შეურაცხმულას, რომელიც ვითომ მიაყენა მას საფრანგეთის
რესპუბლიკის პრეზიდენტმა იმით, რომ მევობრულად ინა-
ხულა იტალიის მეფე მის უცილლებელ სატახტო ქალაქში
(დიდი ტაშის ცემა მარცხნივ) და ქედი არ მოიხარა წინა-
შე ულტრამონტანების პრეტენზიებისა პაპისმის ვითომდა
წაურთმეველ უფლებათა შესახებ (გატაცებული ტაშის-ცემა
მარცხნივ). სამინისტრომ ელჩის გაწვევით უპასუხა.. ეს
გაწვევა იმას ნიშნავს, რომ მთავრობას არ სურდა ელჩის რომ-
ში დატოვებით რაიმე საბუთი მიეცა ვისმესთვის ეფიქრა, ვი-
თომ ამ პრეტენზიებს რაიმე საფუძველი აქვს; მეორე აზრი
ასეთ მოქმედებისა ის არის, რომ მთავრობა არ მოითმენს პა-
პის ჩარევას საფრანგეთის საერთაშორისო დამოკიდებულებაში
და გადაწყვეტილი აქვს ბოლო მოუღოს ჰაპის საერთო უფ-
ლების ფიქციას, რომელიც ამ ოცდაათის წლის წინად გაჰქ-
რა. სამინისტრომ ვერ გაიწვია საელჩოს მთელი პერსონალი,
რადგან კონკორდატის ძალით მიმდინარე საქმეები გვაქვს და
კონკორდატს კი ჩვენის უფლებით ვერ მოვსპობდით: ასეთ
ღონისძიების წინ უნდა უძღვოდეს სხვა ზომები, რომ სახელმ-

წიფო უზრუნველ ყოფილი იქნას ასეთ ცვლილების პოლიტიკურ შედეგის წინააღმდეგ. კითხვას იხილავს პალატის საგანგებო კომისია და თავის მოხსენებას წარმოგიდგენთ. დაახლოვებით ვადაც დანიშნა კომისიამ და მთავრობაც თანახმაა (მღელვარება; დიდი ტაშის ცემა მარცხნივ). პალატისაგან არის დამოკიდებული, რომ ბიუჯეტის განხილვის შემდეგ, იანვარში, გაირჩეს ეს საქმე (მღელვარება მატულობს). სამინისტროს სხვაზე ნაკლებ არ სურს, რომ საქმე მაღლე გათავდეს. კონკორდატს განუწყვეტლივ არღვევენ და ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს (დიდი და გატაცებული ტაშის ცემა)“.

კომბის შემდეგ ილაპარაკა რიბომ. მიუხედავათ იმისა, რომ კომბის სიტყვა ცხადი და გარკვეული იყო, რიბომ მაინც ის აზრი გამოიყვანა პირველ მინისტრის ნალაპარაკვეიდან, ვითომ მთავრობას ძალიან სურდეს პაპთან დიპლომატიურ დამოკიდებულების განახლება. ეგ თქვენი პირადი შეხედულება არისო, შენიშნა კომბმა. პალატამ დიდის უმრავლესობით მოიწონა მთავრობის პოლიტიკა და ამით კომბის სამინისტროს მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა.

აქამდე საფრანგეთის არც ერთ მინისტრს არ ულაპარაკნია ასე აშკარად და გაბედულად პაპის პრეტენზიების წინააღმდეგ. რომი იტალიის სამეფოს ეკუთვნის უცილობელად და პაპის პრეტენზიები უნიადაგო ოცნება და მეტი არაფერით, თამამად სთქვა კომბმა, და ეს სიტყვები დიდის აღტაცებით იქნა შილებული იტალიაში. ამიტომ კომბის სიტყვას საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს: ის მეგობრული განწყობილება, რომელიც ეხლა არსებობს იტალიასა და საფრანგეთს შორის, კიდევ უფრო გაძლიერდება და გამაგრდება.

იტალიის პარლამენტს უკვე ჰქონდა ლაპარაკი ამ საგანზე. ერთის დეპუტატის შეკითხვაზე პირველმა მინისტრმა, სხვათა შორის, შემდეგი სთქა: პაპის ნოტა, რასაკვირველია, ჩვენ არ მოგვსვლია, მაგრამ ერთი ადგილი ამ დოკუმენტისა იტალიის მეფეს შეეხება („რომი უკანონოდ უკავია იტალიის მეფეს“) და სწორედ ამ ადგილმა მისცა შემთხვევა მეგობარ ერის მთა-

ვრობას ეთქვა ისეთი სიტყვები, რომელიც მისგან არასოდეს არ გაგვიგონია და რომელიც თავისთავად საკმარისი არის სრულიად დაგვავიწყოს ძველი უკმაყოფილებანი.

პაპის ნოტაზე უკეთესი სამსახური იტალია-საფრანგეთის დაახლოებისათვის არავის გაუწევია. გერმანიის პრესა, საფრანგეთის დიპლომატიის გამარჯვებით ვულნატკენი, იმით ინუგეშებდა თავს რომ პაპი სავსებით ჩვენ მხარეზე გაღმოვაო მიუხედავარ ამისა, ეს პრესაც ჰკიცხავს და დასკინის პაპს და მის სეკრეტარს.

საფრანგეთის სამინისტრო და დემოკრატიული უმრავლესობა უფრო და უფრო გაბეჭდულად მიღიან წინ. ხალხი გამოფხიზლდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ მეტი არა, სამი მეოთხედი საფრანგეთის ერისა იმავ სურვილებითა და აზრით არის გამსჭვალული, რომელსაც კომბი და მისი კოლეგები ემსახურებიან.

† პეტრე იოლების ძე უმიქაშვილი

ეს ნომერი მზად გვქონდა, როცა გავიგეთ სამწუხარო
ამბავი, რომელიც მოვალენი ვართ გავუზიაროთ ჩვენს მკით-
ხველებს: 25 მაისს მიიცვალა ჩვენი მხურვანი მწერალი და
საზოგადო მოღვაწე პეტრე იოლების ძე უმიქაშვილი. დარწმუ-
ნებულნი ვართ, რომ ჩვენთან ერთად მთელი ქართველობა გულ-
მხურვალედ იგლოვებს ამ დაუვიწყარის, გულწრფელის და
უანგარო მოღვაწის სიკვდილს. მთელი თავისი სიცოცხლე გან-
სვენებულმა ჩვენის მწერლობის და საზოგადო საქმეების ერთ-
გულ სამსახურში გაატარა. იმ მოღვაწე, რომელსაც სამართ-
ლიანად შეუძლია უთხრას საზოგადოებას: „ვქმენ, რაც შემე-
ძლოთ.“ იმედია, ქართველი საზოგადოებაც არასოდეს არ და-
ივიწყებს მის ერთგულ სამსახურს!.. დაწვრილებით ნეკროლოგი
შემდეგ დავბეჭდავთ.

არ დაიბ ეჭდება:

- 1) „მრუშავი ქალი“—ნათარგმნი ლექსი;
- 2) „ბეჭის კვერი“—ლექსი;
- 3) „ამ ლ—ვას ნაწერებიღან“—ლექსები;
- 4) „გეგენა“;
- 5) „გასათხოვა“, დრამა სტრონბერგისა;
- 6) „მთვარე არ ჩანდა“ (ამბავი).

რედაქტორი
ალ. ჭეთნაძ.

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი

„განთიაღვის“ შემძები შეცდომაი შეგვეპარა:

ბბ.	სტ.	დაბეჭდილა	უნდა იყოს
2.	ქვემ.	მონალირენის.	მონალირენი.
7.	—	ამაბ	ამბობ
8.	ზემ.	ცოცალი	ცოცალი
16.	—	გომბორში	გომბორში
18.	—	არ აგამართვინოს	არ აგამართვინოს ლმერთმა
22.	—	წალიწალია	წელიწალია
—	14.	ჩვენ	ზენი.
27.	—	რა გაიგე?	რა შემიტყე?
42.	—	გულმკედარი	გულმკედართ
—	ქვემ.	ან არარა იცი	ან არარა იცი
44.	ზემ.	(გადის)	(გადიან)
50.	ქვემ.	დედას შესცერის) დედას შესცერის შიშ მორეული)	ჩემი თამარი?
51.	ზემ.	ჩემო თამარო?	ჩემო თამარ?
52.	—	გავქციეთ	გავაქციეთ
54.	—	დ დგება	დადგება
—	ქვემ.	ჩამოასხ	ჩამოასხა
—	—	გულაში	გულში
57.	—	(უ ვირის)	(უყვირის)
58.	—	ო ან.	ომნ.
63.	—	ისმინონ	ისმინონ
78.	—	ქვეყანას	ქვეყანას
76.	—	არ მითხრა	არ მითხვა
77.	—	მეშინია!	მეშინიან, შეაჩერეთ!
—	—	და დაშლის	და გადაშლის!

მოადენი

5-

წელიწადი შეთვრთვები

გამოცემის უობელ თავი

ფიცი უკრნებდ „მრამბესა“ განზაგნით:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში:		საზოგარ-გარედ:	
ერთის წლით	10 მან.	ერთის წლით	13 მან.
ექვსი თვით	6 მან.	ექვსი თვით	7 მან.
სამი თვით	4 მან.	სამი თვით	5 წან.

8065 „მოადენის“ გამოცემის, „ცენობის ფურცელი“ პილაში რჩეს სურათებიანის დამატებით უფასოდ დამთხოვა

ფიცი კანაწილება შეიძლება ასე: ჰირკეფად 5 მან. 1-ლ მარტიშ— 3 მან., და 1-ლ აგვისტომდე— 2 მან.

წელის-მოწერა მიიღება ტფილისში, უურნალ „მრამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ვანქის ღიღ ქუჩაზე, № 27.

ქალაქს გარეშე წელის-მოწერა ერთი მანერი უნდა წარმოადგინოს დამატებათა გასაგზავნად.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **თიფლის, რედაქცია „მოამბე“.**

უურნალში დასაბეჭდად მიღებულ წერელებს, თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეასწორებს და შეამოკლებს. წელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, ჰატონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხოვ ერთის თვის განმაფლობაში,— მერმე ველარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ წელნაწერების შესახებ. რედაქცია არა კისრულობს.

დასაბეჭდად წარმოაგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეპვ-ლად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი წელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახეობურნალმა თავისი აზრი წარმოსთვევას, ორ-ორი ეგზემპლინიარი უნდა გამოუგზავნოს რედაქციას.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კურსუქმეებს გრძლა, შუალლიდან ნაშუალლევის ორ-საათამდინ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა წელის-მოწერა, რომელთაც კი ეურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოაზგზავნონ აგრედე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა. რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა ტა. ეს ნომერი არ მიულია. წინააღმდეგ შემთხვევაში წელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი
ა. ლ. ჭ უ თ ნ ი ა.

გამომცემელი
ა. ლ. ჭ ა ბ ა დ ა რ ი